

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ეთერ ბერიძე

ნიგალი

ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური
(ტოპონიმიკური) ასპექტები



გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
თბილისი – 2009

მონოგრაფიაში ფართოდ არის შესწავლილი ნიგალის ხეობა, მის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, წარმოდგენილია ხეობის ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა, აქაურთა ეთნოლოგიური და ეთნოკულტურული ყოფის ასპექტები, ხეობის მკვიდრთა მეტყველების ნიმუშები, გაანალიზებულია ხეობის ტოპონიმიკური მასალა და მოცემულია მათი ენათმეცნიერული ანალიზი. ნაშრომი ეყრდნობა მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას, რომელიც ავტორმა მოიპოვა ნიგალის ხეობაში ექსპედიციის დროს. მოცემულია ხეობის ტოპონიმიური ფონდის შედარება XIX საუკუნის ქართველ და უცხოელ ავტორთა შრომებში დაცულ მასალებთან. მონოგრაფიაში წარმოდგენილია ნიგალის ხეობის კარტოგრაფიული რუკები.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი კარგ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს, აგრეთვე საკითხით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი: რამაზ სურმანიძე – პროფესორი

რეცენზენტები: რამაზ ხალვაში – პროფესორი
მიხეილ ქამადაძე – პროფესორი
კახაბერ სურგულაძე – პროფესორი

ISBN 978 - 9941-409-02-8

© **ეთერ ბერიძე, ნიგალი** (ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური (ტოპონიმიკური) ასპექტები), 2009

©**გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“**

რედაქტორისაბან

ეთერ ბერიძის ნაშრომი – „ნიგალი“, ერთ-ერთი გამორჩეულია იმ ნაშრომთა შორის, რომლებიც მიედღვნა ისტორიული საქართველოს ამ მხარეს, იმდენად, რამდენადაც ნიგალის ხეობა შედარებით ახლებურად და დეტალურადაა შესწავლილი.

ნიგალის ხეობის ცალკეული სოფლები ჯერ კიდევ ოსმალობის დროს აღწერეს დიმიტრი ბაქრაძემ (1873) და გიორგი ყაზბეგმა (1874), შემდეგ რუსთა მმართველობისას – ზაქარია ჭიჭინაძემ (1890), ნიკო მარმა (1904) და ექვთიმე თაყაიშვილმა (1910), ჩვენს დროში – იური სიხარულიძემ (1986), შუშანა ფუტყარაძემ (1989), ნუგზარ ცეცხლაძემ (1998) და როინ მაღაყმაძემ (2008). ყველა მათგანმა კვლევა-ძიება საკუთარი ორიგინალური მეთოდით ჩაატარა, მაგრამ ეთერ ბერიძე, წინა მკვლევრებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ნიგალის ხეობით შემოიფარგლა, რასაც მოჰყვა ამ ხეობაზე შედარებით ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის კვლევის საგანი ტოპონიმია, მას გაუკეთებია ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ყურადღება გაუმახვილებია ნიგალური მეტყველების თავისებურებებზე, ჩაუწერია და განუხილავს იქაური ფოლკლორული ნიმუშები, აღუწესხავს და აღუწერია ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები.

ნაშრომი ძალზე მრავალფეროვანია. აქ ნახავთ ტოპონიმის არა უბრალო გაგებით და ზოგადად, არამედ ენათმეცნიერული მეთოდებით შესწავლილსა და გაანალიზებულს. ეთერ ბერიძემ ცალ-ცალკე დაახასიათა: მარტივი გეოგრაფიული სახელები, სუფიქსებით გაფორმებული და თხზული ტოპონიმები. მათ შორის, ასევე განაცალკევა საზღვრული და მსაზღვრელი ობიექტების ადგილმდებარეობა, ცალკე გამოყო ანთროპონიმული, ფლორონიმიული, ჰიდრონიმიული და სხვა გეოგრაფიული სახელები, არსებითი და ზედსართავი სახელებით წარმოებული ტოპონიმები და ა.შ.

ავტორმა ცალკე განხილვის საგნად გახადა სამი და მეტფუძიანი, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული სიტყვებით შედგენილი სახელები და გაურკვეველი სემანტიკის მქონე ტოპონიმები, რაც არა მარტო ქართველ, არამედ თურქ მეცნიერებსაც დიდ სამსახურს გაუწევს.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს მეტყველების ნიმუშები, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ენის, როგორც ერთ-ერთი საუნჯის (ილია) დიდ გამძლეობაზე, სიმტკიცეზე და ეროვნულობი მართლაც მთავარ და ორგანულ შემადგენელ ნაწილზე.

ავტორი არ დაკმაყოფილდა საკუთარი მონაგარით და მთელი ტოპონი-
მური მასალა შეადარა იმ ავტორების მოძიებულ სიებს, რომლებმაც ნიგა-
ლის ხეობა მოინახულეს, ან ოფიციალური საბუთების მოშველიებით აღწე-
რეს და გამოაქვეყნეს ამ მხარის უცხოთაგან გათავისუფლებისთანავე
(ა.ფრენკელი (1879), ვ. ლისოვსკი (1887), ზ.ჭიჭინაძე (1890), ი. ჯაიანი (1897),
ი. სიხარულიძე (1986) და სხვ.). ამ შედარებებს ჰქონდა არსებითი მნიშვნე-
ლობა, რადგანაც ეს მხარე გათავისუფლებიდან 40 წლის შემდეგ კვლავ
ოსმალეთის ფარგლებში მოექცა და გაგრძელდა მეტყველების, აგრეთვე,
ტოპონიმისა და ანთროპონიმის არნახული ასიმილაცია. დასახელებული
ავტორების მიერ 130 წლის წინ ჩაწერილი მრავალი სახელი ჩვენს დროში
დაიკარგა, იცვალა ფორმა, სანახევროდ გაქრა; ეთერ ბერიძემ გაამახვილა
ყურადღება ძველი ავტორების კვლევის შედეგებზე, შეადარა საკუთარი მა-
სალა და მრავალ სიტყვას, ტერმინსა თუ სახელს დაუბრუნა პირველყოფი-
ლი ფორმა და შინაარსი. ამ მხრივ განსაკუთრებულია გვარ-სახელები და
ქრისტიანობის ამსახველი ტოპონიმები, რომელთა აღდგენა-დაბრუნებით აღ-
გილობრივი მოსახლეობის ცნობიერება ახალ შინაარსს შეიძენს, ახალი სუ-
ლიერი საკვებით იარსებებს.

ნაშრომს თანდართული აქვს მოკლე დასკვნები ინგლისურ, თურქულ და
რუსულ ენებზე, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის, ამდენად
წიგნი უცხო ქვეყნების მეცნიერთა ინტერესის საგანიც გახდება.

აუცილებლად მიმაჩნია ამ სასარგებლო და სასურველ ნაშრომზე ჩემი,
როგორც რიგითი მეცნიერის, გნებავთ რედაქტორის, მოსაზრების მკით-
ხველზე, პირველ რიგში ავტორზე, წარდგენა, რადგანაც მიმაჩნია, რომ ეს
კიდევ უფრო შეავსებს ავტორის თვალსაზრისს და გააფართოებს მის მომა-
ვალ სამეცნიერო ასპარეზს.

ზაქარია ჭიჭინაძემდე და ექვთიმე თაყაიშვილამდე ყველა მეცნიერის
ნაშრომი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. გასაგები მიზეზების გამო ბევრმა
საკუთარმა სახელმა და ტერმინმა იცვალა თავდაპირველი ფორმა, ზოგჯერ
ისე, რომ მისი გამოცნობაც კი ჭირს.

ნაშრომის განხილვისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ხეობის სა-
ხელი: ნიგალი, ლიგანი, თუ ლივანა. სხვადასხვა ავტორი თავისი შეხედუ-
ლებისამებრ აძლევს უპირატესობას ამ ხეობის ამა თუ იმ სახელწოდებას
და ამის ახსნასაც გვთავაზობს. ეს, რა თქმა უნდა, მათი ნებაა, მაგრამ პი-
რადად მე ამ შემთხვევაში ამოსავალ და დასაყრდენ წყაროდ მიმაჩნია ჩვენი
დედაისტორია – „ქართლის ცხოვრება“, სადაც მხოლოდ „ნიგალი“ და „ნი-
გალისხევი“ გვხვდება. მისასაღმებელია, რომ წინამდებარე წიგნის
ავტორმაც სწორედ ხეობის სახელის ეს ფორმა მიიჩნია მართებულად.

საქართველოს ისტორიის შესწავლისა და საუკუნეების მანძილზე უცხოთაგან მიტაცებულ ტერიტორიებზე ქართული წიგნიერების გავრცელებაში ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი აღუწერელია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას სწორედ მისი ხარჯით გამოცემულმა წიგნებმა გაუღვიძა ქართული ცნობიერება და გაუღვივა ქართული წერა-კითხვის შესწავლის ინტერესი. ერთადერთი შენიშვნა, რაც ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომებისადმი მაქვს, ესაა სოფლების და მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას მრგვალი რიცხვების (1000, 100, 10 და ა.შ.) გამოყენება, რაც მათ რეალობაზე ეჭვს ბადებს. ისინი შეიძლება მივიღოთ საორიენტაციოდ და სხვა წყაროებით დავაზუსტოთ მათი სისწორე. ეთერ ბერიძე დიდ პატივისცემას (ჩემი აზრით, ზოგჯერ გადაჭარბებითაც) გამოხატავს ღვაწლმოსილი ბიბლიოფილისადმი, თუმცა, მის სტატისტიკურ მაჩვენებლებს ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება. ასეც უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ზ. ჭიჭინაძის ტერმინი „გათათრება“, რაც მუსლიმანური სარწმუნოების მიღებას გულისხმობს; თავის დროზე მხედველობაში არ იქნა მიღებული, რომ ტერმინი „თათარი“ ეროვნებას გამოხატავს და ის სწორედ ასეთი სახით მოხვდა მის წიგნებში. ზ. ჭიჭინაძეს ამის გამო, თავის დროზე, კიდევ შენიშნეს აჭარაში. მან ეს შენიშვნა მიიღო და სინანული გამოთქვა, რომ მის ადრინდელ წიგნებში ეს ტერმინი დარჩა. სამაგიეროდ, მომდევნო გამოცემებში მან „გათათრება“ „გამუსლიმანებით“ შეცვალა.

ტოპონიმების მაწარმოებლების შესწავლისას ეთერ ბერიძე ნიგალის ხეობას ხშირად ადარებს აჭარას და ეს გასაგებიცაა, რადგანაც აჭარის ტოპონიმია ძირფესვიანად შესწავლილია იური სიხარულიძის, მიხეილ ქამადაძის და სხვათა მიერ და უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა აპრობირებულია და ქრესტომათიული მნიშვნელობა აქვს. ეთერ ბერიძის წიგნში ერთგან ასაურის, ბასილაურის, სინდაურის და სხვათა ანალიზისა და შედარების დროს, ალბათ, სასურველი იყო შუბნის ხეობაში არსებული სოფლის ქუთაურის გამოყენება. ხელნაწერის II თავის 86-ე გვერდზე თვალში მომხვდა გეოგრაფიული სახელი „წითური ჯვალი“. ამ სიტყვების მნიშვნელობა კარგად ვიცით, მაგრამ „ჯვალი“ – ტოპონიმი დაუჯერებლად მეჩვენება. ხომ არაა ეს „ჯვარის“ სახეცვლილება?

ავტორი იშველიებს წინამორბედი მეცნიერების (ზ. ჭუმბურიძე) დასკვნას ურეკი-ის ფონეტიკური ანალიზისათვის და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ნიშნავს გაუვალს, უღრანს, სადაც შეუძლებელი იყო ნადირის გამო-რეკ-ვა (ურეკი). ჩემი აზრით, ეს საინტერესო დასკვნა გაამდიდრებდა ურეხი-ის ანალოგიურ განმარტებას.

ქლასკური-ს განმარტებისას ეთერ ბერიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ სკურ-მდინარეს უნდა ნიშნავდესო, მაგრამ მთლიანობაში ქლასკური – „თბილი ქარის წყალი“ უნდა იყოსო. ჩემი აზრით, აქ „ქარი“ არაფერ შუაშია – გვაქვს უბრალოდ „თბილი წყალი“.

გარდა თურქულისა, ზოგი სიტყვა სხვა უცხო ენებიდანაა ნაწარმოები. ასეთებს მიეკუთვნება ხაჩიკ-ა-ური, რომლის ფუძე სომხურია, რუსკორდონი (რუსთა დროის ხერგილი), კანწალიე (ალბათ რუსეთის ხელისუფლების კანცელარია რუსიოლ-რუსის გზა; ქილისაყაფი (თურქ. ქართულად ეკლე-სიის კარი), რომლებიც აუცილებლად საჭიროებს განმარტებას.

ნაშრომში ქართული წარმომავლობის ტოპონიმებს თითქმის ყველგან ახლავს განმარტება და მისი ამჟამინდელი დანიშნულება: ბადი, სათესი, სოფლის უბანი, ტყე, სახნავი, ვენახი და ა.შ., თუმცა, ზოგის ახსნა ამ ეტაპზე, როგორც ავტორი აღნიშნავს, შეუძლებელია და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს. თუმცა არის გამონაკლისები, რომელთა ახსნა მარტივად შეიძლება მოხდეს. მაგ., დიაკვანეთი – სათესი, ჩვენი აზრით, ეს სიტყვა კავშირში უნდა იყოს დიაკონთან; თვალანგელო-სათიბში-მთავარან-გელოზი; ზავრაკი-იქნებ ზვარაკია; ქომობანი – ქვემო უბანი, ველხისძირი-ვერხვისძირი, ჯანვარეთი-ნაჯვარეთი, გაბელაკარი-გაბრიელაკარი, ოცანგი-ლო-ოცი ანგელოზი, ლაქენექევი-ნაქალაქევი.

განმარტებას საჭიროებს აგრეთვე ლაზური წარმომავლობის სიტყვები: წკარის დერე (წყაროს დედე), ცხონოფუნა, ჯგირაზელი, ოხვამე, წკაროთო-ლი და სხვ.

ავტორს დიდი შრომა ჩაუტარებია და და სალექსიკონო თუ სხვა მასა-ლაზე დაყრდნობით ძირითადად გაურკვევია და ტოპონიმებზე მიუთითებია მათი წარმომავლობა: ქართულობა, თურქულობა, ქართულ-თურქულობა და თურქულ-ქართულობა და ა.შ. ტოპონიმური ფონდის შესავალში (გვ. 232) ავ-ტორი აღნიშნავს კიდევ, რომ სახელთა ეტიმოლოგიური ანალიზი მისი შემ-დგომი კვლევის საგანია.

ეთერ ბერიძის მიგნებები სამეცნიერო პრაქტიკაშიც გამოგვადგება. ასე, მაგ. ბათუმის ცნობილ სასაფლაოს სოუქ-სუ ჰქვია. ბუნებრივია, მისი უძვე-ლესი სახელი ცივწყარო უნდა იყოს (ამ სახელით მოთხრობაც გამოვაქ-ვეყნე). მაჭახლისპირზე ავტორმა სწორედ ასეთი ფორმის ტოპონიმი-ცივწყა-რო- ჩაიწერა. ალბათ, კარგი იქნება, თუ ჩვენც დავუბრუნებთ ბათუმის გარე-უბანს მის ძველ სახელს.

ჩემი ყურადღება მიიქცია მურღულის ხეობაში სოფელ გეველის ერთ-ერთ-მა უბანმა, რომელსაც ვაშანეთ-მაჰალე ჰქვია. „ტბეთის სულთა მატიანეში“ დადასტურებულია საკუთარი სახელი ვაშანი. აქედან წარმოდგება გვარი ვა-

შანიძე, რაც შემდეგ ვარშანიძე-დ გადაკეთდა. მსურველებმა შესაძლოა გვარი ძველი ფორმით დაიბრუნონ.

ეთერ ბერიძის ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ფოტოილუსტრაციები. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ისტორიული ადგილების ფოტოსურათები, რომლებიც ადრინდელი ავტორების წიგნებში არ შემხვედრია (მამანათის და სინკოთის ციხეები, მამაწმინდის, სვეტის ეკლესიები, კოსტანეთის და მამანათის თადიანი ხიდები ჩხალის წყალზე, გიდრივეთის და სკუბათის ხიდები ბელღევისწყალზე და სხვ.).

ნაშრომის გვირგვინია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული რუკები: ნიგალის ხეობა, ჭოროხის შუა წელი, ქვემო წელი, დაბა ბორჩხა, სოფლები: ხება, კატაფხია, შუახევი, ქლასკური, სვეტი, დევსკელის და მურღულის ხეობები. რუკებზე აღნიშნულია ყველა ატრიბუტი: ქალაქი, რაიონი, სოფელი, საზღვრები, გზები, მდინარეები, ეკლესიები, ციხეები, ხიდები, ტბები, კაშხლები და ა.შ., რაც უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს მეცნიერ-მუშაკებს, რიგითი მკითხველისათვის კი ძალზე კარგი თვალსაჩინოებაა.

ნაშრომი უდავოდ შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს ქართულ ისტორიოგრაფიაში, ტოპონიმოკასა და ლინგვისტიკაში.

რამაზ სურმანიძე
პროფესორი
04.02.09.

თავი I

ნიგალის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა წერილობითი წყაროებისა და კარტოგრაფიული მასალების მიხედვით

ნიგალის ხეობა (იხ. რუკა №1) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია. იგი მოიცავს მდ. ჭოროხის შუა და ქვედა წელს (იხ. რუკა №2,3). ქართული მატიანეებიდან (მატიანე ქართლისა, სუმბატ დავითისძის ქრონიკა), გიორგი მერჩულეს ძეგლიდან, ასევე ამავე ეპოქის სხვა წყაროებიდან, ირკვევა, რომ მესხეთი ანუ ზემო ქართლი, ე.ი. ზემო მტკვრის ხეობა მთლიანად და ჭოროხის ხეობა მთლიანად მე-8-10 საუკუნეებში განიყოფოდა ცხრა მხარედ: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (არტაან-კოლა), აჭარა, ნიგალი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი¹. აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებების დიდი ნაწილი წარმოიშვა ჩვენს ერამდე, და მიუხედავად ბედუკუდმართობისა, დღემდე შემორჩა².

ამ ხეობის თავდაპირველი ქართული სახელი მომდინარეობს ართვინის მიდამოებში მდებარე ამავე სახელწოდების მქონე სოფლის სახელისაგან, კერძოდ, ნიგალი//ნიგალა, რომელიც მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადის, ნიგალისხევის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს და სოფ. სვეტის ერთ-ერთ უბანს განეკუთვნება. ხევს ეს სახელი მაშინ უნდა დარქმეოდა, როცა მისმა ცენტრმა ბარში გადმოინაცვლა. მას შემდეგ შეერქვა ამ რეგიონს ნიგალისხევი ანუ ნიგალი³. სახელწოდება ნიგალი ოსმალეთის იმპერიის ბატონობის დროს შეიცვალა ლივანად.

ნიგალი, თავისი ფიზიკური მდებარეობით, მოქცეულია მნიშვნელოვან გეოგრაფიულ არეალში. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კარჩხლის მთათა სისტემით იგი განიყოფა მაჭახლისა და აჭარისაგან, აღმოსავლეთით – საკუთრივ კლარჯეთისა და არტანუჯისაგან, სამხრეთით – ტაოსაგან ორჯოხის და არსიანის მთათა სისტემით, ხოლო დასავლეთით ებჯინება ორჯოხის მთასა და ლაზეთის ქედს.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 300.

² დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 38.

³ განმარტება სიტყვებისა, რომლებსაც ეს ნიშნები აქვთ, იხ. წიგნის ბოლოს შენიშვნებში.

³ ი. სიხარულიძე, ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, ბათ., 1985, გვ. 3.

ისტორიული ნიგალი კლარჯეთის ნაწილი იყო. კლარჯეთი ტაოსთან ერთად მიეკუთვნებოდა მსხვილ რეგიონულ ერთეულს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავდა საკუთრივ კლარჯეთს, შავშეთს იმერხევეითურთ და მაჭახლითურთ, აჭარას, არტანუჯს. ტაოს მიეკუთვნებოდა: იმიერ და ამიერ ტაო, სპერი (დღევანდელი ისპირი), ოლთისი (დღევანდელი ოლთუ), თოლგომი, ბასიანი და სხვა. ყველა ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი სამხრეთ საქართველოს (მდ. მტკვრის აუზის) სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა მესხეთის, ანუ ისტორიული ზემო ქართლის შემადგენლობაში.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული დაყოფით ნიგალის ხეობა მოქცეულია ორი სახელმწიფოს – თურქეთისა და საქართველოს შემადგენლობაში, ხეობის უდიდესი ნაწილი („საზღვარგარეთული“) მიეკუთვნება თურქეთის რესპუბლიკას. საქართველოს შემადგენლობაში რჩება ხეობის ბოლო ნაწილი რამდენიმე სოფლით (ქვედა მარადიდი, კირნათი, მაჭახლისპირი, გვარა, მირვეთი, შუშანეთი, კობალეთი, ძაბლავეთი, ზედა კირნათი). ზედა და ქვედა მარადიდს შორის გადის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის. ზედა მარადიდი თურქეთის შემადგენლობაშია, ქვედა მარადიდი – საქართველოს ეკუთვნის.

ნიგალის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილი მოქცეულია ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, რომლებიც დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მიეკუთვნება ართვინის ვილაიეთს. სწორედ ართვინის ვილაიეთში შედის ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართული რეგიონების უმრავლესი ნაწილი.

ნიგალის ხეობის საქართველოს ნაწილი მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში (აჭარის რეგიონი): მაჭახლისპირი, კირნათი, გვარა, შუშანეთი, კობალეთი, ზედა კირნათი – მდ. ჭოროხის მარჯვნივ, ხოლო ქვედა მარადიდი, მირვეთი და ძაბლავეთი – მდ. ჭოროხის მარცხნივ.

ბორჩხის (იხ. რუკა №3, 4) რაიონში ნიგალის სოფლები გაშენებულია მდინარეების: ჭოროხის, ბელღევის, ჩხალის, დევსკელის, ქლასკურის^o ხეობებში, კერძოდ:

ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე: ადაგული, ებრიკა, ხება (იხ. რუკა №5);

მარცხენა სანაპიროზე: თხილაზრო, ავანა, დამფალი, ტრაპენი, არჩვეთი, კატაფხია, ზედა მარადიდი (იხ. რუკა №6);

ბელღევის ხეობაში (ჭოროხის მარცხნივ): ბელღევიანი, ოხორდია, ბაშქოი, ჩაილი, გიუზელიურთ (გეოგრაფიულ სახელებს, ძირითადად, ხმარობენ სახელობითი ბრუნვის გარეშე, როგორც ეს თურქულ ენაშია).

ჩხალის ხეობაში (ჭოროხის მარცხნივ): მამანათი°, მაკრეთი, მონასტერი//მანასტირ, გოლა, დუზქლი°, ბაშქოი//ვინდიკლი;

დევესკელის ხეობაში° (იხ. რუკა №7) ჭოროხის მარჯვნივ: არავეთი°, შუახევი (იხ. რუკა №8), დევესკელი, ბაგინი;

ქლასკურის ხეობაში (იხ. რუკა №9) ჭოროხის მარჯვნივ: ქვედა ქლასკური°, ზედა ქლასკური;

ხატილას ხეობაში ხატილა;

მურღულის ხეობაში (იხ. რუკა №10) ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, მურღულის მარჯვნივ: არხვა, გეველი, ბუჯური, ოზმალი, კორიდეთი, დურჩა, დამარი და ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, მურღულის მარცხნივ – ჯუანი, ერეგუნა, ბაშქოი, ქურა°, გურბინი, კაბარჯეთი.

ართვინის რაიონში (იხ. ქ. ართვინის რუკა №2, 11) შედის შემდეგი ლივანური სოფლები: ჭოროხის მარჯვნივ: თოლგომი°, სვეტი (იხ. რუკა №12), აგლახა, ვაზრია, ვარაჭკანი, ბეშავრი, სინკოთი, კვარცხანა°, ირსა; ჭოროხის მარცხნივ კი: მელო, ორჯოხი, სირია, იშხაბილი, მამაწმინდა°, ნაჯვია, ომანა, ქართლა°;

ნიგალი მნიშვნელოვანი ისტორიული წარსულის მქონე ქართული რეგიონია. „ისტორია ჭოროხის ბასეინისა ერთობ რთულია, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, არაბები, თათრები სელჩუკები და თათრები, ოსმალები, იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება“⁴.

ტაო-კლარჯეთი ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენდა, ნიგალი ამ კულტურის ნაწილი იყო. მისი „ტერიტორია უძველეს პერიოდში (ძვ.წ. XII -VII ს.ს.) შედიოდა დაიანნი-დილოხის ძლიერ და ძლევამოსილ გაერთიანებაში, შემდეგ – კოლხეთის სამეფოში. ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან მოყოლებული მას ფლობდა ქართლის სამეფო. ტერიტორიულად ნიგალის ხეობის ჩრდილოეთი ნაწილი – აჭარას, ხოლო სამხრეთი – კლარჯეთს ეკუთვნოდა. ადრე ფეოდალურ ხანაში ქართველთა სამეფოში (ტაო-კლარჯეთში) შედიოდა, შემდეგ – გაერთიანებული საქარ-

⁴ ექვთ. თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო, დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, ტ. I, შემდგენელი გურამ შარაძე, თბ., 1991, გვ. 203.

თველოს ფარგლებში, XIII საუკუნის შუა ხანებიდან – სამცხე-საათაბაგოში. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში იგი თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს⁵.

ნიგალი წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება საქართველოს სხვა პროვინციებთან (კლარჯეთი, აჭარა, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი და სხვა.) ერთად სომეხი სწავლულის, ანანია შირაკაცის, „სომხურ გეოგრაფიაში“ (VI-VII სს). სომხურ გეოგრაფიაში ნიგალს კანტონი (ოლქი) ეწოდებოდა, მის თანატოლად განიხილებოდა ისეთი რეგიონები, როგორც იყო – მრული, მრიტი, ეგრი. მასში ნათქვამია, რომ კაკამარი (ჭოროხი) გაივლის კლარჯეთს, ნიგალს, მრულს, მრიტს, ეგრს და ჩაედინება შავ ზღვაში⁶.

მკვლევრები მრიტს და ეგრს აჭარის ტერიტორიით, ხოლო მრულს მისი სიახლოვით შემოსაზღვრავენ⁷. აკად. დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით სომხური წყაროს მრიტი უნდა იყოს მარადიდი, მირვეთი ან მერეთი⁸, რა თქმა უნდა, დასაშვებია მრუტსა და მრიტში ვიგულისხმეთ მირვეთი და მარადიდი⁹. ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს – „ეგრში“ ერგე¹⁰ უნდა იგულისხმებოდეს¹⁰. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, მრულში მურღულის ხეობა უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო მრიტში შესაძლოა მოიაზრებოდეს მარადიდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიგალი ურარტულ¹¹ და ძველბერძნულ წყაროებში არსად დასტურდება. თუმცა მიუთითებენ ძვ. წ. 750 წლის ურარტული ეპიგრაფიკული ძეგლის მიხედვით „ლიკას“ ქვეყნის ლოკალიზაციურ თუ არა ეტიმოლოგიურ კავშირზე მაინც ტერმინ ნიგალთან¹¹. სხვათა შორის, ამავე წყაროებში გვხვდება მისი მეზობელი ქვეყნები, რომლებიც ჭოროხის აუზში იყო განთავსებული, მათ შორის შეშეთი, (დღევანდელი შავშეთი//შავშათი)¹².

ქართულ წყაროებში ნიგალი პირველად მოიხსენიება „მატიანე ქართლისაში“, კერძოდ იქ, სადაც მოთხრობილია, რომ ჯუანშერის სიცოცხლეშივე „იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა,

⁵ ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, სოფელი მარადიდი, ბათ., 2006, გვ. 163.

⁶ Армянская география VII в. Патканова, приписываемая Моисею Хоренскому, С. П. 1887, с. 39-40; Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, Ереван, 1971, с. 26.

⁷ ს. გოგიტიძე, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისათვის, ბათ., 2002, გვ. 89.

⁸ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 95.

⁹ ს. გოგიტიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

¹⁰ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

¹¹ ს. გოგიტიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

¹² ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ბათ., 2002, გვ. 3.

აჭარისა, ნიგალისა... და ციხეთაგანცა, რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისათა¹³“.

შემდეგი წერილობითი წყარო, რომელშიც ვხვდებით ცნობებს ნიგალის შესახებ, არის სუმბატ დავითის ძის ქრონიკა „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. მასში ნიგალი მოხსენიებულია არაბთა წინააღმდეგ აშოტ კურაპალატის ბრძოლებთან დაკავშირებით. ლტოლვილი მეფე მისულა ნიგალის ხევში ლაშქრის შესაგროვებლად – „წამოემართა და მოიწია ხევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თვისი“. იქვე აღნიშნულია, რომ შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის მოსახლეობას არაბებმა ხარკი შეაწერეს – “და იყვნეს ხარკის მომცემელ სარკინოხთა ყოველნივე ხეენი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი¹⁴“.

ნიგალი მურვან ერუს ლაშქრობის დროს უშუალო ასპარეზი გამხდარა არაბთა ლაშქრის თარეშისა, ამის შესახებ ჩვენ სარწმუნო ცნობებს ვხვდებით მატიანეებში, სადაც მოთხრობილია, რომ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულმა არაბთა სადამსჯელო ექსპედიციამ ჭოროხის ხეობის, ანუ ნიგალის გზით, „განვლო სპერი¹⁵“.

ძველი ქართული წყაროებიდან კიდევ ერთხელ მოიხსენიება ნიგალი „ქართლის ცხოვრების“ იმ ჩანართებში, რომელიც მიეწერება ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიას და რომელშიც აღწერილია ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლები. აღნიშნულ ძეგლში ნიგალი ქვეყნის ბადალია, რადგან იგი აქ კლარჯეთის, კოლა-არტაანის თანატოლად წარმოდგება: ნიგალი ამ ძეგლში ნიგლას ფორმით სახელდება: ანდრია პირველწოდებული შევიდა „ქუეყანასა ქართლისასა, ნიგლას, კლარჯეთსა და არტაან-კოლას, სადაც იგი დაყო უამი ფრიად მრავალნი¹⁶“.

ნიგალის ხეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი, ვახუშტი ბაგრატიონი¹⁷. იგი წერს: ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ იწოდების ლიგანის ხეობად და

¹³ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 251.

¹⁴ იქვე, გვ. 377-378.

¹⁵ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 383.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.

¹⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

არს ეს ლიგანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერ ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი”¹⁸.

ვახუშტი მიუთითებს, რომ ნიგალი შედიოდა ანჩის საეპისკოპოსოში: „ანჩაში იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის-კეკისა გაღმა-გამოდმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარისა”¹⁹.

ნიგალისხევის ვახუშტისეულ საზღვრებს მეტ-ნაკლებად იმოწმებენ და ადასტურებენ ცნობილი მეცნიერები და მოგზაურები: ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, იური სიხარულიძე და სხვები.

„ნიგალისხევი ხარხანის აღპურ მდელოებამდე ადის....., მას სურდა თავისი ბედი აღმოსავლეთით ბერთას ხევისათვისაც დაეკავშირებინა”²⁰ თუმცა დ. ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში”²¹ მგზავრ ნეგაშევის მონათხრობით, ლიგანის საზღვრები სამხრეთით სცილდება ვახუშტისეულ საზღვრებს და პარხალსაც მოიცავს.

გ. ყაზბეგი ლიგანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს პონტოს ქედზე, ჩხალისწყლის სათავეებში ასახელებს – „სოფელ ბორჩხასთან ჭოროხს მარცხნიდან ერთვის მდ. ჩაირ-სუ, რომელიც ლიგანასა და ლაზეთს შორის საზღვარს ქმნის”, ხოლო სამხრეთ-დასავლეთში ლიგანის პროვინციაში განიხილავს პარხალს, კლარჯეთის სამხრეთ ნაწილს, ნიგალის და შავშეთის გამყოფ საზღვრად კი, არტანუჯისწყალთან იმერხევისწყლის შესართავს ასახელებს²². „მიუდგომელი სივრცეა სათლელისწყლის სათავიდან იმერხევისა და არტანუჯის შესართავამდე, სწორედ აქ მდებარეობს საქართველოს ისტორიაში განთქმული ციხე წეფთა და არანაკლებ ცნობილი მონასტრები – ოპიზა და ბერთა, ... ეს ადგილები შავშეთის საზღვრებს გარეთ, ლიგანის პროვინციაშია, ...გორგოთხანიდან, რომელიც არტანუჯიდან შვიდი ვერსის დაშორებით მდებარეობს გზა მდინარის გაყოლებით გადის იმერხევისწყლის შესართავამდე, იმერხევისწყალზე იგი სახელდახელოდ ხიდზე გადადის და პროვინცია ლიგანაში შედის.....ლიგანის ტერიტორიაზე ჩვენ ვეწვიეთ ამ ტერიტორიის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებს – პარხლისა და კობაკის

¹⁸ იქვე, გვ. 136.

¹⁹ იქვე, გვ. 135.

²⁰ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3-4.

²¹ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ.

²² გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995, გვ. 121, 141, 105-106.

ხეობებს”²³.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „ლივანა იწყება მარადიდის ხეობიდან და თავდება კლარჯეთის მიჯნაზე”²⁴. სხვაგან იგი, ასევე, წერს: ლივანი ძველად იწყებოდა შესართავთან და იქიდან ართვინამდის მიემართებოდა. ართვანს იქით კი, ანუ ბერთას საზღვრიდან კლარჯეთი იწყებოდა. დღეს აქეთ კლარჯეთის ხსენება არავინ იცის, ყველა ლივანას უწოდებს ამ ადგილებს²⁵. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ჭიჭინაძე ნიგალის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტით შემოსაზღვრავს. ი. სიხარულიძეც მიუთითებს, რომ ნიგალისხევს შესაძლოა ბერთას ხევში ეძია სამეურნეო ცხოვრების ატრიბუტები²⁶. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ნაშრომში – „სამუსლიმანო საქართველო”²⁷ – აღნიშნავს, რომ ნიგალისხევი განცალკევებული ხევი არ ყოფილა, იგი მოიცავდა ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს, რომელიც დაახლოებით უდრიდა ართვინის ოლქის ტერიტორიას მდ. ჭოროხის ორივე მხარის ჩათვლით. სახელი ნიგალისხევი ოსმალებმა ლივანედ ანუ ლივანად შეცვალეს.²⁸

ექვთ. თაყაიშვილის აზრით, ლივანა ლიბანას სახით დღესაც დაცულია. ეს არის სოფ ჩიხორის ერთ-ერთი უბნის (მეჰელეს) სახელი. ავტორი იმეორებს ნიკო მარს²⁹. ლიბანს სოფელ ჩიხორის ერთ-ერთ უბნად დღესაც ადასტურებს ნ. ცეცხლაძე³⁰.

აღ. ფრენკელიც ლივანის ყაზაში აღწერს ოიკონიმებს, რომელიც მოიცავს პარხალს და კლარჯეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს³¹.

როგორც ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი ჭოროხის იმიერ და ამიერში და ართვინის სანახებში ნიგალის დანარჩენ ტერიტორიასთან ერთად გულისხმობდა კლარჯეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილს და პარხალსაც. ნიგალის საზღვრების შესახებ ამგვარი ცნობების არსებობა შემთხვევითი არ არის. ეს განპირობებული იყო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის იმ რეჟიმით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა აქ. კერძოდ, ნიგალი, როგორც აღვნიშნეთ, წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენება ადრე შუასაუკუნეებიდან. ამ პერიოდში იგი ქართლის საერისთავოს შე-

²³ იქვე, გვ. 87, 105-106, 121, 141.

²⁴ ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1917.

²⁵ ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ., 1912, გვ. 17.

²⁶ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

²⁷ ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 197-227.

²⁸ იქვე, გვ. 198.

²⁹ იქვე; Март Н. Я.-Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, «Георгий Мерчул, Жизнь Григория Хандзтийского», СПб, 1911, с. 28, 79.

³⁰ ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმიერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000, გვ. 192.

³¹ Ал. Френкель, очерки Чуруксу и Батума, Тифлиси, 1879, с. 150-151.

მადგენლობაში შედიოდა, ხოლო IX საუკუნიდან იგი ტაო-კლარჯეთის სხვა ტერიტორიებთან ერთად ქართველთა საკურაპალატოში (ისტორიული ტაო-კლარჯეთი) იყო მოქცეული. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქიის ფორმირების კვალდაკვალ ნიგალი საქართველოს ერთიანი მონარქიის შემადგენლობაში იყო. XII საუკუნეში ნიგალის მოსახლდრე პროვინციები იყო პარხალი (სამხრეთით), კლარჯეთი (აღმოსავლეთით), მურღული (დასავლეთით) და შავშეთი (ჩრდილოეთით).

უნდა აღინიშნოს, რომ ნიგალის (ნიგალისხევის) გეოგრაფიული საზღვრები, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფიდან გამომდინარე, პირდაპირ არ მოიცავდა მის ყველა ნაწილს. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხშირად იცვლებოდა მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული საზღვრები. ხშირ შემთხვევაში მის შემადგენლობაში ექცეოდა მეზობელი პროვინციების საზღვრები, ან იგი თვითონ კარგავდა კონტროლს თავის რომელიმე ნაწილზე. ძალიან ხშირად ნიგალის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ნაწილები – მურღული და ფორჩხა, არ იყო მის შემადგენლობაში. ეს უკანასკნელი XII საუკუნის II ნახევრიდან გურიის საერისთავოს საზღვრებში იყო მოქცეული, ხოლო თვითონ ნიგალი – კლარჯეთის.

XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს ნიგალი მურღულისა და ფორჩხის გარეშე სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია, ხოლო XV ს. მურღულიც უკვე სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია, ხოლო ფორჩხა სამცხის მთავარმა გურიის მთავარს გადასცა. XVI ს. I ნახევარში იმერეთის სამეფო მცირე ხნით ახერხებს ნიგალზე კონტროლის დამყარებას, თუმცა ამავე საუკუნის II ნახევარში ოსმალეთი იპყრობს ნიგალს. ამ დროისთვის ნიგალიც, მურღულიცა და ფორჩხაც ცალ-ცალკე პროვინციებს წარმოადგენდა.

ოსმალეთის დაპყრობების კვალდაკვალ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა დაყოფამაც სახე იცვალა. ნიგალის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოექცა ახლად შექმნილი ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის საფაშოს) შემადგენლობაში ლივანას (ნიგალის) სანჯაყის სახით, ხოლო ნიგალის მცირე ნაწილი – ფორჩხა მოექცა ტრაპიზონის ვილაიეთის გონიოს სანჯაყის შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მმართველობის დროს არსებობდა ლივანას ორი სანჯაყი: ლივანას სანჯაყი და პატარა (ნისფი) ლივანას სანჯაყი. ამ უკანასკნელის საზღვარი სამხრეთით თუხარისამდე გრძელდებოდა და მისი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი ლივანა (პატარა ლივანა) იყო. ამ დროს ლივანას სანჯაყს ესაზღვრებოდა: დასავლეთიდან ტრაპიზონის ვილაიეთი, სამხრეთით – ფერთექრეჯის (ძვ. პარხალი) სანჯაყი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ნისფი ლივანას და არტანუჯის სანჯაყები, ხოლო ჩრდილო-

ეთიდან – მაჭახლის სანჯაყი, რაც შეეხება ნისფი ლივანას საზღვრებს, მას დასავლეთიდან – ფერთექრეჯის და ლივანას სანჯაყები, ჩრდილოეთიდან – ლივანას და არტანუჯის სანჯაყები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არტანუჯის სანჯაყი ემეზობლებოდა.

XVIII ს. II ნახევარში ჩილდირის ვილაიეთს (ახალციხის საფაშოს) ტერიტორიული ცვლილებები თითქმის არ განუცდია, მხოლოდ ბორჩხის რაიონი, რომელიც ამ საუკუნის გარკვეულ პერიოდში ეკუთვნოდა ლივანას სანჯაყს, შევიდა გონიოს სანჯაყში (ტრაპიზონის ვილაიეთი). ამ დროს ვილაეთის შიდა ადმინისტრაციულ დაყოფაში მოხდა ცვლილებები. ლივანას და ნისფი ლივანას სანჯაყები გააერთიანეს, მას, ასევე, შეუერთეს ფერთექრეჯის ყოფილი სანჯაყის უდიდესი ნაწილი (ძვ. პარხალი). ამრიგად, ლივანას საზღვრები მნიშვნელოვნად გაიზარდა და მას ესაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან – მაჭახლის სანჯაყი, დასავლეთიდან – ტრაპიზონის ვილაიეთის გონიოს, არხავის და ათინას ყაზები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ისპირის, ქისკიმის და ტაოსკარის სანჯაყები, აღმოსავლეთიდან – ტაოსკარის, არტანუჯის და იმერხევის სანჯაყები. ლივანას საზღვარი სამხრეთით ისპირამდე გრძელდებოდა.

XIX ს. ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის საფაშოს) გაუქმების შემდეგ ვილაიეთის ყოფილი ტერიტორიები გადანაწილდა ტრაპიზონის და არზრუმის ვილაიეთებში. ლივანის სანჯაყის ნაცვლად შეიქმნა ლივანას ყაზა, რომლის ტერიტორია საგრძნობლად გაფართოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ჩრდილოეთიდან ლივანას ყაზას ესაზღვრებოდა ტრაპიზონის ვილაიეთის ადმინისტრაციული ერთეულები – მაჭახლის ნაჰიე, დასავლეთიდან – გონიოს, ხოფას და ხემშენის ნაჰიეები, სამხრეთიდან – ისპირის და ქისკიმის ნაჰიეები, აღმოსავლეთიდან – ტაოს, არტანუჯის და შავშეთის ნაჰიეები. ამ დროს ჩრდილო-აღმოსავლეთით ოპიზა ლივანის ყაზაში შედიოდა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს XVI ს. და XIX საუკუნის 20-იანი წლების ახალციხის საფაშოს რუკებს, დავინახავთ რომ დასავლეთ მესხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი, XVIII და XIX სს. მიჯნაზე ნაცვლად მსხვილი ლივებისა (სანჯაყები) უფრო წვრილი ადმინისტრაციული ერთეულები დომინირებენ³².

³² ზ. ცინცაძე, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბ., 1980, გვ. 58-60

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ახალ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას დაექვემდებარა. ნიგალი მოექცა ქუთაისის გუბერნიაში მყოფ ართვინის ოკრუგის შემადგენლობაში³³.

ზემოთქმულიდანაც ჩანს, რომ ნიგალის ხეობის ისტორია საკმაოდ ტრაგიკულად წარიმართა XIII-XIV საუკუნეებში და შემდგომ პერიოდში. მონღოლთა მფარველობის ქვეშ მყოფ სამცხე-საათაბაგოსაც, რომელშიც შედიოდა ნიგალი, თურქმანთა ტომები შემოსევიან, „ვაშლოვნით წარსულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისხევს,“ ასეთი უცეპი თავდასხმის გამო, მათი ალაგმვა მხოლოდ ზოგან „უვალთა ადგილთა მოხერხდა“³⁴.

XV საუკუნის შუა ხანებში საქართველოს ერთიანმა მონარქიამ დაიწყო დაშლა. შინაგანი აშლილობით ისარგებლეს თურქებმა და სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს ოლქებს შეუტიეს.

1549 წელს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში ლაშქრობის შედეგად, „გარდა თორთუმისა, შემდეგი ციხეები და ადგილები დაიპყრეს: ნიხახი, ამირახორი, ახნაყალა, ფანახკერტი, მეორე ახნაყალა, თალხისა, ლივანა და სხვა. ი. ფეჩევის ცნობით ხსენებულ მხარეში დატოვებულ იქნა 15 ციხე, დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული. შემდეგ თორთუმი, თალხისი, ახნაყალა და ლივანის ხევი განსაზღვრული იქნა, როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი. იგი ებოძა ერთ-ერთ ბეგს“³⁵.

1555 წლის ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით ლივანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად ოსმალეთს ერგო.

„გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ არ არის რეგისტრირებული ჩილდირის საფაშოს ოთხი სანჯაყი: შავშეთი, ფერთექრეტი, ლივანა და ნისფი ლივანა, რომლებიც იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით მიცემული იყო კერძო მფლობელობაში. ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარში ნაჩვენებია მხოლოდ მათი სანჯაყ ბეგების იურთლუკებისა და ოჯაკლიკების ხასების

³³ ნიგალის საზღვრები წარმოდგენილია საქართველოს ისტორიულ ატლასში მოცემული რუკების მიხედვით. ატლასის კომპიუტერული ვერსია მომზადებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. მთ. რედაქტორი დ. მუსხელიშვილი, გამომც. „არტანუჯი“.

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 141-142.

³⁵ მ. სვანიძე, საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს., თბ., 1971, გვ. 64-65.

ყოველწლიური შემოსავალი, ხოლო თვით ამ სანჯაყების სოფლები, მცირე-ოღენის გამოკლებით, დავთარში არაა გატარებული³⁶.

საწყის ეტაპზე ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ ოლთისი, ყარსი, არტაანი და სხვა კლარჯ-მესხნი, მაგრამ შავშეთს, აჭარას და ლივანას, ზეგანს და არტანუჯს გვერდი აუარეს. მიზეზი ასეთი შემოვლითი დაპყრობისა იყო ის, რომ ხელი რომ ვახლოთ ამ მხარეებს, დაგვასწრებენ და დაგვეცემიანო³⁷. თუმცა გამუდმებული შეტევებით და ბრძოლებით ოსმალებმა 1545-1578 წწ. „დაიპყრეს მთელი ჭოროხის ბასეინი³⁸“. დიდი წინააღმდეგობა დახვედრიათ თურქებს მურღულელთა მხრიდან³⁹.

ლივანელები და მაჭახლელები მთელი აჭარის მოსახლეობასთან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. 1650 წელს აჯანყდა ნიგალის ხეობის მოსახლეობა, ხოლო მურღულელები ოსმალთა მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ჯარში გაწვევის წინააღმდეგ გამოვიდნენ⁴⁰, 1685 წელს ლივანის მოსახლეობა ოსმალთა საგადახადო სისტემის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა. ხელისუფლება იძულებული გამხდარა გაეთვალისწინებინა აჯანყებულთა მოთხოვნები⁴¹.

1582 წელს სამცხე-საათაბაგოს ბეგლარ ბეგის, მანუჩარ ათაბაგის, აჯანყებას თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქვეყნის სხვა კუთხეებთან ერთად მხარს უჭერდა ლივანაც⁴².

ნიგალის ხეობის ანტროპონიმია – ტოპონიმოკაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ტბეთის სულთა მატინანე“⁴³.

XVI ს-ის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე ნიგალი მიმდებარე ტერიტორიებით ოსმალო დამპყრობლების ხელში იყო. ამ დროის ისტორიამ ჩვენს ქვეყანაზე ცოტა რამ შემოგვინახა.

სხვადასხვა დროს ოსმალეთის ხელისუფლებამ დაპყრობილი ტერიტორია ვილაიეთებად^o, საკაიმაკამოებად^o, ყაზებად^o და ნაჰიეებად^o დაყო; მოგვიანებით კი – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიგალი ტრაპიზონის ვილაიეთ-

³⁶ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, (თურქული ტექსტი ქართული თარგმანით მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მისეილ სვანიძემ), თბ., 1991, გვ. 85-86.

³⁷ ზ. ჭიჭინაძე, ოსმალოს საქართველო, ტფ., 1915, გვ. 32-33.

³⁸ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 215.

³⁹ ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება ..., თბ., 1915, გვ. 14-19.

⁴⁰ აჭარის ხ. ახელედინანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №196, ფ.127-128, ზ. ჭიჭინაძის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ფოტოასლები, ფ. 127-128.

⁴¹ რ. მაღაყმაძე, ლივანის ხეობა, თბ., 2008, გვ. 36.

⁴² მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156-160.

⁴³ „ტბეთის სულთა მატინანე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.

ში შემავალ ლაზისტანის საფაშოში° გააერთიანა. საფაშო სამ საკაიმაკამოდ იყოფოდა, ერთ-ერთი იყო ლივანის საკაიმაკამო, რომელშიც მაჭახლისა და ლივანის ყაზები° შედიოდა⁴⁴.

XVII საუკუნის ისტორიკოსი ევლია ჩელები ჩილდირის ვილაიეთში შემავალ 13 სანჯაყს შორის ასახელებს ორ ლივანას: ლივანასა და მცირე ლივანას, როგორც ცალკე დამოუკიდებელ ერთეულს⁴⁵. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ლივანა დღევანდელი ნიგალის ხეობის სახელი ყოფილიყო, ხოლო „მცირე ლივანა“ – ართვინისა. საყურადღებოა ისიც, რომ ევლია ჩელები თავის წიგნში ართვინს არ ასახელებს. იგი ლაზისტანის სანჯაყში შემავალ 13 სანჯაყს შორის ჭოროხის მხარეში ჩამოთვლის მხოლოდ არტანუჯის, შავშეთის და მაჭახლის სანჯაყებს⁴⁶. აკად. დ. მუსხელიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიულ ატლასში⁴⁷ ნათლად ჩანს „ლივანას“ და „მცირე ლივანას“ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები. ჩვენ, ზემოთ, იქ, სადაც ვმსჯელობთ ნიგალის საზღვრებზე, აღნიშნული გვაქვს, რომ პატარა ლივანას სანჯაყი ართვინიდან კარგა მოშორებით, სამხრეთში იყო და იგი ვერ იქნებოდა ართვინის სახელწოდება. უფრო მეტიც, თვით პატარა ლივანის სანჯაყში, სამხრეთით, თუხარისთან ახლოს, იყო დასახლებული პუნქტი ლივანას (ზოგიერთ წყაროში –პატარა ლივანა) სახელწოდებით.

XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი თავის ისტორიაში ნიგალს ასახელებს „ლივანას“ სახელწოდებით. ცნობილი მეცნიერი სერგი ჯიქია მიუთითებს, რომ არაბული ანბანის ლ (ა) და დ (ა) ჰგავს ერთმანეთს⁴⁸.

ოსმალეთის ხელისუფლებამ დაპყრობილ ტერიტორიებზე პოზიციებისგანმტკიცების მიზნით მართლმადიდებელ რელიგიას შეუტია. გამაჰმადიანების პროცესს მოსახლეობა განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. „იქ სჯუ-

⁴⁴ ვ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოქჯის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, ბათ., 1972. იხსება აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588.

⁴⁵ ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ., I, თბ., 1971, გვ. 299.

⁴⁶ რ. მალაყმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

⁴⁷ ატლასი მომზადებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. მთ. რედაქტორი დ. მუსხელიშვილი, გამომც. „არტანუჯი“ (კომპიუტერული ვერსია).

⁴⁸ იბრაჰიმ ფეჩევი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართულად თარგმანიურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 102, 103.

ლის გამო დიდი ომი გამართეს და ნამეტარი აჭარაში, მაჭახელაში, პარხალში, ოლთისში, შავშეთს, ლივანას და სხვა ადგილებში⁴⁹.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, “ლივანელები სჯულის გულისათვის XVIII ს. 90-იან წლებამდე იბრძოდნენ, 1840 წელს აღმოჩნდა, რომ მურღულში გათათრებული (გამაჰმადიანებული – ე.ბ.) ქართველები ჩუმად ქრისტიანობდნენ და ეს ქართველი ქრისტიანები მთელი მურღულის ხეობის ქართველებსაც ამაგრებდნენ სჯულზე. ამათ მიმხრობილი ჰყავდათ თვით მოლა-ხოფილაჯები, ქრისტიანები გარკვეული რაოდენობა ყოფილა თხილაზროში, ძანცულში და სხვა, ქრისტიანობის სჯულისთვის 100 წელიწადი ოსმალთა წინააღმდეგ უბრძოლიათ და 100 წელიწადიც ამათ ქრისტიანობა შეუნახათ. დღისით მუსლიმანობას ასრულებდნენ და ღამით – ქრისტიანობას, ალილოს თქმა მურღულში 1870 წლამდე სცოდნიათ, დევესქელის მკვიდრთა გათათრება XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ძლივს მოხდა”⁵⁰. ბევრგან XIX საუკუნის შუა ხანებამდე საიდუმლოდ ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს, სადღესასწაულო რიტუალებს. გ. ყაზბეგი პარხალის რაიონში ადასტურებს ქრისტიანული აღმსარებლობის რამდენიმე ქართული ოჯახის არსებობას. იქვე დასძენს, რომ „ქრისტიანული აღმსარებლობის ოჯახთა რიცხვი ხუთს უდრის, მაგრამ, ამბობენ, რომ აქ კიდევ არის 80-მდე ფარული ქრისტიანი, აქაურ ქრისტიანულ თემს ჰყავს თავისი მღვდელი, რომლის ხარისხი დებრაძეთა გვარის სამემკვიდრო საკუთრებად”⁵¹. მურღულისა და პარხალის ქრისტიან ქართველთა მომსწრეთ და მნახველთ ითვლებოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმიტრი ბაქრაძე⁵². ხშირად ოსმალეთის ხელისუფლება წოდებასა და ოქროს აძლევდა გამუსლიმანებულ ქართველებს, რათა ემუშავათ მოსახლეობაში სარწმუნოების შეცვლისათვის⁵³.

1664 წელს ანჩის საკათედრო ტაძრის გაუქმების შემდეგ 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ნიგალისხევს მღვდელმთავარი აღარ ჰყოლია, აქ მღვდელმთავრობის აღდგენა მხოლოდ ნიგალის შემოერთების შემდეგ მოხერხდა, როდესაც ეს მხარე კლარჯეთთან, ტაოსთან, ჭანეთსა და აჭარას

⁴⁹ ზ. ჭიჭინაძე, ოსმალის საქართველო, ტფ., 1915. გვ. 83.

⁵⁰ ზ. ჭიჭინაძე ქართველთა გამაჰმადიანება ..., ტფ., 1915, გვ. 31-36.

⁵¹ გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 146-147.

⁵² ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., ტფ., 1915, გვ. 31-36.

⁵³ იქვე, გვ. 53.

თან ერთად ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში შევიდა⁵⁴.

ზ. ჭიჭინაძის მასალების მიხედვით, ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან გამაჰმადიანების პროცესის გაძლიერების ფონზე ხეობის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხსნა – ჯერ კათოლიკობის მიღებით, ხოლო შემდეგ – გრიგორიანობის აღიარებით სცადა⁵⁵.

ოსმალეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ახორციელებდა დემოგრაფიული სურათის შეცვლას ისტორიული საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე, ეს პროცესი არანაკლები სიმწვავეთ მიმდინარეობდა ნიგალში. „ლივანის ხევიდან წაყვანილ და გადასახლებულ ქართველთა რიცხვით ძველად საგსე ყოფილა მისირი, შამი და დიარბექირი⁵⁶“.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის – ნიგალი.

1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით ბათუმის ოლქი გადაეცა რუსეთს, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ქართველ მუსლიმანებს მიეღოთ უფლება სამი წლის განმავლობაში (1879-1881 წწ.) წასულიყვნენ მუჰაჯირობაში. ხალხმა გული აიცრუა აქაურობაზე. „ჯარში გაწვევის ნაცვლად ფულადი გადასახადი მუჰაჯირობას უწყობდა ხელს.“ სოფ. ბორჩხა 137 კომლიდან 22-ზე ჩამოვიდა⁵⁷. მუჰაჯირებს ელოდა – მძიმე ხვედრი, შიმშილი, სიღატაკე.

1879 წელს ნიგალი და მაჭახელი დაცარიელდა. ნიგალის ხეობიდან ოსმალეთის შიდა რეგიონებში წასულა 25 000 კაცი. 1892 წელს მომხდარა დიდი გადასახლება მაჭახლიდან. ასეთივე ბედი ხვდა წილად აჭარლებს, შავშელებს, ლივანელებმა კი ზეგნელთ გადააჭარბეს და მარადიდის ახლომახლო სოფლები მთლად აიყარნენ და წავიდნენ, მათი სახლის საქონელი და

⁵⁴ სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული, 1928, გვ.6; ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

⁵⁵ ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკეები, ტფ., 1904, გვ. 31-39.

⁵⁶ ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება, ტფ., 1915, გვ. 10.

⁵⁷ ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან. შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რ. სურმანიძემ, თბ., 1991.

ავეჯეულობა ოხერ ფასად იყიდებოდა, ლივანა თითქმის დაიცავდა⁵⁸.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1893 წელს ნიგალის ხეობიდან დაახლოებით 20 000 კაცი გადასახლდა, ხოლო მურღულიდან, რომელსაც ის რატომღაც ცალკე ასახელებს, 8 000 კაცი წავიდა⁵⁹. ამ სავალალო პროცესს ადგილობრივ მოსახლეობაში მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ახმედ ეფენდი ხალვაში. „მიუხედავად იმისა, რომ ახმედ ეფენდი ხალვაში მცხოვრებთ აწყნარებდა და აშოშმინებდა, რომ ოსმალეთში ნუ წახვალთო, რუსნი არაფერს დაგიშავებენო, ისინი მაინც გადასახლდნენ, ამის გამო ლივანაში ბევრი სოფელი ისე დაცარიელდა, რომ იქ არავინ ცხოვრობს, სოფლები მთლიანად მოისპო, სახლები მთლად დაინგრა. ლივანიდან 2000 კომლი წავიდა⁶⁰“.

თურქეთის მთავრობას ისედაც შეცვლილი ჰქონდა ქართული პროვინციების დემოგრაფიული სურათი, ავად სახსენებელმა მუჰაჯირობამ კი თითქმის მთლიანად დააცარიელა ქართული მხარეები. რუსეთის მიერ თურქეთისაგან გათავისუფლებული ტერიტორიებიდან ხელოვნური პოლიტიკური მიდგომებით ქართული მოსახლეობა თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში წავიდა, აქ კი სხვა ეთნიკური მოსახლეობა, ძირითადად – თურქები ჩამოსახლდნენ. ჩვენი დაკარგული ტერიტორიის მდგომარეობა ამან უფრო ტრაგიკული გახადა.

რუსეთის მმართველობის დროიდან (1878 წ.) იწყება ჭოროხის აუზის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ამ დროს შემოუერთდა საქართველოს ჩილდირი, კოლა, ფოცხოვი, ოლთისი, არტანუჯი, ნიგალი. 1883 წელს შეიქმნა ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. ართვინი გაიყო სამ უბნად, ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის⁶¹. თავის მხრივ, უბნები დაიყო სასოფლო საზოგადოებებად. ართვინის ოკრუგში გამოიყო ოღლაურის სასოფლო-საზოგადოება, სადაც გაერთიანებული იყო 27 სოფელი: ზედა მარადიდი, ბერძნევი, ბელღევანი, ბაშქოი, მირვეთი და სხვა⁶².

პირველი მსოფლიო ომის დროს ნიგალი რუსეთ-თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებების ასპარეზად იქცა. საწყის ეტაპზე თურქებმა შეძლეს ხეობის სტრატეგიული პუნქტების დაკავება, თუმცა 1915 წლისათვის რუსებმა მოახერხეს პოზიციების დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ ნიგალი თურქე-

⁵⁸ ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27

⁵⁹ ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ., 1912, გვ. 146.

⁵⁹ იქვე, გვ. 136.

⁶⁰ იქვე, გვ. 136-137.

⁶¹ Чорохский край (Военно-статистический очеркъ) выпускъ I, составилъ польковникъ Генеральнаго штаба – В. Я. Лисовскій, Тифлисъ, 1887, с. 46.

⁶² ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

თის აგრესიის ობიექტად კვლავ იქცა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში. 1921 წლის დასაწყისში თურქებმა ბათუმის ოლქის დაპყრობასთან ერთად კვლავ დაიკავეს ნიგალი. 1921 წლის მოსკოვის და ყარსის ხელშეკრულებების მიხედვით, ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ნიგალის ხეობაც, თურქეთის შემადგენლობაში დარჩა, საქართველოს ნიგალის ხეობის რამდენიმე სოფელი (ქვ. მარადიდი, კირნათი, გვარა, მაჭახლისპირი, მირვეთი) შეუნარჩუნდა.

ჭოროხის აუზის ისტორიული ქართული რეგიონები ყოველთვის იქცეოდა ქართველი და უცხოელი მკვლევრებისა და მოგზაურების ყურადღებას. ამ მხარეებში სხვადასხვა დროს მოგზაურობდნენ და მნიშვნელოვანი ჩანაწერები, დღიურები და ნაშრომები შექმნეს ქართველმა და უცხოელმა მკვლევარ-მოგზაურებმა. ეს საკითხი ჩვენ მონოგრაფიულად შევისწავლეთ და გამოვეცით წიგნი⁶³, ამიტომ აქ მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

დიმიტრი ბაქრაძის გადმოცემით, მთელი ლაზისტანის საფაშოში ლივანა ყველაზე ნაყოფიერი მხარე ყოფილა. ” აქ მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის სელი, რომელიც ლივანური სელის სახელით იყო ცნობილი. აქაური აბრეშუმიც ხარისხით სჯობდა ბათუმის აბრეშუმს. განთქმული იყო ლივანური ზეთისხილი, რომელიც გასაყიდად გაჰქონდათ ოდესაში, კონსტანტინოპოლში, თბილისსა და ახალციხეში”⁶⁴.

1887 წელს პ. უმიკაშვილი ლივანელთა შესახებ წერდა: ისინი „ძალიან მშვენიერი შეხედულებისა, ფხიზელი და კარგი გარეგნობისანი არიან. ხალხი წმინდათ, მშვენიერათ და ტკბილად ქართულითა ლაპარაკობს”⁶⁵.

ფრანგი ორიენტალისტი – ჟან მურიე, 1884 წელს ჩამოვიდა საქართველოში. იგი თავის წიგნში მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნიგალის ხეობის შესახებ⁶⁶.

ჟ. მურიეს მიხედვით, „ბათუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა ეკუთვნის ქართულ რასას, სუფთა ქართველებს. მაკრიალისა და ჩხალის ხეობების გარდა, ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. მაკრიალის ხეობის მოსახლეობის ენა თურქულისა და ლაზურის ნარევია, ხოლო ჩხალის ხეობაში ქართულისა და ლაზურისა“ (დღეს კი – თურქულისა და ლაზურისა, გამონაკ-

⁶³ ე. ბერიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა° XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში, ბათ., 2006.

⁶⁴ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

⁶⁵ პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო – ლივანა და კლარჯეთი, გაზ. „ივერია”, №21 1877.

⁶⁶ ჟ. მურიე, ბათუმისა და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა იზა ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962.

ლისის სახით – ქართულის, ე. ბ.)⁶⁷. ავტორი ნიგალის ხეობაში შემავალ ცალკეულ პატარა ხეობებს მოიხსენიებს სოფლების სახელებით. მაგ. – ბელღევანი, ჩხალი, მურღული და აღნიშნავს, რომ „ხეობები მდინარეების სახელებით იწოდებიან“. ყველაზე სამხრეთით გამოკვეთს დიდ თეფესა და მთა ციალს შორის მდებარე ციხილეთის ხეობას, სადაც გაშენებულია ქალაქი ართვინი და ქალაქი ქათილი(-ებ)⁶⁸. ჩვენი აზრით, ნიგალის ყველაზე სამხრეთი ხეობა, რომელსაც ავტორი აღნიშნავს, როგორც ციხილეთი, უნდა იყოს ჭიხილეთი, რომელსაც პროფ. ი. სიხარულიძე ართვანის ქვეყნის დედახევს უწოდებს.

ჟან მურიეს მიერ დასახელებული ქალაქ ქათილის ლოკალიზაცია ჭირს. იგი შეიძლება მივიჩნიოთ ნასოფლარად ხატილის წყლის ხეობაში. ხოლო ქათილის ხეობად ვიგულისხმობთ ხატილას ხეობა. მთა ციალში კი ავტორი, სავარაუდოდ, მთა ტრიალს უნდა გულისხმობდეს.

ჩხალის ხეობას მოგზაური შემოსაზღვრავს დაღისტიფესა და ზელონადაღს შორის. აქვე მოიხსენიებს ბელღევანსაც, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვრავს ყარაშალვარის (თანამედროვე თხილნარი და ჭარნალი – ე.ბ.) მთის ტოტი⁶⁹.

ზელონადაღი დასტურდება, ხოლო დაღისტიფე, არ გამოვრიცხავთ, რომ იყოს დღევანდელი სულთან სელიმის მთა („სულთან სელიმ თეფესი“). ორივე ტოპონიმში გამოიყოფა თურქული სიტყვა „დაღ“, რაც თურქულად მთას ნიშნავს.

ჟ. მურიე ჩხალის ხეობაში ადასტურებს სოფელ როქს: „ჩხალის ხეობაში, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს სოფელი როქი, იქ აკეთებენ კრამიტს, აგურს და თიხის ჭურჭელს და ეს ნაწარმი ვრცელდება სამდინარეო გზით მთელ ოლქში. როქში პატარა ნავსადგურია „რამდენიმე პატარა დუქნით. ყოველ პარასკევს “იმართებოდა ბაზრობა”⁷⁰“. ავტორი, ასევე, ასახელებს სოფელ კოპარგეთს მურღულის ხეობაში.

ტოპონიმი როქი აქ ვერ დავადასტურებთ. შეიძლება იგი მოვიაზროთ მდ. ჩხალის ჭოროხთან შეერთების ადგილას მდებარე ბორჩხის ერთ-ერთ უბ-

ნად, მაგ., გუნდოღლუ მაჰალედ, ან ჩხალის ხეობის სოფელ მამანათის უბანთაგან რომელიმედ, სადაც ჩხალა ერთვის ჭოროხს, ხოლო, კოპარგეთი უნდა იყოს მურღულის დღევანდელი სოფელი კაბარჯეთი.

⁶⁷ ჟ. მურიე, ბათუმისა და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა იზა ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962, გვ. 13.

⁶⁸ იქვე, გვ. 17.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე, გვ. 19.

ჟან მურიე ართვინთან ახლოს „ასახელებს ორჯოხს,“ სადაც მარმარილოს მდიდარი საბადოებია⁷¹. სოფელი ორჯოხი დასტურდება ართვინის რაიონში, რომელსაც ჰქვია თურქული სახელი - ორუნლუ. ასევე ავტორი იმოწმებს სოფ. თოღგომს, თაღგამის, თარგმას ფორმით. სოფ. თოღგომი მდებარეობს მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, პატარა უსახელო ხევის მარცხენა მხარეს. თოღგომის თურქული სახელწოდებაა სალკიმლი.

ავტორი აღწერს ქ. ართვინსაც: „ართვინში შესასვლელთან ძველი ღამაზი ხიდა. ქალაქი თავისი დანგრეული ციხით ტერასებზეა გაშენებული და ჭოროხის მარცხენა ნაპირზე სართულებად არის აღმართული ზეთისხილისა და ლეღვის ხეების მშვენიერი ტყის ახლოს. მაზრის^o მთავარ ქალაქს სამი გარეუბანი აკრავს (კალფა, კაიპერტი, კარტზული). ქალაქში 5862 მოსახლეა, სომეხი გრიგორიანები, სომეხი კათოლიკები და ბოლოს, მუსლიმანები. არის ხუთი მეჩეთი, ოთხი – კათოლიკური და ერთი – გრიგორიანული ეკლესია...⁷².

ჟან მურიეს მიერ დასახელებულ ქ. ართვინის უბანთაგან კალფა ამავე სახელით გვხვდება, კაიპერტი-ჰაიპეტი ფორმით, კარტზული კი, სავარაუდოდ, კორძული უნდა იყოს. ჟ. მურიეს ჩანაწერებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ნიგალის ხეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

ნიგალის ხეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. ყაზბეგი, რომელმაც 1874 წელს იმოგზაურა ამ რეგიონებში. ავტორი აღწერს გზებს, მდინარეებს, დასახლებულ პუნქტებს, ყურადღებას აქცევს მხარის სოფლის მეურნეობას, ისტორიასა და ეკონომიკურ პოტენციალს, ახასიათებს ნაოსნობას ჭოროხზე. მიმოიხილავს ვაჭრობისა და გზების მშენებლობის პერსპექტივებს.

გ. ყაზბეგის მიხედვით, „ართვინი მდებარეობს პონტოს ქედთან, კარჩხალის შემაერთებელ ნაპრალში..., სულ ქალაქში ოთხი ქრისტიანული ეკლესიაა, ოთხი – კათოლიკური, ერთი – გრიგორიანული და ხუთი მეჩეთი..., 2000 სახლია, რომელთაგან 100-მდე სომეხ გრიგორიანელებს, 600 სომეხ კა-

⁷¹ ჟ. მურიე, ბათუმისა და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა და გამოსცა იზა ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962, გვ.19.

⁷² იქვე, გვ. 45.

თოლიკებს, დანარჩენი – მაჰმადიანებს ეკუთვნის”⁷³.

გ. ყაზბეგს ყურადღების გარეშე არ რჩება ნიგალის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი – ბორჩხა. იგი წერს: „გარეგნულად ბორჩხა სოფელს არ ჰგავს. აქ 80-მდე კოხტად აშენებული სახლია, რომელთაც არავითარი ხის სამეურნეო მინაშენი არა აქვს, ყველა მცხოვრები „ნავთმშენებლობას“ მენავეობას და თიხის ჭურჭლის დამზადებას მისდევს⁷⁴. იქვე ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები”⁷⁵.

გ. ყაზბეგი ნიგალის ხეობაში ასახელებს სოფლებს „ცრიასა და ორჯოხს“, ორჯოხზე ზემოთ მოგახსენეთ, ცრია კი დღევანდელი სოფელი სირია უნდა იყოს. ამ ტერიტორიაზე არ დაგვიფიქსირებია „ოქროსწყლის სადგომი“, რომელიც დიმიტრი ბაქრაძესთანაც გვხვდება⁷⁶, თუმცა წყალოქროს სათესი ჩავინიშნეთ სოფელ ზედა მარადიდში. ართვინის თალიანი ხიდი, რომელზეც ავტორი მიუთითებს, დღეს ჭოროხზე აღარ გვხვდება, აქ აშენებულია დიდი, თანამედროვე ხიდი.

ავტორის მიერ აღნიშნული ერთ-ერთი უბანი კორსუმი, დღევანდელი კორძული უნდა იყოს.

„ლივანის ბეგები ახალციხელი ათაბაგების შთამომავლები არიან. აქაური ბეგები ამბობენ, რომ მხოლოდ ისინი მიეკუთვნებიან ცნობილ გვარს“... ართვინში ჩვენი ჩამოსვლის დღეს გავიცანით ლივანის ახალგაზრდა ბეგი, შერიფ ბეგ აჭარელის ძმის (თუ დის) შვილი...⁷⁷.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესწავლის საქმეში აქტიურად ჩაებნენ სხვა ეროვნების მკვლევრებიც, ე. ვეიდენბაუმი, ვლ. ლი-სოვსკი და სხვები.

ცნობილი რუსი კავკასიოლოგი, ისტორიკოსი და მოგზაური ევგენი ვეიდენბაუმი ამ მხარეებში მოგზაურობდა 1878 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შედეგები ამავე წელს – გაზეთ „კავკაზში“, ხოლო 1901 წელს თავის მონო-

⁷³ გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁷⁴ იქვე, გვ. 116.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

⁷⁷ იქვე, გვ. 112.

გრაფიაში – „კავკასიური ეტიუდები“ - გამოაქვეყნა⁷⁸. ეს მხარე მაშინ აღწერა, როცა ის ბათუმიდან ართვინამდე მოგზაურობდა ფეხით და უკან ბრუნდებოდა გემით. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ცნობები ამ მხარის შესახებ შემოკლებული და არასრულია. მიუხედავად ამ გარემოებისა, მან მაინც დაბეჭდა თავისი ჩანაწერები სრულიად უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი მხარის შესახებ, რადგან მკითხველისათვის შეიძლება მაინც მნიშვნელოვანი და ახალი ცნობები ყოფილიყო.

ავტორი აღნიშნავს კალასკურისწყლის საკმაოდ ფართო ხეობას, ჩაირსუს (ჩხალისწყალი), მურღულისწყალს, ხატილა-სუს. ასახელებს სოფლებს: შუახევს, ბორჩხას, ახალდაბას (სოფ. უბანი – ადაგული, – ე.ბ.), ორჯას (სოფლის უბანი – დამფალი, – ე.ბ.), აკანას (ასეთი ვერ დავადასტურეთ – ე.ბ.), ირსას, ომანას, სინკოტს, კოპარს (ავტორი ამ ტოპონიმში უნდა გულისხმობდეს მურღულის რაიონის სოფელ კოპარგეთს – ე.ბ.) და ბოლოს აღწერს ართვინს.

ინგლისის კონსული ტრაპიზონში ჯ. პალგრევიც ახასიათებს ნიგალის ხეობის მცხოვრებლებს: „გარეგნობით, ზნე-ჩვეულებითა და შეიარაღებით ისინი აჭარლებს ჰეგანან⁷⁹“. მისივე ცნობით, აქ დიდი რაოდენობით საგანგებოდ მზადდებოდა სელისა და შალის ქსოვილები, განსაკუთრებით – ბორჩხაში, მარადიდსა და წითურეთში. ქსოვილების ნაჭერი 50 პიასტრი ღირდა, ბორჩხაში მოყვანილი აბრეშუმის პარკი ვეროპაში იგზავნებოდა⁸⁰. წითურეთი დღეს არ დასტურდება, შესაძლოა, იგი ნასოფლარია. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მუჰაჯირობის დროს წითურეთი მთლად გადასახლდა⁸¹.

ჯ. პალგრევიც ართვინს ლივანას უწოდებს. აქ მოსახლეობის შემადგენლობის მხრივ შემდეგი სურათი იყო: მაჰმადიანები – 3 520 სული, არმიანი კათოლიკები (სომეხი კათოლიკები – ე.ბ.) – 2810 სული, გრიგორიანები – 840 სული, სულ 7170 სული. ადგილობრივი მუსლიმანები ქართული წარმოშობისაა. თვითონ კაიმაკამი დანიშნულია ქართული წარმოშობის ადგილობრივი

⁷⁸ Е. Д. Вейденбаум, Кавказские этюды, I, Тифлиси, 1901.

⁷⁹ Дж. Палгрев, отчет консула лет 1872 г. о берегах лазистана, ИКОИРГО, Т., VII Тифлиси, 1881, с. 57-58.

⁸⁰ ვ. პალგრევიც, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, ბათ., 1972. ინახება აჭარის ხ. ახველდიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588, ფ. 49.

⁸¹ ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ., 1912, გვ. 135.

ბეგებიდან⁸². მისივე ცნობით, ლივანეს სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო ლივანე ანუ ართვინი⁸³.

ნიგალის ხეობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის ალ. ფრენკელი⁸⁴. ის აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნიგალის ხეობის ერთი ნაწილი (კირნათი, მარადიდი) შედიოდა გონიოს ნაპიეს შემადგენლობაში. ამ დროს ზედა მარადიდში ცხოვრობდა 100 ოჯახი, 250 სული, ქვედა მარადიდში – ამდენივე ოჯახი, 230 სული, ბერძნევიში – 20 ოჯახი. ხოლო ქვ. მარადიდში, უბან ძაბლავეთში (ტექსტშია ზაბლავეთი) – 30 ოჯახი⁸⁵. მის მიერ დასახელებულ სოფელთაგან ბერძნევი ახლა ზედა მარადიდის უბანია, ოღლაური (ოღლავი), კინცხურეთი და ზედუბანი კი, სოფელ ხების უბნებია. ოღლაური (ოღლავი) არის სოფელ კირნათშიც. ალ. ფრენკელის სიაში ოიკონიმებად⁸⁶ ჩამოთვლილი სახელები დღეს უბნებად გვხვდება, მაგალითად: კოსტანეთი – ხებაში, ორჯი – დამფალში, ოხორჯინი – შუახევში. ადრე მამანათი ორ სოფლად იყო, ზედა და ქვედა, ახლა ერთი, გაერთიანებული მამანათი გვაქვს. დროთა განმავლობაში ტოპონიმთა, ოიკონიმთა სახელწოდებები მეტწილად შეცვლილია, ან მთლიანად თურქული სახელწოდებით არის წარმოდგენილი ენობრივი (ფონეტიკურ-მორფოლოგიური) ცვლილებების და თურქულ-ქართული ორთოგრაფიის გამო. მაგალითად ბეშაული//ბეშავრი//ბეშადილ, ძაბლავეთი//ზაბლავეთი, ქალასკური//ქლასკური, სამახრევი//სამხრევი, კვირიკარი, კვირიკალი და სხვა.

წარმოგიდგინო ჩვენ მიერ ჩაწერილი ოიკონიმების შედარებას ალ. ფრენკელის მიერ ჩაწერილ ლივანის სოფელთა სახელწოდებებთან (**იხ. დანართი №1**).

ნიგალის აღწერისას, ჩვენ შემოვიფარგლეთ ჭოროხის შუა და ქვემო წელის სოფლებით, ართვინის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ თოღგომითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელ მელოთი, რის გამოც ფრენკელის ლივანის ოიკონიმებთან ჩვენი ტოპონიმური მასალის სრულყოფილი შედარება ფაქტობრივად ვეღარ მოხდა, ვერ მოხდა, აგრეთვე, იმიტომ, რომ მის მიერ აღწერილ და ჩამოთვლილ სოფელთა სახელწოდებების დიდი ნაწილი არ ემ-

⁸² ვ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, ბათ., 1972. ინახება აჭარის ხ. ახველედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588, ფ. 15.

⁸³ ვ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198; პალგრევი ვ. აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძის, ბათ., 1972. ინახება აჭარის ხ. ახველედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588, ფ. 15.

⁸⁴ Ал. Френкель, Очерки Чуруксу и Батума, Тифлиси, 1879.

⁸⁵ იქვე. გვ., 118-119

თხვევა, ან საორჭოფოდ ემთხვევა მის თანამედროვეთა მიერ მოწოდებულ მასალასაც კი, უცხო სმენას ოიკონიმები შეცდომებით აღუქვამს.

აღ. ფრენკელი ასახელებს ლივანას, ართვინს, ნიგალის სოფლებს, მარადიდს (ზედა და ქვედა), მირვეთს, ოღლაურს, კატაფხიას, ზედუბანს, კინცხურეთს და სხვ.

ნიგალის ხეობის შესახებ საკმაოდ ამომწურავ ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვლ. ლისოვსკი⁸⁶. თავის ნარკვევში ავტორი ასახელებს ჭოროხის მხარის, კერძოდ, ჩვენი საკვლევი რეგიონის – ნიგალის ხეობის საზღვრებს, მთებს, მდინარეებს, სამიმოსვლო გზებს. მოცემული აქვს მხარის ტოპოგრაფიული⁸⁷, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური მიმოხილვა.

ავტორის მიხედვით, მდ. ჭოროხი მრავალ შენაკადს იერთებს, კერძოდ, მას ერთვის მარცხნიდან: ბელღევანი, ჩხალა (ჩხალისწყალი), მურღული და ხატილა.

მეტად საინტერესოა ნაშრომზე დართული დამატება – ჭოროხის მხარის დასახლებული ადგილებისა („Списокъ населенныхъ местъ чорохскаго края“), რომლისგანაც ამოგვრიბეთ ნიგალის ხეობის ტოპონიმები და გავაკეთეთ შედარება ჩვენ მიერ შეკრებილ მასალასთან (იხ. დანართი №2).

ლისოვსკის სოფელთა სიაში არ არის აღნიშნული სოფელი არჩვეთი, რომელიც აღნიშნული აქვთ სხვა მკვლევრებს და რომელიც დღეს გვხვდება ამავე სახელწოდებით, თურქულად – ორუჯულარ.

ფრენკელის და ლისოვსკის მასალები დღეს უკვე ღირებული წყაროა შედარებისა და ანალიზისათვის, მხარის ონომასტიკის შესწავლისათვის, თუმცა, სახელები რუსული ტრანსკრიფციითაა წარმოდგენილი და ზოგჯერ ამის გამო ჭირს შესატყვისი სწორი ქართული ფორმის დადგენა.

ვლ. ლისოვსკის მიერ შედგენილ სიაში ჩანს ზოგიერთი უზუსტობა. კერძოდ, ავტორი სოფელ არავეთს ასახელებს გონიოს სამამასახლისოში (ნიგალის არავეთი), ასევე – არტანუჯის რაიონში, სადაც ეს სოფელი ცნობილი არ არის.

ეფიქრობთ, ავტორის მიერ დადასტურებული სოფელი „Ногай“ სოფელ იბრიქლის⁸⁸ ერთ-ერთი უბანი – ნიგია უნდა იყოს, ასევე იგი ართვინის რაიონში ასახელებს სოფელ ბაშქოის (ბაშქეის ფორმით), ბაშქოი დღეს, ნიგალში გვხვდება მურღულსა და ბელღევანში, ჩხალის ბაშქოის ახლა ფინდიკლიქოი ჰქვია.

⁸⁶ Чорохский край (Военно-статистический очеркъ) выпуск I, составил Польковник Генерального штаба В. Я. Лисовский, Тифлисъ, 1887.

ხალვაში ვლ. ლისოვსკის ცალკე სოფლად აქვს მოხსენიებული. ამჟამად იგი მხოლოდ გვარსახელად დასტურდება ზედა მარადიდში.

ვლ. ლისოვსკის მონაცემებს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ტოპონიმიაზე საერთო სურათის შესაქმნელად.

მეტად საინტერესო და მრავალმხრივ მონაცემებს გვაწვდის ჭოროხის ხეობის სოფლების, მოსახლეობის ყოფითი კულტურის შესახებ მკვლევარ-მოგზაური ნ. შავროვი⁸⁷. იგი დეტალურად აღწერს მარშრუტებს ბათუმიდან არტანუჯის, ართვინისა და ორჯოხის მიმართულებით. ავტორის ცნობების მიხედვით, ბათუმიდან ამ პუნქტებისაკენ მიემართება რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა, მათ შორის: I - ბათუმი-აჭარა-ბენარი, სადაც ეს გზა უერთდება ახალციხე-აბასთუმნის გზატკეცილს; II-ბათუმი-ართვინი-ორჯოხი-არტანუჯი; III-ართვინი-ორჯოხი.

ბათუმი-ართვინის მარშრუტზე ავტორი ასახელებს ნიგალის ხეობის სოფლებს და გვაძლევს მოსახლეობის რაოდენობრივ მაჩვენებელსაც⁸⁸, კერძოდ, აღწერილია: მაჭახლისპირი (15 კომლი, 81 მცხ.) მთა „ხედის მთა“, („Хедис-мта“), ახალდაბა, მურღულის ხეობა, ქვ. მარადიდი (39 კომლი, 153 მცხ.), ზედა მარადიდი (69 კომლი, 260 მცხ.), ოღლაური, ხინწკანა (28 კომლი, 108 მცხ.). ამ სოფელში მოჰყავთ ვაშლი, რომელიც გასაყიდად მიაქვთ ბათუმში, ხეობა (23 კომლი, 158 მცხ.), აქ არის ბაზარი.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მდ. ხედის ლამაზ ხეობას. ამ ხეობის ჭოროხთან შეერთების ადგილზე არის ვაკისი, სადაც გაშენებულია სოფელი შუბანა. აქ ცხოვრობს 26 კომლი, 132 მცხოვრებით. შაბაური 53 კომლი, 132 მცხოვრებით. მარჯვნივ – ქარტაში. მოგზაური აღწერს ქლასკურის ხეობასაც. აღნიშნავს, რომ ხედისა და ქლასკურს შორის ჩამოდის პატარა მდ. კინცხურეთი, ავტორი ასახელებს სოფლებს ხინცხანას (ხინწკანა), კინცხურეთს (18 კომლი, 86 მცხ.), სოფ. ქლასკურს (125 კომლი, 556 მცხ.), მთებს – ქვახერხასა და ქვაწყალას, სოფ. ბორჩხას (53 კომლი, 265 მცხ.), ხეობა იხხალი-სუ (ჩხალის ხეობა, დევისწყლის ქედი, მდ. დევისწყალი, სოფ. ნაგვია, ტრაპენი და დამპალა, ადაგული, ორჯი, თხანაძური, ახალდაბა (23 კომლი, 117 მცხ.), პატარა სოფელი ნავდაროლდი ჭოროხის პირას, ქართლა, ბეშავრი (60 კომლი, 414 მცხ.), კვარცხანა, სვეტის⁹ დელე, სინკოთი (93 კომლი, 461 მცხ.), მდ. ხატილა-სუ, სოფ. უზურმა, ნაჯვია, მთე-

⁸⁷ Н. И. Шавров, Краткое описание маршрутов от Батума до Бенары и до Орджоха и оть Артвина до Ардануча, Записи Кавказского отдела Императорского русского географического общества, книга XXVI, выпуск г. Тифлисъ, 1907.

⁸⁸ იქვე გვ. 17-38.

ბი „Луджи килиси“, სოფლები: ლომაშენი, სვეტი, სვეტიბარი⁸⁹.

ცნობილია, რომ ხედის მთა მდებარეობს დაახლოებით სარფის სასახ-
ღვრო ზოლის გასწვრივ, მაგრამ აქ მოცემული აღწერილობით, ავტორი უნ-
და გულისხმობდეს მდ. ხებისწყლის ღამაზ ხეობას, რადგან დასახელებუ-
ლი სოფლები: ხინჭანა, შუბანი, საბაური, ქერტაში და კინცხურეთი დღეს
სოფელ ხების უბნებია. დასახელებში მომხდარია ფონეტიკური ცვლილებები.
ნაგვია – დღევანდელი ნიგია უნდა იყოს, სოფელ იბრიქლის უბანი. ლომა-
შენი – სოფელ სვეტის უბანი, ხოლო ახალდაბა – სოფელ ადაგულის უბა-
ნი. თხანაძური უნდა იყოს სოფელი თხილაზრო, ხოლო უზურმა – ხატილას
მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ომანას დღევანდელი უბანი – ურძუმა//ურ-
ზუმა. ნავდაროდლი სოფელ ირსაშია, ტოპონიმი ქვახერხა, დავაფიქსირეთ
ჩხალის წყლის ხეობაში, სოფელ ბაშქოში – როგორც მთა, ხოლო რო-
გორც ტყე, სოფელ მაქრეთში. მთა – ქვაწყალა ისევ საძიებელია, რაც შეე-
ხება მთებს: ლუჯი ქილისი, შეცდომაა, უნდა იყოს გურჯი ქილისი, – დას-
ტურდება ბორჩხაში, მთა ქვახიდა დავაფიქსირეთ მურღულის რაიონის სოფ-
ლებში გურბინსა და დამარში. ასევე იაილა ქვახიდი – დამარში. სხვა, ყვე-
ლა დასახელებული ტოპონიმი, ემთხვევა ჩვენ მიერ აღწერილ მასალას.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, გეოგრაფიულ სახელწოდებათა
დიდი ნაწილი ოფიციალურად შეცვლილია თურქული სახელებით,
შესაბამისად ახალ თაობაშიც დამკვიდრებულია ეს ახალი, თურქუ-
ლენოვანი ტოპონიმები, ხოლო ადგილებს ქართული სახელებით მოიხსენი-
ებს მხოლოდ ჩვენებური ასაკოვანი ხალხი. სამწუხაროდ, ქართულენოვანი
ტოპონიმი თანდათან ეძლევა დავიწყებას.

მარშრუტი: ართვინი–ორჯოხი. აქ აღწერილია შემდეგი სოფლები: იშხა-
ბილი (33 კომლი, 223 მცხ.), ცრია (დღევანდელი სირია – ე.ბ.) ორჯოხი
(დღევანდელი ორუჩლუ) (60 კომლი 400 მცხ.), მდ. ორჯოხი სუ, თოლგომი⁹⁰.

მარშრუტი: ართვინი-გვერდი – არტანუჯი. აქ დასახელებულია სვეტი,
ქვ. თოლგომი, ზედა თოლგომი, გორგოტიხანა – გვერდი – არტანუჯი⁹¹.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე, გვ. 38-47.

⁹¹ იქვე, გვ. 47-62.

როგორც ვხედავთ, ნ. შავროვი გვაძლევს ნიგალის ხეობის სოფლების სრულ სიას და ამომწურავ ინფორმაციას რამდენიმე სოფლის შესახებ, რაც მეტად ფასეულია რეგიონის ონომასტიკონის შესწავლისათვის.

ლივანის შესახებ საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა მ. ჯანაშიელი⁹². ის წერს: ნიგალის ხეობა მოიცავს ტერიტორიას ართვინის შემოგარენიდან სოფ. ერგემდე. ეს მხარე გამოირჩევა ფორთოხლით, ლიმონით, ყურძნით...⁹³.

ფასდაუდებელია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაწეული შრომა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოველმხრივ შესწავლაში. განსაკუთრებულია მისი დამსახურება ნიგალის ხეობის ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური შესწავლის საქმეში.

1922 წელს ქ. თბილისში გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კრებული „ზაქარია ჭიჭინაძე“⁹⁴, მასში დაბეჭდილია ნიგალის ხეობისადმი მიძღვნილი წერილები: „ლივანის ქართველ მაჰმადიანთა სოფლები“, „ლივანა – მარადიდის შოკლების ამბავი“, „ლივანის ხეობის მოღებვისა და ხოჯების შესახებ“.

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის წიგნი⁹⁵ „ლივანის ქართველი მაჰმადიანები და მათი სოფლები“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ძველადვე ამ მხარეს ლივანა რქმევია. სხვა გზებს შორის ლივანაში ერთი პატარა ბილიკიც გადადის მაჭახლიდამ... ზოგს ძველს ისტორიულ წიგნებში ლივანას ლივანის ხევიც ეწოდება. ამ სახელის მქონი ლივანა შუაგულ ოსმალეთშიაც არის“. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ჭიჭინაძე ნივანის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტით შემოსაზღვრავს.

ლივანას დასაწყისში, ჭოროხის ხეობის ჩრდილოდ, სძევს ერთი დიდი ხეობა, რომელსაც „დევესქელის ხეობას“ უწოდებენ ქართველი მაჰმადიანები. ამ ხეობის სიგრძე იქნება 40 ვერსი. ბოლო თავდება კარჩხალის მთების ჩრდილოდ მდებარე ერთ მეტად მაღალ მთის ძირობაზედ. ეს მთა კარჩხალზე ცოტა პატარაა. ამ მთას „პაწა მთას“ უწოდებენ... კარჩხალის „პაწა მთის“ ახლოს, სოფელ ოთინგოში თბილი წყლის აბანოებიც არის“⁹⁶.

ზ. ჭიჭინაძე იქვე აღწერს ნიგალის ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მატერიალურ კულტურის ძეგლს ებრიკის (იბრიქლის) ეკლესიას. ავტორი დასძენს: „აქეთ ყოველ სოფელში ნახავს კაცი ეკლესიის ნანგრევს. სოფ.“

⁹² მ. ჯანაშიელი, ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა გურიის, ჭოროხის აუზის და ჭანეთის, ლაზისტანის, ის. კერბულში - Батумь и его окрестности, Батумь, 1906, ც გვ. 33-87.

⁹³ იქვე, გვ. 51.

⁹⁴ ზაქარია ჭიჭინაძე, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა, ტფ., 1922.

⁹⁵ ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში ტფ., 1917.

⁹⁶ იქვე, გვ. 140-141.

პეტრულში – კი მთლად შენახულია ერთი პატარა გუმბათიანი თლილის ქვით ნაშენი ეკლესია. ეს პატარა ეკლესია სოფ. მამაწმინდის წინ დგას. ერთ მშვენიერ ალაგას, საცა საყანური ადგილებია. ეკლესიას გარშემო მეტად ბებერი ვაზისა და კაკლის ხეები ახვევია და მთელს ამ ხეობას ობლად გადმომზერია. ეკლესიის სიგრძე იქნება ხუთი საჟენი და სიგანე ორ საჟენზე მეტი.

გუმბათში მხატვრობა შეუშლელია, ასევე ძირის კედლებზე, ერთ ალაგას დახატულია რამდენიმე კაცი ბერძნულის ტანთსაცმლით, ზოგიერთ სურათს ბერძნული წარწერა აქვს და ზოგს – კი ქართული. ეკლესიის კედლები მთლად არის დაშთენილი – ორი კარი აქვს და ორივე დამტვრევი⁹⁷.

ავტორი აღწერს ნიგალის ხეობის სოფლებს პაწამთიდან ჭოროხამდე და მიუთითებს ასევე კომლთა რაოდენობას, კერძოდ, წარმოდგენილია: ბაგინი – 60 კომლი, დევესქელი – 100 კომლი, ცანათისი – 15 კომლი, ოხორჯინი – 15 კომლი, ვალაშია – 15 კომლი (ამ სოფლის მთას დათვისმთას ეძახიან), შუახევი - 25 კომლი, ბანაკნა – 100 კომლი, სამახრეო – 10 კომლი, არავეთი – 18 კომლი, ნიგია – 15 კომლი, ებრიკა – 20 კომლი, მამა-წმინდა – 20 კომლი, ღნია – 11 კომლი, ადაგული – 50 კომლი, პეტრული – 20 კომლი, კვარცხანა – 25 კომლი, სინქოთი – 30 კომლი.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ზ. ჭიჭინაძე შეცდომით ადაგულს, კვარცხანასა და სინკოთს ასახელებს დევესქელის ხეობაში. ეს სოფლები ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.

ავტორი წერს, რომ „დევესქელის ხეობის ჩრდილოდ ჩამოდის ჭოროხი. ჭოროხის ნაპირს გაბნეულია შემდეგი სოფლები ქართველი მაჰმადიანებისა, სადაც ქართული ენა სუფევს: არხვა – მურღულისწყლის გვერდით, 27 კომლი, დამპალა – 18 კომლი, ორჯი 50 კომლი, ავანა 18 კომლი, თხილაძვა (თხილაზრო- ე.ბ.). 17 კომლი, კასტლა (ქართლა – ე. ბ.) - 30 კომლი, წითურეთი – მთლიანად გადასახლდა, თელასყური – 60 კომლი, არჩუეთი – 40 კომლი, ჭვადუეთი – 24 კომლი, კინწყურეთი 50 კომლი, ცოცხება – 40 კომლი, ზედუბანი – 12 კომლი, მურკივეთი 25 კომლი, შუბანი – 30 კომლი, ნადარბაზევი – 45 კომლი, ბურდუხეთი 23 კომლი, საბაური – 30 კომლი, გორგაული – 20 კომლი, ქერტაში – 15 კომლი, ხინჭკანა (ხინწკანა ე. ბ.) – 30 კომლი, ოლდაური (ოლლაური- ე.ბ.) – 50 კომლი, ჯონკურეთი – 35. ამ სოფ

⁹⁷ იქვე, გვ. 143-144.

ლით თავდება ლივანი”⁹⁸.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზ. ჭიჭინაძე სოფ. ქლასკურს მოიხსენიებს – „თელასყურის”, ზოგან – „ქელასყურის” ფორმით. არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ ეს ფორმა იყოს უძველესი. ე.ი. ქლასკური–თელასყური, რთული ტოპონიმი, ფლორონიმია. ეს სოფელი ძვეს ბორჩხის აღმოსავლეთით, თელასყურის ხეობის ნაპირს, 60 კომლი, მთელს ამ სოფელს ხეობიდამ” ე. ი. თელას-ყურის ხეობიდამ, 100 კომლზე მეტი გადასახლება⁹⁹.

მოსახლეობის გადასახლების, მუჰაჯირობის მძიმე სურათების და სავალალო შედეგების შესახებ ზ. ჭიჭინაძე თავის მეორე წიგნშიც გადმოგვცემს ცნობებს¹⁰⁰.

ზ. ჭიჭინაძის დასახელებულ წიგნებში ჭოროხის აუზის თითქმის ყველა სოფლის სახელი არის თავმოყრილი, სადაც ნაჩვენებია კომლთა და მოსახლეობის რაოდენობა. ამ მასალას შევადარეთ ჩვენ მიერ ჩაწერილი ოიკონიმები და მიკროტოპონიმები (**იხ. დანართი №3**).

ძვირფასია ზ. ჭიჭინაძის საგაზეთო პუბლიკაციები¹⁰¹. იგი მაშინ თითქმის ყველა გაზეთთან თანამშრომლობდა, აღსანიშნავია გაზეთ „ივერიაში” დაბეჭდილი მისი წერილები ნიგალის ხეობის ცალკეული საკითხების შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა: 1. ართვინის (კლარჯეთამდის), გათათრება (ნაამბობი, ლუკა ანდღულაძის მიერ), 29 ივლისი, 1895 წელი; 2. ლივანის გათათრება, 4,6 ივლისი, 1895 წ. 3. ართვინის (ართვანის) გათათრება (ნაამბობი ლივანაში ქრისტიან კათოლიკეებთაგან და ძველ მაჰმადიანთაგან.) 4. ლივანის გათათრება (ნაამბობი სოფ. ნადარბაზევის მცხოვრებ მაჰმადიან მოხუც თათრის აფიცრად ყოფილის, თიკანაძის მიერ – იგივე სოფიოშიელი).

ნიგალის ხეობაზე საუბრისას ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „ყველა ეს ადგილები ძველად საქართველოს მკვიდრს საკუთრებას შეადგენდა. აქ ქართველთ ტომით იყო მოფენილი, ლივანის დაბა, ართვინიც...”, ხოლო ოსმალთა მონობის ქვეშ შესვლას შედეგად მოჰყვა მთელი ამ ადგილების გა-

⁹⁸ იქვე, გვ. 146-149.

⁹⁹ იქვე, გვ. 148.

¹⁰⁰ ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ., 1912.

¹⁰¹ ზ. ჭიჭინაძე, ართვინის (კლარჯეთამდის) გათათრება (ნაამბობი ლუკა ანდღულაძის მიერ), გაზ. „ივერია”, 29 ივლისი, 1895; ზ. ჭიჭინაძე, ლივანის გათათრება, გაზ. „ივერია”, 4,6 ივლისი, 1895; ზ. ჭიჭინაძე, ართვინის (ართვანის) გათათრება (ნაამბობი ლივანაში ქრისტიან კათოლიკეებთაგან და ქართველ მაჰმადიანთაგან. გაზ. „ივერია”, 4,6 ივლისი 1895; ზ. ჭიჭინაძე, წერილები ლივანიდან, გაზ. „ივერია”, №166, 1893.

მაჰმადიანება, გამაჰმადიანებისათვის წამება. ხალხი დიდ უარზე იყო გამაჰმადიანებაზე, მაგრამ ხსნა არსაიდან იყო”¹⁰².

საინტერესო მასალებს გვაწვდის ზ. ჭიჭინაძეაგრეთვე, ნიგალის ხეობაში შემავალი ლაზისტანის სოფლების შესახებ¹⁰³, სადაც ძირითადად ცხოვრობს ლაზური მოსახლეობა. ის ყურადღებას ამახვილებს ქართველთა და ლაზთა (მეგრელთა) ნათესაობაზე: „ლაზური ენა ძალიან წააგავს ქართულს. ერთ ადგილას ვნახე ლაზი დურგლები. სახლის შენების დროს, როდესაც კოჭები აჰქონდათ, ეს ლაზები მთელ ქართულ წინადადებებს ხმარობდნენ და ხშირად იძახდნენ: „ცოტა კიდევ“ და სხვას. ნახევარი სიტყვები ლაპარაკისა ქართულია. ლაზებმა კარგად იციან, რომ ქართველები და მეგრელები იმათი მონათესავენი არიან.

საქართველოს მთავრობის ხელში, ლაზისტანისა დღეს მხოლოდ ერთი სამამასახლისოა, სახელდობრ, ჩხალის ხეობის ლაზები ეკუთვნიან საქართველოს მთავრობას. დანარჩენ ლაზისტანის მცხოვრებელნი ოსმალეთის მდგომნი არიან. ზემოხსენებულ ჩხალის ხეობაში ლაზთა სოფლები ერთ სამამასახლისოს შეადგენდნენ. ეს სამამასახლისო მიწერილია ლივანის ანუ მარადიდის საბოქაულოზედ.

აი, იმ სოფლის სახელები, სადაც ლაზები ცხოვრობდნენ:

1. დაკვარა, 15 კომლი, წინათ მეტნი იყვნენ, მაგრამ რუსებთან შეერთების დროს ბევრი ოსმალეთის ლაზისტანში გადასახლდნენ.
2. ოხორდია, 20 კომლი, ზოგი წავიდა, გადასახლდნენ ოსმალეთში.
3. კორტანეთი, 25 კომლი, ზოგი წავიდა.
4. ბელღევანი, 40 კომლი, ზოგი წავიდა.
5. პანჩურეთი, 25 კომლი, ზოგი წავიდა,
6. სუჯუნა, 45 კომლი, 5 გადასახლდა.
7. მამანათი, 30 კომლი.
8. სკურე, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
9. მაკრეთი, 45 კომლი, ზოგი წავიდა.
10. გაღრავეთი, 29 კომლი, ზოგი წავიდა.
11. მაჭათი, 20 კომლი, ზოგი წავიდა.

¹⁰² ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ., 1912, გვ. 17.

¹⁰³ ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართულ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი, ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, პირველი წიგნი, ტფ., 1927

12. გაბრიელა, 15 კომლი.
13. დუსქოი, 60 კომლი,
- 14.სარფი 40 კომლი, ზღვის პირად მდებარეობს.
15. ლიმანი, 20 კომლი ბევრი გადასახლდა.
16. მაქრიალი, 20 კომლი, ბევრი გადასახლდა.

არის სხვა პატარა სოფლებიც, რომელთაც არ ვასახელებთ, რადგან იქ მცხოვრებელთა რიცხვი ორ-სამ კომლს არ აღემატება.

როგორც ჩამოთვლილი, ისე სხვა სოფლების სახელები, ლაზისტანში ქართულია. ამგვარ სახელის სოფლებს კაცი თვით ტრაპეზონამდეც შეკვდება. ზოგს სოფელს გადასხვაფერებია ქართული სახელი და ოსმალური დარქმევია. მთების, დედეების, მდინარეების და სხვათა სახელებიც ზოგან ძველია დარჩენილი, ზოგან კი – ოსმალურათ გადასხვაფერებულია.”

ზემოთ ჩამოთვლილთაგან, როგორც ადრეც ვთქვით, დუზქოი//დუზქოი, მამანათი//დემირჯილარ, ბელღევანი//გურეშენ, მაკრეთი//კალე, ოხორდია//მერეფიექოი სოფლებია, ხოლო მაჭათი დღეს მოიხსენიება მჭათის სახელით (ჩხალის ხეობა), კოსტანეთს დღეს თურქულად ქესტლი ჰქვია, ხოლო პანჭურეთი გვხვდება პანჭვეთი ფორმით და თურქულად ფანჯარლის უწოდებენ, ორივე ერთად მამანათის უბნებია (ჩხალის ხეობა), გაღრავეთი გვხვდება გიდრივეთი ფორმით, სკურე-სკურჩა ფორმით და ორივე, სუჯუნასთან ერთად, სოფელ ბელღევნის უბნებია, გაბრიელა კი გვხვდება სოფელ კატაფხიის უბნად გაბელაკარის ფორმით, ხოლო გაბრიელაკარი გვხვდება ბელღევნის ხეობაში, სოფ. გიუზელიურთში, როგორც დედე:

1. მჭათი//მაჭათი –სოფ. დუზქოის უბანი;
2. კოსტანეთი//ქესტლე – სოფ. მამანათის უბანი;
3. პანჭურეთი//პანჭვეთი//ფანჯარლი – სოფ. მამანათის უბანი;
4. გაღრავეთი//გიდრივეთ//გიდივეთ//კიდივეთ, – სოფ. ბელღევნის უბანი;
5. სუჯუნა – სოფ. ბელღევნის უბანი;
6. სკურე//სკურჩა – სოფ. ბელღევნის უბანი;
7. გაბრიელა//გაბრიელაკარი – სოფ. კატაფხიის უბანი.
8. სოფელი დაკვარა დღეს მიერთებულია დაბა ბორჩხაზე და მისი ერთ-ერთი უბანია.
9. სარფი, ლიმანი და მაკრიალი ლაზეთის სოფლებია”.

ტოპონიმებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარის ისტორიული წარსულის გასააზრებლად და შესასწავლად. რაც დრო გასულა მაკროტოპონიმებზე, ძირითადად, თურქული სახელები დაურქმევიათ, სოფლის უბნებზეც, (რის გამოც დღეს ხშირად ძნელი ხდება აღრიხედელ ჩანაწერებთან ტოპონიმთა შედარება-ანალიზი), ქართული სახელები კი, ძირითადად, მიკროტოპონიმებს შემოუნახავს¹⁰⁴, ხშირ შემთხვევაში ადგილთა სახელები მესაკუთრის გვარის მიხედვით იწოდება: ქესიშოლდი, რაჰდევანოღლუ და სხვა.

ნიგალის ხეობის სოფლების ტოპონიმების ჩაწერამ ცხადყო, რომ ხეობაში მძლავრობს თურქული ტოპონიმები, გვხვდება ქართული, ხოლო ლაზურ სოფლებში – ძირითადად ლაზური ტოპონიმები **(იხ. დანართები №4; 5; 6)**, რომელთა განხილვას ეძღვნება ნაშრომის მესამე თავი.

უცხოური სახელწოდება აქვს რამდენიმე ადგილსაც: კანტორი, ზავოტი, კოლესო - მურღულში, რუსკორდონი – მურღულის ბაშქოში, ნაინკლისევ – გეველში, კამენიდელე – გოლაში, მონასტირ- მონასტირში, მასკოვსკაია – ქვედა მარადიდში, კამორჯიკა//კამოჩკა – ტრაპენში, კაბადუკო//კაბადუკი//კაბადოკი ტრაპენში და ა. შ.¹⁰⁵

საინტერესო პუბლიცისტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა მე-19 საუკუნის დასასრულის ნიგალელთა ცხოვრების შესახებ ივანე ჯაიანმა. ის ბორჩხაში გულმოდგინედ ასრულებდა იმ მისიას, რომელიც ასე სჭირდებოდა ახლად შემოერთებულ, ახლად გამოღვიძებულ ქართველთა კულტურულ აღორძინებას, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას და ერის შემჭიდროება-შედუღებებას¹⁰⁶. წიგნში, ავტორი ასახელებს მრავალ ტოპონიმს, რაც თავისთავად ძალზედ საინტერესოა, თუნდაც საუკუნის შემდეგ შედარებითი ანალიზისათვის **(იხ. დანართი №7)**.

ნიგალის ხეობა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით სპეციალურად შეისწავლა პროფ. ი. სიხარულიძემ¹⁰⁷. ნაშრომი – ნიგალი (ლივანა) საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, ნიგალის ხეობის მონოგრაფიული შესწავლის მეტად საინტერესო და წარმატებული ცდაა. ავტორი, უმეტესწილად, სამეცნიერო და წერილობით წყაროებს ეყრდნობა. სამწუხაროდ, მას, სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, არ ჰქონდა საშუალება ად

¹⁰⁴ ე. ბერიძე, ნიგალის ხეობის ტოპონიმები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები X, ფილოლოგიური მეცნიერების სერია, ბათ., 2007, გვ. 33-34.

¹⁰⁵ ე. ბერიძე, ნიგალის ხეობის ტოპონიმური მასალები (ხელნაწერი), ბათ., 2007.

¹⁰⁶ ივ. ჯაიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

¹⁰⁷ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ.

გილზე საველე მუშაობის წარმოებისა, ამიტომაც უდავოდ დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ წყაროებზე დაყრდნობით ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომების მომზადება და გამოცემა, როგორც ეს პროფ. ი. სიხარულიძემ მოახერხა. შესამჩნევია, მაგრამ ბუნებრივია, რომ ნაშრომებში არის მასალების შედარებითი სიმწირე და ცოტადენი კარტოგრაფიული უზუსტობანიც. მაგ: სოფ. ხების ტოპონიმებიდან ავტორი ასახელებს და მიმოიხილავს რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს (ზედუბანი, საბაური, შუბანი, ნადარბაზევი, ეკლესიის ნაშთები, კარტაში)¹⁰⁸. ჩვენ სოფ. ხებაში ჩავიწერეთ 90 მიკროტოპონიმი, ასევეა, სხვა სოფლებთან მიმართებითაც. პროფ. ი. სიხარულიძის შრომა მეტად ფასეულია ნიგალის ხეობის ტოპონიმის შესწავლისათვის, ამიტომ მისი ტოპონიმიკური ცნობები შევადარეთ ჩვენ მიერ შეკრებილ ნიგალის ტოპონიმურ ფონდს (**იხ. დანართი №8**).

1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე დატანილია ნიგალის ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი: კინტაური – ამჟ. კვინტაური სოფ. ბაგინის უბანი დევესქელის ხეობაში, ჯანსული – ამჟ. ძანცული სოფ. დამარის უბანი მურღულის ხეობაში, დამპალა – ამჟ. დამფალი (ჭოროხის მარცხენა სანაპირო), ქვამჭირეთი – ამჟ. ქვამჩირეთი სოფ. ქურას უბანი მურღულის ხეობაში, მაყრეთი – ამჟ. მაკრეთი სოფ. ჩხალის ხეობაში, კაპარჭეთი – ამჟ. კაბარჯეთი სოფელი მურღულის ხეობაში¹⁰⁹.

ნიგალის ხეობის არაერთი ოიკონიმი და მიკროტოპონიმი ემთხვევა ზემო აჭარის სოფელთა სახელებს, ზოგი მთლიანად, ზოგიც განსხვავებული პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები, ესენია: ბაკო (სოფ. ხება) – სოფ. ბაკო ხულოს რაიონში, სოფ. შუახევი – შუახევის რაიონი, თხილაზრო – სოფ. თხილვანა ხულოს რაიონში, სოფ. ბედლევანი – სოფ. ბედლეთი ხულოს რაიონში, გორგივლი (სოფ.ხება) – გორგივლი შუახევის რაიონში. ჯალაბაშვილები (ქვ. ქლასკური) – ჯალაბაშვილები (ქედის რ-ნი), კონტოხი (ხება) – კორტოხი (ხულოს რ-ნი), შუბანი-შებანი (ხება) – სოფ. შუბანი შუახევის რაიონში, თეთრუბი (ქართლა, საძ.) – თეთრობი (იაღალი) ხულოსა და შუახევის რაიონების ვერნები (იშხაბილი, სათ.) – სოფ. ვერნები ხულოს რაიონში, წაბლანა (თოღომი) – სოფ. წაბლანა ხულოს რაიონში.

¹⁰⁸ იქვე გვ. 69-70.

¹⁰⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიული რუკა, თბ., 1923.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ოიკონიმ აგარის¹⁰ აქტიური სახელდება ნიგალის ხეობაში, როგორც აჭარაში. იგივე შეიძლება ითქვას ტოპონიმ რუსთავის შესახებ.

ნიგალის ხეობის მცხოვრებთა მეტყველების ნიმუშები ჩაიწერა პროფ. შ. ფუტკარაძემ და გამოსცა უმნიშვნელოვანესი შრომა “ჩვენებურების ქართული¹¹⁰”, მან მოიარა ნიგალის ხეობის სოფლები და სოფლის უბნები: ჭილაური, ზემო ქურა, ჩხალეთი, ჯვანი, ქვემო ქურა, ბუჯური, ბაშქოი, ტრაპენი, ბორჩხაი, ქვ. მარადიდი, გურბინი, ზედუბანი, ქართლა, თხილაზრო და ვალაშენი,¹¹¹.

ავტორმა ნაშრომში მნიშვნელოვან ტოპონიმურ მასალას მოუყარა თავი და მკითხველის განსასჯელად გამოიტანა თურქეთში მცხოვრები ქართველების სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალმხრივი სურათები – ფასეული მრავალი თვალსაზრისით, რაც დიდ სამსახურს უწევს ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

აღსანიშნავია ასევე, ისტ. მეც. კანდ. რ. მალაყმაძის მნიშვნელოვანი ნაშრომი – ლიგანის ხეობა. სადაც ავტორი წარმოგვიდგენს ნიგალის ხეობის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას, ისე მის ეთნო-კულტურულ სურათს. ავტორი თავიდანვე აუწყებს მკითხველს, რომ იგი რეგიონის მხოლოდ ლიგანის სახელის ფორმით ისაუბრებს¹¹².

საქართველოს ცალკეული რეგიონების შესწავლისათვის წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, რა თქმა უნდა, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კარტოგრაფიულ მასალებსაც.

უძველესი რუკა, რაც მოგვეპოვება, ეს არის XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ატლასი. იგი ძვირფასი წყაროა ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ბევრი სახელწოდება მხოლოდ ამ რუკაზეა შემორჩენილი. ხშირ შემთხვევაში გაქრა გეოგრაფიული ობიექტიც და მისი სახელიც; მდ. ჭოროხს, მასზე აშენებული დღეს მოქმედი კაშხლების გამო, დაუფარავს დასახლებული ადგილები: ავანაში – თუმავანა, ადაგულში – სიხბადი, დნია, ქათიბხანი, ხებაში ნაწილობრივ – შუბანი, ბაკო, კონტოხი, ქვ. ხინწკანა, კატაფხიაში ბულდუხეთის ნახევარი, სანაპიროს გასწვრივ სახლები, ჯამეები, ხიდი, ჯუვანში – ჯუვანდუხი,

¹¹⁰ შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათ., 1993.

¹¹¹ იქვე, გვ. 296-332.

¹¹² რ. მალაყმაძე, დასახ. ნაშრ., გვ.13.

დამფალში – ნაღვარევი, ომანაში ყრუხევი, დარბაყელი, ნაფუზარი; ართვინში დერინერის გრანდიოზული კაშხლის მშენებლობის გამო უკვე ასახლებული არიან ქვედა თოღგომის მცხოვრებლები.

მეტად მნიშვნელოვანია სხვა ისტორიული რუკებიც¹¹³.

ნიგალი სამეცნიერო წყაროებსა და კარტოგრაფიულ მასალებში გვხვდება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ:

ნიგალი – „სომხური გეოგრაფია“¹¹⁴; ნიგალი – ი. სიხარულიძე¹¹⁵; ნიგლა – „ქართლის ცხოვრება“¹¹⁶; ნიგოლა – ალ. ჯავახიშვილის რუკა. 1931-1932 წწ¹¹⁷; ბათუმის ოლქის რუკა¹¹⁸; დივანა – იბრაჰიმ ფეჩევი¹¹⁹; ლივანი – ვახუშტი ბატონიშვილი¹²⁰; ლივანე/ართვინი – ჯ. პალგრევი¹²¹; ლივანი//ლივანა – ალ. ფრენკელი¹²²; ექვთ. თაყაიშვილი¹²³; გ. ყაზბეგი¹²⁴; შ. ფუტყარაძე¹²⁵ და სხვა; ლივანი//ლივინი – ზ. ჭიჭინაძე¹²⁶.

ამათგან უძველესი ჩანს ნიგალი. ნარნარა ნ. დ. ბგერების შენაცვლების (სუბსტიტუციის) გზით ადვილად შესაძლებელია ნიგალისაგან ლივანის მიღება. ეს ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა ქართულ ენაში. დღეს ნიგალი ადვილზე დასტურდება ნიგალა ფორმით¹²⁷. – ა პრეფიქსს აქ მატოპონი-მებელ-მასუბსტანტივებელი ფუნქცია გააჩნია. ხოლო ტოპონიმის შემდეგი

¹¹³ ხუთვერსიანი რუკა; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს რუკა, თბ., 1923; საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 1931-1932 წწ. (ალ. ჯავახიშვილის რუკა); რუსეთ-ოსმალეთის რუკა, 1878 წ.; ბათუმის ოლქის რუკა, 1905; Карта Кавказского края, Тифлиси, 1842; ипец. Карта Европейской России Издательство военно-топографического отдела генерального штаба, Петроград, 1914.

¹¹⁴ Армянская география VII В, Патканова, приписываемая Мойсеею Хоренскому, С.П.Б. 1887.

¹¹⁵ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ.

¹¹⁶ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

¹¹⁷ საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტში ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 1931-1932 წწ. (ალ. ჯავახიშვილის რუკა).

¹¹⁸ ბათუმის ოლქის რუკა.

¹¹⁹ იბრაჰიმ ფეჩევი, დასახ. ნაშრ.

¹²⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹²¹ ვ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, ბათ., 1972. ინახება აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, № 588.

¹²² Ал. Френкель, очерки Чуруксу и Батума, Тифлиси 1879.

¹²³ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ.

¹²⁴ გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ.

¹²⁵ შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრ.

¹²⁶ ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკეები, თბ., 1904.

¹²⁷ ე. ბერიძე, ნიგალის ხეობის ტოპონიმური მასალები (ხელნაწერი), ბათ., 2007.

დასახელება, „ლივანი“//„ლივანა“, შესაძლებელია თურქული ენის ზეგავლენით მომხდარიყო. ნიგალის სახელწოდების გზა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ ->ნიგალა -> ლივანი -> ლივანა -> ლივანი -> ლივანა. რაც შეეხება, ნიგალა, ნიგოლა, ლივანა ფორმებს ისინი მიღებული ჩანს შემოკლების და ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ჯერჯერობით საკვლევეია მაკროტოპონიმ ნიგალის სემანტიკური მნიშვნელობა, თუმცა შესაძლებელია „ლივანის“ სხვაგვარი ახსნაც, კერძოდ, სახელწოდებაში „ლივანი“ შესაძლოა გამოიყოს „ვანი“ ფუძე, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „სადგომი“¹²⁸. არ არის გამორიცხული ეს სახელწოდება უკავშირდებოდეს ნავსაყუდელს, რომელიც ჭოროხზე ართვინთან ახლოს მდებარეობდა (შდრ. ლიმენა ელენენებრივ ნავსაყუდელი)¹²⁹, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „ლიმენა ნავსადგურია“¹³⁰, გამოდის, რომ ყველა შემთხვევაში ეს სახელწოდება წყალს (სადგომს წყალზე) უკავშირდება (შდრ. ლიმანი სოფ. ლაზეთში, ზღვის სანაპიროზე). ლიმანი ბერძნული სიტყვაა და ნავსადგომს ნიშნავს. როგორც ცნობილია, ნაოსნობა მდ. ჭოროხზე განვითარებული იყო საუკუნეების განმავლობაში.

ნიგალის ხეობის მთავარი ქალაქია ართვინი. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ქალაქს „ართვანის“ ფორმით აღწერს¹³¹. ტოპონიმში „ართვინი“ შეიძლება გამოიყოს არტა//ართა ძირი, რომელიც ძველი სპარსული სიტყვაა და წარმოადგენს ღვთაების სახელს. იგი შედის გეოგრაფიული სახელების (არტანუჯი, არტახი, არტაანი, არტაშენი და ართვინი), აგრეთვე, საკუთარი სახელების (არტავადია, არტაფარნა, არტაბან...) შემადგენლობაში.¹³² ტოპონიმის ფუძეს დართული აქვს – „ოვან“ ქონების მაწარმოებელი. ართვინის წარმოქმნის საფეხურები შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: არდა-ოვან-ი->არტა-ოვან-ი-> ართა-ოვანი->ართა-ვანი->ართ-ვანი-> ართ-ვინი.

რაც შეეხება ბორჩხას, იგი მნიშვნელობითა და სიდიდით ნიგალის ხეობის მეორე დასახლებული პუნქტია. მას ადრე სოფლის სტატუსი ჰქონდა, შემდეგ დაბად გარდაიქმნა. ამჟამად ბორჩხა ქალაქის ტიპის დასახლებაა, სადაც 9000-მდე კაცი ცხოვრობს.

¹²⁸ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 251.

¹²⁹ იქვე, გვ. 414.

¹³⁰ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 2.

¹³¹ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹³² მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, თბ., 1996, გვ. 27.

ისტორიულ წყაროებში ბორჩხა, ფორჩხა ფორმითაც დასტურდება, ვახუშტი ბატონიშვილი მას ასე მოიხსენიებს¹³³, თუმცა, იგი არაფერს ამბობს ფორჩხის ეტიმოლოგიის შესახებ. ჩვენ ადგილზე, სავსე მუშაობის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ფორჩხა //ბორჩხა აქ ბაგისმიერი ფ და ბ ბგერების მონაცვლეობა გვაქვს და დატოტვილ მდინარეთა შესაყარზე მდებარე დასახლებულ ადგილს უნდა ნიშნავდეს (ბორჩხა სწორედ ასეთ ადგილასაა გაშენებული). “აქ წყალი დატოტვილი, დაფარჩხულია და იმით-ვინ დაერქვა ეს სახელი,” – თავისი აზრის სისწორეში დარწმუნებულია ბორჩხის რაიონის სოფ. არავეთის მცხოვრები 85 წლის ჰ. ალფაიდინი//ფალავანდიშვილი¹³⁴.

ვფიქრობთ, ტოპონიმის (ბორჩხა) ამოსავალი უნდა იყოს, როგორც ნასახელარი, ისე – ზმნური ფორმები: ფორჩხა, ფორჩხვა, ფორცხვა, დაფარჩხული, დაფარცხული, ფარცხი, ფოცხი და სხვ. დაფორჩხვა//დაფორცხვა ნიშნავს ხისაგან უვარგისი, გამხმარი ტოტების შემოცლას. არ გამოვიციხავთ ბორჩხის ეტიმოლოგიის ახსნის სხვა ვარიანტებსაც.

მურღულს სპილენძის მადნის მოპოვებისა და დამუშავების გამო, ზავოტისა და კანტორის სახელითაც კი იხსენიებენ, ადრე ამ რაიონს ჭინკათხევი, ხოლო შემდეგ გოგთაში რქმევია, დღეს ისევ მურღული ეწოდება.

ჭოროხი ნიგალის ხეობის დედამდინარეა. იგი სათავეს იღებს ბაიბურთის მთებში, გამოივლის ბაიბურთს, სპერს, ტაოს, კლარჯეთს, ნიგალის ხეობას, ქვემო აჭარას და შავ ზღვას უერთდება. ნიგალის ჰიდროგრაფიული და კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები და განლაგება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული განვითარების საქმეში.

¹³³ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ.136.

¹³⁴ ე. ბერიძე, ნიგალის ხეობის ტოპონიმური მასალები (ხელნაწერი), ბათ., 2007; ე. ბერიძე, ნიგალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიის შესახებ, შრომები XI, საქართველოს განათლების და მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ დამატება, თბ., 2008, გვ. 109-111.

თავი II

დღევანდელი ნიგალის ხეობა

2.1. ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ჩანაწერები ნიგალში*

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სპეციფიკური ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, ამ მხარეებს და აქ მოსახლე ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ჩვენამდე უცვლელად არ მოუღწევია, ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გაქრა, სხვას შეერწყა ან, პირიქით, ორად გაიყო. ამ მხრივ ისტორიული საქართველოს გარეთ დარჩენილი ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებიდან ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანია ნიგალის ხეობა. აქ დღემდე შემორჩენილია ქართველთა ყოფისა და კულტურის ამსახველი ბევრი საინტერესო ნიშანი, რაც სხვაგან დიდი ხანია დაიკარგა.

ჩვენ მოგვეცა საშუალება შეგვესწავლა როგორც ხეობის ეთნოკულტურული სივრცე, ისე შეგვეგროვებინა ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა აქაურთა ეთნოლოგიური და ეთნოკულტურული ყოფის შესახებ, რომელთაგან თემატური თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ: 1. სახასიათო-სატრფიალო ლირიკული ლექსები, 2. საოჯახო კულინარიის ამსახველი ტექსტები და ტერმინები, 3. მუკაჯირობა და მისი კვალი დღევანდლობაში, 4. საქორწინო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა, 5. სამშენებლო დიალექტური ლექსიკა¹³⁵.

ქართული ეთნოსისა და მისი კულტურის ფორმირება მოხდა ისტორიული საქართველოს და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ტერიტორიაზე.

* თურქეთის საქართველოში, კერძოდ, ნიგალის ხეობაში, 2007–2008 წლებში რამდენჯერმე ვიმოგზაურე. სხვადასხვა დროს ექსპედიციის წევრები იყვნენ: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ცეცხლაძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი ოთარ ფუტყარაძე და ჩემი შვილები – არჩილ და ბესო მელიქიშვილები. შემოვიარეთ 67 სოფელი და ოთხი ადმინისტრაციული ცენტრი. ვიყავით, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაწილ ნიგალშიც, რომელიც მოიცავს ცხრა სოფელს. ჩავიწერეთ, სულ 3000 - მდე ტოპონიმი. მოგზაურობისას გავეცანით ხეობაში მცხოვრები ქართველებისა და ლაზების ცხოვრებას, გავაკეთეთ ვიდეომასალა და მოკლე ეთნოგრაფიული შინაარსის ჩანაწერები (ავტ.).

¹³⁵ ეთ. ბერიძე, რამდენიმე დღე ნიგალის ხეობაში, ჟურნ. „ჭოროხი, №5, 2007, გვ. 77-88;

ეთ. ბერიძე, თერთმეტი დღე ნიგალის ხეობაში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა, №2, 2007, გვ. 107-110;

ვინაიდან ნიგალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია, აქვს მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი ბუნებრივი რესურსი გააჩნია, ამიტომ მისი სახელი მთელი ჭოროხის ქვემო დინების სახელად იქცა¹³⁶.

1874 წელს ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა და სამხედრო სპეციალისტმა გ. ყაზბეგმა, რომელიც დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა, ცხენით შემოიარა ეს მხარე და თავის ნაშრომში – „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ – დაახასიათა მხარის სიმდიდრე და აღწერა საშინელი უგზობობა, რის გამოც “ლივანის, შავშეთისა და ართვინის სიმდიდრე ბათუმის გზის გარეშე ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცევა; ანატოლია-ბათუმის გზის გარეშე თურქეთის საქართველოსა და სომხეთის ცენტრალური პუნქტები ჩაიხრჩობიან თავიანთ ქონში”¹³⁷ და მიუთითა ამ მხარის საერთო გაჭირვებისაგან თავის დაღწევისათვის გზების გაყვანის პერსპექტივაზე. იგი წერს: „ასეთმა ხასიათმა თავის მხრივ ქვეყნის საუკუნოვანი უძრაობა განაპირობა¹³⁸“, რაც, სავარაუდოა, ბევრ სხვა რამესთან ერთად, აქ ქართული ელემენტის შენარჩუნების საფუძველიც გახდა. რუსეთის ხელისუფლებას 1880-1920 წლებში სოფელთან დამაკავშირებელი და ბათუმისკენ მიმავალი გზები დასახლების მიხედვით ხეობის მთების მწვერვალებზე გაუყვანია. თურქეთის ხელისუფლებას კი მთავარი გზა ჭოროხის გასწვრივ აქვს გაყვანილი, საიდანაც შეიძლება შეხვიდე ყველა სოფელში. ცნობილია, რომ თურქეთის რესპუბლიკა გამოირჩევა მსოფლიოში საუკეთესო ავტობანებით, გვირაბებითა (მარტო ართვინ-ბორჩხას შორის თერთმეტი გვირაბია გაყვანილი, რომელთა საერთო სიგრძე რამდენიმე ათეულ კილომეტრს შეადგენს) და საავტომობილო გზებით; აქვთ საუკეთესო სასოფლო გზებიც. ბევრგან ჩვენი მოგზაურობის დროსაც მიმდინარეობდა გზების გაფართოებისა და გზის განაპირა კედლების გამაგრებითი სამუშაოები. ყველგან მუშახელად ვხვდებოდით ქურთებს, რომლებიც 1-1,5 მეტრი სისქის ქვისა და ცემენტის მყარ ყორეს აშენებდნენ.

ვახუშტი თავის ნაშრომში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „და არს ეს ლივანის კეობა თუნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით¹³⁹“. თურქეთის ნიგალის ხეობა, ვაშლით, მსხლით, ყურძნით, ატმით, ზღმარტლით, ბროწეულით, თხი-

¹³⁶ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., ბათ., 1985, გვ. 3.

¹³⁷ გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., ბათ., 1989, გვ. 104; 108.

¹³⁸ იქვე გვ. 107.

¹³⁹ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

ლით და სხვა მრავალი სახის ხეხილით რომ იყო გადახუნძლული, დღესაც დასტურდება; ვაშლი შემოსავლის წყაროდ ვერ ექციათ, სიუხვის გამო ულპებოდათ კიდევ. დ. ბაქრაძე მიუთითებს ართვინულ აბრეშუმზე, განთქმულ ლივანურ სელსა და ზეთისხილზე,¹⁴⁰ იგი დღესაც უხვად აქვთ ნიგალში.

XIX საუკუნეში ნიგალში ორმაგ მოსავალს აწარმოებდნენ, ჭვავს და ხორბალს იღებდნენ და სიმინდს თესავდნენ¹⁴¹, უფრო თამბაქო მოჰყავდათ, სიმინდი არ ჰყოფნიდათ და ყიდულობდნენ, ან ცვლიდნენ კახაბრის მცხოვრებლებისაგან¹⁴². დღეს ნიგალის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ჩაი, თხილი, სიმინდი და თამბაქოა. მოსახლეობაში შემორჩენილია ხსოვნა იმისა, რომ თესავდნენ კანაფს, ხორბალს, ქერს, ღომს. ამას ჩვენ მიერ ჩაწერილი ბევრი ტოპონიმიც ნათლად ადასტურებს: ნასელავი, ნაქერავი, ნაქერაველე, ნაქერახები, ნაცეცვალი (ადაგული), დიდკალო, ნაქერალი, ღომაძირი (ბაგინი) და სხვ.

ხეობაში მეურნეობის გავრცელებული დარგია მეფუტკრეობა, ხოლო თაფლი – სუფრის ძირითადი საკვები პროდუქტი. მთასა და ბარში შეხვდებით ხის კენწეროებსა და კლდეებში გამოკიდულ სკებს. ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავდა მეფუტკრეობის შესახებ ამ რეგიონში¹⁴³. კლარჯეთის მეფუტკრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლივანური თაფლი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო.

სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია ტყეები. ხეებს პეპელა და ჭია მოსდებოდა, შესაბამისად, ხე-მცენარეთა დაცვის ღონისძიებანი გაეტარებინათ, ტყის მთელ მასივებში “მახე” გაეკეთებინათ ხეთა ტოტებზე ჭია-პეპელათა მისატყუებლად.

ნიგალის ხეობა მდიდარია სპილენძის საბადოებით (სოფ. კვარცხანა, რომელშიც 1903 წლიდან 1951 წლამდე მუშაობდა სპილენძის გადამამუშავებელი ქარხანა, სოფლები: დამარი, ომანა და ა. შ.), ტყვიის საბადოებით (ბელღევანი, ბაშქოი და ა. შ.) და მინერალური წყლებით (კატაფხია, არჩვეთი, აგლახა, ვარაჭკანი, დამფალი, ოთინგო და სხვ.). მეტად პოპულარული ყოფილა ოთინგოს „ჩერმუგი“. მისივე გადმოცემით, იგი ძალიან უხდებოდა კუტებს და ქარებით დაავადებულ ავადმყოფებს. ავტორის თქმით, ხალხი

¹⁴⁰ დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

¹⁴¹ გ. ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

¹⁴² ივ. ჯიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

¹⁴³ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

აბანოს აღმოჩენას თამარ მეფის სახელს მიაწერს¹⁴⁴, ნიგაღელები დღესაც, ყოველ ნაშენს და ნაშთს თამარ დედოფლის სახელს უკავშირებენ. ოთინგოს აბანოზე ზეავს ჩამოუვლია და მის ირგვლივ არსებული ყველა შენობა-ნაგებობა წყალს წაუღია.



მურღული



მურღული, მადნის ნარჩენებით განაცრისფერებული მურღულისწყალი

სპილენძისა და რკინის მადნის ყველაზე დიდი მარაგი აქვს **მურღულს**, დღეს სპილენძის მადნის მოპოვება და დამუშავება მიმდინარეობს მურღულის რაიონის სოფელ დამარში, საიდანაც მიღების საშუალებით გადამდნარი მადანი მიედინება ხოფაში, ხოლო გემებით, საბოლოო დამუშავებისათვის გადააქვთ ტრაპიზონში. 1935-1950 წლებში დამარი ამ პროვინციის რაიონული ცენტრი იყო, ეს სოფელი მურღულიდან – 10კმ. დაშორებით, ხოლო ზღვის დონიდან 1100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

მურღულის რაიონის მოსახლეობას, 85 420 სული (2 000 წლის მონაცემები), ძირითადად ქართველები შეადგენენ.

მურღულის გზის დასაწყისში ერთი კილომეტრი სიგრძის გვირაბია გაყვანილი.

ბორჩხა ოთხი ხეობის – ჭოროხის, დევესქელის, ჩხალისა და მურღულის შესავარზე, კარჩხლისა და პონტოს ქედებს შუა, ხეობაში და ფერდობებზეა გაშენებული, კლდეებში შესმული და ფერდობებში შედგმული მრავალრიცხოვანი მღვიმეებისა და ხეობების სისტემაა.

¹⁴⁴ ივ. ჯაიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.



ბორჩხის ცენტრის კლდეზე ნაშენები შენობა-ნაგებობანი

ვალსართულიანი სახლებით, რომელთაც ეზოები და ტროტუარები თითქმის არა აქვთ. იგი წარმოადგენს გარდამავალ ზონას მესხეთსა და ლაზეთს შორის, აღმოსავლეთი ნაწილი ისტორიულად ეკუთვნის მესხეთს, დასავლეთი ნაწილი უპირატესად – ლაზეთს¹⁴⁵. ადრე თუ აქ მენავეობა და მეთუნეობა და ამ ნაწარმის რეალიზაცია იყო მთავარი საქმე, დღეს რაიონი მსუბუქი მრეწველობის სავაჭრო და სამშენებლო მოედნად არის ქცეული....კვირაში ერთხელ იმართება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა (ბაზრობა).



ბორჩხა

¹⁴⁵ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954. გვ. 298.

ბორჩხის რაიონის მოსახლეობას, 2000 წლის მონაცემებით – 27.654 სული, ძირითადად ქართველები და ლაზები შეადგენენ.

რაც შეეხება ქალაქ ართვინს, იგი განლაგებულია განსაკუთრებით ორიგინალურად, იწყება თითქმის ხიდიდან. გ. ყაზბეგი ართვინის შესახებ აღნიშნავს: „ართვინი მდებარეობს პონტოს ქედთან კარჩხალის შემაერთებელ ნაპრალში... სახლები მკვეთრად დამრეც ფერდობზე, ერთიმეორეზე მიჯრითაა განლაგებული. ქალაქის განაპირა ნაწილებში, ზეთისხილისა და ღვინის ბაღებში გაფანტულია ადგილები, რომლებიც სოფლებად იწოდებოდა. ქალაქის ქუჩები ძალზე ვიწრო, დაკლაკნილი და დამრეცია. სახლების დიდი ნაწილი ხისაა, მაგრამ აქ რამდენიმე ქვის სახლსაც ნახავთ“.¹⁴⁶ ასე დაწვრილებით აღწერს მოგზაური ნიგალის ხეობის მთავარ ქალაქს. მისი ჩანაწერები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, ერთმანეთს შევადართო მეცხრამეტე საუკუნისა და დღევანდელი ართვინი, სხვაობა ნამდვილად არის. დღეს ართვინი მოგვაგონებს დიდ წიწვოვან ხეს, რომელსაც ტანზე ვაზის მსხვილი ღერო შემოჰხვევია და რომელსაც ფესვები ჭოროხზე გადებულ ხიდზე მიუბჯენია. ჭოროხიდან მთებისაკენ, ქალაქის შუაგულში რამდენიმე კილომეტრზე აზიდულ დახვეულ გზას, რომელზეც ორი მანქანა ერთმანეთს თავისუფლად აუქცევს გვერდს, ტოტები მარჯვნივ და მარცხნივ გაუშლია და ფერდობებზე შემომდგარი და მიჯრით მიწყობილი მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობებით დაუმშვენებია. ართვინი ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრია.



ართვინი

¹⁴⁶ გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 109-110.

2000 წლის აღწერით ქალაქ ართვინის მოსახლეობა 23157 კაცს ითვლის. ართვინის ტერიტორიაზე ბევრი ადგილობრივი ქართველი და სომეხი ცხოვრობს, რომელთაც მშობლიური ენა აღარ იციან, ცხოვრობენ, აგრეთვე, თურქები და ქურთები. ართვინში, ასევე, შეხვდებით ქართულად მოსაუბრე მრავალ ქართველს, რომლებიც აქ სამუშაოდ, და ნაწილობრივ საცხოვრებლად, ჩავიდნენ შავშეთიდან, ბორჩხისა და მურღულის რაიონებიდან, აგრეთვე – ჩვენი ქვეყნიდან. საქართველოსა და თურქეთის მოსახლეობას შორის არსებულ ნათესაურ კავშირებს ბოლო ათწლეულებია სამსახურებრივი, საქმიანი და კულტურული ურთიერთობებიც დაემატა, რაც, რა თქმა უნდა, უპირველესად, ვრცელდება საქართველოს მოსახლურ რეგიონებზე, ნიგალსა და სხვ.

ქალაქში დღესაც ამაყად დგას 937 წელს აშენებული ლივანის ციხე.

ქალაქთან ახლოს, ჭოროხზე შენდება 247 მეტრის, თურქეთში ყველაზე მაღალი დერინერის გრანდიოზული კამხალი.

ართვინში, სოფ. სვეტის მისასვლელზე, 2007 წელს დასრულდა საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა და გაიხსნა ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი.

მდ. ჭოროხი ხეობის მნიშვნელოვან სამდინარო-სანაოსნო არტერიას წარმოადგენდა. მისი მეშვეობით მთელი შავშეთის, ართვინის და არტანუჯის მხარე უკავშირდებოდა ბათუმს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის სხვა პუნქტებს. XIX ს. ბოლოსათვის ჭოროხის სანაოსნო არტერიას 300-მდე ნავი ემსახურებოდა, რომელიც ისტორიაში ცნობილია ჭოროხის ნავის, ან კიდევ ბრტყელძირა ნავის სახელწოდებით.¹⁴⁷ სოფ. კატაფხიაში ახლაც აქვთ ნავეები, რადგან დიდი ხიდი ჭოროხს დაუფარავს და კატაფხიელები ცენტრალურ ტრასას, მოკლე გზით, ნავეების საშუალებით უკავშირდებიან.

ჭოროხის ხეობისათვის, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ნიგალიც წარმოადგენს, დამახასიათებელია ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე, რომელიც მჭიდრო კავშირშია მის კლიმატურ და რელიეფურ პირობებთან. ასეთი რესურსების არსებობა თანამედროვე ეტაპზე აქ კაშხლების მშენებლობის საფუძველი გახდა. ნიგალის//ლივანას მხარეში ჭოროხის შენაკადებია ართვინის ტერიტორიაზე მდ. არტანუჯის წყალი (რომელიც, თავის მხრივ, იერთებს იმერხევის და არტანუჯის წყლებს) და შედარებით პატარა მდინარეები: მელო, ხატილა, სვეტი, ჰაიპეტი..... ხოლო ბორჩხა-მურღულის ტერიტორიაზე: მურღულისწყალი, ჩხალისწყალი, დევესქელის წყალი, ქლასქურისა და ბელღევნის წყლები და სხვა პატარა მდინარეები.

¹⁴⁷ რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2001, გვ. 221-228.



ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი

მარადიდისა და ბორჩხის კაშხლებთან წყლის დაგუბების გამო მდინარეების – მურღულისა და ბელღეუნის წყლების კალაპოტი ჭოროხს უკვე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე აქვს ამოვსებული.

დღეს ჭოროხზე, ნიგალის ხეობის ტერიტორიაზე, ექვსი თანამედროვე ხიდი და ოთხი დიდი კაშხალია აგებული. ართვინიდან მარადილამდე ჭოროხი თითქოს არ მიედინება, თითქოს დგას თავის ფართო კალაპოტში. მასზე განვითარებულია სპორტულ-გასართობი ნაოსნობა-რაფთინგი. ნიგალის ხეობაში იგი გვხვდება (კატაფხიის//ჩაუშლიქოი, ამბარლის//დამფალი, იშხაბილის//კალბურღუ და ნაჯვიის//ფისტიკლი), სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე. ტრადიციის გაგრძელება ახლებურად მოხდა, რაც ტურისტებისათვის ძალზე მიმზიდველია, მსგავსი გამოცდილების გაზიარება ჩვენთვისაც სასურველი უნდა იყოს, მით უფრო, რომ დღესდღეობით სახელმწიფოსათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტული ხდება.

თანამედროვე ნიგალი საინტერესოა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ასპექტითაც, რადგანაც კარგად ჩანს ქართული ტრადიციისათვის დამახასიათებელი ბევრი შემორჩენილი ნიშანი.

ისლამის ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულის ხსენება ხდება გარდაცვალებიდან მეშვიდე და ორმოცდამეთორმეტე დღეს. ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ არაერთი ფაქტი, როცა მიცვალებულს სულის მოსახსენებლად, გარდაცვალებიდან მეშვიდე, მეორმოცე (ოჯახთან მიცვალებულის სულის განშორების, მისი ძვლისა და რბილის განცალკევების დღეს) და ორმოცდამეთორმეტე დღესაც უხდიან და სასაფლაოებიც მარმარილოთი აქვთ გაკეთებული. როგორც ცნობილია, ორმოცის გადახდის წესი ქრისტიანული რელიგიის მიხედვით სრულდება. საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები კი მხოლოდ შვიდისა და ორმოცდამეთორმეტის რიტუალს ასრულებენ და არ თვლიან აუცილებლად სასაფლაოს განსაკუთრებულად მოწყობას. იქ გარდაცვლილს, თუ დილით გარდაიცვალა, საღამოთი კრძალავენ და თუ – შუადღისას, მაშინ – საღამოს, ან – მეორე დღეს. ოჯახებში შესვლისას მიღებულია ფეხზე გახდა, გასვენებაში მისვლის დროსაც კი იცავენ ამ წესს.

საქართველოში ყვავილების გვირგვინი თუ გარდაცვლილის პატივსაცემად მიაქვთ, თურქეთში იგი ათეულობით მიიტანეს მარკეტის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე.



ართვინის დერინერის კაშხლის მოსამზადებელი სამუშაოები



ყარაგოლის ტბაზე



მდინარე ჭოროხი
ართვინიდან ბორჩხისაკენ



ბორჩხის კაშხალი



მარადიდის კაშხალი



ჭოროხის წყლით დაფარული მეჩეთი და ჩაის ფაბრიკა სოფელ ხეპასთან მისეულამდე



ჭოროხის წყლით დაფარული მეჩეთი სოფელ კატაფხისის მისასვლელთან

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სახალხო დღესასწაულები, რომლებიც ამ კუთხეშია შემორჩენილი: „შუამთობა“, (ფესტივალი), „კავკასორი“ და „მემხლიანობა“.¹⁴⁸ შუამთობას აღნიშნავენ აჭარაში¹⁴⁹, ამ დღესასწაულს თავისი ფორმა შეცვლილი აქვს შავშეთ-იმერხეში და ზოგადად „ფესტივალად“ იწოდება, თუმცა შუამთობის ბევრი საერთო ელემენტი აქვს შემორჩენილი.

მეტად საინტერესო დღესასწაულია ნიგალის ხეობაში კავკასორი, რომელიც ტრადიციულად ტარდება ართვინიდან 8 კმ-ის დაშორებით, ტრიალას მთაზე ივნისის ბოლო კვირას. დღესასწაულის ძირითადი მომენტი ხარების შეჯიბრება. ბოლო დროს საზაფხულო სახალხო ზეიმს დაემატა სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებებიც, ასეთი დღესასწაულები ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში¹⁵⁰.

დავესწარით სოფ. არავეთის მცხოვრებ აღფაიდინების ქორწილს ბორჩხაში, რომელიც საქორწინო დარბაზში ტარდებოდა; მამაკაცები და ყმაწვილები ძირითადად ფეხზე იდგნენ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟები და შუახნისები დიდი წრიულით ცეკვავდნენ, ქალები ცარიელ მაგიდებთან ისხდნენ (ქორწილში მოწვეული ოჯახების წევრთა დასწრების რაოდენობა არ არის შეზღუდული); მთელი ორი საათი გაგრძელდა ცეკვა-თამაში, შემდეგ, საზეიმო ვითარებაში ქორწინება კანონიერად გამოცხადდა (სიძისა და დედოფლის მიერ თავიანთ ქორწინებასა და სიყვარულზე ხმამაღალი თანხმობით) და დაიწყო სიძე-დედოფალზე, ასევე საზეიმო ვითარებაში, საჩუქრების გადაცემა; დადგა საჩუქრის გადამცემთა რიგები და დაიწყო გამოცხადება... დედოფალს უკეთებდნენ სამკაულებს მკერდზე, ხელზე, ყელზე; ქალ-ვაჟს ყელზე გაუკეთდათ ქინძისთაგებით შეკრული ფულის ერთეულის, ლირის, კოჭებადღე დაშვებული წრიულები, ამ ცერემონიალის დასრულების შემდეგ დარბაზში, ყველა მაგიდასთან, მოიტანეს ლანგარზე დალაგებული პურის ნაჭრები კატლეტით და თითო ბოთლი კოკა-კოლა; შემდეგ, როგორც გვითხრეს, ქორწილი გრძელდება ვაჟის ოჯახში, ამ დროს 30-100 კაცზე იშლება

¹⁴⁸ ნ. კახიძე, ეთნოგრაფია და ფოლკლორი ძველი და ახალი ტრადიციების შესწავლის სამსახურში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1978; ი. მეგრელიძე, მემხლიანობა, ჟურნ. ჭოროხი, №1, ბათ., 1971.

¹⁴⁹ ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი; ტრადიცია და თანამედროვეობა, თბ., 1980.

¹⁵⁰ რ. მალაყმაძე, სახალხო დღესასწაულები ლიგანის ხეობაში, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, IV, ბათ., 2002, გვ. 92-102.

პურ-მარილი (გაანნია ვის როგორ უხერხდება) და გათენებამდე გრძელდება ცეკვა-თამაში.

ბევრ ოჯახში ვნახეთ სხვადასხვა სახის სამონადირეო იარაღი, რომელსაც შეუზღუდავად ისროდნენ გასახალისებლად, გასამხნეველად, გასახმიანებლად და შესაგულიანებლად.

სოფლებში ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებისათვის არის მხოლოდ ხუთკლასიანი სკოლები, რა თქმა უნდა, ყველა სოფელში აქვთ სამუსლიმანო სასწავლებლები და სალოცავები.

ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა აქედან ჩასული იაფი ქართველი მუშახელი. გავესაუბრეთ იქაურ ქალბატონებს საქმიანობაზე, გვითხრეს, რომ არ უხდებათ მძიმე შრომა; რომ ჩაისა და თხილს აქაურ ჩვენებურებს აკრეფინებენ და თვითონ ოჯახში და ეზო-კარში მუშაობენ. ხშირია ქართველ ქალთა თურქეთში გათხოვების შემთხვევები. მაგ. ხელვაჩაურელი დალი კომახიძე გათხოვილია ბორჩხაში, სოფ. შუახევში, სელიმ ათარზე; ხაშურელი მარინა ცაბაძე, ასევე, შუახევში, ქენან ილმაზზე, ქედელი ნაზი ბოლქვაძე – ბორჩხის რაიონის სოფელ თხილაზროში, დილავერ ოზბაირაქზე; ადგილობრივი ქართველობა თავისი ტრადიციების, ადათ-წესებისა და ეროვნულობის შესანარჩუნებლად საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა და ძირითადად ახერხებდა კიდევ, მხოლოდ ქართველთან, თავისი მოდგმის წარმომადგენელთან ექორწინა. ვფიქრობთ, აქაურ ქართველთა ქორწინებები თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დადებითი მოვლენაა, ჩვენებურთა ენისა და ეროვნების შენარჩუნებისათვის, ძველ ნერგზე ახლის აღმოცენებისა და გახარებისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, XIX ს. ბოლოსათვის, ხეობაში ძველი ქართული გვარები ზოგს შენარჩუნებული ჰქონდა, “ზოგს კი ოსმალურად გადაუკეთებია, მაგ. ქურდიანი დღეს ქურდოღლათ იხსენება, მარგიანი – მარგოღლათ, ბარამიძე – ბაირამოღლათ, და სხვა მრავალი”¹⁵¹.

მინდა შევნიშნო, რომ თუ XIX საუკუნის მკვლევრები თავისუფლად აფიქსირებდნენ ჩვენებურთა გვარებს თურქული დაბოლოებით – „ოღლი” და სთხოვდნენ მცხოვრებლებს გაეხსენებინათ ქართულ -ძე-ზე, -ია-სა და შვილ-ზე დაბოლოებული თავიანთი წინანდელი გვარები, დღეს კი, ლაზურ და ქართულ სახელებს თითქმის აღარც ერთი ლაზი და ქართველი აღარ ატარებს; თურქეთის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, აქვს თურქული გვარი, ამიტომ ჩვენებურებს „ოღლობით” წოდებული გვარებიც გასახსენებელი დარჩათ. თუმცა ძალიან ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც იციან

¹⁵¹ ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართულ მაჰმადიანთ ნაწილი. ლაზი-სტანი, ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, პირველი წიგნი, ტფ., 1927, გვ. 32.

თავდაპირველი გვარი (იხ. დანართი №9) და თავიანთი გვარის ისტორია, აქვთ წარსულის პატივისცემა და მისი ცოდნისა და ხსოვნის სურვილი. ამ მიზნით (თავიანთი ძველი გვარისა და ისტორიის ცოდნისა შექმნისათვის) აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირსაც (თავმჯდომარე – ნიაზ ბოლქვაძე) იქაურ სოფლებში გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია.

ექსპედიციის სამი დღე დავეყავით დევესქელის ხეობის იაილებში, სადაც ხის სახლთა ნაწილი ბოსლებზე დგას, ნაწილი, – ახლად აშენებული, ცალკე, ნაწილიც სახლებისა ბეტონითაა აშენებული და კეთილმოწყობილია სველი წერტილებით, საწოლები ფიცრებით აქვთ გაკეთებული. იაილაში, ბევრ ოჯახში ჰქონდათ ტელევიზორი.



თეთრი წყლის იაილის მემთეურებთან

საქონლის დასარწყულებლად ალაგ-ალაგ ბეტონის ავზები აქვთ გაკეთებული. ზოგიერთ ოჯახს პატარა ბოსტანი აქვს შემოღობილი. ქალების უმრავლესობა თავისუფალ დროს საქსოვად იყენებს; ქსოვენ მთასა და ბარში, წუთსაც არ კარგავენ.

თეთრი წყლის იაილაში არის სასტუმრო ტურისტებისათვის. აგრეთვე, იუნესკოს პანსიონი. იაილაში იღებს სათავეს მდ. მაჭახლის ერთ-ერთი

მარცხენა შენაკადი - თეთრი წყალი. აქედან 7-8 კმ-ზე, წამომართულია 3000 მეტრზე მაღალი კარნახალის დაკბილული მთები, ხოლო მისი ერთ-ერთი მწვერვალის ძირში არის ვარსკვლავის ტბა – “მასკავგოლი”, როგორც აქ უწოდებენ.



ვარსკვლავის ტბა

შთამბეჭდავი იყო ვარსკვლავის ტბაზე/მასკლავა გოლზე, თეთრი წყლის იაილის ჩვენებურებთან ერთად ჩატარებული ლაშქრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი უცვლელი მეგობარი სებასტიან ალფაიდინი.



მოლაშქრებთან ერთად კარჩხლის მთებში

ვარსკვლავის ტბაზე მიმავლებმა ვნახეთ პატარა მდინარე, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩნდებოდა და 5-6 მეტრში ჩვენს თვალწინვე უჩინარდებოდა. ვარსკვლავის ტბა თეთრი წყლის იაილიდან 5-7 კილომეტრზე, ზღვის დონიდან 3000 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს. შევუდექით აღმართს, კარჩხალის მთების კლდოვან-კბილოვანი მწვერვალებისკენ. მოლაშქრეთა მხიარულმა შეძახილებმა, რომელსაც მთები საპასუხო ექოს აძლევდა, გზის

სირთულე იოლად დაგვაძლევინა და სიმაღლეც გადავლახეთ. ჩვენს თვალწინ მრავალფეროვანი ყვავილებით გარშემორტყმული მდელო გადაიშალა.



მდ. თეთრი წყლის სათავე



ვარსკვლავის ტბაზე, 2007 წლის ივლისი

ტბამდე დასაშვები 200 მეტრიღა დარჩა. მდელიოდან მარცხნივ ოდნავ შემადღებუღი ადგიღიდან, შეუიარადღებღი თვადღიოთ ჩანს ბათუმიღს სამეღბის ეკღესღია, დღურბინდღიოთ კღ ხეღისღგუღღღიოთ ჩანდღ ზღვღ დღ ბათუმი, აქღოთ – არსღიანი, დღ იქღოთ – კღვკღსღიონღ. ტბღზე ჩასუღღები ტბასოთღნ ერთად მოღვექეღციოთ კღდღოვღღნ მთეღბსღ დღ თოვღღიღღნ ფერდღობეღს შოღრღის. კღმკღმღ დღ ნღხეღვრად ყინუღღიოთ დღფღარუღღი ტბღ ცღისფრად, თეოთრად დღ შღვად ლღვღღღღღებდღ. ზეღვიდღღნ ცხეღღი დღ მწვეღღი მზე დღგვცქეღროდღ, ტბღ კღ იმდენად ცღვიოთ იყო, არღოთუ ცღურვღს ვერ შეღძღღებდღი, არღმედ ხეღღ-ფეღსღაც წუთშეღსეღენეღბოთ თუ ჩღყოფდღი. ტბღს სღგრძე – 600-700, ხოღღო სღგღანე 300-400 მეტრი იქნებღ. მოღღღაშქრეღები მოგეღვიყნენ ლეღეღნდღს, როღ ტბღ ადრე დღდი ყოფღღღ დღ როღ აქ უნღხავოთ ნოე ფეღღღღამბრღის (წინღსწღარმეღტყეღღღღის) გეღმღს (კღდღობნღს) დღუზღ დღ ჯღჭკღი.

საოცრად მსღიარუღღი გღღწყობღღღებღ შეღქმნღ – იყო ტღში, შეღძღხღღღებღ, სღციღღღი, ცეკვღ – “სღმღ-სღმღღერღ”, შღღღრობღ:

ჰეღღო, შენღ თვღღებღ,
ღღამჰღღ დღ ფენერი,
ტრღპზონღღღღღნ მეღვტღღღე
შენღ წეღღის ქეღმერი.

ნეღვზეოთ უღგუღღი (ხღბღზოღღღი)

ფღდღუნღ, შენღ სეღრღოთეღღნ,
გღვეღ იღღღღის მენღზე,

გუღღში ბეღერი მღქვღ,
ვერ მიოთქეღღ ენღზე.

ხეღრღე იღღღღღი

გაღმა თეთრი ქათამი,
გამოდმა მოკაკანავს,
იაირი მომგონდება,
გულში გამაკაკანავს.

ნერმინ გენ (ბერიშვილი)

ფეხზე დელუქი მაქვა,
ოდენ წამოდებული,
იმღონი აბლავი მყავს,
ბათუმში მოდებული.

მირი ალფაიდინ (ფალაზოლლი)

სახლის უკან სათარი,
ერთი გოგო რაც არი,
სახლის უკან საქათმე,
ერთი გოგო ჩავქათმე.

ჰეირიე ილდიზ (მემელიშვილი)

თითზე ბეჭედი მაქო,
ბეჭედ თვალი არ აქო,
ბოშუნა, ნუ მიყურავ,
შენზე თვალი არ მაქო.

ნევეზეთ უიგული (ხაბაზოლლი)

უსმენ ჩვენებურებს, მათ ქართულს და კიდევ გეამაყება, კიდევ გიხარია და კიდევ გტკივა; გტკივა შენი სამშობლოს ბედუკუდმართობა და გეამაყება, რომ შენს ჯიშსა და ჯილაგს, მშობელ ფესვებს მოწყვეტილს, ყველაფრისთვის გაუძლია, მშობლიური ენაც ლამაზად შეუნახავს და ქართული სულიც. ამასვე უნდა გულისხმობდეს დიდი პოეტი ლექსში:

...კაი მექართულე ვედარა ვარ,
მაგრამ სული მიდუღს იმოდენა,

რომ შიგ სიტყვა – მარად მშობლიური,
როგორც გაზაფხული, იტოტება...¹⁵²

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი ტოლს არ უდებს საქართველოს სხვა მხარეებს სტუმარმასპინძლობაში. მართალია, ცხოვრების თურქული წესებიდან გამომდინარე, ეს კლასიკური ქართული ფენომენი რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ თავისი ძირითადი ფუნქცია დღემდე შეინარჩუნა.

საოჯახო ყოფაში, ძირითადად, დამკვიდრებულა სტუმრისათვის სადილის მისართმევად მაღალფეხა სკამების და მაგიდების გამოყენება, ნაცვლად ძველებური დაბალი სუფრისა (თუმცა, მასაც ხშირად იყენებენ). სუფრა აქვთ მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი, მაგრამ არ გამოირჩევა სიუხვით. ოჯახში საჭმელს ძირითადად პატარა მაგიდიდან მიირთმევენ, პატარა სკამებზე დამსხდარნი. ბევრგან ისევ შენარჩუნებულია სუფრასთან მუხლმორთხმული მისხდომა და ერთი საერთო თეფშიდან კერძის მიერთმევა. შეხვდებით კერძების ჩამორიგებით მიერთმევასაც, მაგ., სოფ. დამფალში.

სტუმარმასპინძლობისათვის გადაგებული ჩვენებურები იყვნენ, თურქები კი ამ მხრივ თავშეკავებულობას იჩენდნენ.

ხშირად ოჯახის ქალები სუფრასთან იდგნენ და თვალყურს გვადევნებდნენ, რომ არაფერი შეგვეკლებოდა – რომ დროულად შეეცვალათ და შეემატებინათ კერძები.

საგანგებოდ მინდა ჩამოვთვალო ის ოჯახები და დავასახელო ის პირები, რომელთაც „პირთ ჩვენი მთების ფერი ეფინათ“... და რომელთა „...თვალში ვხედავდით ჩვენს ცასა და ღრუბლებს“. მათ გაგვიწიეს არა მარტო კარგი ინფორმატორობა, **(ინფორმატორთა სრული სია იხ. დანართში № 10)** რამაც საშუალება მოგვცა ჩაგვეწერა ფოლკლორისა და ზეპირმეტყველების ნიმუშები, არამედ – კარგი მასპინძლობაც:

1. **რემზი ჩაქმაქ (მუხტარი)** – სოფ. გოლა – ჰემშილი
Remzi Çakmak (Muhtar) – Çifteköprü Köyü - Hemşin
2. **სებაათტინ და მერიემ ალფაიდინიები//ფალაზოდლი** – ბორჩხა, სოფ. არავეთი, გურჯები
Sebahattin ve Meryem Alfaydın//Palazoğlu – Borçka, Arkaköy, Gürcüler
3. **ბურჰან ალბაირაქ//ჯიგანაძე//ყავაზიშილი და სანიე ყადოდლი** – სოფ. სება – გურჯები
Burhan Albayrak//Ciganadze//Kavazishvili ve Saniye Kadoğlu – Karşıköy - Gürcüler

¹⁵² ფ. ხალვაში, ჩემი სანატრელი, საბჭოთა საქართველო, თბ., 1985.

4. სუმმან (შავშელი) და ასიე (მაჭახლეელი) – სოფ. თოღგომი – გურჯები
ჩიმენები
Summan (Şavşeli) ve Asiye (Maçaheli)
Çimen – Salkımlı Köyü – Gürcüler
5. სელიმ ათარი (ბორჩხა) და დალი კომახიძე (ხელვაჩაური) – სოფ. შუახევი
Selim Atar ve Dali Komahidze _ Alaca Köy – Buradaki
ve oradak Gürcütün ailesi
6. დავუდ იაშარი//სერთოღლი – ბორჩხის ცენტრი (ბაგინელი) – გურჯი
Davut Yaşar//Sertoğlu – _ Borçkanın merkezi (Balcı Köyünden) - Gürcü
7. ხალილ ოზგეთ//ფუტკარაძე – ბორჩხის ცენტრი –(მაჭახლეელი) გურჯი
Halil Özget//Putkaradze _ Borçkanın merkezi (Maçaheladan) - Gürcü
8. იუქსელ მელიქოღლი//მელიქიშვილი – ბორჩხის ცენტრი –(ხებელი) გურჯი
Yüksel Melikoğlu//Melikişvili _ Borçkanın merkezi (Heybeliden) Gürcü
9. სალი ყარა//ყაროსმანოღლი – სოფ. ქლასქური – გურჯი
Salı Kara//Karosmanoğlu _ Aralık Köy- Gürcü
10. სელიმ გიულ – სოფ. ქლასქური – გურჯი
Selim Gül _ Aralık Köy - Gürcü
11. მეთინ ყაია//ყაიბეგოღლი – სოფ. იბრიქლი – გურჯი
Metin Kaya//Kaybegoğlu _ İbrikli Köy - Gürcü
12. ახმედ ოზან//ბოლქვაძე – სოფ. დამფალი – გურჯი
Ahmet Ozan//Bolkvadze _ Anbarlı Köy - Gürcü
13. ნაზმიე ალთუნ//შაბანოღლი – სოფ. არხვა – გურჯი
Nazmiye Altun//Şabanoğlu _ Akpınar Köy - Gürcü
14. ალაათინ კოჯამან//დიდმანიძე – სოფ. კატაფხია – გურჯი
Alaattin Kocaman//Didmanidze _ Çavuşlu Köy –Gürcü
15. ილმაზ და ნურან შენთურქები – სოფ. მარადიდი – გურჯები
Yılmaz ve Nuran Şentürk _ Muratlı Köy –Gürcüler

16. სულეიმან მერთ//კაკვენი და
ნაჯიე მერთ//სუშუდოღლი
Süleyman Mert//Kakveni ve
Naciye Mert//Huşudoğlu
- სოფ. ომანა – გურჯები
_Ormanlı Köy – Gürcüler
17. ისმაილ ბილირ//ჰაჯიშვილი
(მაჭახლელი, მეუღლე თურქია),
İsmail Bilir//Hacışvili (Maçaheladan),
(Eşi Türk)
- სოფ. ვარაჭკანი – გურჯი
_Varlık Köy – Gürcüler
18. ფაათი გულთექენ (მუხტარი)
Faati Gülteken (Muhtar)
- სოფ. ვარაჭკანი
_Varlık Köy
19. თემურ უსტაელ
(მეუღლე გურჯი, დევესქელიდან)
Temur Ustael (Eşi Gürcü, Kayrancadan)
- სოფ. სინკოთი – თურქი
_ Sümbüllü Köy – Türk
20. ჯემილ ონგურენ
(მეუღლე გურჯი, ხებელი)
Cemil Öngüren (Eşi Gürcü, Heybeliden)
- სოფ. სეეტი – თურქი
_ Seyitler Köy – Türk
21. მიირიე ალფაიდინ// შამილიშვილი
Miiriye Alpaydın//Şamilişvili
- სოფ არავეთი-გურჯი
_ Arkaköy –Gürcü
22. ქენან ილმაზ//ჯაფარიძე და
მარინა ცაბაძე
Kenan Yılmaz//Caparidze ve Marina Tsabadze
- სოფ. შუახევი აქაური და
იქაური ქართველის ოჯახი
_ Alaca köyü buradaki ve
oradaki Gürcünün ailesi
23. მეთინ ყაია/ყაიაბეგოღლი
Metin Kaya/Kayabegoğlu
- სოფ. იბრიქლი -გურჯი
_ İbrikli Köy –Gürcü
24. ემინ დალყილიჩ
Emin Dalkılıç
- სოფ. იბრიქლი –გურჯი
_ İbrikli Köy – Gürcü
25. ნეჯათ სოიერ //მემოღლი
Necat Soyer// Memoğlu
- სოფ. დუზქოი– გურჯი
_ Düzköy – Gürcü
26. რიფათ ყარაოღლი და სალით გუნერი
- სოფ. ბაშქოი – გურჯი

ჩვენ მიერ შეკრებილ ფოლკლორულ ნიმუშთაგან ყურადღებას იქცევს ისეთი ტექსტები, სადაც ადამიანის ხასიათის თავისებურება და ინდივიდუალობა კარგად იხატება. მათში იკვეთება ცალკეული პირის მისწრაფება, მისი სურვილი, შეხედულებანი და ყოფისთვის დამახასიათებელი ლაღი იუმორი. მოქმელმა სელაათინ ალფაიდინმა ჩაგვაწერინა ასეთი ლექსი:

„როიც რომ მქონდა ფულებიო, ვჭამდი ხაჭოპურებიო,
როიცხა რომენ დემელია, ჩამოვყარე ყურებიო“.

მართალია, ეს ტექსტი არ არის ღრმააზროვანი და დიდად ჩამაფიქრებელი, მაგრამ მასში ქართველი ადამიანისთვის დამახასიათებელი იუმორი, უყაირათობა და ნებისმიერი მდგომარეობის ატანაა გადმოცემული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვერანაირი საზღვრები და რელიგიური განსხვავებულობანი ვერ ცვლის გენეტიკურად თანდაყოლილ ხასიათს. ისა ათარ მეღეგოღლიმ (მეღეგაშვილმა) სატრფიალო პოეზიის ნიმუშები მოგვაწოდა, სადაც ახალგაზრდა ადამიანის ოპტიმიზმი და წრფელი განცდებია გადმოცემული:

„თელას ტყავი გავაძერ,
ხიდან ხეზე გავაბი,
მე აქავრი გოგვები
თავკაპებზე დავაბი.“

ჭიშკარი გავაკეთე,
ყაზული ექანება,
მე შენ გოგოს ვუკბინე,
კბილი მექანება.

ფეხზე ფოთინი მაქვა
ოღენ წამოდებული,
იმღონი აშიღი მყავს
დუნიაში მოდებული“.

გოგოვ, გოგოვ, კისკისა,
წყალი მინდა ლიტრისა,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
კოცნა მინდა ლოყისა.”

ამ სტრიქონებიდან აშკარაა ხალისიანი ცხოვრებით ტკბობის სურვილი, და მომავლისადმი რწმენა, რომელსაც სიყვარული ასულდგმულებს. ქართული ფოლკლორი მდიდარია ამგვარი განწყობის სატრფიალო ნიმუშებით და ნიგალის ხეობაც ამ ერთიანობის აშკარა ნიმუშია.

დედები ხშირად ქალიშვილებს სათუთად ექცევიან, რადგან გათხოვების შემდეგ ისინი სხვა ოჯახში სახლდებიან, ნიგალელი ქალიც სწორედ

¹⁵³ ე. ბერიძე, ეთნოგრაფიული შენიშვნები ნიგალში ჩვენეული ჩანაწერების მიხედვით, შრომები XI, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ დამატება, თბ., 2008, გვ., 111-114.

ამის გამო აძლევს დედას გაფრთხილებას:

„წმინდა ძივი დემეპნა,
ამსხმელი ვარ, ამსხმელი,
დედიკო, ნუ მიყვირავ,
წამსლელი ვარ, წამსლელი.“

ამ ხეობის ქართველობა ინარჩუნებს მსგავსებას თავის ძირძველ ფესვებთან.

ერთ-ერთ სტროფში კი ქალისადმი ერთგვარი მითითება-რჩევაა გამოსხატული, რომ მან თავისი თვალების ელვარება და სილამაზის შუქი უნდა დამალოს, არავის არ დაანახვოს:

„წვანე-წვანე თვალები
შენ თვალებში გიყურე,
ვინმე არ დიგინახოს
თავი ბოლო დეიბურე“.

(მთქმელი: **ნაზიმე ყარა**)

აშკარაა, რომ მოკრძალებასა და თავმდაბლობასთან ერთად, აქ რელიგიური აღმსარებლობის ადათ-წესებიც არის მოაზრებული. დეტალებშიც და ფრაგმენტებშიც მსგავსება-განსხვავება კარგად შეიმჩნევა და შეიძლება მათი თვალსაჩინოდ გამომზეურება. ეს ერთი პატარა ლექსი მთლიანად იტევს არა მარტო ცალკე აღებული ხეობის, არამედ მთელი ბოლო საუკუნეების ისტორიისათვის დამახასიათებელ პერიპეტიებს და ყოფით რეალიებს.

მეუღლისადმი ერთგულებასა და სიყვარულში გაჯიბრებაა აღფაიდინისა და ნერმინ გეჩის მიერ წარმოთქმულ სტროფებში (ლექსებში, შაირებში) და ამ სიყვარულსა და ერთგულებაში იკვეთება რწმენა მეუღლისა, ვაჟკაცი-სა, მაღალი ზნეობა ქალისა, სიმტკიცე ოჯახისა.

წისქვილზე მირი დავაყარე
ბენდი გადაგდებული,
ჩემ იაიროს მე ვიცნობ
კისერ გადაგდებული.

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა,
იარო, შენი დანახვა და
ჯენეთი მომექცევა.

მომწვანო თვალიანი
თითზე ბეჭედი მაქვა,
ჩემ იაროს მე ვიცნობ,
ჟუჟუნა თვალები აქვა.

გაღმა თეთრი ქათამი
გამოდმისკენ უხტება,
ჩემ იაროს რომ დევნახავ,
გულში რაცხა მომხტება.

ირონია და გარე მაყურებლის შემფასებლობითი დამოკიდებულება ჩანს 65 წლის მთქმელის მიერ (ილმაზ შენთურქ, მარადიდიდან) წაკითხულ სტრიქონში.

„ბაბავ, გიმიში აჭარისტანში,
კოლექტივს დევახმარები პურისჭამაში“.

მაშინ, როცა ჩვენში საბჭოური პატრიოტიზმი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ყვოდდა და სავალდებულო სახოტბო პოეტურ ნიმუშებს ამზეურებდა¹⁵⁴, ნიგალის ხეობის საზღვარგარეთ.დარჩენილი ნაწილის ქართველობა პრაგმატულობის და მსუბუქი ირონიის ნახავ სტრიქონებს ქმნიდა, ითავისებდა და თავისთავადობასა და ეროვნულ ცნობიერებას უნარჩუნებდა.

ჩვენებურთა გულდია საუბრებსა და ადათ-წესების, ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების, მუჰაჯირობის, კვების პროდუქტების დამზადებისა და მშენებლობის შესახებ ჩაწერილ ტექსტებში შეხვდებით მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, იუმორს, ანდაზებს, **„ფასაფორტის“ გაკეთებისა და საქართველოში წამოსვლის სურვილს, ოცნებას.** ამ ჩანაწერებში თვალნათლივ ჩანს ჩვენებურთა ეთნოკულტურული ყოფა; მაგალითისათვის – მთქმელი: ნაფიე ქესკინ (50 წლის) სოფ. ბაგინი. „ბერ-დედაბერი ერთად მიეყარენ და თქვეს უწინდელი რაცხაები ვიპარაკოთო, ვიჭუჭუნოთო. შენ რომ მოგიყვანე, გოგო არ იყავი, იციო?! დედაბერსაც უთქმია კ(ქ)ი, ძირიდან არ დეიწყო, ზეიდან დეიწყო. არ ეამა ბერს კ(ქ)ი“.

დელოფლობისათვის მზადება და მეზობელი თერძი ქალისადმი მაღლიერების გრძნობაა გამოხატული შემდეგ ტექსტში.

„მუუტანდი ჩვენ ურბას, დაჭრევდა კარგათ, შემიკერებდენ, ჩამცმებდენ, დელოფალი დავდებოდით. ძველათ ენ კაი თერძი იყო გოგვებისა, მეტი გამახარებდენ, ფულსაც ცოტა ამართმებდინ, პატინა რაცხას მივეცემდით, ლოცვას მიეგებდა ბევრს“.

¹⁵⁴თ. შიოშვილი, ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წიგნი II, ბათ., 2004, გვ.99,103.

– ავადები გავხდებით, ვაკითხიათ, მეტი კაი ქალია. გონჯი უზრი ის აქ იშტი, კაცსა არას უძახის.

– დედაბერი ქალი ადექი და ტანი იბანე, რა ზორი.

შემდეგ ტექსტში – 5 ყათი გენილი ყავს, ერთი მეიყვანა შეიშალა, ამელიათი გახდა, მეორე მეიყვანა, ამელიათი გახდა, რძალი თლათ მეიყვანა, თლათ ამელიათი გახდა – გამოსატულია დედის პასუხისმგებლობა ოჯახში ახალი წევრების, რძლების შემოყვანის დროს, როგორც ეს არის ჩვენთან და არა როგორც მუსლიმანურ საზოგადოებაში (ოჯახში რძლის არასრულფასოვან წევრად მიღება).

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში კი ნაფიე ქესკინი აღწერს, თუ როგორ მკურნალობს მოტეხილობას.

1. „რავაი ვაგდებ, თუ მოტეხილია, შევხედავ, შევხედავ იშტე, გავაკეთავ, იმას შუუხვევ, კვერცხის ფქილით გავთქიფავ, გავლესავ, ფალაზხე დავახახავ, შუუხვევ, ის აღჩისი გახდების, გახმება, 15 დღე შეხვეული იქნება, იმის მემრე მოძრება, ხელიც გუუკეთდება“.

მთქმელი: ჰაჯერ ათამან (48 წლის) სოფ. დევესქელი, ალგვიწერდნენ, თუ როგორ ამზადებენ კერძებს:

„ჭიმური, გოგოვ, სიმინდ იცი, ჭადი გამააცხე ლამაზი, ცხელ კი ამეიღებ დიდ თეფში, ლამაზათ ჭად დადებ, ერთი ყაშული გინდა, ორი ყაშული გინდა, იმა დაადებ და ჩაბლუჯავ, ჭადი არნა გაცივდეს, მალ-მალენა ქნა იადი, გადნეს შიგან, იანზე აირანი მორეკე ხელით, იშიც შუაში ჩადე ლამაზათ, მოყარე ღარჭები, გუუდექ და ჭამე“.

ე.წ. პასუთა:

“ერთი თაბალი (თასი) ქფილი ჩაყარე, ერთი თასი შექერი, 3 თასი წყალი, ბითუმნა რეკო, ეგერ თუ სქელი ქნა, წყალს გეიგნებ იშტე, სქელი და თხელი ონაგორა იქ იშტა, ცუტ-ცუტა წყალ მიცემ, ბევრ არა, შენნა გააფერო, ჭკუა გაქვან იმდენი, თუ გინდა სამი ყაშულის ბეთმეზი ჩაასხი, თუ გინდა ბონინი, ჰამა ლამაზინა დააშუშუ, სული არ ედინოს, ქვედაიც არნა დახრაკო, სული არნა მუადებით მენჯერაზე“.

რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირების ეპიზოდია სებაათტინ ალფაიდინის მონათხრობში:

ჩხუბი გასკდა თავიდან, სავაში, თელი ხალხი, ვინ – ვის. მეემშიენ ასკრებსა, დედაბერთან მივდენ მეგერე, დედაბერსა საჭმელი მოთხვა, საჭმელი დუუდვა, მიართვა.

რუსები ძულდებიან ჩვენ ქართველებსა. მეგემ დევესქელში იყვენ, მუცლიანი ქალები დახიშტეს, თელი ღარჭები გამააგლებიეს და ძულდენ ისინი. ქალმა უთხრა, საჭმელი გინდებიანო თუ, ეშინიოდა, ჭამეთო და, ღმერთმა რა გაჭამონო. მეგერე ერთთანე შიან ქართველი არ ყოფილა ასკერ, ნენევე, მე კაი ვჭამე ჰამაო, მეს ქართველი ვარო და, **ვოომე, ესენიც ქართველი ყოფილანო და ჩემი ხალხი ხართო და უტირია მაშინ**. ჰამა რუსებსაც დიდი ბითური საქმე უქნიან, გაიგენ და რუსები ზულდენ.

ომს ყოველთვის ახლავს შემზარავი ფაქტები და ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგებიც; რუსეთი ქართულ მოსახლეობას ათავისუფლებდა ოსმალეთის საუკუნოვანი ბატონობისგან, მაგრამ ომის შედეგებისა და თურქული პოლიტიკის გამო, ჩვენებური რუსი ჯარისკაცის სიძულვილს განიცდიდა..... მაგრამ გული შესტკიოდა თავისიანზე და სამშობლოზე. 1878-1921 წლები ჩვენებურთა მესხიერებას მათი ქართველობის ნათელ კვალად აჭდე-ვია.

ტექსტებიდან ამოღებული გამონათქვამები:

1. პირ კოცნა თუ გინდა, ცხვირმა არ დიგიშალოს.
2. თაფლი დიგიკავებს (თაფლი უჭმელობას კარგა ხანს გაგაძლებინებს).
3. მაღალი ხერხები არი (მაღალი კბილოვანი, ხერხისებური მწვერვალები არის).
4. ფარა დააწვინა (ფული გადაიხადა, ფული ბანკში ჩადო, ფული გაუუფასურდა, როგორც იტყვიან, დაეწვა).
5. ღმერთმა წორეთ მათქმევიე და ა.შ. (ღმერთო, სწორად მათქმევინე).

შეიძლება დავასკვნათ:

თურქეთში მცხოვრებ ნიგალისხეობელთა აქ წარმოდგენილი სამეცნიერო და ფოლკლორული ნიმუშები ღირსსაცნობია არა მარტო კუთხური თავისებურებით, მისი მახასიათებლებით, ფიგურალური გამოთქმებითა და ისტორიული დიალექტიზმებით, არამედ ეთნოკულტურული საერთო ქართულის ჩვენებით.

თუ ადრე თურქული მეორე ენა იყო, დღეს იგი პირველი ენაა, ქართული თურქულშია არეული.


დიდ მამულიშვილურ საქმეებს აკეთებენ ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ (პრეზიდენტი – პროფესორი გიული ალასანია), საქართველოს პრეზიდენტის დედა; თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდი (დირექტორი – მეგლუდ ართვინელი); ქართული კულტურის საზოგადოება” (თავმჯდომარე, ცნობილი პუბლიცისტი – ეშრეფ ილმაზი); „საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია“; ლაზური კულტურის საზოგადოება (თავმჯდომარე – მეჰმედ ალი ბეშლი); ინგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება; ჩვენებურთა მიერ სტამბოლში გამოცემული დამოუკიდებელი ჟურნალები: „ჩვენებური“ (რედაქტორი – ოსმან ნური მერჯანი), „ფიროსმანი“ (მთავარი რედაქტორი – ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ფარნა ჩილაშვილი), გამომცემელი შენოლ თაბანი, რედაქტორი – ერდალ ქუჩუკუ), აგრეთვე, „მაჭახელა“ (რედაქტორი – ერდალ ქუჩუკი), ქართული ინტერნეტ რადიო – „ჩვენებური“, ასევე ინტერნეტ საიტი – www.chveneburi.net. ქართული არხები თურქეთის საქართველოში, (რომელიც ჩვენებურთა ძვირფასი შენაძენია, თუმცა ისინი განიცდიან, რომ ვერ „იგნებენ“, ტელევიზორის ქართულს მისი რიტმისა და ტემპის გამო); ხელოვნების წარმომადგენლები – ბაიარ შაჰინი და იბერია ოზგანი...

კლარჯეთის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ ქართული სწავლა-განათლებისათვის აქ თავდაუზოგავად მუშაობდა მარადიდელი თვალსაჩინო მოღვაწე ახმედ ხალვაში.

ბევრია წერა-კითხვის შესწავლის მსურველი. გაგვიჩნდა იდეა საკუთარი საშუალებებით ნიგალის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბორჩხაში, ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის დაგვეარსებინა ქართული წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები. ამ საქმის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობებითა და ჩემი თხოვნა-განცხადებებით, თანდართული შესაბამისი სასაწავლო გეგმით მივმართეთ აჭარის განათლების სამინისტროს და თურქეთის კონსულს საქართველოში (**იხ. დანართი №11**). სამწუხაროდ, კონსულისაგან ზეპირი უარი მივიღე.



სებაათტინ ალფაიდინი –
ჩვენი მეგზური ბორჩხაში



სოფ. სება
ბუჰრან ალბაირაქ ჯიგანაძე



სოფ. არავეთი, სებაათტინ ალფაიდინთან ერთად



სოფ. არხვა. კვერი



ბორჩხა, ბუჰრან ალბაირაქ//
ჯიგანაძის ოჯახში



ბორჩხა, თზგეთ ფუტკარაძის
ოჯახში



სოფ. შუახევის ინფორმატორებთან



თხილაზრო, ოზბაირაქ//გენშუროდლის ოჯახში შენთურქი და ჯავით ბოქაიდინი



სოფ. არხვა, ნაზმიე და ჰაირმე ალთუნ შაბანოდლებთან



სოფ. დამფალი, ოზან ბოლქვაძის ეზოში



სოფ. ტრაპენი, ოსმან ოზაიდინ// რეჯებოდლთან



სოფ. ებრიკა, მეთინ ყაია//ყაიბეგოდლის ეზოში



სოფ. ბაშქოი, რიფათ ყარაოღლის ოჯახში



სოფ. ბაშქოი, სალით გუნერის ოჯახში



სოფ. მაკრეთი თემურ თოფჩუს ეზოში



სოფ. დუზქოი, ნეჯათ სოიერის ოჯახში



ბორჩხა, დაუდ იაშარ//ცეცხლადის ოჯახში



სოფ. დამფალში, ბოლქვაძის მამულში



ბელღევანი, აჰმედ ქულუნქ – მამასახლისი



სოფ. კლასქური – სელიმ გული



კატაფხია,
ალაათინ კოჯამან//დიდმანიძე



გოლა, მარჯვნიდან მეორე
რემზი ჩაქმაქ – მუსტარი



მურღული – იენი ჩარში



მურღულში



მურღულში, 25.12.08



მურღულის ახალგაზრდებთან, 25.12.08



სოფ. დურჩა,
ასიმ და უსეინ აჯოღლები



სოფ. ხატილა
ჰალიდ ოზნელიკ// დელი სულოღულარ



სოფ. კატაფხია
ერდალ კოჯამან დიდმანიძე



სოფ. ქვედა მარადიდი
ექრემ დიზაროღლი



სოფ. კირნათი,
ვლადიმერ კახაბერიძე



სოფ. ზედა მარადიდი,
შოთა დიდმანიძე



სოფ. მაჭახლისპირი,
მ. წულუკიძე



ართვინის შესასვლელში, ინფორმატორი
ალი გურაქარ



ართვინი, მეჯიდ ილდიზ



სოფ. თოღგომი სუმმან ჩიმენის ოჯახი



სუმმან ჩიმენი



სოფ. ვარაჭკანი
ისმაილ ბილირთ//ჭაჯიშვილი მეუღლითურთ



სოფ. ვარაჭკანი
ფაათი გულთეკინის მეუღლესთან



სოფ. სინკოთი
მუხტარი თუმერ უსტაეღ



სოფ. სინკოთი
ბედრიე უსტაეღთან (მურღუღეღი)



სოფ. სვეტი, ჯემიღ ონგურენის ოჯახში



სოფ. სვეტი, ჯემიღ ონგუნერ



სოფ. ომანა, სულეიმან მერთ//კაკევი (მაჭახლიდან)



სოფ. ირსა, სულეიმან ოზჯან



სოფ. აგლახა, მუსტარი - ვურალ ერსევინჩი



სოფ. ვაზრია, მიქაილ ავჯი



**ბორჩხელ ბავშვებს ვაცნობთ
იაკობ გოგებაშვილის დედაენას**



სოფ. სინკოთი, ულურ ყურთ

2.2. ნიგალის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები

ნიგალის ხეობა უძველესი დროიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაწინაურებული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია. ამის უტყუარი დასტურია ჩვენამდე მოღწეული ისტორიისა და კულტურის ძეგლები, აგრეთვე, მოსახლეობაში დაცული გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები, წერილობითი და ლიტერატურული წყაროები.

ნიგალის ხეობაში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ქვის თაღიანი ხიდები, ციხეები, ეკლესია-მონასტრების ნაშთები, ქვევრები და სხვ. ისინი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლებია.

ნიგალის ხეობის მატერიალური კულტურული ძეგლები ავსახეთ ვიდუოფირზე, ადვწერეთ ამ ხეობაში შემორჩენილი ყველა ძეგლი: ციხესიმაგრე, ეკლესია თუ თაღოვანი ხიდი, აგრეთვე, პეიზაჟები¹⁵⁵.

ეს ძეგლებია:

მამანათის // დემირჯილარის/შეიშთლიკის/შეიდის ციხე: მამანათი ჩხალის ხეობის პირველი სოფელია ბორჩხიდან. ციხე ხოფა-ბორჩხის ცენტრალური გზიდან და ჩხალისწყლიდან ნახევარ კილომეტრით დაშორებულ შემადლებულ ადგილზეა აშენებული; ციხის სტრატეგიული დანიშნულება ხეობის დაცვის ფუნქციაც იყო. ციხის ტერიტორია დაახლოებით 100 კვ.მეტრს მოიცავს. შემორჩენილია ის ნაწილი, რაც გზიდან ჩანს. ადგილზე მისვლით შეიძლება დამატებით იხილოთ ციხის საძირკვლის ნაშთები და გაიგოთ მისი სიდიდე. ციხე ნაშენებია კლდოვანი და რიყის ქვებით.



მამანათის ციხე

¹⁵⁵ Э. Беридзе, Памятники материальной культуры Нигальского ущелья, историко-филологические изыскания, V, Батуми, 2008, с. 182.



მამანათის ციხის შიდა ნაწილი



მამანათის ციხის მცირე ნაწილი

მეორე მნიშვნელოვანი ციხე ნიგალის ხეობაში, რომლის დათვალიერებისას მეგზურობას გვიწვედა 16 წლის სინკოთელი უღუმ ყურთი, არის ისტორიული **სინკოთის ციხე**⁹. იგი აშენებულია 150 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე. ციხესიმაგრე სოფლების – სინკოთისა და კვარცხანის გამყოფ შუა მთის მწვერვალზე, ნაწილობრივ კლდეზეა დაშენებული. კვარცხანიდან თითქმის მიუდგომელი, კედლებჩამოქცეული, მაგრამ საკმაოდ მყარად შემონახულია მისი ცალკეული ნაწილები ისე, რომ თავისუფლად შეიძლება ადადგინო ციხის კონსტრუქცია. ადგილზე მისვლისთანავე იგრძნობ ციხის სიდიდეს და სიღიადეს, შორიდან კი მცირე ნაწილი მოჩანს. წყაროების დამუშავება, ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება ბევრ საინტერესო სურათს გადაშლის ციხის წარსულზე.



სინკოთის ციხე

ციხის მდებარეობა რელიეფიდან გამომდინარე (აქედან კარგად ჩანს ბორჩხის დასახლება და კონტროლდება ართვინის მიმდებარე ტერიტორია), სავარაუდებელს ხდის, რომ სინკოთის ციხე თავდაცვითი და უფრო მეტად, საკონტროლო ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც პირდაპირი კავშირი ექნებოდა ართვინისა და ბორჩხის სხვა ციხეებთან.



სინკოთის ციხე

ნიგალის ხეობის მთავარი ციხე, შეიძლება ითქვას **ართვინის** (თურქ. ლივანა ყალე) **ციხეა**. იგი აქ არსებულ ციხესიმაგრეებს შორის ყველაზე კარგადაა შემონახული, კარგად ჩანს მისი სრული კონსტრუქცია. ციხე აგებულია ხეობის ძირიდან საკმაოდ შემადღებულ ადგილას, ფრიალო კლდეზე. ზემოდან დაჰყურებს ხეობას და ისეა ნაგები, თითქოს რელიეფთანაა შეზრდილი. იგი სამი მხრიდან მიუვალია, მასში შეღწევა მხოლოდ ქალაქის მხრიდან თუ შეიძლება. მთლიანობაში ციხე დიდი ზომისაა, იგი შედგება გალავნისა და კოშკისგან. წყაროებით დასტურდება, რომ მასში პატარა ეკლესიაც ყოფილა. ციხე აგებულია სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ადგილზე და გადმოსცქერის ხეობას.



ართვინის ციხე

მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზეა გაშენებული **გვარას ციხე**, რომელიც ნიგალის ხეობის საქართველოს ნაწილში მდებარეობს. იგი აგე-

ბულია მდინარეების – ჭოროხისა და მაჭახლის შესართავთან, მთის ქიმზე. მდებარეობს ბათუმიდან 22 და აჭარისწყლიდან 3 კმ-ის დაშორებით. ციხის თვალთახედვის არეალში მოქცეული იყო ნიგალისა და მაჭახლის ხეობების ტერიტორიები, განსაკუთრებით ამ ტერიტორიების მისადგომები. ჩანს, იგი, ძირითადად, ორივე ხეობის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გვარას ციხეს საკონტროლო ფუნქციებიც ეკისრებოდა და დაკავშირებული იქნებოდა ნიგალის ხეობის სხვა ციხეებთან¹⁵⁶. მას დაახლოებით 150 კვადრატული მეტრი ტერიტორია უჭირავს და ნაგებია კლდოვანი რიყის ქვით. ციხე ნაშთების სახითაა დღემდე მოღწეული.



გვარას ციხის ნანგრევები

რაც შეეხება **მელოს ციხეს**, მდებარეობს მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვან ადგილას. ისტორიულ წარსულში იგი ჭოროხის შუაწელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციტადელი იყო.

მურღულის რაიონის სოფელ ქურას ზემოთ, მთებში, არის **ქვამჩირეთის ციხე**, ხოლო ჩხალის ხეობაში, დუხქოის ზემოთ, მთებში არის, ასევე,

¹⁵⁶ რ. მაღაყმაძე, მატერიალური კულტურის ძეგლები ლიგანის ხეობაში, ჟურნალი „საისტორიო მაცნე“ №XI, ბათ., 2002, გვ. 170-176.

ისტორიული ციხე, რომელთა ნახვა და აღწერა, მიუხედავად დიდი სურვილისა, არ მოგვიხერხდა. სათანადო წყაროების უქონლობის გამო, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება ამ ციხეების აგების თარიღის დადგენა.

რაც შეეხება ეკლესია-მონასტრებს, ხეობა ამ კუთხითაც გამოირჩეოდა წარსულში. ნიგალში ეკლესიები ყოფილა ბაგინში, ნიგიაში, კორიდეთში. თხილაზურში, შუშანეთში და სხვაგან¹⁵⁷, მაგრამ XVI საუკუნის შუა ხანებიდან ოსმალთა იმპერიის საზღვრებში მოქცეულ ქართველთა ეროვნულ და რელიგიურ შევიწროებას თავისი შედეგი მოჰყვა. მიუხედავად ოსმალთაგან ქრისტიანების შევიწროებისა და სალოცავთა ნგრევისა, დღემდე შემორჩენილი ეკლესია-მონასტრები (განსაკუთრებით – ტაო-კლარჯეთში) უმეტესად – ნანგრევების სახით, ზოგან ნანგრევებიც აღარ არის, მხოლოდ ჩვენებურთა ხსოვნას შემოუნახავს ცნობები ამ სალოცავთა არსებობის და მათი ადგილმდებარეობის შესახებ. ნიგალის ხეობაში, სამწუხაროდ, სალოცავები ნაშთების სახითაც კი ნაკლებად დარჩა. დღეს მათ არსებობას მკვლევართა და მოგზაურთა ლიტერატურის გაცნობით და ტოპონიმური მასალის აღწერით უფრო შეძლებ, ვიდრე – ნანგრევებით. იმ საინტერესო და მდიდარ ტოპონიმურ მასალაში, რომელიც მოვიძიეთ და ჩავიწერეთ ნიგალის ხეობაში, ბევრია ქრისტიანული შინაარსის შემცველი ტოპონიმი¹⁵⁸. მათი დიდი ნაწილის სახელწოდება თუ არსი შეცვლილია. ამ ტოპონიმთაგან ბევრია ისეთი, რომელიც ნამყოზე (წარსულში არსებობაზე) მიუთითებს: ნაეკლესია-ვი, ნაქილისვარი, ნაქილისავი, ქილისათა, ქილისაკარი, საყდარი და ა.შ. განსაკუთრებული პატივით და ხშირად მოიხსენიება სიტყვა – წმინდა (**იხ. დანართი №12**) მართალია, ამ ტოპონიმთაგან უმეტესობა სათესებს, საძოვრებს და ტყეებს ჰქვია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ სახელწოდებებში ადგილთა ისტორია ჩანს.

მაგალითად: ჩხალის ხეობაში არის სოფელი მონასტირი, ვნახეთ ნაეკლესიარი, სადაც ერთი საყრდენის საძირკველიდა იყო მხოლოდ და გადავიდეთ სურათები. დევსქელის ხეობაში, ოთინგოში (აღრე სოფელი იყო) ეკლესიის ერთი, მხოლოდ უკანა კედელია დარჩენილი. მისგან ორიოდუ კილომეტრზე, ოთინგოს თბილი აბანოებია. შედარებით კარგადაა მოღწეული ეკლესია სოფელ იბრიქლში//ებრიკაში, პეტრულში (ძველად –სოფელი მამაწმინდა).

¹⁵⁷ დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005.

¹⁵⁸ ე. ბერიძე, ქრისტიანული სალოცავები და ტოპონიმები ნიგალის (ლიგანა) ხეობაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ტბელობა“, მასალები, თბ., 2008, გვ. 321-327.



მამაწმინდის ეკლესია

ეკლესია გუმბათოვანია, მისი კედლები შიგნიდანაც და გარედანაც მრგვალია. მასში ოთხი გლუვი სარკმელია. გუმბათი ეყრდნობა ჩრდილოეთიდან



მამაწმინდის ეკლესიის ფრესკები



მამაწმინდის ეკლესიის შესასვლელი

და სამხრეთიდან გამოწეულ მართკუთხა შევრილებს. ეკლესიას აფსიდი არ გააჩნია, საკურთხეველი მართკუთხაა და გადახურულია ცილინდრული კამარით. არ არის დამატებითი სათავსები. ეკლესიის კედლები გარედან მოპირკეთებულია თლილი ფოროვანი ქვით, შიგნით – ნატეხი ქვით. ეკლესიის შიგნით ინტერიერი მთლიანად შეღესილი და მოხატულია. დღეისთვის ფრესკები ძლიერ დაზიანებულია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეკლესია XVI საუკუნეშია აგებული¹⁵⁹. აქაურებმა გვიამბეს, რომ აქ მოსულა ერთი ამერიკელი ქართველი რუკებით ხელში, სამი დღე უვლია ეკლესიაში,

¹⁵⁹ დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005, გვ. 223

მოუძევებია ოქრო და წაუღია*. ეკლესიის კარიბჭესთან, რომელიც საკმაოდ დიდია, მურყანი ამოსულა. იგი ღამის ფარავს ეკლესიის წინა ხედს. ეკლესიის დაზიანებული ფრესკებისა და წარწერების ამოკითხვა შესაძლებელია.

ეკლესიის ნაშთი ვნახეთ ართვინის რაიონის სოფ. სვეტში¹⁶⁰//სვითლერი, ნიგალას უბანში¹⁶¹. შემორჩენილია ეკლესიის კედლები და საძირკველი, შენობა კარგ ვაკე ადგილზე მდებარეობს, გადარჩენილია სრულ განადგურებას და შესაძლებელია ნაგებობის აღწერა. იგი არის სამნავიანი ბაზილიკა. დანგრეულია კამარები, ნაგების გამყოფი თაღები და მათი საყრდენები, სამხრეთის კედლის შუა ნაწილი. ეკლესია აგებულია მოყვითალო-ქვიშისფერი და რუხი ქვებით. ქვები თითქმის ერთი ზომისაა და ერთი სიმაღლის რიგად ლაგდება. რადგან ეს ეკლესია მეტ მსგავსებას ავლენს კლარჯეთის ამ ტიპის ეკლესიებთან, მკვლევრები მას X საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ.¹⁶² უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარი დ. ხოშტარია ეკლესიის ადგილმდებარეობას სოფელ ვეზირქოიში მიუთითებს, სინამდვილეში, იგი მდებარეობს

ართვინის სოფელ სვეტში//სვითლერი



ნაეკლესიარი სოფელ სვეტში

ეკლესია სვეტში, ნიგალაში


სოფ. სვეტი ერთ-ერთი დიდი სოფელია ნიგალაში. იგი ითვლის 400-მდე კომლს, 2000 მცხოვრებით, 12 უბნით, რომელთაგანაც ერთ-ერთი ნიგალაა. ჩვენ ვნახეთ ნიგალის ამჯერად მშრალი ხევი. პროფ. ი. სიხარულიძე აღნიშნავს, რომ მისი მთავარი შტოები კარჩხალის ქედის სამხრეთ განშტოებიდან მოედინება. კარჩხალის იგივე შტო ავლებს ამ ხევის აღმოსავლეთ და, ნაწი-

* სხვათა შორის, როცა ხიდებთა და ეკლესიებით ვინტერესდებოდით, ხშირად ჩვენც, ხუმრობით გვეკითხებოდნენ – თქვენც ოქროს ხომ არ ეძებთო?
¹⁶⁰ ამავე სახელწოდების ტეტრაქონის ტიპის ოთხაფსიდიანი ეკლესიის ნაგებობა ასევე დადასტურებულია ტაოში – ირ. გივიაშვილი, ირ. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004, გვ. 31.
¹⁶¹ Э. Беридзе, Памятники материальной культуры Нигалского ущелья, Историко-филологические изыскания, V, Батуми, 2008, с. 184.
¹⁶² დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრ. გვ. 216

ლობრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარსაც; სამხრეთით მომცრო ხევი (სვეტიბარი) ესაზღვრება, დასავლეთით – ჭოროხი, ნიგალისხევი შედარებით უფრო შორს, ჩრდილოეთით, განივრცობდა¹⁶³. ნიგალის ქვემოთ არის უბანი ჩარბიეთი, სადაც ცხოვრობენ ქურთები, უფრო ქვევით – უბანი სოტიბარი, იგივე სვეტიბარი.



სვეტის ეკლესიის ნაშთი, გადაკეთებული პურსაცხოზად, ქილისაყაფის უბანში



ნაეკლესიარი სოფელ სვეტში, ნიგალის უბანში

ისტორიული ნიგალის ხეობა პირველ რიგში მაინც ქვის თაღიანი ხიდების სიმრავლით გამოირჩევა. ეს ხიდები დღესაც შემორჩენილია ჩხალის, ბელღენის, ქლასქურის, დევესქელისა და მურღულის ხეობებში. ხიდები და აქ არსებული ძველი სამიმოსვლო გზები რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების მანიშნებელია¹⁶⁴.

ნიგალის ხეობაში ქვის თაღიან ხიდთა სიმრავლე განაპირობა ამ მხარის სავაჭრო-ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა მნიშვნელობამ¹⁶⁵. სწორედ ნიგალის ხეობაზე გადიოდა ერთ-ერთი უმოკლესი სავაჭრო - საქარავნო გზა, რითაც შავშეთ-კლარჯეთის ისტორიული მხარეები შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდნენ.

რასაკვირველია, სავაჭრო აღებ-მიცემობა და სხვა სახის ურთიერთობა მოითხოვდა ხელსაყრელი სამიმოსვლო გზებისა და ხიდების მშენებლობას.

¹⁶³ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

¹⁶⁴ Э. Беридзе, Памятники материальной культуры Нигалского ущелья, Историко-филологические изыскания, V, Батуми, 2008, с. 182-188.

¹⁶⁵ ი. მაღაყმაძე – მატერიალური კულტურის ძეგლები ლიგანის ხეობაში. ჟურნალი „საისტორიო მაცნე“ №XI, ბათუმი. 2002, გვ. 170-176.



ხიდი ჩხალისწყალზე, სოფ. მამანათში



ხიდი ჩხალისწყალზე, სოფ. მამანათში,
კოსტანეთის უბანში



ხიდი ჩხალისწყალზე, სოფ. დუზქოში,
სკიბათის უბანში

სოფ. ბელღენის (სასაზღვრო სოფელი) ცენტრი კარგადაა მოწყობილი. აქ არის სასულიერო და საერო სასწავლებლები, მაღაზიები, ბაზარი, სასადილო, ჟანდარმერია, ერთი სიტყვით, პატარა დაბას მოგვაგონებს. დავათვალიერეთ ხეობაში არსებული ქვის თაღოვანი ხიდებიც, ისინი ფოტოფირზე აღებეჭდეთ და განესაზღვრეთ ლოკალიზაცია მდინარეთა დინების მიხედვით. ამ ტიპის ხიდების მშენებლობის ტექნიკა, ხუროთმოძღვრული

სტილი ერთნაირია, აგებულია თლილი რიყის ქვით, უმეტესობა ერთთაღიანია, არის ორთაღიანი ხიდებიც.

1) მდ. ჩხალისწყალზე – 1. სკიბათში ორნაწილიანი თაღოვანი ხიდი – სოფ. დუხჭოის უბანი; 2. მამანათში - // დემირჯილარში და 3. კოსტანეთში, ყოფილი სოფელი, ამჟამად მამანათის უბანი. ყველა ხიდი კარგ მდგომარეობაშია.

2) მდ. მურღულისწყალზე, სოფ. გეველში, არხვაში გასასვლელი ხიდი – ასევე, ორთაღოვანი;

3) მდ. ქლასქურისწყალზე, ერთი წიქვავრიშვილების უბანში, გზიდან ახლოს, თუმცა გზიდან არ ჩანს და მეორე – წინწყალაშვილების უბანში ურყევად დგანან და გვესაუბრებიან, როგორც ვაჟა-ფშაველას „ლოდები კლდისა“. წიქვავრიშვილების უბანში ყოფილა კიდევ ერთი ხიდი, მაგრამ როგორც გვითხრეს, იმავე ადგილას თანამედროვე ხიდის მშენებლობის დროს რუსებს დაუნგრევიათ. მესამე - ქლასქურისა და ჭოროხის შესართავთან, კატაფხიაში ერთი დიდი თაღოვანი ხიდი ჭოროხს ღამის მთლიანად დაუფარავს, ჯერჯერობით ცოტა ნაწილი მოჩანს. ჭოროხის მარცხნივ, ხიდის პირდაპირ ჩანს პატარა ციხე-კოშკი, მიუვალი; გვითხრეს, რომ ადრე ეს კოშკი სათვალთვალო დანიშნულებისთვის გამოიყენებოდა.



ხიდი ბელღეენისწყალზე გიდრივეთის უბანში

ხიდი ბელღეენისწყალზე, ცენტრთან

4) მდ. ბელღეენისწყალზე, კატაფხიაში, გიდრივეთის უბანში, არის ასევე, კარგად შემონახული ორთაღოვანი ხიდი. გიდრივეთში, როგორც გვითხრეს, რუსები მოიპოვებდნენ სპილენძის მადანს. მდ. ბელღეენისწყალზე მეორე თაღოვანი ხიდი გეხვდება სოფელ ბელღეენის ცენტრის მისასვლელთან.

5) ხიდები არსებობს მდ. ხატილასწყალზეც.

6) სოფელ სვეტში რუსიოლის გზით (<Rus yolu) მიდისარ ჭომანის ხიდთან, იქვე, ახლოს, გოდრისხევის წყალზე არის თალიანი ხიდის ნანგრევები.

7) დევესქელისწყალზე არსებული თაღოვანი ხიდები (კუხუმერესა და ტანახროში) დანგრეულია, ჩანს მხოლოდ საყრდენები; ტანახროში გვხვდება ნაეკლესიარიც.



ხიდი ქლასქურისწყალზე
წინწკალაშვილების უბანში



ხიდი ქლასქურისწყალზე
წიქვაგრიშვილების უბანში

დღეს თურქეთში ტურიზმის განვითარების საქმე სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. ადგილობრივი ხელისუფლება ტურისტების მოსაზიდად, მათთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად ძალებს არ იშურებს – ციხეთა და ეკლესია-მონასტერთა ხელთუქმნელი ძეგლები, რომლებსაც ადრე უმოწყალოდ ანგრევდნენ, ახლა ტურისტულ რუკაზე აქვთ დატანილი. უნდა აღინიშნოს, რომ ტაო-კლარჯეთში არსებულ ბევრ ქართულ ეკლესია-მონასტრებამდე საავტომობილო გზები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იქნა მიყვანილი.

ცხოვრების ახალი რიტმი, ეკონომიკური წინსვლა და ტექნიკური პროგრესი ისტორიული საქართველოს ამ უძველეს რეგიონში განუხრელად გრძელდება. კეთილეწყობა და მშვენიერება სოფლები და ქალაქები, შენდება თანამედროვე სტილის საცხოვრებელი სახლები და ინდუსტრიული სიმძლავრეები, ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ახლებური ცხოვრებით ეხმაურებიან გარდასულ ხანათა მეტყველ მოწმეებს – ქართული მატერიალური კულტურის დიდნაშენ ძეგლებს: ეკლესია-მონასტრებს, ციხესიმაგრე-

ებს, ქვის თაღოვან ხიდებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია დღევანდელი საქართველოს გარეთ დარჩენილი ეს კურთხეული მიწა-წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე წარმოებს ტაო-კლარჯეთის კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის კვლევა, რეგიონის არეალის მასშტაბებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი კომპლექსური შესწავლა. აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები ელის არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას, რაც ჩვენი წარსულის ძალიან ბევრ საკითხს ნათელს მოჰფენს. ეს საშური საქმე კვლავ დღის წესრიგში დგას.



ხიდი მურღულის წყალზე



ჭოროხის წყლის მიერ დანგრეულ-დაფარული კატაფხია-არჩვეუთთან დამაკავშირებელი ძველი თაღოვანი ხიდი



ჯვრის რელიეფური გამოსახულება გვარას ციხეზე

2.3. ნიგალური მეტყველების ზოგიერთი თავისებურებანი

ნიგალი მეცნიერ-მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სტრატეგიული მდებარეობითა და ისტორიით, არამედ – ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეს უღამაზესი მხარე რამდენიმე საუკუნეა თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული, მაგრამ ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენა, რომელსაც აჩნევია ასიმილაციორული ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნიგალის ხეობაში ქართული დღესაც ცოცხალია და განაგრძობს არსებობას.

ქართულენოვანია ისტორიული ნიგალის, ქლასკურის, მურღულისა და დევსქელის ხეობები, აქ შემორჩენილი ქართული ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტით იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ჯერ ერთი, აქაური ქართული საინტერესოა ენათა კონტაქტების თვალსაზრისით და მეორე, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული ენის უძველესი ლექსიკური ერთეულები და ენობრივი ფორმები. (ნიგალური). ლივანური, შავშური და ტაოური სამხრული, ტაო-კლარჯული მეტყველება მრავალი ენათმეცნიერის კვლევის საგანი გახდა. მისასაღებელია ის, რომ ნიგალის ხეობის ქართულით, მისი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით დაინტერესდა არაერთი მეცნიერი და საყურადღებო ნაშრომიც მიუძღვნა¹⁶⁶.

მთქმელთა გადმოცემით, ნიგალის ხეობის დიდი ნაწილიდან, კერძოდ, ბორჩხის რაიონის ჩხალისა და ბელღევის ხეობებიდან, ასევე, ამ ისტორიული ხეობის ართვინის სოფლებიდან ქართული მოსახლეობა აყრილა და თურქეთის ქალაქებში: იზმირში, ბურსაში, ინეგოლში, ორდუში, ფაცაში, იალღოვასა და სტამბოლში გადასახლებულა, მათ ადგილებზე კი ლაზები, რიზელები – ენადაკარგული ლაზები, როგორც იქ უწოდებენ, და ჰემშილები – გამუსლიმანებული სომხები ჩამოსახლებულან. ადგილობრივი მცხოვრებლები ლაზებს მეგრელებსაც უწოდებენ. გურჯთა წასვლის მიზეზად მათ მომძღაურებასა და დაწინაურებას ასახელებენ, ლაზთა ჩასახლების მიზეზად კი – მათ გაჭირვებას და ჭანეთიდან საშოვარზე მთებში ამოსვლას.

¹⁶⁶ Март Н. Я., - Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, «Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского», СПб, 1911. მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, ბათ., 1954; მ. ცინცაძე, მ. ფაღავა, სამხრული მეტყველება და ქართული სალიტერატურო ენა, ბათუმი., 1998; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993;

ბორჩხის ტერიტორიაზე არავეთი, შუახევი, დევესქელი, ბაგინი, ქვ. ქლასქური, ზედა ქლასქური, იბრიქლი, ადაგული, ხება, ჯუჯანი, არხვა, ტრაპენი, დამფალი, თხილაზრო, ავანა, კატაფხია, არჩვეთი, მარადიდი, თვით ბორჩხა და ართვინის სოფელი ქართლა, ძირითადად, ქართულენოვანია.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით ლივანური მეტყველება ბევრ თავისებურებას ამჟღავნებს, მაგრამ მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მას შემონახული აქვს არქაული ფორმები.

ჩვენებურთა მეტყველებაში მომხდარი ენობრივი, გრამატიკული ცვლილებები და ძველი ქართულის ნიმუშები პირველივე შეხვედრებიდან შესამჩნევი ხდება¹⁶⁷; ვიწერთ ჩვენებურთა ქართულ მეტყველებას, ვინიშნავთ ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებს, როგორც თურქული მაწარმოებლებით გაფორმებულ ქართულს, ისე – დიალექტსა და სალიტერატურო ქართულს. ზოგ სიტყვას – პირდაპირი, ზოგს – სახეშეცვლილი მნიშვნელობით.

წარმოვადგენთ მოკლედ ჩვენს ნიგალურ ჩანაწერებს, ნიგალური მეტყველების თავისებურებებს:

როგორც ცნობილია, ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთან პირველ სერიაში სახელობით ბრუნვაშია, II სერიაში – მოთხრობითში, III სერიაში – მიცემითში, ნიგალის ხეობის ქართულში ეს წესი დარღვეულია, ქვემდებარის ბრუნვად სახელობითის მაგივრად იყენებენ მოთხრობითს (ისევე, როგორც ჩვენში მარადიდის, სიმონეთის, მახოს (ხელვაჩაურის რაიონი) მკვიდრთა მეტყველებაში:

დოსტმა მომიყვანს – დოსტი (მოყვარე) მომიყვანს;

კაცმა წერავს – კაცი წერს;

იმან ამბობს – ის ამბობს;

იმან გეტყვის – ის გეტყვის;

ძველებმა იტყოდნენ – ძველები იტყოდნენ;

ჩემმა ბადიშმა იჯდა – ჩემი ბადიში იჯდა;

მიცემითის ფორმა წარმოდგენილია ძველი ქართულის შესაბამისად, ფუძის სახით:

კაც ღჷრტყამს – კაცს დაურტყამს (მსგავსი ფორმები ჩვენშიაც გვხვდება).

-ებ თემის ნიშნის ნაცვლად ნახმარია -ავ თემის ნიშანი:

აადუღავ წყალს – აადუღებ წყალს

¹⁶⁷ ე. ბერიძე, თერთმეტი დღე ნიგალის ხეობაში, ჟურნალი „ფიროსმანი, №6, 2008, გვ. 53-55.

- ავ თემის ნიშანი გამოყენებულია -ი, -ებ და -ამ თემის ნიშნების ნაცვლად; ხშირად თემის ნიშანი წარმოდგენილია იქ, სადაც არ უნდა იყოს:

- ჭრავს – ჭრის;
- თხარავს – თხრის;
- ჭამავს – ჭამს;
- მაწერიავს – მაწერინებს;
- ღარჭი ითამაშავს – ბავშვი ითამაშებს.
- ღარჭ წერებდა – ბავშვი წერდა

-ავ და -ამ თემის ნიშანთა მონაცვლეობა დამახასიათებელია ქართული ენის სამხრული დიალექტებისათვის, ასევე ჩვეულებრივია ავ/ევ, ამ/ემ ფორმათა არსებობა, მაგრამ ჩვენ ნიგალის ხეობაში -ევ და -ემ ფორმიანი ზმნები იშვიათად გვხვდებოდა, თუმცა ნიგალის მეზობელი – მაჭახლის ხეობისათვის -ევ სუფიქსიანი აწმყოს მწკრივის ფორმები საკმაოდ ნიშანდობლივია: ვზიდევ, ხედევ, აკოჭევ¹⁶⁸.

- სიტყვა „გინება“ დასტურდება „გინვა“ ფორმით: “გინვა იციან”.
- მე-3 სუბიექტური პირის -ს ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია -ა, მაგ.,
 - გული არ აქვა – გული არ აქვს;
 - ფული არ მაქვა – ფული არ მაქვს;
- ობიექტური პირის ნიშნის – გვ -ს ნაცვლად გვხვდება ნიშანი – მ-
 - მაქვან – გვაქვს
- თავისებური შეთანხმებაა სახელისა და ზმნისა რიცხვში:
 - წყალი მომყავან – წყალი მომყავს;
- პური გამააცხებდინ – პურს გამოვაცხოვდით.

ქართული ენის აღმოსავლური დიალექტის მსგავსად დამკვიდრებულია „გამააცხე“ („ბიში გამააცხე“), აჭარულ დიალექტში – გამუაცხე, ლიტერატურულია – გამოაცხევე.

ამბობენ: ის ხებალია, ე.ი. ხებელია – ხებიდანაა; სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსი შეცვლილია -ალ სუფიქსით; ასევე, ავად ვარ, ვავად-მყოფობ ნაცვლად გაბატონებულია გამოთქმა – „ავადველი“ ვარ (ავად-ეულ-ი – ავად-ველ-ი). შეიძლება ამ -ველ-ში მორფემა ეულ - ვივარაუდოთ.

¹⁶⁸ მ. ცინცაძე, მფაღავა, სამხრული მეტყველება და ქართული სალიტერატურო ენა, ბათ., 1998, გვ. 70.

ყველა ქართულ სოფელში იხმარება სიტყვა „პატინა“ (ზედსართავი სახელი), რაც „პატარა“ და „პაწაწინა“ სიტყვებისაგან უნდა მომდინარეობდეს: პაწაწინა – პაწინა – პატინა; კარტოფილს ეძახიან მიწის ხაპს; აქტიურად გამოიყენება ქართული ლიტერატურული სიტყვები – რძალი და დაძმა, მათ აღმნიშვნელ თურქულს თითქმის არ იყენებენ. აჭარაში გავრცელებული ერთ-ერთი ხილის აღმნიშვნელი დიალექტური ფორმა – „ჟოლი“ ნიგალის ხეობაში საერთოდ არ იციან, სამაგიეროდ, ყველა სოფელში ამბობენ „თუთას“, ზმნიზედას – „ზემთ“ ასევე, ძირითადად, ლიტერატურული – ზემთ ფორმით ვხვდებით, ძალიან იშვიათად ხმარობენ სიტყვას – ძროხა, სამაგიეროდ, აქტიურად გამოიყენება „ფური“, „შემხვდეს“ ნაცვლად იყენებენ „შემყაროს“, „შიგნით“ ნაცვლად გვხვდება „შიგან“; „ვსაუბრობთ“ ნაცვლად – „ვაზირობთ“; არ გამოიყენება მობრძანდი-დაბრძანდი სიტყვის ფორმები, ბაღჩას ეძახიან ვენახს; „მაკიდო“ მწვანილს ყველა სოფელში მოიხსენებენ ძველი ქართული ფორმით – მაკიდონი, სიტყვას – შოთი იყენებენ ბაქლავისა თუ სინორისათვის გაღებული ბრტყელი ფენის აღსანიშნავად, რომელსაც ხშირად აკეთებენ კიდევ; როდესაც ჩვენში ღამის დამკვიდრდეს ბეწვეულის ჩასაცემლის აღმნიშვნელი უცხოენოვანი სიტყვა შუბა, ჩვენებურების სამეტყველო ლექსიკაში აქტიურად გამოიყენება სიტყვა ქურქი. სოფელის ნაცვლად ამბობენ – სოფლიერი; ეგეთი არა–ისეთი არა, მაგგვარი არას მნიშვნელობით – იმგვარი რამ არას; სიტყვა ლაპარაკი გვხვდება სამი ფორმით: ლაპარაკი, ლაპარიკი, ლაპაიკი. შენარჩუნებულია ლიტერატურული ფორმა სიტყვისა „ლაპარაკი“ (აჭარულ დიალექტში – „ლაპარიკი“), დასტურდება ისეთი ლექსემები, რომლებშიც ჩავარდნილია მთელი მარცვალი. მაგ., გეპარიკები- ლაპაიკი (გე(ლა)პარიკები) გელაპარაკები, ლაპარაკი

ნიგალელთა მეტყველებაში საერთოდ არ გვხვდება სიტყვა: „სწავლობს“, სამაგიეროდ, ამ დანიშნულებით იყენებენ სიტყვას – „კითხულობს“.

მურღულში, სოფელ ქურაში, დავაფიქსირეთ სოკოს სახელები – მარქვალა და წოროსწივა, როგორც ეს ჩვენთან არის.

იშვიათად გვხვდება უცხოენობრივი ფენაც, მაგ., ნაცვლად კომშისა – აივა, პომიდვრისა – ტომატისი,

ბორჩხის რაიონის მკვიდრი ქართველებისაგან ჩავიწერეთ საუბრები. წარმოვადგინთ ნიმუშებს, რომელთა ნაწილი პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ კონტექსტში შეიძლება გაიგო, (ზოგიერთ წინადადებას ახლავს თურქული სიტყვა ან მაწარმოებელი).

1. მარილ ჩააყრ, წყალ დაასხ, გამოიდ კიდო.
2. აადუღავ წყალს, ჩააყრი ფქილსა, დააცხებ კოვ და მოჭიჭყავ, საინემ დაასხავ და იად მასხავ.
3. „ენ კაი“– ძალიან კარგი (საუკეთესო).
4. წეიყვან მი“– წაიყვან თუ? ხომ წაიყვან?
5. ჯერ მაშხალი დაანთე, მერე ცეცხლი.
6. მასვეს ღვინო, გოდორი გახდა თავი.
7. ღარჭი გზაშია – ბავშიე მალე დაიბადება.
8. მოთხარა ღუნია, ისე შეეშინდა–შიშისაგან შემზარავად იყვირა.
9. მაღალი ხერხები არის – კბილოვანი, ხერხისებური, მაღალი მწვერვალები არის.
10. ჯერ თხილებმა გული ჩეიდვან, რომ ღორებმა შეჭამონ.
11. ტელეფონმა დიმიტრიალა – დამირეკა.
12. ცხროით დამკვდარან – გარდაცვლილან.
13. სული ჩაცხებინე – ჰაერი დაამატებინე.
14. რაფერ გაგანგებო – როგორ მიგახვედრო.
15. ჩვენი მუსლიმობიდან აფერი გამოვა.
16. ჩემთინ კაც მოკლის –ჩემი გულისთვის კაცს მოკლავს.
17. კაი ჭამავ, კაი სვავ, კაი დეიძინავ, თელი კუჭ ჯიგერები რაათლარან.
18. ჩემი ნენე ქართულჯე ღაპარიკობდა, თურქები მოქეშავდნენ, ქართულჯე არ იღაპარიკო, ქართულჯე იასალი იყო.
19. – რა გტკივა დიდმამო? 84 წელი მტკივაო (ჰუსეინ ჰაჯოღლი გორმიშ, 84 წლის)
20. ტელევიზორი დაკლიტე – ტელევიზორი გამორთე
21. მიაართვა, უსაქმურაი ჭამოს, ცხოვროს, ჩუუყარონა გუდაში.
22. წააფარებენ – ჩამოწევენ,(ნათქვამია დარაბის, “უალუხის” ჩამოწევაზე).
23. გადარეგლია – შერეულია
24. გუდუტრიალა – შეაბრუნა
25. დაპანტებენ – დაარიგებენ, ჩამოარიგებენ
26. გაწვიო – დაგპატიუო
27. მევეწევით – მივუსწრებთ
28. ჩიმიჭირეს – გამომიჭირეს

29. ამან მიძახა, ის სიმღერებინა ჩავთვალი, – ამან რომ მოხოვა, ის სიმღერები უნდა ჩაგაწერინო.

30. ტელეფონი დუუკრა – ტელეფონმა დარეკა

31. წინაი არ დააცხობიო – წინა არ დაარტყმევინო

ქართული ენის დიალექტთაგან იმერხეული (კლარჯული) კილო (რომელიც თავისთავად მოიცავს ლივანურ მეტყველებას – ე. ბ.) ერთ-ერთი თავისებური და „ჭრელი“ ენობრივი ერთეულია. იმერხეული ახლოს დგას ქართული ენის სამხრულ და დასავლურ დიალექტებთან: უწინარესად – აჭარულთან, შემდეგ – სამცხურ-ჯავახურთან, გურულთან; თავს იჩენს ქართლური ფენაც¹⁶⁹, ყოველივე ეს ნათლად იგრძნობა ჩვეულებრივი მოსმენით, ენობრივი ანალიზის გარეშეც.

ენობრივი ანალიზი კი ნათელს მოჰფენს ხანგრძლივ დროსა და უცხო ვითარებაში ქართული ენის მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქტურის შეცვლის რთულ პროცესს.



ოთინგოს ეკლესიის ნანგრევებთან

¹⁶⁹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 375-378; ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I თბ., 1989, გვ. 536.

თავი III

ტოპონიმია

გამოჩენილმა რუსმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ნ. ნადეჟდინმა ტოპონიმიკას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, კაცობრიობის ისტორიის შემსწავლელი წყარო უწოდა: დედამიწა, – წერდა იგი, – ეს არის წიგნი, რომელშიც კაცობრიობის ისტორია ჩაწერილია გეოგრაფიული ნომენკლატურის სახით. აქვე მკვლევარი მიუთითებდა იმაზედაც, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი ბგერათა უბრალო ნაზავს, ნაერთს ან სიტყვების უაზრო, გაუცნობიერებელ შეკავშირებას როდი წარმოადგენდა, ისინი, ეს სახელწოდებანი ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების ზუსტი ანარეკლია და ამიტომ მათი სპეციალურად შესწავლა ქვეყნის ისტორიის შესწავლას ნიშნავს¹⁷⁰. ნიგალის ტოპონიმია*, როგორც ყველა სხვა ქვეყნის ტოპონიმია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი სანდო და უტყუარი წყაროა, რომელშიც ამ კუთხეში მცხოვრებ ქართველ და სხვა ხალხთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების ხანგრძლივი და ბოლოქარი ისტორია ძალზე მართლად, ყოველგვარი ტენდენციურობისა და შელამაზების გარეშე არის ასახული.

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში გვხვდება მარტივი, აფიქსური და რთული გაფორმების სახელები. ნიგალის ხეობა ძირძველი ქართული რეგიონია და, ბუნებრივია, აქაური ტოპონიმია ქართულენოვანია, თუმცა საკმაოდაა თურქული შრეც, რაც მხარის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თურქულ ენობრივ გარემოში ყოფნის შედეგია.

3.1. მარტივი სახელები

როგორც აღიარებულია, მარტივფუძიანი სახელები ტოპონიმის უძველესი ფენაა. საკვლევ ტერიტორიაზე მარტივფუძიანი სახელები ხშირად გვხვდება და ისინი მეტწილად მცირე გეოგრაფიული ობიექტების სახელე -

¹⁷⁰ Н.И. Надеждин, Опыт исторической географии русского мира: Библиотека для чтения, С.- Пб., 1837, т. 22, ч. II.

* ნიგალის ტოპონიმის სტატისტიკური მაჩვენებლები წარმომავლობის მიხედვით, იხ. დანართი №13

ბად დასტურდებიან: **აგარა** სათ. სამ (აგლახა), **ახო** საძოვ. (დევესქელი), **ბარი** სათესი (თხილაზრო, ქართლა), **გომი** სოფ. უბ. (ბელღევანი), **ვაკე** სათესი (ებრიკა, ალაგული, დამფალი, ორჯოხო, შუახევი), **კაპანი** სათესი (ქვ. მარადიდი), **კორდი** სამ. (ალაგული), **ეწერი** ტყე (ქვ. მარადიდი), **სვეტი** სოფელი (ართვინი), **ტევრი** სამ. (ჯვანი, ქართლა), **ფონი** სათესი (დუზქოი, ებრიკა), **ფხაკი** სათიბი (ქვ. მარადიდი), **ღორღე** სამ. (იშხაბილი), **ხამი** სათესი (არხვა, შუახევი) და ა.შ.

მოცემული ტიპის სახელებს არ ერთვის რაიმე მაწარმოებელი აფიქსი. ისინი ხმოვანფუძიანიცაა და თანხმოვანფუძიანიც. ამ სახელების უმეტესობა ასახავს ადგილის დანიშნულებას, რელიეფს, რაიმე ნიშანს და სხვა.

3.2. აფიქსური წარმოების სახელები

ნიგალის ხეობაში გვხვდება მხოლოდ პრეფიქსებით, სუფიქსებითა და პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.

ა) ოდენ პრეფიქსებით ნაწარმოები სახელები:

როგორც ცნობილია, გეოგრაფიულ სახელთა მხოლოდ პრეფიქსებით გაფორმება ქართულ ტოპონიმიაში შედარებით იშვიათია¹⁷¹. ასეა ეს ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც. პრეფიქსებად უპირატესად დასტურდება **ნა-** და **სა-** თავსართები. **სა-** აწარმოებს “ყოფადი დროის მიმდევობას საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან. **ნა-** ნამყო დროის მიმდევობას, აგრეთვე, საშუალო და ვნებითი გვარის შინაარსით”¹⁷². ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში უფრო ხშირად გვხვდება **ნა-** პრეფიქსით გაფორმებული სახელები, იშვიათად დასტურდება **სა-** თავსართით ნაწარმოები ტოპონიმები:

ნა-ფლატ-ი // **ნა-ფლათ-ი** სამ. ტყე, მინერალური წყალი (ხება, კირნათი, აგლახა), **ნა-შენ-ი** სათესი, ტყე (მაჭახლისპირი, კირნათი), **ნა-სყიდ-ი** სათიბი, გზა (ალაგული, ქართლა), **სა-აკვან-ი** სათესი (არავეთი), **სა-სვენ-ი** სამ., ტყე (შუახევი, მირვეთი), **სა-ყენ-ი** ტყე (თხილნარი). დასტურდება ერთი მეტად საინტერესო სახელწოდება, რომელიც მე-პრეფიქსითაა გაფორმებული: **მე-თევზ-ი**. მიიჩნევენ, რომ ასეთ სახელებს ადრე საზღვრული წევრიც უნდა ჰქონოდა, რომელიც დროთა განმავლობაში ჩა -

¹⁷¹ თ. ზურაბიშვილი, „ტოპონიმის შესწავლისათვის,” კრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 140.

¹⁷² არ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 183.

ვარდა და ტოპონიმად დაგვრჩა მხოლოდ მსაზღვრელი.

ბ) სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში საკმაო სიხშირით გვხვდება სუფიქსებით გაფორმებული სახელები. მაწარმოებელ სუფიქსებად გამოყენებულია იგივე საშუალებები, რაც დამახასიათებელია საერთო ქართული ტოპონიმისათვის. დასტურდება სუფიქსები: **-ა, -ურ, -ელ, -ებ, -ათ, -თი, -თა, -ის, -ევ, -იან, -ნარ (//-ნად), -ოვან. . .**

ნიგალის ხეობაში **-ა** სუფიქსი ტოპონიმებს აწარმოებს არსებით და ზედსართავ სახელთაგან. საერთოდ **-ა** სუფიქსთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. აკად. ა. შანიძეს ა კინობითის სუფიქსად მიაჩნია, რომელიც ქონების, ასევე მსგავსების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში¹⁷³, აკად. ს. ჯანაშია კი ა სუფიქსს მასუბსტანტივებელ ხმოვნად მიიჩნევს **თელ-ოვან-ა, თხილ-ოვან-ა** ტიპის სახელებში¹⁷⁴. თ. ზურაბიშვილის მიხედვით, აღნიშნულ ფორმანტს არსებით სახელებთან კინობითის ფუნქცია აქვს, გეოგრაფიულ სახელებთან კი იგი ქონების, მსგავსების აღნიშვნის მნიშვნელობას იძენს¹⁷⁵. რთულ ჰიდროფორმანტებში (**-ურ-ა, -ულ-ა**) ა-ს კინობითობის მაწარმოებლად თვლის პროფ. აღ. ღლონტი¹⁷⁶. ფ. მაკალათიას ვარაუდით, გეოგრაფიულ სახელებში ა ხმოვანი ზედსართავი სახელების არსებით სახელებად ქცევის გარდამავალი საფეხურია¹⁷⁷. გ. ბედოშვილი ფიქრობს, რომ ა სუფიქსი მაკინებელი ტოპონიმური სუფიქსია. მას აქვს ქონების, თვისების, მსგავსების აღნიშვნის უნარი. ზოგჯერ მისი ფუნქცია გაურკვეველიცაა¹⁷⁸.

ნიგალის ხეობაში **-ა** სუფიქსით ტოპონიმები იწარმოება არსებითი და ზედსართავი სახელებისგან: **გურდ-ა** სათესი (ირსა), **კალათ-ა** საძ. (ირსა), **მერცხალ-ა** ჩაის პლანტაცია (მაჭახლისპირი, ხება), **ჭინჭარ-ა** მთა (თოლგომი), **ხებ-ა** სათიბი (ირსა), **გორ-ა** სოფ უბ., საძ., სათესი (ომანა, ადაგული, ბაგინი, შუახევი), **ველ-ა** სათესი (კირნათი), **კოკოლ-ა** ქელი

¹⁷³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I. თბ., 1973, გვ. 120-126.

¹⁷⁴ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II თბ., 1952, გვ. 218.

¹⁷⁵ თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

¹⁷⁶ აღ. ღლონტი, ტოპონიმური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 29-30.

¹⁷⁷ ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმია, I, თბ., 1976, გვ. 44-45.

¹⁷⁸ გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 16-17.

(ომანა). ა სუფიქსი გვხვდება სხვა ფორმანტებთანაც: **აკვანეთ-ა**, ტყე (კირნათი), **ბზვან-ა** ტყე (მაჭახლისპირი) . . .

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში ერთობ გავრცელებულია **-ეთ** სუფიქსი, როგორც ცნობილია, **-ეთ** ტოპონიმიკური სუფიქსია, რომელიც საკმაოდ ძველი და პროდუქტიული ფორმანტია ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. იგი ადგილის სახელწოდებას აწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური და საკუთარი სახელებისაგან¹⁷⁹.

საკვლევ რეგიონში **-ეთ** სუფიქსით გაფორმებული ოთხ ათეულამდე სახელი დასტურდება. იგი ძირითადად გვხვდება სოფლებისა და დასახლებული უბნების სახელების მაწარმოებლად : **ფანჩვ-ეთ-ი** სოფ. უბ. (ქვ. მარადიდი), **შუშან-ეთ-ი** სოფ. უბანი (კირნათი), **ფინხ-ეთ-ი** სოფ. უბანი (მამანათი), **კობალ-ეთ-ი** სოფ. უბანი (კირნათი), **არავ-ეთ-ი**, **არჩვ-ეთ-ი** სოფლები (ბორჩხა), **ბუღარ-ეთ-ი** ტყე, **თოჯინ-ეთ-ი** ტყე, წყარო (სვეტი, ქართლა), **კიბ-ეთ-ი** საძოვ. (დევესქელი), **კვირიკ-ეთ-ი** საძ. (ქვ. მარადიდი), **მარდუკ-ეთ-ი** თხილნარი (ხება), **სიმონ-ეთ-ი** სათესი (მირვეთი), **ღურღულ-ეთ-ი** კლდე (არჩვეთი), **ჭოლ-ეთ-ი** საძ. (კვარცხანა), **ჯემალ-ეთ-ი** სათიბი (სინკოთი) და ა.შ. **-ეთ** მეორე მაწარმოებლადაც დასტურდება: **კინცხურ-ეთ-ი** სოფ. უბანი (ხება), **ცინცაძე-ეთ-ი** სათ. (კირნათი), **პიგურ-ეთ-ი** სათესი (მირვეთი).

ჩამოთვლილი სახელების უმეტესობა ანთროპონიმული¹⁸⁰ წარმომავლობისაა. ამ სახელებში ზოგიერთი გვარსახელი თუ პიროვნული სახელი ამოიკითხება. მაგ., ფანჩვიძე, შუშანიძე, ფინხაძე, კობალაძე, არჩვაძე, სიმონიშვილი, ჯემალი.

კობალეთ, გვიანეთ... ტიპის სახელები „ტბეთის სულთა მატიანეში“ გვარებადაა მოხსენიებული¹⁸⁰. დღეს ეს გვარები გვხვდება საქართველოში, უფრო მეტად აჭარაში კობალაძე, გვიანიძე ფორმით, ხოლო ნიგალში შემორჩენილია ტოპონიმების სახით.

საკვლევ ტერიტორიაზე დასტურდება საინტერესო შემთხვევები, როცა ტოპონიმის მაწარმოებელი თითქოს არის **-იეთ-ი** სუფიქსი: **ანარ-ი-ეთ-ი** სათესი (ზ. მარადიდი), **თოდრ-ი-ეთ-ი** საძ., ტყე, სათესი (არავეთი, ქვ. მარადიდი), **იმნ-ი-ეთ-ი** სათიბი (მელო), **იმხრ-ი-ეთ-ი** (იმ მხარეს მდებარე

¹⁷⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 138. თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

¹⁸⁰ „ტბეთის სულთა მატიანე“, თბ., 1977.

ადგილი) სოფ. უბ. (არხვა), **კვეტ-ი-ეთ-ი** სოფ. უბ. (შუახევი), **ღომ-ი-ეთ-ი** სათესი (მელო), **ნათ-ი-ეთ-ი** საძ. (ომანა), **ნიშ-ი-ეთ-ი** სოფ. უბ. (ქვ. ქლასკური), **სალმ-ი-ეთ-ი** სათესი (ზ. მარადიდი), **ქურდ-ი-ეთ-ი** სოფ. უბ. (ხება), **ჩარბ-ი-ეთ-ი** სოფ. უბ. (ქვ. ქლასკური), **ცისარლ-ი-ეთ-ი** ტყე (შუახევი), **ძელ-ი-ეთ-ი** სოფ. უბ. (ავანა) და ა.შ. ჩამოთვლილთაგან ზოგი მათგანი გვარსახელური წარმომავლობისა ჩანს. თვით სუფიქსი **-ი-ეთ-** შეიძლება **-ი-ენტ-**საგან მომდინარეობს, ან ზოგ შემთხვევაში თავკიდური **ი** ფუძისეულია და სხვაგან კი ანალოგიითაა განვითარებული. საერთოდ, **-ეთ** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში ერთ-ერთი გავრცელებული მაწარმოებელია, იგი განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა მაჭახლის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

ნიგალის ხეობის ტოპონიმიში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს **-ნარ** (**// -ნალ**) **//-ნარ-ა** (**//-ნალ-ა**) სუფიქსებით გაფორმებულ სახელებს. ისინი უპირატესად დაერთვის მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებს და გამოხატავს კრებითობას, მიუთითებს ამა თუ იმ მცენარის სიმრავლეზე, ზოგჯერ – ნიადაგის რაგვარობაზეც და სხვა.

მაგ.: **ბარდ-ნალ-ა** სათესი (ზ. ქლასკური), **ბაღ-ნარ-ი** სათესი (ქვ. მარადიდი), **ვენახ-ნარ-ა** სათესი (ქვ. მარადიდი), **თიდ-ნარ-ი** (<**თიხ-ნარ-ი**) ტყე (შუახევი), **ნაძვ-ნარ-ი** ტყე, სათიბი (დამფალი, დევესქელი), **თხილ-ნარ-ი** საძოვ., სათესი (ომანა, ქართლა, ბაგინი), **კორკ-ნალ-ი** ტყე (ხება). **კორტ-ნალ-ი** საძ. (ადაგული), **კოხ-ნარ-ი** თხილნარი (შუახევი), **ნიგვზ-ნარ-ი** სათესი (დევესქელი), **ნორჩხ-ნალ-ი** ტყე (შუახევი), **ყორ-ნალ-ი** სათესი (ქვ. მარადიდი), **ჩირგვ-ნალ-ი** (ქვ. მარადიდი), **წაბ-ნარ-ი** (<**წაბლ-ნარ-ი**) სოფ. უბ. (კირნათი), **წიფ-ნარ-ი** (<**წიფლ-ნარ-ი**) სათესი (მირვეთი), **ბარდ-ნალ-ა**, **ბოგ-ნარ-ა** ტყე (კირნათი, ქვ. მარადიდი), **ვენახ-ნარ-ა** სათესი (კირნათი), **თიხ-ნარ-ა** სათესი ტყე (ირსა, მაჭახლისპირი), **კენჭ-ნარ-ა** თხილნარი, ტყე (ხება, დევესქელი), **თერ-ნალ-ა** (<**თელ-ნარ-ა**) სათესი, საძოვარი (დევესქელი), **ნაძვ-ნარ-ა** სათესი, სოფ. უბ. (მაჭახლისპირი, ბაგინი), **ნიგვზ-ნარ-ა** (<**ნიგვზ-ნარ-ა**) სათესი, თხილნარი (შუახევი), **ღომ-ნარ-ა** საძოვ. (ხება), **ქვიშ-ნარ-ა** სათესი (ადაგული). **ცაცხ-ნარ-ა** (<**ცაცხე-ნარ-ა**), **ცოცხ-ნარ-ა** სათესი (ხება), **ჭოღ-ნარ-ა** სათესი (ქვ. მარადიდი) და ა.შ.

-ურ-(-ულ-) სუფიქსი ნიგალის ხეობის ტოპონიმიში საკმაოდ გავრცელებული მაწარმოებელია. იგი ტოპონიმებს აწარმოებს სხვადასხვა სახელისაგან და უპირატესად მიუთითებს კუთვნილებაზე, მეტყველებაში კი –

წარმომავლობაზე. მაგ., სეპური ღაჭი (= სეპელი ბავშვი), დამფლური ძალი (=დამფლელი რძალი)...

კოხ-ურ-ი სათესი (ომანა), **პეტრ-ულ-ი** სოფ.უბ. (ქართლა), **ზედა-ურ-ი** სათესი (ირსა), **კორძ-ულ-ი** ქალაქ ართვინის უბანი, **ჭიბაკ-ურ-ი** სათესი (კირნათი). **-ურ-//-ულ-** გვხვდება ა სუფიქსით გაფორმებულ სახელებთანაც: **ას-ა-ურ-ი** ტყე (ირსა), **ბასილ-ა-ურ-ი** სოფ. უბ. (ვაზრია). **კასინ-ა-ურ** ბაღი (სირია), **კვეს-ა-ურ-ი** სოფ. უბ. (ზედა ქლასკური), **სინდ-ა-ურ** სათესი (ბეშავრი), **ფაკარელ-ა-ურ** სათიბი (ირსა), **შიშნ-ა-ურ** // **ჩით-ა-ურ** საძოვ. (ირსა), **ფარელ-ა-ურ** სათიბი (ირსა), **ჭიჭინ-ა-ურ** ბაღი (იშხაბილი), **თიკან-ა-ურ** საძ. (ბეშავრი) და ა.შ.

სმირად გვხვდება **-ა-ურ-ა > -ა-ურ-ი // -ა-ულ//ავრ//ავლ:** **ბეშავრი** ართვინის უბანი, **გელავრი** ტყე (შუახევი), **გორგავლი** სოფ.უბ. (ხება), **ეკალავრი** ტყე (კირნათი), **კვინტავრი** სოფ. უბ. (ბაგინი), **ლელავრი** სათესი (ომანა), **ლომავრი** ჩაის პლანტაცია (მაჭახლისპირი), **ლუკავრი** ტყე (ზ. ქლასკური), **მუმლავრი** სათესი (ზ. ქლასკური), **ფანხავრი** ტყე (შუახევი), **ჩიტავრი** სოფ. უბ. (დევესკელი), **ჭეჭელავრი** სათიბი (ებრიკა), **ჯაბალავრი** ...

იშვიათად დასტურდება **-ეულ-** სუფიქსით გაფორმებული სახელები: **ზაქარ-ეულ** სათესი (სინკოთი).

მოცემული ტოპონიმები მეტწილად პიროვნული სახელებისა თუ მეტსახელებისაგან, ასევე გვარებისაგან მომდინარეობს. ისინი აღნიშნავენ ადგილის კუთვნილებას იმავე პირისადმი, რომლის სახელი საფუძვლად უდევს ტოპონიმს. მაგ., **პეტრული** (=პეტრეს კუთვნილი მამული), ასევე იქნება: **ბასილაური** (=ბასილას თუ ბასილადის მამული) ...

-ოვან - // -ოვან-ა ფორმანტი ქონების გამომხატველია. ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში ზოგჯერ იგი გვხვდება თავკიდური ხმოვნის გარეშე. მაგ., **ბოსლ-ოვან-ი** ტყე, საძ. (ქართლა), **ვაშლ-ოვან-ი** სოფ. უბ. (თხილაზრო), **ვაშლ-ოვან-ა** სათესი (ტრაპენი), **კაკლ-ოვან-ი** საძ., ტყე, სათიბი (თხილაზრო, ბაგინი, დევესკელი), **კატრ-ოვან-ი** დასახლებული უბანი (ართვინი, შუახევი), **კოდ-ოვან-ი** სათესი (დევესკელი), **სხლ-ოვან-ი** სათესი, (დამფალი), **წიფლ-ოვან-ი** ტყე (თხილაზრო), **ნარ-ვან-ა** სათესი (ზ. ქლასკური), **თხილ-ვან-ა** ტყე, სათესი (ზ. ქლასკური, ადაგული).

ნიგალის ხეობაში რამდენიმე ტოპონიმი გაფორმებულია **-ევან-** სუფიქსით: **კაკლ-ევან** სათიბი ტყე (ბეშავრი), **კატრ-ევან-ი** სათესი (სინკოთი), **წიფლ-ევან** ტყე (სინკოთი), **ბედლ-ევან-ი** (სოფელი).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **-ოვან-** და **-ევან-** სუფიქსები ერთი და იმავე ფუძიდან აწარმოებს ტოპონიმებს. ასევე ზოგიერთი სახელის ბოლოკიდური ხმოვანი (სახ. ბრუნვის ნიშანი) მოკვეცილია (**კაკლევან**, **ფარელაურ**, **კასინაურ...**), რაც თურქული ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

საერთოდ **-ევან-** რთული შედგენილობის სუფიქსია. იგი მქონებლობას გამოხატავს და არაპროდუქტიულია. ასეთივე ფუნქციითაა **-ოვან-** ფორმანტიც, რომელიც ზოგჯერ კრებითობის ფუნქციით გვხვდება¹⁸¹.

ნიგალის ხეობაში რამდენიმე ტოპონიმი გაფორმებულია **-იან-** სუფიქსით: **გუბ-იან-ი** სათესი (მაკრეთი), **სველ-იან-ა** სათესი (თოღგომი). **-ან-ა** სუფიქსი ჩანს ტოპონიმში **ვაშლ-ან-ა** სოფ. უბ. (ადაგული). შესაძლებელია **ვაშლანა < ვაშლვანა < ვაშლოვანა**.

-ათ- სუფიქსს თვლიან **-ეთ-** სუფიქსის ზანურ შესატყვისად. მოცემულ სუფიქსს გამოყოფენ ტოპონიმებში: **მამ-ათ-ი**, **ბობოყვ-ათ-ი**, **ვან-ათ-ი**. თუმცა **-ათ-** სუფიქსის გამოყოფა ტოპონიმებში სადავოა¹⁸². საკვლევ ტერიტორიაზე დასტურდება ტოპონიმები, რომელთა მაწარმოებლად ჩანს **-ათ-**: **მამ-ათ-ი** სოფ. უბ. (თხილნარი სინკოთი, ზედა ქლასკური), **ბებერ-ათ-ი** ტყე (დევესკელი), **ბუმბულ-ათ-ი** საძ. (შუახევი), **ვან-ათ-ი** სოფ. უბნები (იშხაბილი, აგლახა) **ვიწროვ-ათ-ი** (<ვიწროათი/ საძ., ტყე (არავეთი), **კამარ-ათ** ტყე, საძ. (იშხაბილი), **მამან-ათ** სოფელი (ბორჩხა), **ტყე-მალ-ათ-ი** სათესი, თხილნარი, სოფლის უბ. (შუახევი, დევესკელი) **ჩირდილ-ათ-ი** ტყე, საძ. (ზედა ქლასკური, დევესკელი), **ჩურჩხელ-ათ-ი** ჩაის პლ., თხილნარი (ზედა ქლასკური).

-თა სუფიქსიანი სახელები საზღვრულდაკარგულ ფორმებადაა მიჩნეული. აკად. ვ. თოფურიას მიხედვით, ასეთ სახელებს „დროთა ვითარებაში უნ

¹⁸¹ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოღალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 136, 348.

¹⁸² იქვე, გვ. 24

უნდა დაჰკარგოდათ მეორე შემაღვენელი ნაწილი¹⁸³. ამის შესახებ მიუთითებდა აკად. ა. შანიძე¹⁸⁴.

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში არც თუ ისე ხშირია **-თა** სუფიქსით გაფორმებული სახელები: **ლეკ-თა** სად. ტყე, სათესი, მთა, იაილა (იალალი) (ბეშავრი, დევესკელი, კვარცხანა, ვარაჩკანი, ირსა, ზ. ქლასკური, ქართლა). სახელწოდება მომდინარეობს მცენარის სახელისაგან (ლეკი). **ბზა-თა** სათესი (შუახევი), **ვან-თა** სათესი (ირსა), **კოლორ-თა** ართვინის უბანი, **ჭურ-თა** ტყე (კირნათი)....

-თ-ი სუფიქსი აღმოსავლეთ საქართველოში გვაროვნულ სახელებში გვხვდება: **ამირ-თ-ი**, **ქავთარა-თ-ი**¹⁸⁵. ნიგალის ხეობაში ეს სუფიქსი ტოპონიმებს აწარმოებს საზოგადო სახელის ფუძისაგან: **ახო-თ-ი** სოფ. უბ. (აგლახა), **ავაზან-თ-ი** სათესი, სად. (ქართლა); **ახალ-თ-ი** სათესი (ვაზრია), **სკა-თ-ი** ტყე (შუახევი), **წუმპო-თ-ი** სათესი (ბაგინი), **ჭაბუკ-თ-ი** სათესი, ტყე (ადაგული).

-ობ- სუფიქსი ტოპონიმებში კრებითობაზე, მქონებლობაზე მიუთითებს¹⁸⁶, იგი აწარმოებს ტოპონიმს რაიმე ნიშნის მიხედვით¹⁸⁷. ნიგალის ხეობაში სულ რამდენიმე სახელწოდება გვხვდება აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები: **თეთრ-უბ-ი** (<**თეთრობი**) სად. წყარო, იაილა (ავანა, ქართლა, თხილაზრო), **კონტრ-ობ-ი** სად. (ბაგინი), **კონტრ-ოფ-ი** (<**კონტრობ-ი**) სად. (ირსა), **ქიშრ-ობ-ი** ტყე, სათიბი (ბეშავრი), **წითლ-ობ-ი** ტყე (ზ. მარადიდი).

-ებ- სუფიქსი საკმაოდ გავრცელებული მაწარმოებელია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის ტოპონიმიაში¹⁸⁸. ეს ფორმანტი გვხვდება ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც: **ახო-ებ-ი** სათიბი, ტყე (დევესკელი, ადაგული), **ბარ-ებ-ი** სათესი (ქართლა), **დოდოფლ-ებ-ი** -

¹⁸³ ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. სახელის ფუძის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. I. (ვ. თოფურიას რედაქციით). თბ., 1959, გვ. 288.

¹⁸⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

¹⁸⁵ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

¹⁸⁶ თ. ზურაბიშვილი, ნა-ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 151.

¹⁸⁷ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 338.

¹⁸⁸ პ. ჯაჯანიძე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები.-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, 1976, გვ. 111; მ. ჩიქვანი. ტოპონიმოკურ სახელთა წარმოება ლენხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1949, გვ. 234; გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22; გ. ხორნაული, მთები და სახელები. თბ., 1983, გვ. 46.

სად. (ადაგული), **ვენახ-ებ-ი** სათიბი (ადაგული), **ვერნ-ებ-ი** სათესი (იშ-საბილი), **ვაშლ-ებ-ი** სათესი (ჯუანი), **ზეგნ-ებ-ი** სოფ. უბანი (დამფალი), **კორმ-ებ-ი** სოფ. უბ. (ხება), **ფაცხ-ებ-ი** სად. (ადაგული), **წიფლ-ებ-ი** ტყე (ჯუანი), **ჭალ-ებ-ი** სათიბი (ებრიკა).

საერთოდ **-ებ-** სუფიქსის ძირითადი ფუნქცია მრავლობითის აღნიშვნაა, მაგრამ ტოპონიმებში მისი ფუნქცია თავისებურია. აკად. ა. შანიძე მიუთითებს, რომ ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია არ აქვს. ასეთი შემთხვევები ხშირია გეოგრაფიულ სახელებში¹⁸⁹. ეს ფორმანტი ტოპონიმებში ადგილის სიდიდეზე მიუთითებს¹⁹⁰.

XIX საუკუნის დასასრულს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს ქართველმა და უცხოელმა მკვლევრებმა, რომლებმაც შეკრიბეს ტოპონიმური მასალები. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი **-ებ-** სუფიქსით გაფორმებული ანთროპოტოპონიმები^o უპირატესად ამ ფორმანტის გარეშეა. მაგ., დღევანდელი ქიძინიძეები, გოგაძეები, პაქსაძეები... გვხვდება ქიძინიძე, გოგაძე, პაქსაძე... ფორმით. ამ სახელწოდებების **-ებ-** სუფიქსით გაფორმება ახალი მოვლენა ჩანს. ნიგალის ხეობაში კი ეს პროცესი დღესაც არაა დაწყებული და ანალოგიური ტოპონიმები გვხვდება ფორმით: **არაბიძე, გუნდაძე, გოგვაძე (<გოგუაძე), ნასყიდაძე, დოლაბიძე**, სოფ. უბნები (ომანა, ებრიკა, ავანა, ქართლა). **დიდმანიძე** ტყე (ქვ. მარადიდი), **კაკინძე** დელე (ბაშქოი), **კოხიძე** სათესი (თოღგომი), **ნაგერვაძე** ჩაის პლ. (ქვ. მარადიდი), **ქურდაძე** სად. (მელო)...

ბუნებრივია, სახელწოდებაში **ნაგერვაძე** იგულისხმება ნაგერვაძის მამული (სათესი, სათიბი...), მაშასადამე, ასეთი ტიპის სახელები საზღვრულდაკარგული ფორმები უნდა იყოს.

ნიგალის ხეობაში რამდენიმე ტოპონიმი გვხვდება **-ია** დაბოლოებით: **ვაზრ-ია, სირ-ია** (ართვინი), **ნიგ-ია** სოფ. უბ. (ებრიკა), **კატაფხ-ია** სად. (ქართლა), **პაპ-ია** სად. (სვეტი)...

-ია დაბოლოებიანი ტოპონიმები გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგ., **ანდაქ-ია, გაგად-ია, კვატ-ია, ნენ-ია**... ზემო აჭარაში¹⁹¹, **ანარ-ია, აკვან-ია, ხიც-ია**... წყალტუბოს რაიონში¹⁹². მთიანი სამეგრე -

¹⁸⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

¹⁹⁰ პ. ჯაფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110-111.

¹⁹¹ მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992, გვ. 21.

¹⁹² პ. ჯაფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

ლოს ტოპონიმიში -ია კნინობითობის მაწარმოებელია. მაგ., **ზღვა-ია** “მცირე ზღვა”, **ფოქე-ია** “მცირე მღვიმე”...¹⁹³. **და-ია**, **ძამ-ია**, **ტაგან-ია** ტიპის ფორმებში აკად. ა. შანიძე -ია-ს კნინობითის მაწარმოებლად გამოყოფს¹⁹⁴.

ნიგალის ხეობაში რამდენიმე სახელი -**ო** სუფიქსითაა გაფორმებული: **პაკ-ო** სოფ. უბ. (ხება), **მელ-ო** სოფელი (ართვინი), **ფრიალ-ო** სათესი, კლდე (თხილაზრო), **ჩიბ-ო** ტყე, სათესი (დევესკელი, ზ. მარადიდი). ასევე რამდენიმე ტოპონიმი დასტურდება, რომელიც -**ევ-** სუფიქსითაა ნაწარმოებული: **ბერძნ-ევ-ი** სოფ. უბ. (ზ. მარადიდი), **ბოსტნ-ევ-ი** სათესი (ქართლა), **კრუხ-ევ-ი** (ყრუხევი) საძ. სასაფლავო (ებრიკა, ომანა). -**ევ-** სუფიქსს აკად. ა. შანიძე მრავლობითის მაწარმოებლად მიიჩნევს¹⁹⁵.

საკვლევ ტერიტორიაზე იშვიათად გვხვდება სხვა სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმებიც. მაგ., **სანათ-ის-ი** სოფ. უბ. (შუახევი). **სინკო-თ-ი** სოფელი (ართვინი).

გ) ტოპონიმთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება:

ნიგალის ხეობის ტოპონიმიში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებას. პრეფიქსებად ძირითადად გვხვდება წინავითარების **ნა-** და დაანიშნულების **სა-** თავსართები (იშვიათად დასტურდება **მე-** პრეფიქსიც). სუფიქსები კი საკმაოდ ბევრია. **ნა-ევ:** **ნა-კალ(ო)-ევ-ი** სათესი (შუახევი), **ნა-ფარცხ-ევ-ი** საძ. (შუახევი), **ნა-ნალი-ევ-ი** სათიბი (შუახევი), **ნა-ღვარ-ევ-ი** სათესი (დამფალი), **ნა-ხალხმ-ევ-ი**° საძ. (არავეთი), **ნა-(ა)გარ-ევ-ი** სათიბი (დევესკელი), **ნა-ბერ-ევ-ი** ტყე (შუახევი), **ნა-ჭიშკრ-ევ-ი** ტყე (კირნათი). **ნა-ღობილ-ევ-ი** ჩაის პლ. (კირნათი), **ნა-კირნათ-ევ-ი** სოფ. უბ. (კირნათი), **ნა-ორმ-ევ-ი** სოფ. უბ. (ქვ. მარადიდი), **ნა-დარბაზ-ევ-ი** სათესი (კირნათი), **ნა-ახვ-ევ-ი** (<**ნა-ახო-ევ-ი**) ტყე (კირნათი), **ნა-სახლ-ევ-ი** სათესი (მაჭახლისპირი), **ნა-ახლ-ევ-ი** (ზ.მარადიდი), **ნა-თიბ-ევ-ი** სათიბი (კვარცხანა, **ნა-კირ-ევ-ი** საძ. (ვაზრია), **ნა-იმფხრ-ევ-ი**° სოფ. უბ.; ჩაის პლ. (ზ. ქლასკური), **ნა-ბოსტნ-ევ-ი** სოფ. უბ. (შუახევი), **ნა-ბაკ-ევ-ი** ტყე (ხება)...

¹⁹³ პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი. თბ., 1985, გვ. 92.

¹⁹⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 120.

¹⁹⁵ ა. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. III. №8, 1941, გვ. 766.

ნა-არ-, **ნა-არ-ა**: **ნა-ბუკე-არ-ი** სათესი (ადაგული), **ნა-სიმინდ-არ-ი** ტყე (ბეშავრი), **ნა-ფუზ-არ-ი** (<**ნა-ფუძ-არ-ი**) სათესები (ადაგული, ბაგინი, დევესკელი), **ნა-მწვ-არ-ი** საძ. (ომანა), **ნა-მუხუდ-არ-ი** ტყე (ომანა), **ნა-ფაცხ-არ-ი** ტყე (დევესკელი), **ნა-ღუმე-არ-ი** (<**ნა-ღომ-არ-ი**) ტყე, სათესი (დევესკელი, ქვ. მარადილი), **ნა-ფიც-არ-ი** ტყე (კირნათი), **ნა-ფეტე-არ-ი** სათესი (კვარცხანა), **ნა-თუთუნე-არ-ი** სათიბი (ბაგინი), **ნა-სელე-არ-ი** საძ. (ქართლა), **ნა-დიკე-არ-ი** ტყე (სინკოთი), **ნა-ქოსე-არ-ი** ტყე (ადაგული), **ნა-დიკე-არ-ა** სათესი (ადაგული)...

ნა-აე-: **ნა-ბედლ-აე-ი** ტყე, საძ. თხილნარი (სინკოთი, კირნათი, შუახვევი, ხება), **ნა-სელ-აე-ი** ტყე, სათესი (მირვეთი, ადაგული, დამფალი, დევესკელი), **ნა-ფურნ-აე-ი** სათესი (ავანა), **ნა-ბოსლ-აე-ი** ტყე (კირნათი), **ნა-წერ-აე-ი** საძ. (ბაგინი) **ნა-ცერცე-აე-ი** სათესი (ქართლა)...

ნა-ებ-: **ნა-ასლ-ებ-ი** ტყე (ჯუანი), **ნა-კალთ-ებ-ი** სათესი (არავეთი), **ნა-ნალი-ებ-ი** სათესი (ებრიკა), **ნა-ჭე-ებ-ი** (**ნა-ჭეაე-ებ-ი**) სათესი, თხილნარი (ადაგული)...

ნა-ე: **ნა-მარნ-ე** საძ. (სირია);

მე-ურ-: **მე-თა-ურ-ი** სათესი (კვარცხანა).

საკვლევ რეგიონში დანიშნულების აფიქსთაგან საკმაოდ სიხშირით გვხვდება **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსი: **სა-თიბ-ე** სათ. (ბაშქოი), **სა-მზორ-ე** (სამძორე) საძ. (დევესკელი), **სა-წურბლ-ე** სათ. (ბაგინი), **სა-ჭინკ-ე** მთა (თოლგომი), **სა-ბულთ-ე** (საბურთე) სათ. (აგლახა), **სა-ცივ-ე** სათესი (თხილაზრო), **სა-კირ-ე** საძ. (ომანა), **სა-გუგულ-ე** სათესი (ხება), **სა-ნისლ-ე** სოფ. უბ. (ხება), **სა-ყავრ-ე**, **სა-ტურნ-ე**, **სა-წურბლ-ე**, საძოვრები (ხება, ციხია, ჯუანი), **სა-ქორ-ე** ტყე (სინკოთი), **სა-ვირ-ე**, **სა-ბულ-ე** სათესები (სინკოთი, ადაგული), **სა-ბუფ-ე** სათიბი (დევესკელი)...

სპეციალურ ლიტერატურაში, **სა-ო** და **სა-ე** ტოლფას პრეფიქს-სუფიქსებად მიიჩნევა. ოღონდ **სა-ო** აფიქსს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს¹⁹⁶. ნიგალის ხეობაში კი უფრო პროდუქტულია **სა-ე** აფიქსი. **სა-ო** უფრო იშვიათად გვხვდება ტოპონიმების მაწარმოებლად: **სა-სადილ-ო** საძ. (კვარცხანა), **სა-თაე-ო** წყაროები (ბაგინი, ებრიკა), **სა-თემ-ო** საძ. (ომანა)...

¹⁹⁶ ა.შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

სა-ია (<სა-ე-ა): საკვლევ ტერიტორიაზე ამ აფიქსებით გაფორმებული სულ რამდენიმე ტოპონიმი დასტურდება: **სა-სვენ-ია, სა-ქორ-ია, სა-ჭინკ-ია** ტყეები (ქვ. მარადიდი, კირნათი).

სა-ეთ-: **სა-ქავრ-ეთ-ი**^o (<საყავრეთი) სათესი (ორჯოხი), **სა-ჭალიმ-ეთ-ი** საძ. იაილა (იალალი), სათესი (ქართლა, ქვ. მარადიდი), **სა-ისალ-ეთ-ი** ტყე (ქვ. მარადიდი), **სა-ყავრი-ეთ-ი** (<საყავრეთი) საძ (ვაზრია), **სა-ქური-ეთ-ი** (<საქორიეთი) სათესი (იშხაბალი).

სა-ურ-: **სა-ბად-ურ-ი** ტყე, სათესი (ომანა, ქართლა, ადაგული, ებრიკა).

სა-ევ-: **სა-მალ-ევ-ი** საძ (შუახევი), **სა-თხ-ევ-ი** საძ. (იშხაბალი).

სა-ელ-: **სა-ხვეწ-ელ-ი** ნიგეზნარი, სათიბი (დევესკელი, აგლახა)...

სა-არ-: **სა-უბნ-არ-ი** სათესი (შუახევი), **სა-ბუდ-არ-ი** ტყე (კირნათი).

როგორც ვხედავთ, პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული სახელები ნიგალის ხეობაში საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. ასეთი წარმოება უპირატესად გვხვდება მიკროტოპონიმიში. იშვიათად გვხვდება დასახლებული უბნების სახელების მაწარმოებლად.

3.3. თხზული ტოპონიმები

ნიგალის ხეობის ტოპონიმიში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიტყვით შეერთებით გაფორმებულ ტოპონიმებს. გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის თხზული ტოპონიმები.

საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სიტყვათშეთების შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

ა) **არსებითი სახელი** (ნათ.ბრ-ში, ანუ მართული მსახდვრელ-სახდვრული) + არსებითი სახელი: **აგარის ქედი ქედი** (ჯუანი), **ბერის ხევი** სათესი (დევესკელი), **გზის პირი** საძ. (ხება), **გოდელის ფსკერი** საძ. (ომანა), **ველის წვერი** სათესი (თხილაზრო)... ამ სახელებში მსახდვრელი არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია. ბრუნვის ნიშანიც შენარჩუნებულია. გვაქვს მაგალითები, რომლებშიც მსახდვრელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი მოკვეცილია, კომპოზიტის ორივე წევრი მსოლობით რიცხვშია: **აბანოქედი** საძ. (ჯუანი, ქვ. ქლასკური), **ბარიდელე დელე** (ქართლა), **ბუმბულიწვერი** საძ. (ჯუანი), **გვარიქედი** სათესი (კირნათი), **გუბიძირი** სათესი, ჩაის პლანტ. (ქვ. მა -

რადიდი), **დათვიყანა** სათესი (ჯუანი), **დოლაბიკარი** სათიბი (დევესკელი), **ვაკითავი** ჩაის პლან. (მირვეთი), **ვაკისერი** საძ. (ადაგული), **ვარდიყანა** სათიბი, **თხილნარი** (ადაგული), **ვარდიჭალა**, **ვირიზრუგი**, **ვირიყანა**, **თავიკალო** სათესები (ჯუანი, შუახევი, ზედა მარადიდი), **ირმიტქა**, **კილდისერი** საძოვრები (ქვ. მარადიდი, ბაგინი), **კალოპირი**, **კაცითოხი** ტყეები (კირნათი, შუახევი), **მაჭახელიქედი** ქედი (ზედა ქლასკური), **მამულიკალო** საძ. (ომანა), **ნავითავი** სათესი (მაჭახლისპირი), **ნეფიწყარო** წყარო (კირნათი), **ნისლიქედი** თხილნარი (ხეზა), **სახელითავი** სათესი (არხვა), **ტურიბუდე** ტყე (კატაფხია), **ტურიფოქვი** ტყე (ქვ.მარადიდი), **ქათმიწყარო** თხილნარი (შუახევი), **ქვაბიკარი** სოფ. უბანი (ებრიკა), **ქვითავი** ტყე (ქვ. მარადიდი), **ქვიძირი** სათიბი, სათესი (დამფალი, ებრიკა), **ქორიკალო** სათიბი (შუახევი), **ღორითავი** სათესი (ხეზა), **ჩიტკილდე** თხილნარი (შუახევი), **წვერიყანა** სათესი (შუახევი), **წყაროთავალი** საძ. (ომანა), **წისქვილიკარი** სათესები (ქვ. მარადიდი, ავანა), **წისქვილიქედი** თხილნარი (შუახევი), **ხიდითავი** ტყე, ჩაის პლანტ. (შუახევი, ზედა ქლასკური).

დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როცა მსაზღვრელ-საზღვრული სახელობით ბრუნვაშია: **ქვაკვერცი** ტყე (შუახევი), **ქვახერხი** მთა (ბაშქოი), **ქვაყანა**, **ქვაკიბე** ტყეები (ზედა მარადიდი, შუახევი), **ქვადედოფალა** სათესი (ზედა ქლასკური), **ხიდივაკე** ჩაის პლანტ., თხილნარი (ზედა ქლასკური).

გვხვდება ფუძის გაორკეცებით მიღებული ტოპონიმი: **ქვაქვა** საძოვარი (შუახევი, ბაგინი).

მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით: **გუგულკალო** სათიბი (შუახევი), **თავკალო** ტყე, საძ. (შუახევი, ქართლა), **ჩრდილყანა** სათიბი (შუახევი), **ცხენვაკე** საძოვრები (არავეთი, ადაგული), **წყალოქრო** სათესი (ზედა მარადიდი), **ხუცუბანი** ტყე (კირნათი).

მსაზღვრელი არსებითი სახელი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილის გარეშე, საზღვრული გაფორმებულია -ა სუფიქსით: **ვირიტყავა** სათიბი (შუახევი), **ცხენიგორა** იაილა (სინკოთი), **ცხენიხორცა** ტყე (კირნათი).

ბ) არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული – ზედსართავი სახელი.

ასეთი გაფორმების სახელები პოსტპოზიციური წყობისაა: **ტყედიდი** ტყე (მარადიდი), **ღარდიდი** ტყე, სათიბი (მამანათი), **ყურდიდი** საძ. (ბაგინი), (ღარ და ყურ ფუძის სახით გეხვდება). **ქეადიდი** სათესი (დუხქოი)... ამ ტიპის კომპოზიტები საკვლევ ტერიტორიაზე მცირე რაოდენობით დასტურდება.

გ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, საზღვრული – არსებითი სახელი, რიცხვი – მხოლობითი. მსაზღვრელად ძირითადად გამოყენებულია ვითარებითი ზედსართავები: გრძელი, დიდი, თეთრი, პატარა, შავი, ცივი, წითელი და სხვა.

ასეთი გაფორმების სახელები საკვლევ რეგიონში ხშირად დასტურდება: **გზელიყანა** (<გრძელიყანა) ტყე (შუახვევი) **დიდიადმართი** საძ. (შუახვევი), **დიდივაკე** სათესი (შუახვევი), **დიდიყანა**, **დიდიწყალი** საძ. (ომანა, შუახვევი), **თეთრიკილდე** ტყე (შუახვევი), **თეთრიქედი** თხილნარი (შუახვევი), **თეთრიწყალი** იაილა, მთა, წყარო (არავეთი, თხილაზრო), **პატინამთა** მთა, საძ. (დევესკელი, ბაგინი), **პაწაადმართი** საძ. (ქვ. ქლასკური), **პაწაიყანა** სათესი (ჯუანი), **ყრუგუბე**, **ყრუხევი** თხილნ. (შუახვევი), **შავიკილდე** ტყე (შუახვევი), **ცივიწყარო** სათიბი (შუახვევი), **ცივიწყალი** წყარო (მირვეთი), **წითელიმიწა** სათესი, ტყე (შუახვევი, ჯუანი).

მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულიანი კომპოზიტების ორივე ნაწილი მხოლობით რიცხვშია. ორივე სახელობით ბრუნვაშია. სათანადო ნიშანიც შენარჩუნებულია.

დასტურდება შემთხვევა, როცა საზღვრული მრავლობით რიცხვშია, მსაზღვრელი – მხოლობითში: **ცივიწყლები** წყარო (ზედა ქლასკური).

მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით: **ახალდაბა** სოფ. უბანი (ადაგული), **ახალტყე** ტყე, სათიბი (დევესკელი), **ახალშენი** სათესები, სათიბი (ებრიკა, დევესკელი, ბაგინი), **გზელიყანა** საძ. (დევესკელი), **დიდადმართი** საძოვრები (დევესკელი, ქვ. ქლასკური, ჯუანი), **დიდკალო** საძოვრები (ქართლა, ბეშავრი) **დიდვაკე** საძ., სათიბი (ბეშავრი, აგლახა), **თეთრ მიწა** (<თეთრი მიწა) საძ. (თხილაზრო), **შავყანა** სათესი (ქვ. მარადიდი), **შავტყე**, **ცივიწყალი** ტყეები (კირნათი, ქვ. მარადიდი), **ცივიწყარო** წყაროები (ხება, მაჭახლისპირი), **წითელიმიწა** ტყე, საძ. (ებრიკა, არავეთი).

დ) ზმნიზედა + არსებითი სახელი:

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში ხშირად დასტურდება ზმნიზედითა და

არსებითი სახელის მონაწილეობით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები. ზმნიზედა აკონკრეტებს და აზუსტებს ამა თუ იმ ტოპონიმის ადგილმდებარეობას. მსაზღვრელად გამოყენებულია ზმნიზედები: ბოლო, გაღმა, დაბლა, ზედა, მაღლა, მიღმა, უკან, ქვედა, ქომო (ქვემო), შუა, წინ; საზღვრულ წევრად კი – საზოგადო სახელები (ყანა, ბოსტანი, ვაკე, ვენახი, სათესი, ქედი, უბანი, სერი, მერე, ხევი, წვერი და სხვა), ეს ძალიან გავრცელებული და უნივერსალური ტოპონიმური მოდელია.

ბოლოყანა საძ. (ომანა), **გაღმობანი** (<გაღმაუბანი) სოფ. უბ. (დევესკელი), **გაღმაბოსტანი** სათიბი (ადაგული), **გაღმატყე** ტყე (თხილაზრო), **გაღმაყანა** სათესი (მირვეთი), **დაბლაგაკე** ტყე (კირნათი), **ზედაგაკე**, **ზედგაკე** საძ., სათესი (მაჭახლისპირი, ადაგული), **ზედაივენახი** ბაღი (ბაგინი), **ზედუბანი** (<ზედა უბანი) სოფ. უბ. (ხება), **ზედადედე** (მირვეთი), **ზედაყანა** სათესი (ხება), **ზემობანი** (<ზემოუბანი) ნა-სოფლ. (კირნათი), **ზემთათა** (<ზემთა მთა) იაილა (აენა), **ზემთოთღგომი** სოფ. უბ. (თოღგომი), **ზემთუბანი** სოფ. უბ. (დამფალი), **ზემოტრაპენი** სოფ. უბ. (ტრაპენი), **ზემოქედი** საძ. (შუახვევი), **ზემოყანა** თხილნარი, სათესი (ხება, მირვეთი), **იქითუბანი** ნამოსახლ. (კირნათი), **მაღლაგაკე** ბაღი (კირნათი), **მაღლასერი** ტყე (თოღგომი), **მიღმაბოსტანი** სათესი (კატაფხია), **მიღმაყანა** ტყე (კირნათი), **უკანგაკე** სათესი (შუახვევი), **უკანმერე** სათესი, სოფ. უბ. (ბაგინი, დევესკელი), **უკანკალო** სოფლ. უბ., სათესი (ებრიკა), **ქვედაგაკე** სოფლ. უბ., საძ. (მაჭახლისპირი, შუახვევი), **ქომოვენახი** (<ქვემო ვენახი) ბაღი (არხვა), **ქომოსოფელი** სოფლ. უბანი (ქართლა), **შუახვევი** სოფელი (ბორჩხა), **შუბანი** (<შუა უბანი) სოფლ. უბანი (ხება), **წინაგარა** სოფ. უბანი (არავეთი).

ე) არსებითი სახელი + ზმნიზედა:

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული – ზმნიზედა, მსაზღვრელი წარმოდგენილია ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნით. ასეთი გაფორმების სახელების რაოდენობა საკვლევ რეგიონში საკმაოდ შეზღუდულია: **კალოსუკანა**, **სახლისუკანი** სათესები (არხვა), **სახლისუკან**, **სახლი უკანა** ტყე (კატაფხია, ებრიკა), **სახლისქვეშ** სათესი (არხვა), ასეთი გაფორმების ტოპონიმებს საზღვრული დაკარგული აქვთ მაგ., **სახლისუკანა ადგილი** > **სახლისუკანა**. ე.ი. საზღვრული “ადგილი” ჩავარდნილია.

ვ) არსებითი სახელი + სახელზმნა:

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული – სახელზმნა, ძირითადად – მიმღეობა. მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნე -

ბულია, იშვიათად – მოკვეცილია, არსებითი სახელის რიცხვი მხოლოდითია. ამ გაფორმების სახელები მცირე რაოდენობით დასტურდება: **ძადლის სახჩო** ჩანჩქ (ზედა ქლასკური), **დათვისსაყენი** ტყე (ქვ. მარადიდი), **ვირისსაგორავი** სათესი (შუახვევი), **ღორნაბუნავი** ტყე (შუახვევი), **ღორინათხარი** ტყე (ქვ. მარადიდი), **ძადლისსახჩო** ჩანჩქერი (ზედა ქლასკური). იშვიათად მსაზღვრელი მრავლობით რიცხვშია: **ხარებნაყენავ** საძ. (ქართლთ).

ზ) რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:

მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული – არსებითი სახელი. ორივე წევრი მხოლოდით რიცხვში დგას, იშვიათად მსაზღვრელი – თანიან მრავლობითში.

ოთხკილდე კლდე, თხილნ. (ქვ. მარადიდი), **ორპირი** ტყე (ქვ. მარადიდი), **შვიდწყარო** წყარო (ებრიკა), **სამთაწყარო** წყარო (ბეშავრი)...

თ) ნაზმნარი ტოპონიმები:

ნაზმნარი სახელები საზღვრულდაკარგული სახელებია. მათ უნდა ჰქონოდათ საზღვრული, რომელიც შემდეგ ჩავარდნილა და დარჩენილა მხოლოდ მსაზღვრელი. მაგ., დამფალი < დამფალი ადგილი < დამპალი ადგილი. დაიკარგა საზღვრული (ადგილი) და დარჩა მხოლოდ მსაზღვრელი – დამფალი.

გამტკიცული სათესი (ქვ. მარადიდი), **გასაყარი** ტყე (ებრიკა), **დამფალი** სოფელი (ბორჩხა), **დამწვარი** ტყე (შუახვევი), **მომწვარი**, **მოგობილი** სათიბები (დევესკელი), **სამალავი** საძოვრები (ბეშავრი, არაგეთი), **მაწყინარა** საძ. (ქვ. ქლასკური).

ი) სხვადასხვა სუფიქსით გაფორმებული სახელი + არსებითი სახელი:

საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება კომპოზიტური გაფორმების ისეთი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი, კერძოდ, მსაზღვრელი, სხვადასხვა სუფიქსითაა ნაწარმოები: **სათემოხვევი** დეღე, ტყე (დამფალი, დევესკელი), **სასადილოკილდე** კლდე (დევესკელი), **სამწიფლიდეღე** დეღე (შუახვევი), **სარვანდოკილდე** საძ. (შუახვევი), **საქორიქედი** სათესი (ხება), **საჭარედელე** დეღე (შუახვევი), **საბილიანცესდეღე** დეღე (ხება), **ბერულიყანა** სათესი (დევესკელი), **გონთახვევი** სოფ.უბ. (თხილაზრო), **მადრანიხვევი** ტყე (შუახვევი), **მერცხალაქედი** სათესი, ქედი (დევესკელი), **სუროვანიკილდე** კლდე (დევესკელი), **წითურიჯვალი** სათესი, ტყე (ადაგული), **წიფნარვაკე** სათიბი (შუახვევი)... როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთ სახელებში მსაზღვრელს იშვიათად ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს.

კ) ორზე მეტფუძიანი სახელები:

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში გვხვდება სამფუძიანი გეოგრაფიული სახელები. კომპოზიციის შემადგენლობაში შედის არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნიზედა, სახელზმნა...

ახალტყიმოსაქცეველი გზაჯვ. (დევესკელი), **ახალტყიდელე** დელე (დევესკელი), **თაგკალოკიდელე** დიდი ქვა (შუახევი), **შუათანადელითავი** დელე (თხილაზრო), **ციდვაკესწყალი** წყარო (თხილაზრო), **გზელწიფლიდელე** დელე (დევესკელი), **წინაგარისწყალი** წყარო (შუახევი), **ორგზასშვა** სათესი (ებრიკა).

3.4. მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები

ნიგალის ხეობა ძველთაგანვე ცნობილია საუკეთესო ჯიშის კულტურული მცენარეულითა და მცენარეთა მრავალი სახეობით. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავდა: “და არს ეს, ლიგანის ხეობა თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით...”¹⁹⁷. ნიგალის ხეობის სიმდიდრის შესახებ აღნიშნავდნენ მკვლევარ-მოგზაურებიც¹⁹⁸.

ბორჩხისა და ართვინის რაიონები ტრადიციულად მეურნეობის მხრივ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო მეხილეობა, მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეტივეობა და მეურნეობის სხვა დარგები. ეს ვითარება თვალსაჩინოდაა ასახული მხარის ტოპონიმიაში.

საკვლევ ტერიტორიაზე მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმები ნაწარმოებია სხვადასხვა აფიქსით, ასევე, მცენარის სახელი მოცემულია რთული ტოპონიმის ერთ-ერთ ნაწილში. მაგ.: **ბალიძირი** სათესი (მირვეთი), **ვაშლიძირი** ტყე (კირნათი), **კოძირი** (<რკოს ძირი) სოფ. უბ. (ქართლა), **პანტიძირი** სათესი (ადაგული), **სასელაძირი**° სათესი, ტყე (ადაგული), **ტყემლიძირი** სათესი (კირნათი), **ცაცხვიძირი** სათიბი (ადაგული), **წაბლიყანა** სათესი, ჩაის პლანტ. (ზედა ქლასკური), **წყავიძირი** ტყე (კირნათი), **წიფლიქელი** სათესი (ხება).

¹⁹⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹⁹⁸ ზ. ჭიჭინაძე, ართვინის (ართვანის) გათათრება (ნაამბობი ლივანში ქრისტიან კათოლიკეთაგან და ქართველ მაჰმადიანთაგან), გაზ. „ივერია“, 4,5 ივლისი, 1895; გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრ.; დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ.

ფლორონიში სუფიქსებითაა გაფორმებული: **თხილ-ნარ-ი** საძ. (ომანა), **ნაძე-ნარ-ი** სათესი (დევესკელი), **წაბ-ნარ-ი** (<**წაბლ-ნარ-ი**) სოფ. უბ. (კირნათი), **წიფ-ნარ-ი** (<**წიფლ-ნარ-ი**) სათესი (მირვეთი), **ბარდ-ნალ-ა** ტყე (კირნათი), **ცაცხ-ნარ-ა** (<**ცაცხე-ნარ-ა**) სათესი (ხეზა), **ვაშლ-ოვან-ი** სოფ. უბანი (არხვა), **კაკლ-ოვან-ი** ტყე (ბაგინი), **კატრ-ოვან-ი** ტყე (შუახევი), **წიფლ-ოვან-ი** ტყე (თხილაზრო), **ლედუ-იან-ი** თხილნარი (ხეზა), **ტყემალ-ათ-ი** სოფ. უბანი (დევესკელი), **ბზა-თა** სათესი (შუახევი), **ლეკ-თა** საძ. (კვარცხანა).

პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული სახელებია: **ნა-ასლ-ევი** სათესი (ზედა მარადიდი), **ნა-სიმინდ-არ-ი** ტყე (ბეშავრი), **ნა-მუხუდ-არ-ი** ტყე (ომანა), **ნა-ღომე-არ-ი** (<**ნაღომ-არ-ი**) სათესი (ქვ. მარადიდი), **ნა-დიკე-არ-ი** (<**ნა-დიკ-არ-ი**) ტყე (სინკოთი), **ნა-ცერცე-ალ-ი** სათესი, თხილნარი (ადაგული), **ნა-სეღ-ავ-ი** ტყე (მირვეთი), **ნა-ქერ-ავ-ი** საძ. (ადაგული)

როგორც ტოპონიმებიდან ჩანს, საკვლევი რეგიონის ცალკეულ სოფლებში გავრცელებული ყოფილა პურეულის ჯიშები: ასლი, სიმინდი, მუხუდო, დიკა, ცერცივი, ქერი და ა.შ.

ნიგალის ხეობა წარსულში გამოირჩეოდა მევენახეობით. მეურნეობის ეს დარგი ოსმალთა გაბატონებამდე მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამაზე მიუთითებს ხეობის სხვადასხვა სოფელში შემორჩენილი საწნახლები, ქვევრები, ყურძნის ჯიშები. უნდა აღინიშნოს, რომ ნიგალელი გლეხი თავისი კარ-მიდამოს, სახლის წინ და უკან მდებარე ბაღს, სადაც გაშენებული აქვს სხვადასხვა სახეობის ძვირფასი ჯიშის ხეხილი, ეძახის ვენახს, ასევე, ე.წ. „ვენახში“ შესაძლებელია ეთესოს სიმინდი, ბოსტნეული, ბურღული და ა.შ.

3.5. სამეურნეო ტოპონიმია

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კლიმატური და გეოგრაფიული გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, კერძოდ, საკვლევ რეგიონში ტრადიციული დარგები იყო მევენახეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, საყოველთაოდ ცნობილი იყო ეს მხარე ხელოსნობით, ნავთმშენებლობით, ხალხური კერამიკული წარმოებით.

ნიგალის ხეობის ერთ-ერთი დაწინაურებული დარგი იყო და არის მე-საქონლეობა. დღესაც ხეობაში საკმაოდ განვითარებულია ალპური მეურნეობა, ნოყიერი საზაფხულო საძოვრები და სათიბები განაპირობებს ამ ტრადიციული დარგის განვითარებას. თითქმის ყველა სოფელს საზაფხულო იალაღი გააჩნია, ამ მხრივ აღსანიშნავია დევესკელის, ბაგინის, არავეთის, ქლასკურის საზაფხულო იალაღები, მთა თეთრიწყალი, რომელიც კარჩხალის მთათა სისტემის ძირში მდებარეობს.

მინდვრის მარცვლენული კულტურებიდან ძველთაგანვე მოჰყავთ ჭვავი, ღომი, ქერი, ფეტვი, ხორბალი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს სიმინდი, რის შედეგადაც ადრინდელი მარცვლენული კულტურების მოყვანა თანდათან მცირდებოდა, ბოსტნეული კულტურებიდან მოჰყავთ: ლობიო, ფხალი, სოია, კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, კარტოფილი და სხვა.

წარსულში ყველა ოჯახი მისდევდა სელისა და კანაფის წარმოებას, რომელიც გამოიყენებოდა ტანსაცმლის წარმოებისათვის¹⁹⁹. ამას ტოპონიმებიც მოწმობს, მაგ., **ნასელავი** ტყე, სათიბი (მირვეთი, ადაგული), **ნადიკვარა**, **ნაქერავი**, **ნაცე(რ)ცვალი** სათესი, საძოვარი (ადაგული), **ნაქერალი** საძოვარი (არხვა), **ნაღუმარი//ნაღუმვარი** ტყე (დამფალი)

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ანარეკლი ჩანს საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში: **ახო° ახოები** საძ. სათიბი (დევესკელი), **ზუვართი**, **ჭალანთი** სოფლ. უბნები (ომანა, ვარაჩკანი), **ბოსტნევი** სათესი (ქართლა), **ჭალები** სათესი (ებრიკა), **ნაკალოები** სათესი (ადაგული), **ნაახვევი** (<ნაახოვევი) ტყე (კირნათი), სათიბევი სათიბი (კვარცხანა), **ნაბოსტნევი** სოფლ. უბანი (შუახვევი), **ნაწალიები** საძ. (ქართლა), **ნაფუზარი** (<ნაფუძარი) სათესი (დევესკელი), **ნაბედღავი** ტყე (სინკოთი), **სათიბე** სათიბი (ბაშქოი), **ნაბოსღავი** ტყე (კირნათი) და ა.შ.

ისტორიულად საქართველოს თითქმის ყველა კუთხემ თავისი წვლილი შეიტანა ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარებაში, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამ მხრივ მაინც რამდენადმე გამორჩეულია. კერძოდ, ჭოროხის აუზი იყო სახელგანთქმული კოლხური კულტურის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი კერა, სა -

¹⁹⁹ ო. დიდმანიძე, ს. გოგიტიძე, სოფელი მარადილი, ბათ., 2006, გვ. 59.

დაც ჩაისახა ჯერ სპილენძ-ბრინჯაოს სამთამადნო-მეტალურგიული წარმოება, შემდეგ რკინის მეტალურგია და მის საფუძველზე აღმოცენებული სამ - ჭედლო ხელოსნობა²⁰⁰.

სოფელი **კვარცხანა** (<**კუარცხანა**) (შდრ. კვარცი, კვარციტი) ნიგალის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელია, სადაც განვითარებული იყო სამთამადნო მრეწველობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **მურღულის** საბადოები: სოფ. ქურა (მურღულთან ახლოს) და სხვა ცენტრები.

დღეს ნიგალის ხეობაში დასტურდება ხელოსნობის ცალკეულ დარგებთან დაკავშირებული ტოპონიმები: **ნაფურნავი** სათესი (ავანა), **საყავრე** საძ. (ხება), **საყავრეთი** საძ. (ომანა), **საჭალიმეთი** სათესი (ქვ. მარადიდი), **სახვეწელი** სათიბი (აგლახა).

ბორჩხა და ბორჩხის რაიონი განთქმული იყო საუკეთესო ხარისხის თიხისა და კერამიკული ნაწარმით. ნიგალის ხეობის მომიჯნავე მაჭახელშიც დადასტურებულია კერამიკულ ნაკეთობასთან დაკავშირებული არაერთი ტოპონიმი. **სათიხედელე**, **საკეცე**, **თერციხანა** და ა.შ.²⁰¹. ხის დამუშავებას უკავშირდება ტოპონიმები **წერნაქი**^o, **საწერნაქე**, **წერნაქე-ბი**, რომლებიც გვხვდება ზემო აჭარაში. ამ ადგილებში ძველთაგანვე მოიპოვება წითელი საღებავი თიხა (წერნაქი-წარნაქი), რომელსაც დურგლები სწორი ხაზის გასაველები ძაფის შესაღებად იყენებდნენ.

3.6. ანთროპონიმული წარმომავლობის სახელები

ქართულ გვარ-სახელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საქართველოში საუკუნეებს ითვლის²⁰².

აკად. ა. შანიძე წერდა: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“²⁰³.

²⁰⁰ ნ. კახიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2004, გვ. 3.

²⁰¹ ნ. კახიძე, ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. XVII, თბ., 1990, გვ. 100.

²⁰² რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997, გვ. 3.

²⁰³ ა. შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. – „მაცნე“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), №2, 1967, გვ. 192.

ანთროპონიმი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელია (ბერძნ. ანთროპოს „ადამიანი“ + ონიმი „სახელი“ და გულისხმობს სახელსაც, გვარს-სახელსაც, მამის სახელსაც, ფსევდონიმსაც და ა.შ. შესაბამისად ანთროპონიმთა ერთობლიობას ანთროპონიმია ეწოდება²⁰⁴.

ნიგალის ხეობის ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელების შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ეს ისტორიული კუთხე საგვარეულო ერთეულთა საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა, რაც ამ მხარის ისტორიული რეალობის გარკვევაში გვეხმარება. აქაც ენის გადარჩენის მძლავრმა ფაქტორმა შეასრულა გადამწყვეტი როლი, ქართული ენის გადარჩენა თავისთავად ნიშნავდა ქართული ტოპონიმისა და ანთროპონიმის გადარჩენას, ქართული ენა დღესაც საკვლევი რეგიონის უმრავლეს სოფელსა და ცალკეულ ხეობაში (დევესკელი, ქლასკური) ერთადერთი საოჯახო საურთიერთო ენაა.

ქართული ენის ლივანურმა მეტყველებამ გაუძღო ისტორიის უამთა სიავეს და დღემდე შემოინახა ძირძველი ქართული ლექსიკა, ტოპონიმია, რომლის მეშვეობითაც ხდება ქართველოლოგიური საკითხების გამომხეურება და შესწავლა.

ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გვარსახელების შესახებ – ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში წერდა აკად. ნ. მარი²⁰⁵. აქვე აღვნიშნავთ, რომ გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმებით არის მოფენილი მთელი ისტორიული ტაო-კლარჯეთი. 1886 წელს ართვინის მხარე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და აქაც ჩატარდა აღწერა. საყურადღებოა, რომ ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ეს მხარე კვლავ ინარჩუნებდა ქართული გვარებისაგან ნაწარმოებ სოფლის სახელებს. ამ სოფლებში ბევრი ამ გვარისანი აღარ ცხოვრობდნენ, ანდა გვარს ფუნქცია აღარ ჰქონდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესასწავლად უძვირფასესი ძეგლია “ტბეთის სულთა მატთანე”, რომელიც წარმოადგენს მოსახსენებელთა საკმაოდ გრძელ ნუსხას. იგი იქმნებოდა XII-XVII საუკუნეებში²⁰⁶.

საინტერესოა -**ეთ** მაწარმოებლიანი გვარსახელები წარმომავლობის ტოპონიმები: **ბრევე-ეთ-ი**, **ფანჩვე-ეთ-ი**, **შუშან-ეთ-ი**, **ჯიგან-ეთ-ი** სოფლის უბნები (ქვ. მარადილი, კირნათი, ხება). „ტბეთის სულთა მატთანე-

²⁰⁴ პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი. თბ., 2005, გვ. 88.

²⁰⁵ Георгий Мерчул, (Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, Введение, издание, перевод Н.Я. Марра с дневником поездки в Шавшетию и Кларджетию). С.- Петербург, 1911.

²⁰⁶ „ტბეთის სულთა მატთანე“, თბ., 1977.

ში” დასტურდება გვარები: ბრევაეთი, შუშანასძე, ჯიგანასძე, გვარსახელი ჯიგანაძე დღესაც გვხვდება სოფელ ხებაში.

ფანჩე-ეთ-ი სოფლის უბნად დასტურდება ქვ. მარადიდში²⁰⁷. უეჭველია, აქ ადრე ფანჩიძეების (<ფანჩიძეები) გვარის ხალხს უცხოვრია. მატია-ნეში გვხვდება -ში მაწარმოებლიანი გვარი ქერტა-ში. **ქერტაში** დღეს სოფლის უბნის სახელად დასტურდება ხებაში.

„ტბეთის სულთა მატიანეში” სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვებში ნიგალის ხეობის რამდენიმე სოფელია ფიქსირებული: ოდლაური, კილნათი, ხება... „ოდლაურელისასა...”, „კილნათელისა...”, „ხებელისა...”

ნიგალის ხეობაში დღესაც დასახლებანი ნათესაური ნიშნითაა. ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, მიგრაციის მიუხედავად, ცალკეული უბნები მკაფიოდ გამოიყოფა. ეს უბნები ისტორიულად ერთი გვარის შთამომავალთა, ერთი მამა-პაპის განაყოფთაგან არის ძირითადად დასახლებული. ამ უბნების ძველ მფლობელთა გვარებიც შემონახულია. მაგ., **ქურდაძე, გუნდაძე, ნასყიდაძე** უბნებია სოფ. მელოსა და ებრიკაში. საკუთარი სახელიც გვხვდება ტოპონიმებში **კახაბერი** საძოვარი, სათესი (ავანა).

ნიგალის ხეობა რამდენიმე საუკუნეა მოწყვეტილია დედასაქართველოს ფესვებს, მაგრამ აქაურმა ქართველებმა დღემდე კარგად შემოინახეს არა მხოლოდ მშობლიური ქართული ენა და გეოგრაფიული ნომენკლატურა, არამედ – გვარსახელებიც, მართალია, აქ ყველა თურქულ გვარს ატარებს, მაგრამ იციან და ახსოვთ წინაპართა გვარები. ეს გვარები, ძირითადად, **-ძე** და **-შვილი** დაბოლოებებითაა გაფორმებული:

მოგეყავს ჩვენ მიერ აღწერილი გვარები სოფლების მიხედვით:

არავეთი: ფალავანდიშვილი // ფალაზაშვილი // ფალაზოდლი, ბერიშვილი // ისტიაროდლი, ტალახაშვილი // ჩარბოდლი.

შუახვევი: ჯაფარიძე, ჩახალიძე...

დევესკელი: ხაბაზი // ხაბაზოდლი, მაზმანიშვილი // მაზმანოდლი, ხიხვიტიძე, ყურძენაშვილი...

ბაგინი: ცეცხლაძე // მეხრიოდლი, სარიშვილი // სარიოდლი, მგელაძე // კურტკუნოდლი, გაბანიძე // უზუნემინოდლი...

ებრიკა: გუნდაძე // დალყილიჯოდლი, ზაქარაძე, ნასყიდაძე...

²⁰⁷ რ. მაღაყმაძე, დასახ. ნაშრ., თბ., 2008.

ადაგული: ჯაფარიძე // ფექერ, ბოლქვაძე // ყადიოდლი, ჩერქეზიშვილი // ჩერქეზოდლი...

ხება: ცეცხლაძე // სერთოდლი, მელიქიშვილი // მელიქოდლი, შაინიძე // შაინოდლი, ჯიგანაძე // ყავაზოდლი...

ჯუანი: კულაღიშვილი, მემოშვილი, შამიღიშვილი, საღიხაშვილი...

ტრაპენი: ცეცხლაძე // რეჯეზოდლი, ბოლქვაძე // ბოზ, გომიძე, გუნდაძე...

ზედა მარადიდი: დიასამიძე, ხაღვაში, თაგვაშვილი...

ირსა: შათირიშვილი, რონინიშვილი...

თხიღაზრო: თაფღიძე...

ავანა: ფაღაღა // ეფენდიოდლი...

კატაფხია: დიდმანიძე...

სინკოთი: ჭანძე...

მეღო: ქურღაძე...

ბაშავრი: ათაბაღი და სხვა.

საკეღევი რეგიონის ანთროპონიმული წარმომავღობის ტოპონიმები პრეფიქსული წარმოების სახეღები ან თხზული ტოპონიმები. ტოპოფორმანტად ძირითადად გამოყენებულია -ა-ურ სუფიქსი: **ბასიღ-ა-ურ-ი** სოფღის უბანი (ვაზრია), **ზაქარ-ა-ულ-ი** სათესი (სინკოთი), **კეღს-ა-ურ-ი** სოფღ. უბანი (ზეღა ქღასკური), **შიშნ-ა-ურ-ი** სათიბი, სათესი (ვარაჭკანი), **ჭიჭინ-ა-ურ-ი** ბაღი (იშხაბიღი), **გორგ-ავღ-ი** სოფღ. უბანი (ხეღა), **გეღ-ავღ-ი** სოფღ. უბანი (შუახევი) და სხვა.

მსაზღვრეღად გამოყენებულია პიროვნული სახეღები: **გაბრიეღაკარი** ღეღე (გიუხეღიურთი), **გაბეღაკარი** სოფღ. უბანი (კატაფხია), **ანზორასღეღე** ღეღე (ქვ. მარადიდი), **მერიემკიღღე** კღღე (ადაგული), **მინღროყანა** ჩაის პღანტ., თხიღნარი (ქვ. ქღასკური), **თანთოსვენახი** საღ. (ომანა)...

ამ გეოგრაფიულ სახეღებში ჩანს პიროვნული სახეღები, გვარსახეღები და მეტსახეღები: **ბასიღი** // **ბასიღაძე**, **ზაქარა** // **ზაქარაძე**, **კეღსა**, **შიშნა**, (<შიშინა), **გორგაძე**, **გეღა** // **გეღაძე**, **ანზორა**, **მარიამ**, **მინღრი**, **თანთღ** და სხვ.

ანალოგიური გაფორმების ტოპონიმები ხშირად დასტურდება ნიგალის ხეობის მეზობელი რეგიონების (აჭარა, შავშეთ-იმერხევი) ტოპონიმურ მასალებში²⁰⁸.

როგორც ვხედავთ, ნიგალის ხეობის ანთროპოტოპონიმები საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეგიონის ანთროპოტოპონიმია, ძირითადად, ქართული წარმომავლობისაა. ეს სახელები ისე იწარმოება, როგორც ზოგადად დამახასიათებელია ქართული ანთროპონიმებისათვის.

3.7. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები

ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება ერთობ საინტერესო სახელები, რომლებიც დაკავშირებული უნდა იყოს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. ეს სახელები ძველი პერიოდისა ჩანს. ისინი ბევრი არაა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავენ, ამიტომაც ცალკე გამოვყავით. მაგ.: **გორგიწმინდა** (<**გიორგიწმინდა**) სათიბი, სათესი (ქართლა), **ელიაწმინდა** ეკლესია, სოფ. უბ. (ებრიკა), **თვალანგელო** (<**მთავარანგელოზი**) სათიბი, ტყე (შუახევი), **მამაწმინდა** სოფელი (ართვინი), **მთავარანგელო** (<**მთავარანგელოზი**) ტყე (კირნათი). საინტერესო სახელია **ინაწმინდა**, ნაეკლესიარი, ტყე (თოლგომი). შეიძლება ამ სახელის თავდაპირველი ფორმა იყო **ნინოწმინდა**.

ოსმალური რეჟიმში, პირველ ყოვლისა, ქრისტიანულ კულტურას ებრძოდა და ანადგურებდა. ასეთ პირობებში მოცემული სახელწოდებების შემონახვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ამ კუთხის ისტორიაში.

3.8. ნიგალის ხეობის ჰიდრონიმია

ჰიდრონიმია ტოპონიმის განუყოფელი ნაწილია და ყურადღებას იპყრობს, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული, ისე ლინგვისტური^o თვალსაზრისით. ქართული ისტორიული ჰიდრონიმების გამოწველივით შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი წარმოქმნის სა-

²⁰⁸ მ. ქამადაძე, ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები ზემო აჭარაში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987, 3-15; ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან, ბათ., 2004, გვ. 68.

შუალებანი და ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფები. ჰიდრონიმი, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკური ერთეულია ენისა, რომლის წარმოქმნისა და სტრუქტურის შესწავლა-გათვალისწინება ლექსიკოლოგიის ამოცანას შეადგენს²⁰⁹.

ჰიდრონიმი ჰიდროგრაფიული ობიექტის – დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის, ზღვის, ტბის, წყაროს და ა.შ. სახელია. ჰიდრონიმია ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მდინარეა ჭოროხი, იგი ძველი პერიოდის უცხოურ წყაროებში მოიხსენიება სხვადასხვა ფორმით: ფაზისი, ჰარპაროსი, აფსარი, აკამფსისი, კაკამარი²¹⁰. „ქართლის ცხოვრებაში“ იგი გვხვდება „ჭოროხი“, „ჭერეხი“ ფორმებით²¹¹. თურქულ წყაროებში კი შესულია „ჯოროხ“, „ჩოროხ“ ფორმით, რუსულში – „ჩოროხი“ და ა.შ.²¹².

ამ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიხედვით, „ჭოროხი“ თურქული „ჯუ-რუჰ“-ის („სიცოცხლის მდინარე“ დამახინჯებული ფორმა²¹³. საბას განმარტებით, „ჭოროხი“ არის მდინარისაგან ქვიშა შეყრილი²¹⁴. ვახუშტის მიხედვით, „ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყონობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ დის მჩქეფრად და ჩქარად“²¹⁵. ი. სიხარულიძე ამ ჰიდრონიმში გამოყოფს **ჭ-ო-რ-ო-ხ** შემადგენელ ნაწილებს, სადაც **ჭ** ძირეული ელემენტია, **ო-რ-ო-ხ** კი – ფორმანტები²¹⁶. გ. თოფურიას თვალსაზრისით, „ჭოროხი“ შედგება **-ო-ხ** სუფიქსისა და **ჭო-რ-**

²⁰⁹ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I. თბ., 1971, გვ. 27.

²¹⁰ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I. ბათ., 1958, გვ. 175-183.

²¹¹ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ეველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 42, 333, 337.

²¹² ი. სიხარულიძე, ჟურნ., ჭოროხი – „ჭოროხი“ №1, 1980, გვ. 76.

²¹³ ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 94.

²¹⁴ ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV2, თბ., 1966.

²¹⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

²¹⁶ ი. სიხარულიძე, ჭოროხი, ჟურნ. „ჭოროხი“ №1, 1980, გვ. 76.

ძირისგან, რომელიც ქართული **წყალ** - ფუძის ზანური შესატყვისია²¹⁷.

საკვლევი რეგიონის ჰიდრონიმული სახელები სტრუქტურული თვალსაზრისით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. ძირეული ანუ მარტივი, 2. თხზული ჰიდრონიმები.

ძირეული ანუ მარტივი ჰიდრონიმები მცირე რაოდენობით გვხვდება: **გუბე** წყარო (შუახევი), **წყარო** წყაროები (დევესკელი, კატაფხია), **ჩანჩქერი** ჩანჩქერი (ებრიკა), **ჭა ჭა** (ქართლა)...

ჰიდრონიმთა დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეერთების გზით. სიტყვათშეერთება ასეთ შემთხვევაში ეყრდნობა გარკვეულ წესს: გრამატიკულად გვაქვს შეთანხმებული და მართული სიტყვათშეერთება. ჰიდრონიმთა ახლანდელ ნომენკლატურაში გამოიყოფა ორი ფენა: უძველესი და გვიანდელი. უძველესია საზღვრულ-მსაზღვრელი, ე.ი. როცა საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს. ქართულ ისტორიულ ჰიდრონიმიაში დასტურდება ამის რამდენიმე ნიმუში: **წყალწითელა**, **წყალთბილა**, **წყალტუბო**, **ხევგრძელა** და ა.შ. გვიანდელია შეთანხმებული და მართული მსაზღვრელ-საზღვრულიანი სახელები.

საგულისხმოა, რომ საკვლევ რეგიონში დასტურდება მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულიანი ფორმები, სადაც მსაზღვრელად გამოყენებულია მიკროტოპონიმი ან ოიკონიმი, საზღვრულად კი – დელე, წყალი, ხევი.

დელე: **აგარისდელე** (იშხაბილი), **ბარდნალისდელე**, **ბოსტანადელე** (ზედა ქლასკური), **გონთახევისდელე** (თხილაზრო), **გობიდელე** (მირვეთი), **ბაგინისდელე** (ბაგინი), **დიდდელე** (ხება, შუახევი), **ზეგნისდელე** (დევესკელი), **კიბეთისდელე**, **ნაბელღავისდელე**, **ნარგანისდელე** (ქვ. ქლასკური), **ნაქერავდელე** (არავეთი), **ნაქერავისდელე** (ადაგული, თხილაზრო), **საჭინკედელე** (თოლგომი), **სალერდოდელე** (არავეთი), **სამძოვრედელე** (დევესკელი), **წითელავიდელე** (არავეთი), **წინაგრისდელე** (არავეთი), **ხატილასდელე** (თხილაზრო), **ჯანავრისდელე** (ქვ. ქლასკური)...

წყალი: **ბედლევნისწყალი** მდინარე (ბორჩხა), **თეთრუბისწყალი** წყარო (თხილაზრო), **დევესკელისწყალი** მდინარე (ბორჩხა), **კარჩხალიწყალი** წყარო (დევესკელი), **ნამკნარასწყალი** წყარო (თხილაზ

²¹⁷ გ. თოფურია, “ჭოროხი”ს ეტიმოლოგიისათვის. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1977, გვ. 8.

რო), ქლასკურისწყალი მდინარე (ბორჩხა), ჩხალისწყალი მდინარე (ბორჩხა), მურღულისწყალი მდინარე (ბორჩხა, მურღული), ჭიღვანიწყალი წყარო (ავანა)...

ხევი: კარჩხილხევი დელე (ადაგული)...

რაც შეეხება ნიგალის ხეობის ტბებს, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ყარაგოლის შესახებ. ეს ტბა მდებარეობს სინდიეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, ქლასკურის ხეობაში მდინარე ქლასკურისწყლის მარცხენა მხარეს, შავი ტბა თურქ. „ყარაგოლი“ ამჟამად თურქეთში ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილია, აქ ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს შესანიშნავი ბუნება.

ყარაგოლის სახელით იწოდება მცირე ტბები სინკოთსა და ბეშავრში. სოფ. სინკოთშია, ასევე, ტბა „სულუქოლი“ („წურბლის ტბა“), ხოლო ავლახაში – ინექოლი („ძროხის ტბა“).

3.9. ფონეტიკური მოვლენები ტოპონიმებში

ტოპონიმია ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება და აქაც იგივე ფონეტიკური მოვლენები გვხვდება, რაც მეტყველებას ახასიათებს.

ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში დასტურდება შემდეგი ფონეტიკური მოვლენები: ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა, ბგერათა შენაცვლება, ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია და სხვა.

ბგერის ჩართვა: ფუძეში ჩნდება ვ თანხმოვანი, ასეთი სახელები უმეტესად წინავითარების ნა-არ პრეფიქს-სუფიქსით არის ნაწარმოები: ნა-ფაცხვ-არ-ი (<ნა-ფაცხ-არ-ი) ტყე (დევესკელი), ნა-ბუკვ-არ-ი (<ნა-ბუკ-არ-ი), ნაქოხვ-არ-ი (<ნაქოხ-არ-ი) სათესი ტყე (ადაგული), ნა-დიკვ-არ-ა (ნა-დიკ-არ-ა), სათესი (ადაგული)... თუმცა შეიძლება ამ ვ-ს სხვაგვარი კვალიფიკაციაც მიეცეს (ნა-დიკ-ევ-არ-ი).

ბგერის ჩართვა ხშირია ლექსიკაში, მაგ., ყველამფერი, ზამფხული, გამუმცხადეს, საჩუქვარი, გაჩუქვეფ, ნაყიდნი და მისთ²¹⁸.

ბგერის დაკარგვა: ვერხ-ნალ-ი (<ვერხვ-ნალ-ი) ტყე (შუახევი), ნა-ფეტ-ურ-ი (<ნა-ფეტვ-ურ-ი) სათესი (ვარაჩკანი), ნიგზ-ნარ-

²¹⁸ ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ა (<ნიგვზ-ნარ-ა) სათესი (დევესკელი), ბარ-ნალ-ი (<ბარდ-ნალ-ი) სათესი (ზედა ქლასკური), ავანითა (<ავანისთა//ავანისმთა) იაილა (ავანა), თეთმიწა (<თეთრმიწა//თეთრმიწა) საძოვარი (თხილაზრო), ნაგრევი (<ნააგარევი) სათესი (დევესკელი). ამ უკანასკნელში დაკარგულია ორი ხმოვანი. ორჯი (<ორჯოხი), სოფელი (ბორჩხა), ამ მაგალითშიც დაკარგულია რამდენიმე ასობგერა.

ბგერათა შენაცვლება: ამ ფონეტიკური მოვლენის მაგალითები ხშირად დასტურდება ნიგალის ხეობაში. მაგ., ძ-ს ენაცვლება **ზ: გზელიყანა** (<გრძელიყანა) ტყე (შუახევი), **ზელიეთი** (<ძელიეთი) სათესი (ავანა), **ნაფუზარი** (<ნაფუძარი) სათესი (დევესკელი), **სამზორე** (<სამძორე) საძოვარი (დევესკელი).

ნარნარა რ-ს ენაცვლება ნარნარა **ნ: კონტოხი** (<კორტოხი) სოფ. უბანი (ხება). უკანანუნისმიერ **ჯ-ს** შეენაცვლა ასევე უკანანუნისმიერი **ჩ: ჩიხალეთი** (<ჯიხალეთი) (ჯიხა ზანურად ციხეს ნიშნავს) სათესი (არაფეთი).

ასიმილაცია: დასტურდება სრული ასიმილაციის შემთხვევები: **შანახშირთ** (<სანახშირო) ტყე (ბეშავრი).

დისიმილაცია: **ვერხნალი** (<ვერხნარი) ტყე (შუახევი), **კორკნალი** (<კორკნარი) ტყე (ხება).

ბგერათა შერწყმა: გვხვდება **ვე>ო, აუ>ო** ბგერათა შერწყმის მაგალითები: **ქომოვენახი** (<ქვემო ვენახი) ბაღი (ებრიკა), **ქომოხე** (<ქომოხევი//ქვემო ხევი) სათესი (აგლახა), **სოტი** (<სვეტი) სოფელი (ართვინი), **დოდოფლები** (<დედოფალი<დედა უფალი) საძოვარი (ადაგული).

რედუქცია: **ურ//-ა-ულ ან -ეულ >ავრ//-ევულ: ბეშ-ავრ-ი** (<ბეშ-აურ-ი) სოფ. (ართვინი), **გელ-ავრ-ი** (<გელა-ურ-ი) ტყე (შუახევი), **ლომ-ავრ-ი** (<ლომ-აურ-ი) ჩაის პლანტ. (მაჭახლისპირი) და ა.შ.

3.10. ზანური წარმომავლობის ტოპონიმები

როგორც ცნობილია, ტოპონიმია საინტერესო და საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ რეგიონში ოდესმე მოსახლე ხალხთა წარსულის შესასწავლად.

ნიგალის ხეობა ლაზისტანისაგან პონტოს, იმავე ლაზეთის ქედით გამოიყოფა. აქ ოდითგანვე სახლობდნენ ზანები. დღესაც ჩხალისა და ბელღენის ხეობები კომპაქტურად არის დასახლებული ლაზ-ჭანებით. შესაბამისად, დასტურდება **ლაზი**, **ჭანი** ეთნონიმისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: **ლაზოღლი**, **ლაზიყანა**, **ჭანეურა** სათესები (არხვა, შუახევი, კატაფხია), **ჭანითი** სოფლ. უბანი (დუზქოი).

ხშირია ზანური **-ათ** სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები: **ბუნათ-ი** ჩაის პლანტ., თხილნარი (მაკრეთი), **ბურჯუნათ-ი**, **ისქიმბათ-ი** (<სქიბათი) სოფლ. უბანი (დუზქოი), **კასრათ-ი** სათესი (ადაგული), **ურათ-ი** სათესი, ტყე (მაკრეთი), **ფოპათ-ი** სათესი (შუახევი), **ფოკათ-ი** სათესი (დუზქოი), **ქუშათ-ი**, **ჩირათ-ი**, **ჭარმათ-ი**, **ჭუკათ-ი** სოფლ. უბნები, სათესი (დუზქოი), **ჯარათ-ი** ტყე (ებრიკა).

ო- ზანურ ფორმანტად არის მიჩნეული. იგი ქართულ „სა-“ პრეფიქსის ფარდია²¹⁹. მაგ., **ო-ზურგეთი//სა-ზურგეთ-ი**, **ოჩხამური//სათევზ-ურ-ი//სა-თევზ-ათ**. ნიგალის ხეობის ტოპონიმურ მასალებში გვხვდება ამ პრეფიქსით გაფორმებული სახელები: **ოჩიმეთ-ი** ბაღი (სირია), **ო-მბრეეთ-ი**, **ო-ნჩომეთ-ი**, **ო-ნჯავრეთ-ი**, **ო-კურხულეთ-ი** წყარო, სათესები (ქვ. მარადიდი), **ო-გეჩა** საძ. სათესი (ორჯოხი, დამფალი), **ო-გეჯ-ი** ტყე (შუახევი), **ო-ვაშ-ე** ტყე (გილა).

-ონ-//-ონ-ა, **-უნ-ა** სუფიქსები გამოიყოფა შემდეგ ტოპონიმებში: **ბანაკ-უნ-ა** სათესი (მამანათი), **ბუკ-უნ-ა** სათესი (მაკრეთი), **ბუკ-ონ-ა** სათესი (ბაშქოი), **იასთარ-ონ** წყარო (დუზქოი), **ჩაჩახხ-ონ-ა** სოფლ. უბანი (ოხორდია). **ონ** - სუფიქსი ჩანს ტოპონიმში - **ცანქილ-ონ-ი** (ქვ. ადაგული, მაკრეთი), დასტურდება შემთხვევა, როცა სახელის ძირი ზანურია, თავსართ-ბოლოსართი ქართული: **სა-კურხ-ე** სათესი (მამანათი), **ნათღვარ-ი** საძ. (ხება); ზანური უნდა იყოს საკვლევი რეგიონის ტოპონიმები: **ნოღოჯენი** სათიბი (ოხორდია), **ნოკარფენი**, **ნომოხენი**, **ნოქურმენი** სათესები (მაკრეთი).

სუჯუნა ჰქვია სოფელ ბელღენის ერთ-ერთ უბანს. როგორც ჩანს, მას ადრე სოფლის სტატუსი ჰქონდა. **სუჯუნა** სოფლის სახელად დასტურდება სამეგრელოში, კერძოდ, აბაშის რაიონში²²⁰.

²¹⁹ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 284.

²²⁰ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1961, გვ. 268.

ლაზურად სუჯი „სუროს“ აღნიშნავს, ხოლო მეგრული ცუ(ნ)ჯი „ცვარს“, „ნამს“, -**უნა//-ონ-ა** ქართულ -**ოვან-იან** სუფიქსების შესატყვისია. მაშასადამე, სუჯუნა სუროიანს, სუროვანს ნიშნავს, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული სუროს მეგრული ეკვივალენტია **ცურუ**, ხოლო ცვრ-ის – **ცუნჯი, ცუნჯი**²²¹.

ხორგი ჰქვია ტყეს სოფელ დუზქოიში (ჩხალის ხეობა). აქაც ზანური ძირი ჩანს. მეგრული ხორგის ქართული შესატყვისისა – ხერგი. **ხორგ** სახელური ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა არის მაგარი საგნების (ქვა, ხე, ...), გროვა. მაგ., ხერგი – ადიდებული წყლის მოტანილი ხეები; ერთ ადგილზე მოგროვებული წაქცეული ხეები ტყეში; გადახიდილი ხეები გზის შესაკერებად და სხვა. მეგრული ხორგიც აღნიშნავს ყოველგვარ ხერგს, გროვას მაგარი საგნებისას (ქვა, ხე, სიმინდის ტარო ...), ხორგინია, ხორგა²²².

ოხორდია ბედლევისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლის სახელია, ოიკონიმში გამოიყოფა „ოხორ“, რაც ზანურად სახლს ნიშნავს.

ოხორჯინი სოფ. შუახევის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს დევესკელისწყლის ხეობის მარჯვენა მხარეს. ეს დასახლებული პუნქტიც ადრე სოფლად იწოდებოდა. სახელწოდება ზანური უნდა იყოს („ოხორ“, სახლი).

ურეკი ტყის სახელად დავადასტურეთ სოფელ ვარაჭკანში (ართვინის რაიონი), მდინარე ჭოროხის მარჯვენა მხარეს. ამავე სახელისაა ცნობილი ზღვისპირა კურორტი ოზურგეთის რაიონში.

პროფ. ზ. ჭუმბურიძე ასე განმარტავს: „ურეკი კოლხური სიტყვაა, ნიშნავს გაუვალ, უღრან ტყეს. წინათ ბატონები სანადიროდ რომ წავიდოდნენ, ტყეში მარეკებს გაგზავნიდნენ ნადირის დასაფრთხობად და გამოსარეკად. თვითონ კი მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდებოდნენ და ასე ნადირობდნენ. **ურეკი** ერქვა ისეთ ტყეს, სადაც ასეთი რამ არ ხერხდებოდა, ე.ი. სადაც ნადირობა შეუძლებელი იყო, ხშირი, გაუვალი ტყის გამო²²³.

მეორე მხრივ, **რეკ** ფუძე ჩანს საქონლის გადენის აღმნიშვნელ ზმნაში **გარეკავს**, ე.ი. **სარეკი** შეიძლება გავიაზროთ, როგორც საძოვარზე საქონლის გადასადენი ადგილი. ამის მიხედვით **ურეკი** იქნება ისეთი ტყე, სადაც საქონელს ვერ შერეკავ²²⁴.

²²¹ პ. ჭარაია, ქართულ-მეგრული ლექსიკონი, თბ., 1997.

²²² პ. ცხაღია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმებიდან, თბ., 1999, გვ. 12, 120, 121.

²²³ ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 510.

²²⁴ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 106.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ **სარეკი** არის ადგილი, საიდანაც ნადირობის დროს ნადირს ერეკებიან სახუნდარისკენ, ხოლო **ურეკი** – ადგილი „სადაც უნადირიათ, გაუვალი, ხშირი, უღრანი ტყე“²²⁵ სულხან-საბას ქართული ლექსიკონის მიხედვით, რეკვა – „ნადირთ მორეკა“-ა²²⁶.

ანალოგიური ფორმის ტოპონიმები (ურეკი, ურკები, ურეკია, ურეკიშდე-ლე) დასტურდება ქვემო სამეგრელოში, ხოლო ზემო სამეგრელოში მას ცვლის სიტყვა **მანგარი**, რომელიც ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი ტოპონიმის ვარიანტად გვაქვს²²⁷.

ქლასკური ჰქვია სოფელს ამავე სახელწოდების ხეობაში. ქლასკურიწყალი მდინარე ჭოროხს ერთვის მარჯვენა მხრიდან, ქლასკური ორია: ზედა ქლასკური და ქვ. ქლასკური.

ქლასკური რთული შემადგენლობის გეოგრაფიული სახელი ჩანს. თვით ტოპონიმი სხვადასხვა ფორმით დასტურდება სამეცნიერო ლიტერატურაში „კალასკური“²²⁸, „კლასკური“²²⁹, „კლისური“, „ქსელასკური“, „თელასკური“²³⁰.

პროფ. ი. სიხარულიძე ამ სოფლის სახელად ადასტურებს “კალასკურს” და იგი „კალასკურის” სახელნაცვალ ფორმად მიაჩნია. რთული სახელის მეორე შემადგენელი ნაწილი „სკური” ხშირად გვხვდება ზანურ ჰიდრონიმიაში: ხამისკური, ბობოსკური და სხვა²³¹.

„კალაშ/“ქლასკ” ზანურად, კერძოდ, ჭანურად ნიშნავს „თბილქარს“²³². სქურ//სკური უდავოდ ზანური სიტყვაა, თუმცა მისი მნიშვნელობა გარკვეულწილად ბუნდოვანია²³³. აღსანიშნავია, რომ სკურ უმთავრესად მდინარეთა სახელებში გვხვდება. ამ სიტყვას კავშირი უნდა ჰქონდეს წყალთან, ხევ-დე-ლესთან. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს გურიაში შემონახული

ტერმინი – სკურიეთი. ასე იწოდება ღრმა ხევი, უფსკრული“²³⁴. ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, სკური სწორედ „მდინარეს”, „წყალს”, “დელეს” ნიშ-

²²⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI. თბ., 1960.

²²⁶ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 9.

²²⁷ პ. ცხადაია, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

²²⁸ Чорохский край (Военно-статистический очерк. Выпуск I) Тифлиси. 1887. С. 18.

²²⁹ ხუთვერსიანი რუკა.

²³⁰ ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი ემიგრაცია, ტფ., 1912.

²³¹ ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

²³² შ. ნიუარაძე, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, ბათ., 1982, გვ. 30.

²³³ პ. ცხადაია, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

²³⁴ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I. ბათ., 1958, 173.

ნავს²³⁵. გამოდის, რომ ქლასკური ნიშნავს „თბილი ქარის წყალს“, ხეობას, სადაც ქრის თბილი ქარი.

სკურ//სქურ ძირიანი ჰიდრონიმები ხშირად გვხვდება სამეგრელოს ჰიდრონიმულ სახელებში: სკურდიდი, სკურდილა, სკურდალალი, სკურე, სკური, სკურჩა და სხვა²³⁶.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბედლენისა და ჩხალის ხეობაში კომპაქტურად ცხოვრობენ ლაზ-ჭანები. ამიტომ ამ ხეობის ტოპონიმური ფონდი ძირითადად ზანურია²³⁷.

აქაურ ლაზებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: საკუთრივ ლაზებს და ე.წ. „რიხელები“. ეს უკანასკნელიც გულისხმობს იმავე ლაზებს, ოღონდ მათ მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ და თურქულად მეტყველებენ.

²³⁵ ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 502.

²³⁶ პ. ცხადია, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

²³⁷ ზანური წარმომავლობის ტოპონიმების გარკვევისათვის ასევე ვსარგებლობთ შემდეგი ლიტერატურით: გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი, 1997; პ. ჭარბია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997; თურქულ-ლაზური ლექსიკონი:

(იხ. საიტზე - <http://www.kolkhoba.org/sozturlaz.htm>); ლაზურ-თურქული ლექსიკონი

(იხ. საიტზე - <http://www.kolkhoba.org/sozlaztur.htm>); მეგრულ-ლაზური-თურქული ლექსიკონი

(იხ. საიტზე - <http://www.kolkhoba.org/sozmrglaz.htm>); მეგრულ-ლაზური ლექსიკონი

(იხ. საიტზე - <http://www.kolkhoba.org/marglekk.htm>);

თავი IV

თურქული ფენა ნიგალის ხეობის ტოპონიმიაში

ისტორიული ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაშია. ამ რეგიონში, ნებისთი თუ უნებლიეთ, გაჩნდა არაქართულენოვანი მოსახლეობა, გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა თურქულმა ენამ, თუმცა ქართული ენაც განაგრძობდა არსებობას, ოღონდ თურქული ენის ძლიერ ზეგავლენას განიცდიდა.

დღევანდელი ნიგალის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში (ბორჩხის, მურდულისა და ართვინის რაიონები) სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, ართვინის რაიონის ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილს მშობლიური ენა აღარ ახსოვს, ამიტომ ლექსიკაშიც და ტოპონიმიაშიც საკმაოდ გივი უჭირავს უცხოენოვან (ძირითადად თურქულ) გეოგრაფიულ სახელებს.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში გვხვდება თურქული წარმომავლობის ტოპონიმები (როგორც მარტივი, ისე წარმოქმნილი და რთული სახელები). ხშირად ტოპონიმის ამოსავალი ქართული სიტყვაა, მაწარმოებელი – თურქული, ან ფუძეა თურქული, ხოლო აფიქსები – ქართული და ა.შ.

4.1. თურქულენოვანი ტოპონიმები

ა) მარტივი სახელები:

ბოღაზი გზა (მირვეთი). თურქ. „boğaz²³⁸” „ყელი”, ვიწრო გზა, ყელის ფორმა აქვს და ამიტომ ჰქვია ეს სახელი (ე.ბ.).

გოლი ტბა, ნატბური (ჯუანი, არხვა); თურქ. „göl” ტბა.

დერე დეღე (ნაჯვია, ბეშავრი). დერე „ხეობა”, „ხევი”. საკვლევი რეგიონში ამ სახელით აღინიშნება, ზოგადად, როგორც ხეობა, ასევე, ჰიდრონიმული ობიექტი – დეღე, ნაკადული, მდინარე.

დუზი ჩაის პლანტაცია, სათესი (კატაფხია, მონასტირი), თურქ. düz „ვაკე”, დაბლობი.

თარლა სათესი (არხვა), თურქ. tarla „ყანა”, „სათესი”.

²³⁸ თურქული სიტყვების განმარტებისას ვიყენებთ თურქულ-ქართულ ლექსიკონს, ღია წლიძის რედაქციით, სტამბოლი, 2001 და ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონს, შემდგენელი ორჰან მემიშიში, თბ., 1999;

თეფე სათესი, მწვერვალი (ბაგინი, ნაჯვია). tepe „მთა“, „ბორცვი“, „მწვერვალი“.

იაილა იაილა yayla(ორჯოხი) საზაფხულო საძოვრებზე, ალპურ ზონაში დროებითი საცხოვრებელი.

მადარა გამოქვ. (ქართლა). თურქ. mağara „გამოქვაბული“.

მუსლუდი წყარო, სათიბი (ადაგული). თურქ. musluk “წყარო”.

ორმან ტყეები (ნაჯვია, არხვა). თურქ. orman „ტყე“.

საყათ თხილნარი (შუახევი). თურქ. sakat „ხეიბარი“ ამ ადგილას ადრე ხშირი ნაძვნარი იყო. მისი გაჩეხვის ანუ განადგურების გამო ამ ადგილს დაერქვა ეს სახელი. შემდეგ გაშენდა თხილი.

სინორ ბაღი (იშხაბილი). თურქ. sinir – სინორი – საზღვარი, ეს ადგილი მიჯნავს ორი ოჯახის კუთვნილ ტერიტორიას ერთმანეთისგან და ასრულებს საზღვრის ფუნქციას. „სინორი“ ადგილის სახელად დასტურდება აჭარაშიც.

ყალე ციხე (ბაშქოი) არაბ. kale „ციხე“.

ბ) სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები

ნიგალის ხეობის თურქულენოვან ტოპონიმებში სუფიქსებით გაფორმებულ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სუფიქსებად ხშირად დასტურდება -luk, -lar// -ler, იშვიათად -gil, -ci და -li.

Luk - „ლუდ“, „ლუხ“, -„ლუქ“, „ლუბ“ ფორმით გვხვდება. სუფიქსის ლიტერატურული სახეა -lik, რაც საერთოდ არ დასტურდება ამ რეგიონის ტოპონიმებში. ეს თურქული სუფიქსი ქართული -ნარ, იშვიათად -იან სუფიქსებისა და სა-, სა-ე, სი-ე პრეფიქს-სუფიქსების ფარდია და საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს:

ბეგ-ლუდ-ი სათესი (ვაზრია). თურქ. peg - „აღა“, „ბატონი“, ეს ტერიტორია ბეგის კუთვნილი ადგილია.

დერე-ლუხ დედეები (ბეშავრი). თურქ. dere „ხევი“, (ხეობა) დედეებიანი ადგილი... აქ პრეფიქსი აღნიშნავს მრავლობითობას.

იონჯა-ლუდ სათიბი (არხვა). თურქ. yonca „ქერი“, სათესი, იონჯიანი ადგილი.

მეზერ-ლუხ სასაფლაოები (ორჯოხი, დევესკელი). თურქ. mezar „სასაფლაო“.

ჩაირ-ლუგ საძოვრები, ჩაის პლანტ. (ქართლა, ავანა. ბაშქოი, მაკრეთი); თურქ. çayr „საძოვარი“.

ჩამ-ლუქ წყარო (ბაშქოი). თურქ. çam „ფიჭვი“, ფიჭვნარი;

ყაია-ლუღ კლდეები (დამფალი, თხილაზრო). თურქ. kaya, „კლდე“, კლდოვანი ადგილი.

ხოზან-ლუღ თხილნარი (ბორჩხა). თურქ. hazan „უვარგისი“, „მწირი“; ამ სახელწოდებით აღინიშნება ისეთი ადგილი, რომელიც მხოლოდ საძოვრად გამოიყენება და არა სათიბებად. ხოზანი ხშირად დასტურდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში და უნაყოფო ადგილს აღნიშნავს²³⁹.

თურქული სუფიქსი -lar მრავლობითობას აღნიშნავს. იშვიათად დასტურდება ფორმით -ler, იგი ქართულ -ებ სუფიქსის შესატყვისია და ტოპონიმებს აწარმოებს ძირითადად საზოგადო სახელებისგან.

ბადჩე-ლერ ბაღი (ბაშქოი). თურქ. bahçe „ბაღი“, „ბოსტანი“, ბაღიანი ადგილი.

დუზ-ლარ სოფლ. უბანი, სათესი (სვეტი, დამფალი), თურქ. düz „ვაკე“, სწორი ადგილი.

თარლა-ლარ სათესი (მონასტერი) თურქ. tarla „ყანა“, „სათესი“
თარლაღარ ნიშნავს ყანებს, სათეს ადგილებს.

ინჯი-ლარ^o (<ინჯინ-ლარ) ტყე, მთა (ოხორდია), თურქ. inci მარგალიტი.

მეიდან-ლარ საძ. (სვეტი). არაბ. meydan „მოედანი“, იშვიათად -lar სუფიქსი გვხვდება პიროვნულ სახელებთან და მათ კუთვნილ საცხოვრისზე მიუთითებს. თურქ. meidanlar „მეიდანას ადგილი“.

კაკუთ-ლარ ტყე, **სულო-ლარ** სოფლ. უბანი (ომანა). აქ კაკუთ//კაკუთა და სულო ადამიანის საკუთარი სახელებია. პირველი ტოპონიმი პიროვნების კუთვნილ ადგილზე მიგვანიშნებს, მეორე კი – სულოს შთამომავალთა საცხოვრებელზე. ამ შემთხვევაში -lar სუფიქსი ქართული -აანთ, -იენტ, -ა, -ან სუფიქსების ფუნქციას უტოლდება. სულო სულო-აანთ-ი, სულო-იენტ, სულოს-ან-ი.

-ლი სუფიქსი ძირითადად ქართულ -იან სუფიქსს შეესაბამება. იგი არსებითი სახელებისაგან აწარმოებს ტოპონიმებს:

²³⁹ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, I ბათ., 1958, გვ. 14.

ბალუქ-ლი ტყე (დუზოი). თურქ. balık „თევზი“. **ბალუქლი** არის ადგილი, სადაც თევზია.

გუნეშ-ლი სოფ., (ბორჩხა) თურქ. güneş „მზე“.

ელმა-ლი სოფლ. უბანი (მამანათი). თურქ. elma „ვაშლი“, ე.ი. ვაშლიანი, ვაშლოვანი.

იშიქ-ლი სოფლ. უბანი (გუნეშლი). თურქ. ışık „შუქი“.

იშიქლი არის დასახლება, რომელიც მზიან ადგილას მდებარეობს.

სინექ-ლი ტყე (ბაგინი). თურქ. sinek „ბუზი“. **სინექლი** არის ტყე, სადაც ბევრი მწერია.

ჯევიზ-ლი ქალაქის უბანი (ართვინი). თურქ. cevizli, არაბ. ceviz ნიშნავს ნიგვზიან უბანს.

-ჯი-ცი – ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი სუფიქსი აწარმოებს ორიოდ გეოგრაფიულ სახელს:

არაბა-ჯი – ტყე (დუზქოი). თურქ. araba „ურემი, მანქანა“, arabaci (მეურმე, მძღოლი) ის ადგილია, სადაც მანქანის ხელოსანი ცხოვრობს.

კაზან-ჯი ტყე, სათესი (ქვ. მარადიდი, მაკრეთი) თურქ. kazanci „მეკვაბე“.

ასევე იშვიათად დასტურდება -gil სუფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ ანთროპოტოპონიმებს აწარმოებს:

რუჰი-გილ სოფლ. უბანი (ვარაჩკანი).

გ) თხზული გეოგრაფიული სახელები

ნიგალის ხეობის თურქულენოვანი რთული გეოგრაფიული სახელები საკმაოდ მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა. ამ გაფორმების ტოპონიმები მსაზღვრელ-საზღვრულის წესითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ხშირად საზღვრული ინდიკატორის როლს ასრულებს შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **მაჰალე, დერე, ყაია, ხანა, ყაფი, ფუნდარ, თეფე, თარღა, დიბი, ქილისა, მეზერ, იოღ, იაილა, იათადი, სირთი, სუ** და ა.შ.

მსაზღვრელი ანთროპონიმული წარმომავლობის სახელია; საზღვრული – **მაჰალე** (დასახლებული უბანი):

ავჯიოდლი მაჰალე სოფლ. უბანი (ვაზრია), თურქ. av „ნადირი“, avci „მონადირე“, ე.ი. „მონადირის შვილის უბანი“.

ბადუჩოღლულარმაჰალესი სოფლ. უბანი (კვარცხანა), “ბადუჩი შვილების უბანი”, ბადუჩი//ბადუჩა პიროვნული სახელია.

თოფჩულარმაჰალესი სოფლ. უბანი (მაკრეთი), თურქ. top „თოფი“, “იარაღი”, თოფჩულარ – „მეთოფეები“, „მეთოფეების უბანი“.

მოლლაოღლულარმაჰალესი სოფლ. უბანი (კვარცხანა), “მოლას უბანი”. მოლა მაღალი ფენის სასულიერო ფენის წარმომადგენელია.

რეჰდევანოღლულარმაჰალესი სოფლ. უბანი (არხვა), „რეჰდევანის შვილის უბანი“.

რეშიტოღლულარმაჰალესი სოფლ. უბანი (კვარცხანა), „რეშიტის შვილების უბანი“.

ჰუშომაჰალესი სოფ. უბანი (შუახევი), „ჰუშოს უბანი“.

რეჰდევანი, რეშიტიჰუშო ადამიანის საკუთარი სახელებია.

მსაზღვრელი ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას აღნიშნავს.

აშადქიმაჰალე სოფ. უბანი (ნაჯვია). თურქ. aSaRqimahale „ქვემო უბანი“.

იუქარიმაჰალე სოფ. უბნები (კვარცხანა, ნაჯვია). თურქ. yukarı „ზემო“, „ზედა უბანი“; შდრ. ზედობანი (<ზედა უბანი), სოფლ. უბანი (ხება).

ორთამაჰალე სოფ. უბნები (დამფალი, გუნეშლი, ავანა, ნაჯვია). ქალაქის უბანი (ართვინი) თურქ. orta „შუა“, „შუა უბანი“ შდრ. შუბანი (<შუა უბანი) სოფელი შუახევის რაიონში (აჭარის მთიანეთში);

მერქეზმაჰალე სოფლ. უბნები (ბაშქოი, არხვა). არაბ. merkez „ცენტრი“, “ცენტრის უბანი“.

ყარშიქიმაჰალე სოფ. უბანი (სინკოთი) თურქ. karşı „პირდაპირ“, “მოპირდაპირე მხარეს მდებარე უბანი“.

ჩიფთლიმაჰალე სოფ. უბანი (კვარცხანა). თურქ. çiftli „წყვილი, მსგავსი, ორმაგი“, წყვილ, ერთმანეთის მსგავს ვაკე ადგილას მდებარე უბანი“.

უბანს სახელი ჰქვია რაიმე ნიშნის გამო:

ფეთროღლმაჰალე სოფ. უბანი (მაკრეთი). თურქ. petrol „საწვავი ბენზინი“, უბანი, სადაც არის ბენზინგასამართი სადგური.

ჯამემმაჰალესი სოფ. უბნები (ვაზრია, ბეშავრი, აგლახა, ირსა). არაბ. cami „მეჩეთი“, „მეჩეთის უბანი“.

დ) საზღვრული წევრია დერე „დელე, ხევი, ხეობა, წყალი“, ხოლო მსაზღვრელი არსებითი სახელი (-lik) სუფიქსითაა წარმოდგენილი:

ალაბალიქდერესი დელე (მონასტერი). თურქ ულაბალ „კალმახი“, ალაბალიქ „კალმახიანი“, „კალმახიანი დელე“.

ბალუქლიდერე დელე (დუზქოი). თურქ. balıklidere („თევზიანი“), „თევზიანი დელე“.

ფინდიქლიდერესი დელე (დუზქოი). თურქ. findık „თხილი“, findıklı „თხილნარი“, „თხილნარის დელე“.

ყანლიდერე^o სათესი (შუახევი). თურქ kan „სისხლი“, kanlı „სისხლიანი“, „სისხლიანი დელე“.

მსაზღვრელი ზედსართავი სახელი:

ბუიუქდერე დელეები (სინკოთი, მამანათი) თურქ. büyük „დიდი“, „დიდი დელე“.

უფაქდერე დელე (არჩვეთი) თურქ. ufak „პატარა“, „პატარა დელე“.

ოთთადერე სოფლის უბნები (შუახევი, არჩვეთი). თურქ. orta „შუა“, „შუა დელე“.

ბაშქოიდერესი დელე (გიუზელიურთი). თურქ. baş „თავი“, köy „სოფელი“, ბაშქოი აღნიშნავს ხეობის ზემოთ მდებარე სოფელს.

შერეფიედერესი დელე (ოხორდია). „შერეფიეს დელე“.

ე) სხვადასხვა სახელით შედგენილი კომპოზიტები:

დელუქლიყაია კლდე (ქართლა). თურქ. Deluk „ნახვრეტი“, დელუქლი „ნახვრეტიანი“, kaya „კლდე“, „ნახვრეტიანი კლდე“.

ყანლიყაია^o კლდე (ქართლა). თურქ. kan „სისხლი“, kanlı „სისხლიანი კლდე“.

ყაზანყაია საძოვრები (კვარცხანა, ვარზია) თურქ. Kazan “ქვაბი”

ყისირყაია კლდე (ავანა). თურქ. Kısır “უნაყოფო”

ბუზხანა გამოქვ. (დამფალი). თურქ. buz „ყინული“ სპარს. hane „სადგომი, სახლი“, “საყინულე”

კასაფხანა საძ. კლდე (შუახევი, ბაგინი). არაბ. kasap “ყასაბი”, საქონლის დასაკლავი ადგილი.

ტუზხანა სათესი (მაკრეთი). თურქ. tuz „მარილი“, სამარილე ადგილი, სადაც საქონელს მარილს აძლევენ.

ფეთექხანა საძ. სათესი (თხილაზრო). თურქ. petek „ფიჭა“, თურქ. ფეთექხანა - „საფუტკრე“.

ქათიბხანა სოფლ. უბანი (აღაგული, ებრიკა), თურქ. katip „მწერალი“, ადგილი, სადაც მწერლის სახლი იყო, მწერალი ცხოვრობდა.

ყუზიხანა სოფლ. უბანი (მირვეთი), თურქ. kuş „ჩიტი“, ჩიტინი//ჩიტების ადგილი.

დემირყაფი საძ. (არავეთი). თურქ. დემირ „რკინა“, kapı „კარი“, რკინის კარი.

დეგირმანყაფი საძ. (ავანა), თურქ. değirmen „წისკვილი“, „წისკვილის კარი“, ადგილი, სადაც წისკვილია.

მადარაყაფი ტყე საძ. (ომანა). არაბ. mağara „გამოქვაბული“, გამოქვაბულის კარი, შესასვლელი.

ოქულყაფი სათესი (არხვა). okul „სკოლა, სასწავლებელი“, ადგილი, სადაც სკოლაა.

ქილისაყაფი ეკლესია, სოფლ. უბანი (სვეტი). ბერძნ.-თურქ. kilise „ეკლესია“, ეკლესიის კარი, ადგილი, სადაც მდებარეობს ეკლესია.

აქფინარ წყარო (მონასტერი). თურქ. ak „თეთრი“. თეთრი წყალი თურქ. fungar//finar-„წყარო“.

უჩინარ წყარო (ორჯოხი) თურქ. üç „სამი“, „სამი წყარო“, „სამთაწყარო“.

ყანლიფუნდარ საძ (ვაზრია). არაბ.-თურქ. kan „სისხლი“, კანლი „სისხლიანი“ „სისხლიანი წყარო“.

ყუშფუნდარ წყარო (არხვა). თურქ. kuş „ჩიტი“, ჩიტის წყარო.

მალთეფე საძ. (ბაგინი). თურქ. mal „საქონელი“, საქონლის ბორცვი თურქ. tefe „ბორცვი“.

ტუზლუხთეფესი მთა, საძ. (აგლახა). თურქ. tuz „მარილი“, tuzluk „მარილიანი“, მარილიანი მწვერვალი (მდრ. ქართული „სამარილო“).

შირინთეფე სოფლ. უბანი (გუნეშლი). შირინის მაღლობი. შირინი პირის სახელია.

ჩეგილლი თეფე საძ. (ბეშავრი). თურქ. çegil „დაბლობი“, აქ უნდანიშნავდეს ჩრდილიანს, „ჩრდილიანი მწვერვალი“.

გოლბოღაზი საძ. (არავეთი). თურქ. göl „ტბა“ boğaz „ყელი“, ე.ი. „ტბის ყელი“.

მადარაბოდაზი საძ. (ბეშავრი). არაბ.-თურქ. mağara „გამოქვაბული“, „გამოქვაბულის ყელი“, შესასვლელი.

ყურთბოდაზი საძ. (ადაგული). თურქ. kurt „მგელი“, „მგლისყელი“.

ბუიუქდუზი საძ. (თოღგომი) თურქ. büyük „დიდი“ düz „ვაკე“, ე.ი. „დიდი ვაკე“.

დურნადუზი სათიბი (არხვა) თურქ. turna „წერო“, düz „წეროს ვაკე“.

ეშექდუზი საძ (სვეტი) თურქ. eşek „ვირი“, „სახედარი“, düz „ვირის ვაკე“.

უზუნოსმანდუზი სათიბი (გოლა) თურქ. uzun „გრძელი“, düz „გრძელი ოსმანის ვაკე“.

ბეთონქოფრი ხიდი (ქვ. ქლასკური) თურქ. beton „ასფალტი“, köprü „ხიდი“ „ასფალტის ხიდი“.

დემირქოფრი ხიდი (ქვ. ქლასკური) demir „რკინა“, köprü „რკინის ხიდი“.

თოთრახქოფრი ხიდი (ჩაილი). თურქ. toprak „მიწა“, köprü „მიწის ხიდი“.

ტაშქოფრითადიანი ხიდი (ქვ. ქლასკური). თურქ. taş „ქვა“, köprü „ქვის ხიდი“.

ზენგინოღლიორმანი ტყე (ზედა ქლასკური) თურქ. zengin „მდიდარი“, „მდიდრიშვილის ტყე“ (თურქ. orman “ტყე”)

ფეთექხანორმანი ტყე (თხილაზრო), თურქ. petek „ფიჭა“, hane „სადგომი“, „ფუტკრის სადგომი ტყე“.

ქოფრიორმანი ტყე (მაკრეთი). თურქ. köprü „ხიდი“ ე.ი. ხიდის მიდამოებში მდებარე ტყე.

ინექგოლი ტბა (აგლახა). თურქ. inek „ძროხა“ göl „ტბა“. „ძროხის ტბა“ (ამ ტბაში ძროხა დამხრჩვალა და სახელდებაც აქედან მოდის).

სულუქგოლი ტბა (სინკოთი). თურქ. sülük „წურბელა“, „წურბლის ტბა“ (ტბაში ბევრი წურბელაა).

ყარაგოლი ტბები (სინკოთი, ბეშავრი, ზედა ქლასკური). თურქ. kara „შავი“, göl „შავი ტბა“.

ბაშქოი სოფელი, სოფლ. უბანი (ბორჩხა, სინკოთი). თურქ. baş „თავი“, köy „სოფელი“, ხეობის თავში მდებარე სოფელი.

დუზქოი სოფ. (ბორჩხა), თურქ. düz „ვაკე“, köy „ვაკე სოფელი“, ანუ სოფელი, რომელიც გაშენებულია ვაკეზე.

ქუხუქქოი ქალაქის უბანი (ართვინი). თურქ. küçük „პატარა“, „პატარა სოფელი“. ამ შემთხვევაში – დასახლება.

დერეთარლა ბაღი, სათესი (ღამფალი). თურქ. dere „ღელე“, „ხევი“, „წყალი“, Tarla „ყანა“, ანუ სათესი, რომელიც ღელის პირასაა.

მოლლაალითარლასი სათესი (მაკრეთი), მოლა ალის ყანა.

ქუნქოღლითარლასი სათესი (მაკრეთი), თურქ. küçük „პატარა“, oğul „შვილი“, „უმცროსი შვილის ყანა“.

ჩაირლუქთარლასი სათესი (ბაშქოი), თურქ. çayır „საძოვარი“, „ჭალა“, ეს ტოპონიმი აღნიშნავს საძოვართან მდებარე სათესს.

ქუნქოღადი საძ. (კვარცხანა). თურქ. küçük „პატარა“, dağ „მთა“ „პატარა მთა“.

ყაიადაღი ტყე (დუზქოი). თურქ. kaya „კლდე“, „ქვა“, „ქვამთა“, ანუ მთა, სადაც ბევრი ქვა და კლდეა.

ბუიუქჩაირ საძ. (ავანა), თურქ. büyük „დიდი“ çayır - „ჭალა“ „დიდი-ჭალა“.

არფაჩაირი სათესი (მონასტერი) თურქ. arpa „ქერი“, „ქერის ჭალა“.

დერთლისუ წყარო (ბაგინი). dert „დარდი“, su „წყალი“, „დარდიანი წყარო“ (ამ წყაროზე მომსვენელი ყველა თავის დარღვევას დაპარაკობდა).

სოუქსუ წყარო (ბეშავრი). თურქ. soğuk „ცივი“, „ცივი წყალი“.

ომეროღლისირთი სათესი (ომანა) თურქ. oğul „შვილი“ ომერის (ომარის) შვილის მაღლობი.

ორთაიათადი ტყე (ბეშავრი); თურქ. orta „შუა“, yatak „სადგომი“, „შუა სადგომი“.

ოქუზიათადი საძოვრები (არავეთი, ქართლა). თურქ. öküz „ხარი“, „ხარის საწოლი“, შდრ: ხარი იათადი.

რუსიოღ გზა (სვეტი), „რუსის გზა“, რუსული მმართველობის დროს გაკეთებული გზა, რომელიც მიუყვებოდა, ჩვეულებრივ, ხეობის შუა ფერდობს, და არა მდინარის პირს (თურქ. yol „გზა“).

ყიშლაღუნოღ (ორჯოხი). თურქ. kış „ზამთარი“ kilak „სახამთრო სადგომი“, „სახამთრო სადგომის გზა“.

გურჯიოღლი ტყე (თოღგომი). სპარს.-თურქ. gürci „ქართველი“, oğul „შვილი“ „ქართველის შვილის ტყე“.

თოფაღოღლი ჩაის პლანტ. (მირვეთი). თურქ. tofal „კოჭლი“, „კოჭლის შვილი“.

იხტიაროდლი სოფლ. უბანი (ვაზრია). თურქ. ihtiyar „მოხუცი“, „მოხუცის შვილი“.

მენშუროდლი სოფლ. უბანი (თხილაზრო). „მენშურის შვილი“, „ტერტერა“.

ქეშიშოდლი სოფლ. უბანი (ვაზრია), თურქ. keşiş „მღვდელი“, „ქრისტიანული სასულიერო პირი“, „მღვდლის შვილი“.

ქილისათაში ნაკელ., (მამაწმინდა). ბერძნ.-თურქ. kilise „ეკლესია“ taş „ქვა“. „ეკლესიის ქვა“.

ყაიადიბი^o სოფელი (ბორჩხა). თურქ. kaya „კლდე“, „ქვა“, dip „ძირი“. „კლდის, ქვის ძირი“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება სუფთა თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის სახელები, რაც, რა თქმა უნდა, აიხსნება ამ რეგიონში თურქული ენის მომძლავრებითა და მისი გავლენით აქაურ მეტყველებაზე, აქედან ტოპონიმიაზე.

თურქულენოვანი ტოპონიმები ძირითადად იმ სოფლებში გვხვდება, სადაც ქართული ენა არ იციან, საერთოდ თურქული ენის შემოსვლას თან მოჰყვა თურქული ტოპონიმების გაჩენა და დამკვიდრება ან ქართული სახელების თარგმნა-კალკირება.

ვ) სამ და მეტფუძიანი ტოპონიმები

ნიგალის ხეობის თურქულ გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა მრავალფუძიანი, ძირითადად – სამფუძიანი სახელები. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით. კომპოზიტში შემავალი ყველა წევრი მხოლოდით რიცხვშია:

ალთუნდიშლიიერი სათესი (არხვა), „ოქროს კბილიანი ადგილი“.

აშადიოსმანიიერი საძ. (თხილაზრო), „ქვედა ოსმანის მიწა“.

ბიჩქისირთითეფესი დელე, მთა (გოლა), „გაჭრილი ბორცვის წვერი“.

იედირაშათაჯალიერი დელე (მონასტერი). „მწვანე სოფლის დელე“. „იეშელქოს“ ძველი სახელია **მონასტერი**.

ტავშანთეფედერესი დელე (აგლახა). „კურდღლის მწვერვალის დელე“.

4.2. შერეული გაფორმების გეოგრაფიული სახელები

ნიგალის ხეობის ტოპონიმური მასალა ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტის ბევრს საინტერესო მომენტს წარმოაჩენს. საკვლევ რეგიონში ხშირად ვხვდებით შერეული გაფორმების გეოგრაფიულ სახელებს. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი:

1. ქართულ-თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული სახელები;
2. ქართულ-თურქული სიტყვებით წარმოქმნილი სახელები.

ა) ქართულ-თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული ტოპონიმები

სახელწოდების ფუძე ქართულია, მაწარმოებლებით – თურქული.
-ლარ

ანჩელ-ლარ სათესი (მამაწმინდა), ორმაგი მაწარმოებლიდან ერთი ქართულია (-ელ), მეორე – თურქული (-ლარ); **ახო-ლარ** ტყე, საძ. (ომანა, ქართლა), **გოგო-ლარ** სოფლ. უბანი (იშხაბილი), **დურდულ-ლარ** სათესი (სვეტი), **ჭოღო(ტ) –ლარ** სოფლის უბანი (კვარცხანა).

-luk//lug

მარწყვი-ლუღ-ი სათესი (დამფალი).

სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი – ქართული:

-ებ:

დუზ-ებ-ი საძ. (ადაგული). თურქ. düz „ვაკე“, „ვაკე-ებ-ი“.

თეფე-ებ-ი ტყე (ადაგული); თურქ. tefre „მწვერვალი“, „მწვერვალ-ებ-ი“.

-ურ-ა; -ა-ურ:

ფუნდუკ-ურ-ა სათესი (ხეხა), თურქ. findık „თხილი“.

ხაჩიკ-ა-ურ საძ., (სვეტი) სახელწოდების ამოსავალია თურქ. haç - „ჯვარი“.

-ნარ

ინჯილ-ნარ მთა (ქვ. მარადიდი), თურქ. incil „მარგალიტი“, „მარგალიტ-ნარი“, „მარგალიტ-იანი“.

-იეთ:

ღოჯ-იეთ-ი სასაფლაო (ხეხა) ქართ. gice „კედელი“.

ნა-ეე:

ნა-ხიზნ-ეე-ი (<ნა-ხოზნ-ეე-ი), საძ. (შუახევი).

ნა-თახ(თ)-ეე-ი სათიბი (მელი). სპარს.-თურქ. tahta - „ფიცარი“.

ნა-ჯამ-ეე-ი სოფლ. უბანი (მარადიდი). არაბ.-თურქ. came „მეჩეთი“.

ნა-ქილის(ვ)-არ-ი ნაეკლესიარი (ქვ. მარადიდი). თურქ. kilise „ეკლესია“, „ნა-ეკლესი-არ-ი“

სა-ჩაირ-ე სათიბი (ხება) çair - „სათიბი“, „საძოვარი“, „სასათიბე“.

ბ) ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები

მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული – თურქული, ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია; ორივე მხოლოდით რიცხვშია:

გელისბოღაზი საძ. (არავეთი) – „გელის ყელი“, „მგლის ყელი“.

დევესკელის იაილა იალაღი, „დევესკელის იაილა“.

თხილაზროს იაილა იალაღი, „თხილაზროს იაილა“.

კალოსფუნდუხლუღი თხილნარი (არხვა) “კალოს თხილნარი“.

კოტრასიერები ტყე (ჯუანი) „კოტრას ადგილები“, კოტრა//კოტორა მამაკაცის სახელია.

სანახშირეთისსირთი ქედი, ტყე (ქვ. მარადიდი), „სანახშირეთის ბორცვი“.

ძველფურებისიერი საძ. (ქართლა). „ძველფურების ადგილი“.

მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი (ს) ან მთლიანად ბრუნვის ნიშანი, ორივეს რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად, მრავლობითი, მსაზღვრელად წარმოდგენილია არსებითი და ზედსართავი სახელები, სახელზმნა მარტივი ფორმით, სუფიქსებით გაფორმებული ან თხზული სახით, ხოლო საზღვრული თურქული სახელი – მარტივი სახელით, რომელსაც იშვიათად ერთვის III პირის კუთვნილებითი აფიქსი –si:

ავანისირთები ტყე (დამფალი) – „ავანის ბორცვები“.

ალვანადერე დელე (სვეტი) - „ალვანის დელე“.

ახალსულაღიწყართ (ტრაპენი) - „ახალმოსახლის წყარო“.

ბორბალდერესი დელე (ვარაჭკანი) – „ბორბლის დელე“.

გოგომეზერი საძ., სასაფლაო (შუახევი, ადაგული) – „გოგოს საფლაო“.

დათვიმადარა გამოქვაბული (ჯუანი) – „დათვის გამოქვაბული“.
დამფალისირთი ქედი (დამფალი) – „დამფალის ბორცვი“.
დოდოფალყაია ტყე (ვარაჭკანი) – „დედოფლის კლდე“.
ვანათდერესი დეღე (აგლახა) – „ვანათის დეღე“.
თხილთარლა სათესი (ტრაპენი) – „თხილის ყანა“ ანუ ყანა, რომლის ირგვლივ თხილნარია.
ღედვიდიბე სათესი (ადაგული) – „ღედვის ძირი“.
ნიშიეთორმანი ტყე (ქვ. ქლასკური) – „ნიშიეთის ტყე“.
სათავასუიუ წყარო (კვარცხანა) – „სათავის წყალი“.
სინკოთყალესი ციხე (სინკოთი) – „სინკოთის ციხე“.
სკიდერე სათესი (ბაშქოი) – „სკის დეღე“.
სოტიბარდერესი დეღე (სვეტი) – „სოტიბარის დეღე“.
ფიჩხითეფე მთა (ბაშქოი) – „ფიჩხის ბორცვი“.
ქურდიეთორმანი ტყე (ქვ. ქლასკური) – „ქურდიეთის ტყე“.
წყლისაყარორმანი ტყე (ქვ. ქლასკური) – „წყლისაყარის ტყე“.
ხარებიიათადი საძ. (ომანა) – „ხარების სადგომი“.
საქათმებოღაზი საძ. (ადაგული) – „საქათმის ყელი“.
სათიბეთადი მთა (ჩაილი) – „სათიბე მთა“.
სათავედერე დეღე (სინკოთი) – „სათავის დეღე“.
სათიბესუიუ დეღე (მაკრეთი) – „სათიბის წყალი“.
სათიბეორმანი ტყე (ბაშქოი) – „სათიბის ტყე“.
საბუზარაყაია კლდე (ავანა) – „საბუზრის კლდე“.
საწურბლეიერი საზ. (არხვა) – „საწურბლე ადგილი“.
თავჯამე ნაცვიხარი (ირსა) – „მთავარი, დიდი მენეთი“.
დიდიდუზი სათესი (გოლა) – „დიდი ვაკე“.
დიდიიაილა საძ. (ვაზრია) – „დიდი იაილა“.
პატინათეფე ტყე, მთა (არავეთი) – „პატინა(<პატარა) მწვერვალი“.
პაწაიიაილა იაილა (ზედა ქლასკური) – „პატარა იაილა“.
პატინაგოლეზი ტბები (არავეთი) – „პატარა ტბები“.
მსაზღვრელი ზმნიზედაა, **საზღვრული** – არსებითი სახელი, ორივე მსოფლივით რიცხვში დგას:
გადმადუზი სათესი (არხვა) – „გადმა ვაკე“.
ზედაიმაჰალე სოფლ. უბანი (ზედა ქლასკური) – „ზედა უბანი“.

ზომომაჰალე სოფლ. უბანი (ადაგული, თხილაზრო) – „ზემო უბანი“.

ქომომაჰალე (<ქვემო მაჰალე) სოფლ. უბნები (ადაგული, ჯუანი, ტრაპენო) – „ქვემო უბანი“.

შუამაჰალე სოფლ. უბანი (ზედა ქლასკური) – „შუა უბანი“. შდრ. შუბანი (<შუა უბანი) – სოფელი შუახევის რაიონში.

ანთროპონიმული წარმომავლობის მსაზღვრელს დართული აქვს მა-წარმოებელი ოფლი//ოფლუ „ბე“, „შვილი“:

გუნდოდღ უმაჰალე სოფლ. უბანი (ნაჯვია) – „გუნდაძის უბანი“.

გუნდოდღ უმაჰალე ქალაქის უბანი (ბორჩხა) – „გუნდაძის უბანი“.

შათიროდღიმაჰალესი სოფლ. უბანი (ირსა) – „შათირიშვილის უბანი“.

წინწკალოდღიორმანი ტყე (ქვ. ქლასკური) – „წინწკალაშვილის ტყე“.

გ) თურქულ-ქართული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები

მსაზღვრელი თურქული სახელია, საზღვრული – ქართული, ორივე მხლობით რიცხვში დგას, მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი მოკვეცილია, იშვიათად – შენარჩუნებული:

გურჯიყანა თხილნარი (არავეთი) - „ქართველის ყანა“.

მადარაკარი საძ., გამოქვაბული (თხილაზრო) – „გამოქვაბულის კარი“.

მუსლუდიკარი საძ. (ქვ. მარადიდი) – „წყაროს კარი“.

ფურუნიკარი სათიბი, თხილნარი (ზედა ქლასკური, ხება) – „პურის საცხობის, ფურნის კარი“.

ყაიადიდი მთა (ქვ. მარადიდი) – „კლდე დიდი“.

ყურწყალი ტყე (ადაგული) – „მშრალი წყალი“.

ყალთაგი საძ. (ქართლა) – „კლდის თაგი“.

ყალიძირი ტყე (კირნათი) – „ციხის ძირი“.

ხოჯიყანა სათესი (ჯუანი) – „სასულიერო პირის ყანა“. **ხოჯა** მას-წავლებელსაც ნიშნავს.

ჯამიკარი საძ., სოფლის ცენტრი, სოფ. უბანი, სათესი (შუახევი, ქვ. მარადიდი, ჯუანი, მაკრეთი).

ფურუნისკარი წყარო (ჯუანი) – „ფურნის კარის წყარო“.

მსაზღვრელად გამოყენებულია თურქული ანთროპონიმები, საზღვრულის ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი მოკვეცილია ან შენარჩუნებული. ტოპონიმი აღნიშნავს ადგილის მფლობელის ვინაობას:

ალივენახი ბაღი (არხვა).

დელალოსყანა სათესი (ჯუანა).

დელიმემედისყანა ტყე (არავეთი).

ემინკალო სათესი (მაკრეთი).

ეზიზვენახი ბაღი (დამფალი).

ისუფიკარი სათესი (ზედა მარადიდი).

ისუფადითა (<იუსუფის მთა) საძ. (ბაგინი).

იამისვენახი ბაღი, სათესი (დამფალი).

იაცოფასვენახი ბაღი (არხვა).

მემოწყალი წყარო (ადაგული).

ოსმანადასწყალი წყარო (ადაგული).

ამ გეოგრაფიულ სახელებში ჩანს პიროვნული სახელები: ალი, დელალო, deli მემედი, ემინი, ეზიზი, უსუფი, უსუფადა, მემო, ოსმანადა და ა.შ.

4.3. გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმები

ნიგალის ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დასტურდება ტოპონიმები, რომელთა სტრუქტურა და სემანტიკა დაბნელებულია. ასეთი ტოპონიმები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა.

როგორც ცნობილია, რაც უფრო ძველია ტოპონიმი (ჰიდრონიმი), მით უფრო დაბინდულია მისი შინაარსი. ამიტომ სჭირდება მას ფრთხილი კვლევა-ძიება. რაკი ამა თუ იმ ტოპონიმის შინაარსი არ გვესმის ან ძნელად ასახსნელია, მაშინ უცხოურად ვნათლავთ ან გაურკვეველი სტრუქტურისა და სემანტიკის სტატუსს ვანიჭებთ.

ისტორიულ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხანგრძლივი დროის მანძილზე არასდროს მოჰკლებია მტერი, რომელსაც ბევრგან დაუტოვებია თავისი სისხლიანი ნაკვალევი; ეს ნაკვალევი ტოპონიმიაშიც შემიმჩნევა. სწორედ ამას სჭირდება საფუძვლიანი კვლევა-გამოვლინება – ვინ რა დაგვიტოვა? რა გზით? მაგრამ აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ „უცხოური“ ტოპონიმების დიდი ნაწილი შესაძლებელია აიხსნას ისევ ქართველური ენების მონაცემების მიხედვით, რასაკვირველია, არ არის გამორიცხ -

ხული, ისინი აიხსნას სხვა ენათა მონაცემების საფუძველზეც.

გაურკვეველი სტრუქტურისა და სემანტიკის* ტოპონიმებად მივიჩნიეთ შემდეგი გეოგრაფიული სახელები: **აიანუ**, **ამბალანი**, **ამალანი** სათესები (დუზქოი), **ანკონა** სათესი (ბელღევანი), **ბაიმავათი** სათიბი, სათესი (ადაგული), **ბაუზთემ** სოფლ. უბანი (ბელღევანი), **გადადინ** სათესი (სინკოთი), **გარამოლ**, **გარგადინა** სათესები (ნაჯვია, ბაშქოი), **გეზენი** ტყე, სად. (ქვ. მარადიდი), **დესო** სად. (შუახვეი), **დომიანჯო** სათესი (ზედა მარადიდი), **ეგრიოხუშ** სად. (ადაგული), **ედრენა** სად. (ზედა ქლასკური), **დერნე** მთა (ჯუანი), **ეჯიბუ** ბაღი (იშხაბილი), **იასიადა** ტყე (ზედა ქლასკური), **კაზმერულ** სად. (ვარაჭკანი), **კირაკოზ** ტყე (დამფალი), **ლაურმე** სათიბი (აგლახა), **ლესპანა** სათესი (ქვ. მარადიდი), **ლოპატე** ტყე, სათესი (ბეშავრი, ირსა), **მეხბავრ** ტყე (ირსა), **მეხლულე** სათესი (კვარცხანა), **ნახმე** ტყე (თოღგომი), **ოსუნთაო** ჩანჩქ. (ვარაჩკანი), **სეფილო** სათესი (დამფალი), **ტრონ** სათესი (მაკრეთი), **უნიკა** სათესი (დევესკელი), **შანლე** სოფ. უბანი (ოხორდია), **შარდუნა** სათესი (დუზქოი), **წენარა** სად. (ადაგული), **ხახაუჩ** იაილა (მამაწმინდა), **ხოტი** სად. (ებრიკა) და სხვ.

* აქ წარმოდგენილ ტოპონიმთაგან შესაძლოა ზოგი მათგანის სავარაუდო ახსნა-განმარტება, თუმცა მათი საბოლოო გადაჭრა და აღიარება დამატებითი კვლევა-ძიების გზით მოხდება.

ანკონა – ჩვენი ვარაუდით აკვანა სახელის ფონეტიკური ვარიანტია ფუძეში ნ – არის განვითარების (გაჩენის) გზით.

ლოპატე – შესაძლოა იგი ლოპოიან ტყე-ს ნიშნავდეს.

ნახმე – ნა-ხმელ-(ეე)-ი, დამშრალი გუბე ან ტბორი

უნიკა – წარმომდგარი ჩანს ორი ფუძის (ფურნე და კარი) შეერთებით, ოღონდ თავიკდური ფ- თანხმოვნის და ბოლო ორი მარცვლის ჩამოკვეციით, რაც აქაურ (სამხულ-დასავლურ ქართულ) ტოპონიმებში არაიშვიათია.

წენარა – ფლორონიმული -ნარ-ა სუფიქსის გამოყოფა თითქოს ეჭვს არ იწვევს. საკვლევა წან-//წენ ძირის სემანტიკა.

ხოტი ხვატ – სიტყვის („სიცხის ხვატი, ბული“) ფონეტიკურ ვარიანტად გვესახება (შდრ. სოფ. ხოტევი რაჭაში, ამბროლაურში).

კირაკოზი – სომხური ანთროპონიმი უნდა იყოს

- რამდენიმე ტოპონიმი წიგნში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტითა და ფორმით: დევესქელი//დევესკელი, ქლასქური//ქლასკური, იბრიქლი//ებრიკა და ა.შ.

თავი V

მეტყველების ნიმუშები

2 - VII - 07 - სოფელი დამფალი

შენ ნური ოზანი აიღინ

ნურთენ ოზანი ბოლქვაძე

1. ერთი თასე ბითა იაღი, ორი თასე პუდრა შექერი ოსკაინა მოზილო, ორი თასე თეთრი ქვილი კაინა მოზილო, თეფსებშინა ჩადო ფურუნშინა გამააცხო, ჰაფიფთან შეწითლდენ, ზოვლი არნა გაწითლდეს.

ნაფიე ქესკინ - ბაგინის იაილა

მაქ წუხანდელი ჩაია.

ნენემ რაცხაეფ ილაპარიკებდა, ჰამა დამავიწყდა, გეიარა წევდა.

მუხტრობა, დოხტურობა ვიჯები.

რაგაი ვაგდებ, თუ მოტეხილია შევხედავ, შევხედავ იშტე, გავაკეთავ იმას, შუუხევევ, კვერცხის ფქილით გავთქიფავ, გავლესავ, ფალაზზე დავასხავ, შუუხევევ, ის ალჩისე გახდების, გახმება. 15 დღე შეხვეული იქნება, იმის მემრე მოძრებ, ხელიც გუუკეთდება.

2. 5 ყათი გენილი ყავს, ერთი მეიყვანა, შეიშალა, ამელიათი გახდა, მეორე მეიყვანა, ამელიათი გახდა, რძალი თლათ მეიყვანა, თლათ ამელიათი გახდა.

3. დილა რომ გათენდება, ავღებით, ახორში წავალთ, ძროხებ მოვწვევლავთ, ძროხებ გუუძახებთ, მოვალთ, ახორ დავსუფთავთ, მაქინას გამოვხდით ძეს. ყველი გავაკეთებთ, ასე საჭმელი გავაკეთავ, ვჭამთ, მიწინაპ გავაყირმიზავთ, ჩაის გავაკეთავთ, ყველს დავჭრავ, დავჯღებთ, ვჭამთ იშტე.

ევლეს ფილაგ გავაკეთავთ, მაწონი იქნება, ჭად დავაკრავთ, სალათავ გავაკეთავთ, ხახვ ამეგტანთ ბოსტანიდან, თის დვარალ გავაკეთავთ, ჩიხეგებ მოვკრიფავთ, მაკანას გავაკეთავთ, ღობიას გავაკეთავთ, სინორ გავაკეთავთ, ლახანას გავაკეთავთ, სარმას, დოლმას გავაკეთავთ. შუამთობაზე ამუაქვენ, თელი რაცხს ნახვენ, ამეიტანებენ. თაზა კიტრი, სხალი, ყარფუზი, თაზა ღობიო, თუ იქნება აყირო, შავი აყირო-ხაპი მოვხარშავთ და სუფრაზე მოვადენტ. მე ბორჩხაში აირუმ ვცხოვრობ, ჰამა თაზე ერთად ვართ.

- ყოვა დავდგი სობაზე, ყაფაყი მოვხადე, არ გადმოვა იშტა.
- ძალი ლამაზია და ბიჭი ბეთია,
- ბეთი ნუ იძახი.
- უწინდელი რაცხაები ვიპარაკოთო.

ბერ-დედაბერი ერთად მიეყარენ და თქვეს ვიჭუჭუნოთო, შენ რომ მოგიყვანე, გოგო არ იყავი იციო, დედაბერსაც უთქმია ქი, ძირიდან არ დეიწყო ზეიდან დეიწყო, არ ეამა ქი.

– ავადები გავხდებით, ვაკითხიავო, მეტი კაი ქალია. გონჯი უზრი (წესი, თვისება - ებ) ის აქ იშტი, კაცსა არას უძახის.

– დედაბერი ქალი ადექი და ტანი იბანე, რა ზორი.

ბაგინის იაილა

აღმასურიდან მოსული იყვნენ, მანქანა ვაკეთებდი, მითხრა გარმონი დუუკარ, იოს გულზე მაწვებინ, ჩვენ გავაგდეთ, ის ბევრი ხანია, თითები რა გახდა, ხედავ, იმათთან ერთი ბერი გადმოსულიყო, ის რაცხა სეირი იყო, ჭო აქნა ახვიდე, იქნა ჩახვიდე. აქ ვასაქმე ი კაცი, მე ყურე გამიკეთა, ის მაგარი უკრიდა გარმონი, ერთი შევხედე, გარმონი უკრიდა, დეინახა და აწია, სამაც კაი იცოდა. დელი ხორუმი ვიცით. მოწორდით, მოწორდით, ჰამა ტყვილი არნა იპარიკოთ.

არ გააკეთო, რა იქნება, მე ახლა გზის პირში თემელი რავა გავაგდო და წვედე.

7 – VII – 07

გუვენ ალფაიდინ – სოფ. არავეთი

1) ერთმა კაცმა წასულან ბანკიდან, ფული მუუპარიან; რაფერ გავყოთო, ერთმა უთხრა,– შეხვიდე ციხეში, მე ყველფერ გავახერხებოთ. 15 წელი იყო ციხეში, მცველმა უთხრა დაბერებული კაცი გექებსო, უთხარ ის კაცი არ არისო. სადამო გახდილა, მეშოკი შენთან იყოს, 5 წუთი გავა, მოვალო, (ე.ი., რადგან ის კაცი არ არის, და უკვე სადამოც გახდა, მეშოკი შენთან იყოს, ხუთი წუთით გავალ და მოვალო); კაცი არ მოვდა, გასხნა მეშოკი, ნახა დოლარები, ხალხმა მიეყარა, დაბერებული კაცი მოვდა, შენ 15 წელი დაწექი და.... (შენ 15 წელი საპატიმროში გაატარე, სხვანაირად ვერ დაგეხმარე და ეს შენ გეკუთვნისო)

ასკერი, ჯარი ყოფილა არავეთ. ჯარი დუუყენებია ნიკოლამა, ჩხუბი მომხდარა, ხალხი წასულა. არა –შუა არი, შუაში ხალხი დარჩენილა და

არავეთი ქვია. ნიკოლას მერე თურქები მოსულან, ერგვარი გახდენ, ერთი ქალი შვიდი ნახევარი წელი ვერ წასულა, ისგვარი გახდენ, კარები ჩუუკეტიან, ფეხით წასლა უნდა, ერთი ქართველი კაცმა ცოლი დარჩენილა ბათუმში --- გონიოში კაცი ამოსულა, ცოლი მოიყვანო ხომ სულო-გულო მოეცესნა, იმიტომ დობეში ასულა, ფეხით წასულა, ხუთი დღე უჭმლო-უწყლო, წასულა, კევები არი იქ, კევი დეჭებდა, დეჭებული გადაყლუწებდა, წყალი დელეებიდან დაღევდა, წასულა, მისი ცოლი ვერ უნახია თურქეთში, ისე, იქა, შენ ეს გახდენა, ის გახდენა. ბავში მოსულა, კაცი ავად გახდილა, ზღვის ახლო ყური დაწოლილა, ბიჭები თამაშობენ, ერთი ბიჭმა მოსულა, -გულმა უძახის, წადი რაცხა უთხარი. ბიჭი წასულა, სახში უთქმია, კაცია ასე-ასე, სახში მუყევანია ი კაცი, თვალები უსმია კაცმა კი, მისი ქალი, ქალმა ისე გუუხარია, დაბნედილა. იქიდან ვერ წამოსულა 3 თვე, ერთი წიგნი დარჩენია იქ, მისი პაპებიდან ბიბლია და დანა, მარა ვერ წამუელია. იმდონი უტირია ქი წასლიხან, ჩემი ცოლი დევნახო.

9-VII -07

ნეგზეთ საბაზოდლი//უიგული - სოფ. დევესქელი, ამჟამად ცხოვრობს ბორჩხაში

ჩვენ აქავრი ბევრი არნ იქ, ბურსაში; ლამაზი იერია ბურსა.

წიმიყვანეთ-მომიყვანეთ, რა ეზიეთი.

- ფეხზე რა გჭირთ, რა დაგემართათ?

ვისაქმო მეთქი, ქვა დემეცა, ძმა მყავს, ქვები მუყურია ჩემ სახლისკენ (რა გიყავით რომ, საჭმელი ახლა ვჭამოთ), გავაწორო მეთქი, არ გაწოდა, აგზე დემეცა, იარა მაქვა, ჰამან 6 დღეა, 7 დღე მე მაქვა, დოხტურმა - (თქვენთანა მოსაფირი)კაი კი მოხვედითო, შიმიკოტენ.

ძმა შეწუხდა და გამუუტყვილა ბუკი, მე ასე დამმართა, ჰა, ამგვარი ძმა; არ გაწუხდენ. გამომიყვანა მანქანა, წიმიყვანა და მომიყვანა შენ ბიჭმა არ გაწუხდეთ, ლამაზათ დაჯექით, აბლამა გააკეთოს საჭმელი.

მე იქნა გადმოვდე, წამოვდეთ თქვენთან, მარუნიავს იქ, წიმიყვანს-მომიყვანს შენმა ბიჭმა, მეტი უყვარდენ ჩვენ დედებს ბათუმისთან, ბათუმ სახლი-მახლი ქონებინ, ხათიმ გურჯები ბათუმიდან მოვსულვართ. თქვენი წმინდაა, ჩვენ თქვენდენი ვერ ვლაპარაკობთ; ვერ შეხედეთ, ლამაზათ დაჯექით;

არ წევლევთ, არ მომქონდენ, წასლიხან ის წვიდე, ბუზინა დეიდვა, ექიმმა ისე მითხრა... არნა იაროლ ფეხით, თავაღმანა დეიჭირო.

– საქართველოში ჰინ არ ჩამოვსულვარ, ზოვლი მინდა ..

– ბიჭ არ ასახლებ?

– გაქორწინებ, ჯერ ბორჩხის სოფლები და ადგილები უნდა ჩავიწერო.

– ბევრი ქოი არი ბორჩხაში.

– ბიჭები მოსლამდინ ერთი სალათა გააკეთე;

– კვერცხი მაქვა, კვერცხი შევწვაე;

– საჭმელი ცოტა მქონდა და ..

აქ ნა დავასახლო ესნა, აქ კაი იყონ, ნახონა, მეხროდლები კაი ხალხი არიან, ემიაშვილი მყავდა, მასხრუბა უყვარდა, ბიჭები არიან ნაწავლ-ნაწავლი. – გარეთნა გავსულიყავი

კო, ტელეფონმა დუჟკრა (დარეკა - ე.ბ.).

– შეგაწუხეთ.

– ეზიეთი, ებბელი არა.

– ეს ბინა თქვენი საკუთარია?

ღაირე ქირაზე ვარ, ასი და სამი ათი ვაძლევ; აქ ჩემი ქალაქში სახლი არ მაქ, სოფელში მაქ. ბიჭი აქ მყავს ჩემი, აქ მყავს დიდი ბიჭი, აქვა...; გადმოველი, არ გადაველი, ჯერ ვერნა გედევდე, ილა გადმოი ბაბოლ, დედუნეს სახლი მისცა, ერთხელა ვიყოთო; ხანუმი ბურსას არი, გოგო ყავს; საჭმელ მე ვაკეთავ; მე არჩი ვარ; ორმოცი წელი არჩობა ვიჯები.

– პენსია რამდენი გაქვთ?

ხუთნახევარი მილიონი მაქ, მეყოფა, მყოფნის მე.

ნეგზეთ საბაზოდლი//უიგული

– შენ იეგან, ახლა, ამათაც იცინ გურჯა? შენ, დემახ, გზა ამათ დავაწავლენ, ჰა, არნა გექნა ასე ჩემთინ. არ მოვდა, ერთი წელიწადი არ მომიქცია, დუჟრეკავ, ეს საქმე მაქ ერთ თანე ნათქვამი, მქონდა დელი კაცია, ბაღდუზის ბიჭია, ჰემ დოსტი ვარ, ამათი გოგო ჩემ ბიჭ არი, მარა გავხოცევი, მე პირში გიძახ, ყანეა მეთქი.

– დრო არ მაქ.

– პირ კოცნა თუ გინდა, ცხვირმა არ დიგიშლის.

– მე დევსქელიდან ვარ, თქვენ?

–ბათუმიდან.

–ვისი გვარი ხართ თქვენ?

– ბათუმში ის ემები არიან ჩვენი გვარი, ხაბაზა, შარშანაც იყო, წრეველ არ გადმეიარა, მეველუდი იყო, ჩვენი ხისიმი ჰამა, აქ ყოფილიყო ილა მომასწრობდა აქ. ჰეკიმები-მეკიმები არიან იქ. ჩემი ალთიში დოქუზი ალთიში, ასკერში ვიყავ, საჭმელი ვაკეთებდი ოილა და ისე იმექლი გავხდი, საჭმელი ვაკეთებდი, ასკერში არჩი ვიყავ, არჩობა ვიჯები, თელი საქმე ვაკეთავ. არაბა ყავდა ანი? ჰა დააყენეთ? რავაი ხებრები გინდანან?

–ჩაგვაწერინეთ, რაც იცით ძველი ამბები, თქვენი ძველი სამშობლოს, თქვენი გვარის, სოფლის შესახებ, ასევე ლექსები, ანდახები, სოფელთა ქართული სახელები...

–მე მაშინ შენ დიგიწერენ ქითაბი. ამ სირაი ავაღველაი ვარ, შენი თვალების ჭრიმე, ხასთანეში ვიყავი, ხასთანედან გუშინ გამეველი.

სოფელში წაველი ქალაქიდან, ფეხზე ქვა დემეცა, გასივებული მაქ, მტკივა, ჩემი ცოლიც ბურსაშია. მარტო ვარ მე, ბადიში მყავს ერთი, იეთიმი ანი, ბაბოი ყავს, ნენეი არ ყავს, 10 წლისაა, ხუთშია, კუთხულობს. ახლა ქალაქში მივდიოდი, ტულეფონნა დუჟკრა, ღმერთის ემე არ ყოფილიყო, ვეტყოდი ქალაქშინა წევდე მეთქი, მე იანდლიშობა არნა მიყოს კაცმა, მე მუსაფირი მიყვარს, ანტალიაში ტელეფონზე დუჟრეკებენ, ერთი კაცი მყავდენ იქა, მეს(ც) კ(ქ)ი მცნობს, იმგვარი კაცია.

–რამდენი წლისაა ესე? შენ ნაკითხი ხარ? ებედი რამე არ დამვიწყებდა, სოფლიდან არაბანა დეიჭირო, სამოცი მილიონინა მიცე, ჩამოხვიდე, თან ვერ ნახავ; ერთი ჩაი დავადგა.

ელდარის უთქვია, დაგაწყებიავე, ბახანუმ (ენახოთ იქნება თუ არა, ენახოთ ამოვა თუ არა- ე.ბ.); ორი ბიჭი მყავ, ერთი აქ ცხოვრობს, ამათი სიძეა იშტე. ბათუმი მეტი ლამაზი იძახიდა ჩვენი დედეი, ჰამა მე ერთი არ გადმევიარე, მინდოდა ჰამა, იშტე, პრობლემები გამოვდა ტილეფონის ესესარი, ჯეფიას მაქვან მე. ზოგი ჩემთა იყავით, თელი მათ არ იყოთ.

მე დევსქლში, უკანმერეში ვცხოვრობ, ცივი წყალი არი, წყალი თუ გინდა, მე არ გავწუხდები, წამოვალ, მევართ აქავრობას ლამაზათ, თქვენ ტოლაი ერთხელ გავალ; როიცხა იტყვი, ტილეფონი დიმირეკავთ, ხელაი აქ ვარ; იქ ვიყავ ხუთი დღე, გაველი და რაცხაები ვისაქმო მეთქი და ფეხი ქვა მომხდა და დემეცა, ჩემ ძმა არი, აქ არი, დუჟლობია, ქვები მუჟყრია აქეთ -

კენ, ჩემ კუთხეს, ი ქვები ავწიო მეთქი და გამოგორდა, მომხდა.

– გისვენავ, შუახევ გახველი? შუახევგზიდანნა გედეიარო, ზეიდანში
ნა გედეიარო, ოხორჯინის აქეთ ვალაშია, ა იქეთ სანათ არი, სანათიდან
ნახევარი საათი არ გვინდა დევსქელში; იქით ნაძენარა არი, კვინტავრი
არი.

– ბაგინელი ცეცხლაძე გავიცანით.

ვიცი, გეგგენი, მეხროღლები, ცეცხლაძეები, ბაგინში დავწერავთ.

– დევსქელი – თურქულა ყაინარჯა. ხალხი ბევრია ანი, გარეველია. ყა-
ინარჯა დევსქელი 340 ხანეა, დიდი სოფელია, გახვიდე, შეიშლები.

მეჭვლეები: გაღმობანი, ძირიშ მაჰალე, შესას მაჰალე 15 ხანი, მემრე
ოხვათი თეფე მაჰალე, 20 ხანე, დაწერევი?; ჩიტავრი, დაწერე შენ? – 50 ხა-
ნე, დაწერევი?; საბაზოდლი – 40 ხანე, იმის მემრე ჩახვიდენა, ერიქლი მაჰა-
ლე, ქომობანი – 30. სხვა არ არი. დედედან გაგონილი მაქ, რომ სქელი დუ-
ზია და იმატომ ჰქვია დევსქელი. დევი თურქ არი აქლემი, დამახინჯ დე-
ვის ხევი; დერე მაჰალე – 25 ხანეა. ნაბელლავიც არი, შუახევსაც არი,
თურქული ამბარლე, 17 ხანე ვართ. ყანა რაფერ გითხრა, საშვაგი არი, შავ-
ქელი არი, კალოვანი, წუმპო იქ თაფლი ბევრი ყოფილი, წვეთევედა და წუმ-
პო დუურქმევიჩ ჩაირები, ფლატი, სკდება და ფლატი დუურქმევიჩ. მემრე კა-
ჟინა არი, ფუტკარი ბევრია, ჩაირები, მემრე თერნარა არი, თელას ვეტყვით,
ბევრი ხეა, ხორხთი, ცოტა ქვებიანი, იმის მემრე, შენ გითხრა სათიბი ხევი,
ჩვენი ყანები იყო, გავაგდეთ, ჩაირები არი, სხვა აქეთკენ საქარათი, ახალ-
ტყე დაწერე, ჩიბო, ცოტა ბზე (მზე - ებ.) მალე არ მიადგება ჩაირებია.

რუსთავი.

ნევზეთ საბაზოდლი//უიგული

არნა მუურიო იმა, მის მისებური ჩაუდეს ქვეშ, ჩააუდება, ბევრი გახდე-
ბა, ჰამა ცხელი წყალი ზედან დაასხი, იმა რა უნდოდა იცი, ჩაი მერენა
გახდეს, ნელ-ნელანა გახდეს, წარე არ იყოს, ისიც ბევრი არნა იყოს, ქვეში
ცეცხლი ცუტანა იყოს, მოხარშავ ჩაის. იქავრი წყლები რავაი? აქავრი
წყლებსავე არი?...

ნევზეთ საბაზოდლი//უიგული

– ფესტივალის შესახებ რას გვეტყვით?

–ფესტივალები? ჩემი ერთი შვილი პოლის(ც)ია, შარშან ბევრი იყვენ, ჰამა, წრეველ არ ვიცი რანა ქნან; ონ ბემ 10-ის, 5 წლის მემრე იქნება, ჩვენ იაილაში გადმოვლენ, სეირობაზე გამოდიან, წყალია ... ახლა დეინას გამოსვალ, ახლა დეინას გამოსვალ, თქვენ გოლზეც გახვათ, კამერა არ გაქვან, კამერა, გამოწიე, იმათ კამერა გამოწეველი აქვან, სიდი აქვან, ესენი ჩემი ემე არიან, ჩემი ემოშვილები, იქ ყანები აქვან, ჩაირები აქვან, ჩემი ბაბოი იქავრი.

10-VII-07 სოფელი არავეთი

სელიმ ათარი – 67წ.

იქიდან ქი წამოსულან ესენი, დიდი ბიჭი იქ დასახლებული ყოფილა, რუსული ქალი ყოლია, ეიდა, ის ქალ არ უქნია, აქ წამოსულა, მის ბაბასაც უთქვიო, არ გინდა წამოსლა იყავიო და წავალთ, მუალთ ერთმანეთ კიდენ დვენახავთო, ისე იქნა კ(ქი), გზა ჩეიკეტა, წასლა-მოსლა ადგა მაშინდელ დროს ტელეფონი არ იყო, მექთუბ ვერ გუუგზავნი, ისე დარჩენ. იმის ძმა მოკდა იქ, ამათ ხებერი არ ქონდენ აქ, იმის მემრე გზა კი გეიხსნა, ნათესავები მათი, ძმები, ბიძაები ჩევდენ აქედან. ისმაილაი კტარი დუუხდენ. ახლა იეგნები ყავან იქ. ოთარ არის, ნუგზარ არის, ნიაზი არის, ახლა ისინი წეველენ-მოვლენ.

სებაათტინ ალფაიდინი – არავეთის იაილა

1. სამაღავის თავიდან გადმოვიარეთ, ცხენვაკის ძირში ვზივართ. ახლა უნდა გადავიაროთ გელის ნამყოფი ხერხებში, მერედა გევედთ გოლზე. ცხენი ვაკე დუხი ადგილია. აქაურობში წვიმს, ცხენვაკის ზეით კაი ტაროსია, ვნახავთ მასკავგოლ.

მირიე ალფაიდინ - სოფელი არავეთი

1) ჰაეპ, პატიკებ ორნექლი მოქსოვებენ, პატიკებ გაყიდებენ, წამეიხურებენ, ოთუზ მილიონზე ყიდებენ შენი, მოზობელი ასია და იქ თაზე იმის მულმა ოთუზ მილიონზე ვყიდავო, მითხრა. იმან დააწვა (გააძვირა - ე.პ), ზენგინია, იმასთინ იუზ მილიონი მოვიდვა, ხეირიე ჰქვია იმ ქალსა, მუუქსოვია, ბეშანთან დუუყიდა იმ ქალსა. იი ჩინაგებინა წეილე იქა, მუთვადში არია, დადვი გადაყარევინიე, ახმემდი ჰამა გახმეველა ოზოშია, ისიც კოხი გუხელ, გუხელ კოხი.

10 – VII – 07

ჰასან აიღინ რეჯებოღლი – დევესკელის იაილა, სახლის მშენებლობის შესახებ

ჩხრიკავდა ძირში, ტახტას ხევდა მაქინაზე, არაბა ასე მუადა ასეში და მაქინას გამოახოკიავთ (გამოვადებინებთ – ე.ბ), იმის მემრე ხარჯი მოვზილათ ბეტონი, ეიდა იმის მემრე მუშუნევს ქენერებს, იმის მემრე კინას კოჭავს, დამწნილია ლამაზი, იმის მემრე ბეტონ დაასხავ, შიგანას მანწურავ, იმის მემრე დირეგებ დაყენავ, იმის მემრე ქირიშ შამუუარ, იმის მემრე კადრუნ დააყრი და დოშამას იქ, იმის მემრე კინას დააწყეფ, შეკოჭავ, მოქსოვ, იშილ დავაწყობ ჯეირან ჯეირან, იმის მემრე ბეტონ დავასხავთ, გავდუზავთ, გავდუზავთ, ჰამა მოწყობა თუ გინდა, თუღლა ჩეიწყობა, სუადი მოწორება იქნება, ფენჯრები დეიბმება, ჯეირანი (შუქი - ე.ბ.) დეიბმება, წყალიც დეიბმება, კარასაც დააბავ და გათავდება საქმე. დუუყრი კარსა და შესვალ სახლში, დაწვები.

10 - VII - 07 – დევესქელის იაილა

ქოსხალი რეჯებოღლი – 18 წლის

ასკერში მივალ, ოქული დეილია

(სწავლა დავამთავრე, ჯარში მივიღვარ).

10 - VII - 07 – დევესქელის იაილა

ჰაჯერ ათამან

2) მუუტანდი ჩვენ ურბას, დაჭრევდა კარგათ, შემიკერებდნენ, ჩამცმებდნენ, დედოფალი დავდგებოდით, ძველათ ენ კაი თერძი იყო გოგვებისა, გოგვებისა მეტი გამახარებდენ, ფულსაც ცოტა ამართმებდინ, პატინა რაცხას მივცემდით, ლოცვას მეიგებდა ბევრს.

10 –VII – 07 დევესქელის იაილა

აიშე აქზა – 80 წლის

1. რამდენი ჰაჯები (ამბავი, ტანჯვა, - ე.ბ.) გადამხდა, გოოვ, ძალი მომიკდა, შვილი მომიკდა, ჭკუა ჰა მაქ, გო, ადგენ, წევდენ დუგუნში, დუგუნის ფიქრი მაქ მე, ნენევ.

2. აადულავ წყალს, ჩააყრი ფქვილსა, დააცხებ კოვ და მოჭიჭყავ, საინებ დაასხავ და იად მასხავ.

3. რძალ კანცერი დიემართ, შვილმა დააწია და მან წვედა წინ. სამი თანე იეთიმი დამჩა. დიმიმალეს, იოსტაჯანემ ბიჭმა გააკეთებია, ნენეი, ბაბოი დუუყენებ, ახლა იქ დგანან ლამაზ-ლამაზე. (ე.ი. თავდაპირველად რძალი გახდა ავად, სიმსივნე დაემართა, შვილმა უმკურნალა, მაგრამ ამ ქვეყნიდან წასვლა მას უფრო ადრე მოუხდა და სამი ობოლი დამჩნაო. მე ეს ამბავი დამიმალეს, ბიჭმა ყველაფერი გააკეთა, უმკურნალა, მაგრამ ორივე დედაც და მამაც გარდაიცვალა, ახლა იქ წვანან ძვირფასები.)

ნენეგ რამე ვერ მიქნია, სული მიწუხდება, როისნა ამოვღონ – (ნათქვამია სახლის წვერებზე, რომლებიც ქორწილში იყვნენ წასული).

შვილი ბორჩხას არაბებ აკეთებდა, თელ ბორჩხას მთაკლდაო, მიძახიან, მარტო შენ მოგაკლდაო?! შვილი, რძალი და ძმა ანაი ბაბო, თელი ცივ ბუკით მომადგა. ნენეი თიდან ჩამოვდა, იქ მოკდა. (მთიდან ჩამოიყვანეს, იქ გარდაიცვალა – ე. ბ.). ძმები, დებიც ჩემზე პაწვანი იყვნენ, თელი დაკდენ, თელი მე გადამხდინ, შენ რომ დეგენახა შენც იტირებდ, შავ-შავ ბუილები გადაწკებილი. რამეს ვერ ვიჯები ვერაფერი, ერთი პრატი მყავდა, ისიც წეიყვანეს დუგუნში გო. მე რა ვქნა, წადან ფურმა მაჭენებია, არ შევდა ასორში. გულიდან ზორი მაქ ნევ, გული მტკივა იშე, წავალ დოსტურთან, მარაზი მაქ მითხარი, ილაჯი გამომიწერა, მაწყინა მეტი, ვერ ვსვამ.

– ესქი სოიადი დამამიწყდა, რავაი ფიქრი მქონდა, ჰამა დაგკარგე თელი.

10 – VII სოფელი დევესქელი

შაშიე აიდინ – კატი რეჯებოდლი მეღულოდლი

როის ამოხვედით თქვენ, ჰა დადექით, სებაათტინ ჰაიდან იცნობ შენ?

ვაკეთებ კამელიას, დაეჯდეთ, ჩაინა ვსვათ,

– როგორ აკეთებთ ჰასუთას?

1) ჰასუთას ნიშას და ქვილი, შექერი, სუ, (წყალი) ჰამა, იმასაც ყარარლი აქვა, ერთი თაბალი (თასი) ქვილი ჩააყარე, ერთი თასი შექერი, 3 თასი წყალი, ბითუმნა რეკო, ეგერ თუ სქელი ქნა, წყალს გეიგნებ იშტე, სქელი და თხელი ონაგორა იქ იშტა, ცუტ-ცუტა წყალ მიცემ, ბევრ არა, შენნა გააფერო, ჭკუა გაქვან იმდენი, თუ გინდა სამი ყაშულის ბეთმეზი ჩაასხი, თუ გინდა ბოინი, ჰამა ლამაზი ნა დააშუშუ, სული არ ედინოს, ქვედა-

იც არნა დახრაკო, სული არნა მუაღებო (მოათქმევინო - ე.ბ.) მენჯერაზე.

ფილავიც ისე და ონაგორა, არნა დახრაკო, ერთი არ გითხარი, თუ უგემური იქნა, პაწას მუუმატავ შექქერს.

თარლა (თურქ. tarla) მინდორი, ყანა, პლანტაცია, ველი (თქლ) „გზისპირი, კაცო, თარლა არი“ (ხება)

თელი ყველაფერი, მთლიანი, მთლიანად, ყველა, „იქ ბევრი ხალხი მყავს. ჩემი და იყო, იმან თელი იცის“ (არავეთი); „თელი აირი არიან“ (დაბა ბორჩხა); „თელი იადი გავადნობთ“ (ხედა ქლასკური); „თელი აქავრი ძლები მყავს“ (არავეთის იაილა); „რავაი ფიქრი მქონდა, ჰამა დაგვარგე თელი“ (დევესქელის იაილა)

თეფსებშინა - თეფშებზე, თეფში, ჭურჭელი, საჭმლის დასადება (ქველ). „თეფსებშინა ჩაღო ფურუნშინა გამააცხო“ (სოფ. დამფალი)

თემელი-ი (ბერძ.-თურქ. temel) ფუძე, საფუძველი, საძირკველი, საყრდენი, ბაზისი (თქლ) „მე ახლა გზის პირში თემელი რავა გავაგდო“, ფუძე როგორ მივატოვო (ბაგინის იაილა)

თენეკი (თურქ. teneke) თუნუკი (თქლ) „მაშინ თენეკი იყო“ (ხება)

თენეკე იგივეა, რაც თენეკი (იხ) „თენეკეებით ყიდდენ მარილ და ყაზიად“ (ხება)

თემიზი-ი (არაბ.-თურქ. temiz) სუფთა, ფაქიზი (თქლ) სისუფთავე, დასუფთაება (იხ. თემიზობს)

თემიზობს სუფთავდება, გასუფთავდება „თელი საქმე თემიზობს“ (ხება)

თერეფი-ი (არაბ. taraf) მხარე, რაიონი, კუთხე (თქლ) „ძალის თერეფმა კაკალი, თხილი, ქათამი მეითხოვენ“ (თეთრიწყელის იაილა); „გვევთხოვე – არა, კაცი თერეფმა დეიბურონა და დეებურე“ (დაბა ბორჩხა)

თექ (თურქ. tek) ერთადერთი, მარტო, ცალ-ცალკე, მარტოხელა (თქლ); შდრ. ოღონდ შ. ფუტკ. „მუსაფირები იყვენ თექ“, სტუმრები იყვენ ოღონდ (არავეთი)

თექი „ჩვენ თექი რამ არ ვიცით“ ჩვენ მაგვგარი რამ არ ვიცით (ხება)

თექრენ (არაბ. tekrar) კვლავ, კიდევ (თქლ) „იმას მემრე თექრემ იალი დავწვავ, თექრენ ზეიდან მაასხავ“ (არავეთი)

თიდან მთიდან „ახლა თიდან ჩამოვლენ“.

თორბა (თურქ. torba) ტომარა, თოფრა, ჩანთა (თქლ). მაგრამ ამ შემთხვევაში თორბაში იგულისხმება ქსოვილისაგან დამზადებული პატარა ტომარა ჩახვი „გავძრავ თორბაში, მინჯი გავაკეთავ“ (ხება);

თული (თურქ. türlü) სახეობა, სახე, ჯიში სხვადასხვაობა, განსხვავება, ნაირობა სხვადასხვა რამე (თქლ) „იქაც დააბებენ, ბევრი თულია, ფარა აჩუქავს“ (თეთრიწყელის იაილა); „იმგვარი თული იოხსუზობა არი“ (არავეთის იაილა) (იხ. შ. ფუტკ. თულლი)

თულლა (თურქ. tuğla) აგური (თქლ) „თულლა ჩეიწყობა“ (დევესქელი)

ო

იაბანი (თურქ. yabancı) უცხო, უცხოელი, უცნობი, გარეშე პირი (თქლ) „ლიზეთ, მოო ერთი, ამაზე იაბანზე არ არიან, ბათუმიდან არიან, ჩვენებური მეზობელი მეინახონა“ (ხება)

იათად-ი (თურქ. yatak) საწოლი (თქლ) „გოგოც და ბიჭიც იათადში წავლენ“ (დევესქელი)

იაილა (თურქ. yayla) საზაფხულო საძოვარი, იალადი (თქლ) „გორგითის იაილა მათი იაილაა“ (არავეთი); „ჩვენ იაილაში გადმოვლენ“ (დევესქელი)

იანღლიში (თურქ. yanlış) შეცდომა, ცდომილება, მცდარი, არასწორად, მცდარად (თქლ) იხ. იანღლიშობა

იანღლიშობა მოტყუება, შეცდენა, შეცდომაში შეყვანა? მე იანღლიშობა არნა მიყოს კაცმა“ (დევესქელი)

იარები შუქურ (არაბ. yarebbi şükür) ღმერთს მადლობა, ო, ღმერთო, მადლობა! „მე იმათ ვერ შევხედავ, იარები შუქურ, მემრეს ვილო 4 ყათი“ (არავეთი)

იაღ-ი [1] (თურქ. yağ) ცხიმი, კარაქი, ერბო (თქლ) „იაღ მაასხავ“ (დევესქელი); „თელი იაღი გაგადნობთ“ (ზედა ქლასკური); „ზეიდან იაღი მუა“ (ხება); „იაღი რავაი გამაასხავ, დიდი ყაბში ჩაასხავ“ (არავეთი); „სინორ, იაღ დავწავ“ (არავეთი); „პატინა იაღ დავასხავ იმ სინორზე“ (არავეთი); „მოყრით, იაღი მოვრეკავთ“ (არავეთის იაილა)

იაღლი (თურქ. yağlı) ცხიმიანი „და მოვდენ, სარმა გავახვიე, იაღლი“ (არავეთი)

იგზე იქ „იგზე ვიყავთ, რომ გამეიარეთ“ (არავეთის იაილა); „იგზე წყაროა მზათ“ (შუახევი) – იხ. აგზე

იგირმი (თურქ. yirmi) ოცი (თქლ) „ისაქმეს 10-15 დღე იგირმი მილიონზე“ (არავეთის იაილა)

იეგან//იეგან-ი//იეგანე „ (თურქ. yeğen) – ძმისწული, დისწული (თქლ), „შენ იეგან, ახლა, ამათაც იცინ გურჯა?“ (დევესქელი); იეგანე „ერთი ძმა ცოცხალა მყავს, იეგანი მამიკვდა“ (არავეთი); „ისიც ჩემი იეგანე იყო“ (ხება)

იეთიმი (არაბ.-თურქ yetim) ობოლი (თქლ) „სამი თანე იეთიმი დამჩა“ (დევესქელის იაილა); „მე იმა ვინივლე, ბაღნები რომ იეთიმი დარჩებიან“ (არავეთი)

იეთიში (თურქ. yetmiş) სამოცდაათი „იეთიში, იმ დროზე ანჯახ ჩევდა ქოშ“ (არავეთი)

იერადღერ-ი (თურქ. yer) ადგილი, პუნქტი (თქლ) „იერადღერები დეილევა თი“, ადგილები, ადგილთა სახელები დაილევა თუ? (არავეთი)

ილა (არაბ.-თურქ. ille, illa) აუცილებლად, უთუოდ, უსათუოდ „საჭმელი ილა მიცე, მიართვა“ (არავეთის იაილა)

ილაჯ-ი (არაბ.-თურქ. ilaç) წამალი, მედიკამენტი, სამკურნალო საშუალება (თქლ). „ილაჯი გამომიწერა, მაწყინა მეტი, ვერ ვსვამ“ (დევესქელის იაილა); ილაჯი უწოდებენ ასევე ყველის კვეთს, რძის ყველად გადაქცევის წამალს „ყველის ილაჯი მაქვა“ (არავეთის იაილა);

იმესექნა ამ გამოთქმას მაშინ ხმარობს მოსაუბრე, როცა მას აღარ ახსენდება წინადადებაში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა (ზმნა-შემასმენელი), ანდა არ სურს გამოააშკარავოს საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, ან როცა დარწმუნდება, რომ ამ სიტყვის შემდეგ თანამოსაუბრისათვის ყველაფერი გასაგები იქნება“ [შ. ნიჟ.] (შდრ. აჭ. ისქნა, იმასქნა, იმერ. იმასაქნა, იმასქენი, იმასაქენი) „ეე მიკროფონ, ტელევიზიონში არ იმესექნა, არა, არა, არ დევნახო“ (ხება)

იმითანე იმისთანა „მისი შრავტი მაქვან, იმითანე იშტი, ძი მაქინა მაქვან...“ (არავეთის იაილა)

იმკენ იმისკენ „ვინცხამ რაცხა ხუთი ფარა დეინახა, იმკენ მიჭენებს“ (არავეთის იაილა)

ინა ის უნდა

ინსან ინსანია//ინსანი (არაბ.-თურქ. insan) კაცი, ადამიანი ადამიანია (თქლ) „რუსი დევნახოთო, კაცი, კაცია და ინსანი ინსანია“ (არავეთი)

ინქინდამდინ (თურქ. ikindi) ნაშუადღევი, სამხრობა (თქლ) „ინქინდამდინ ისამებენ, ჭამავენ“, ე.ი. ნაშუადღევამდე ცეკვავენ, ჭამენ. (დევესქელი)

იოხსუზი (თურქ. yoksuz) დარიბი, ხელმოკლე, გაჭირვებული, უქონელი (თქლ) „რანა ქნა, იმგვარი თული იოხსუზობა არი“.

ისამებენ იცეკვებენ „თავზე გადაახურებენ დოდოფალს წითელ შარფს, ისამებენ, მუუთქმებენ სიმდერას, ატირებენ დოდოფალ“.

ისგვარი იმდაგვარი, იმგვარი. ასკერი, ჯარი ყოფილა არავეთ. ჯარი დუუყენებია ნიკოლამა, ჩხუბი მომხდარა, ხალხი წასულა. არა –შუა არი, შუაში ხალხი დარჩენილა და არავეთი ქვია. ნიკოლას მერე თურქები მოსულან, ერგვარი გახდენ, ერთი ქალი შვიდი ნახევარი წელი ვერ წასულა, ისგვარი გახდენ, კარები ჩუუკეტიან, ფეხით წასლა უნდა.....“. საზღვრების (კარების) ჩაკეტივის გამო, იმდაგვარი ვითრება შექმნილა.... (არავეთი)

ისტამბულელია მსხლის ერთ-ერთი ჯიში (შუახევი)

იუზ მილიონი (თურქ. Yüz) ასი მილიონი „იმასტინ იუზ მილიონი მოგიდვა“ (დევესქელი)

იქრამი (არაბ. ikram) პატივსაცემი მირთმევა. „მოვზილავთ, გავთხელავთ შოთი გავაცხელავთ, დავახვევთ, მინჯი, შექერი და კაკალი შუურევთ, ჩაის ვატან, იქრამი ქვია. ზედა ქლასკური.

იქუთანე (თურქ. iki) ორი (თურქ.) „იქუთანე და ვართ“ (ხება)

იქ იქმ, იზამ, იზამს, გააკეთებს. „ყველა გოგო ვერ იქ“ (არავეთი); „იმის მემრე კადრუნ ღაყრი, დოშამას იქ“ (დევესქელი)

იქვენაია იქვეა „ერთი ბიჭი ერზრუმაა – იქვენაია“ (არავეთი)

იქში იქ, იმაში სარძეს ვეტყვით და იქში, ბალახში დავმალდი“ (არავეთი); „იქში შეინახდენ თელი ყველამფერ“ (ხება); „ასე გარეკავ იქში“ (ზედა ქლასკური); „იმითანე იშტ, იქში ვხდით“ (არავეთის იაილა); „იქში წყალი არ არი“ (შუახვევი), იხ. აქში და სხვ.

იყბალი-ი (არაბ. ikbal) ბედი, ბედნიერება, კეთილდღეობა, წარმატება, ბედი, იღბალი (თქლ) „მე კაი იყბალი მაქ“ (არავეთი)

იშიდ (თურქ. işik) შუქი, სინათლე (თქლ) „შეკოჭავ, მოქსოვ, იშიდ დავაწყობ“ (დევესქელი); „სოფელში იშიდ არ იყო“ (არავეთი)

იშტა იხ. iSte „ყაფაყი მოვხადე, არ გადმოვა იშტა“ (ბაგინის იაილა); „სქელი და თხელი ონაგორა იქ იშტა“ (დევესქელი)

იშტე//იშტი (თურქ. işte) აი, ასე, მამ ასე, ესეც ასე, ამრიგად, ხომ, (თქლ) „არ დავმქდარვარ იშტე, ჰა“ (არავეთი); „თითო ძროხისთინ აქ ვზივართ იშტე“ (არავეთის იაილა); „5 კილო მეიწველი იმგვარი შეი იშტე“ (არავეთის იაილა); „შეგხედავ იშტე“ (ბაგინის იაილა); ამათ სიძეა, იშტე... მინდოდა ჰამა, იშტე“; „წყალს გეიგნებ იშტე“ (დევესქელი); „მისი შრატე მაქვან, იმითანე იშტი“ (არავეთის იაილა); „გონჯი უზრი ის აქ იშტი, კაცსა არ უძახის“ (ბაგინის იაილა)

იჭუჭუნოს ტკბილად ილაპარაკოს (შ. ნიუ) „ერთად მეიყარენ და თქვეს, ვიჭუჭუნოთ“ (ბაგინის იაილა)

იჯ(კ)ება იზრდება, ხარობს, ვარგობს „მერა სხალი, ვაშლი, ყურფუზი აქ არ იჯ(კ)ება“ (ზედა ქლასკური) (შდრ. იჯება - აკეთებს, საქმიანობს, ირჯება, ახერხებს (შ. ფუტკ.) „ჩემ ბადიშმა იჯება“. არავეთი).

კ

კაზინო ადგილი, სადაც ქორწილს მართავენ „ჩვენ კაზინოში დუგუნ ვიქთ“ (თეთრიწყელის იაილა); „წავლენ კაზინოში“; „დოდოფალი და სიძეი შამოვლენ კაზინოში“ (დევესქელი)

კარა კარი „კარასაც დააბავს“ (დევესქელი)

კარდალა მომცრო ქვაბი (სკ); გადატანით მნიშვნელობით რისიმე სიდიდის აღმნიშვნელი სიტყვა, „ერთი დიდი კარდალაი ხარი დაკლეს“ (თეთრიწყელის იაილა)

კანცერ-ი (ფრანგ.-თურქ. kanser) ავადმყოფობა, ავთვისებიანი სიმსივნე, კიბო (თქლ) „რძალ კანცერი დიემართ“ (დევესქელის იაილა)

კაცი-ი ქმარის მნიშვნელობით, „ჩემი ერთანე გოგო ბორჩხასა, მისი კაცი ემეკლი გახდა“ (თეთრიწყლის იაილა); „მე ერთი კაცი მყავდა, ისიც მომიკდა“ (თეთრიწყლის იაილა); „ჩემი კაცი ქორწილდება, მე მეორე ვარ, მესამედ ქორწილდება“ (თეთრიწყლის იაილა); „შენი კაცი რას მუშაობს?“ (დაბა ბორჩხა)

კვერცხა ვაშლის ერთ-ერთი ჯიში (შუახვევი)

კინა რკინა „იმის მემრე კინას კოჭავს“ (დევესქელი)

კოვ „დააცხებ კოვ და მოჭიჭყავ“ დააჭერ კოვს და მოვზილავ (დევესქელის იაილა)

კოჭავს (კინას) კრავს, გრეხს, აბამს „იმის მემრე კინას კოჭავს“ (დევესქელი)

კტარი მკვდარი

ლ

ლაგანი ნაგანი „ერთი ლაგანი ლივერი, ფიშტოი ამეიტანა“ (ხება)

ლაპაიკობენ ლაპარაკობენ „და მემრე ლაპაიკობენ“ (არავეთი)

ლახან-ი//ლახანა (ბერძ.-თურქ. lahana) კომბოსტო (თქლ) „ლახანს გავაკეთავთ“ (დაბა ბორჩხა) „ლახანას გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა)

ლეგენ-ი (სპარს.-თურქ. leğen) დიდი ტაშტი (თქლ) „გუგუმი, ყოვა, ქვაბი, სოვბა, სკამი, დიდი სკამი, შარფი, ლეგენი... ვიცით“ (ხება)

ლემს-ი ნემსი „გარეთაები ლემსითნა მოქსოვო“ (დევესქელი)

ლენერ-ი (სპარს.-თურქ. rezel) მურაბა (თქლ) „ლენერ ვაკეთავთ“ (ზედა ქლასკური); „სხალ რომ დაჭრი და შექერ დაყრი, ლენერ ვეტყვით“ (არავეთი)

ლივერ-ი რევოლვერი „ლივერს ესრიან, შელდიგ იქმენ“ (დევესქელი); „ერთი ლაგანი ლივერი, ფიშტოი ამეიტანა“ (ხება)

ლიოფინჯირ-ი (თურქ. lop, რბილი, მრგვალი, incir – ლეღვი) ლეღვის ჯიშია ერთგვარი (შუახვევი)

ლორ ყველი (სპარს.-თურქ.) „ყველ ჩვენ ლორ ვეტყვით“ (არავეთის იაილა)

ლობია ლობიო „ლობიას გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა)

ლორ-ი (სპარს.-თურქ. lor) ახალი უმარილო ყველი (თქლ) „მარყევე და დარჩებ აჭრავ, მინჯი იჯებნება, ლორი იქნება“ (არავეთი); „ყველ ჩვენ ლორ ვეტყვით“ (არავეთის იაილა)

მ

მათებურ-ი თვითონ, თავისთავად, თავისით „[საქონელი] სადამოზე მათებური მოვლინ, ძოვება არ ღირს“ (არავეთის იაილა)

მაკანა მაკარონი(ბაგინის იაილა)

მაკიდონი-ი მაკიდო (კუთხ.) იგივეა, რაც ოხრახუში (ქეგლ) „პრასა, მაკიდონი, ქინზის ვიცით“ (ხება); „მაკიდონი გუდუურევ, იქრამი ქვია“ (ხება); „ერთი კაი რამ ეარ იძებნება, ფხალი, ნიორი, მაკიდონი“ (არავეთის იაილა)

მარაზი-ი (არაბ. maraz) ავადმყოფობა (თქლ) „მარაზი მაქ, მითხარი“ (დევესქელის იაილა)

მასხრუბა მასხრობა, ხუმრობა „ემიაშვილი მყავდა, მასხრუბა უყვარდა“ (დევესქელი).

მაქ მაქვს „მე ერთი აქ მაქ შიშის სახლი“ (არავეთი); „ზათი არ მაქ“ (არავეთი)

მაქინა (იტალ.-თურქ. makine) მანქანა (თქლ) „მაქინას გამოცხდით ძეს“ (ბაგინის იაილა); „ჩხრიკავდა ძირში, ტახტას ხედა მაქინაზე“ (დევესქელი); „მაქინაზე ამუავებული შრატი მაქ“ (არავეთი); „მაქინაში გავწურავთ (არავეთის იაილა); „ჩვენ მაქინაზე დავასხავ იმას“ (არავეთი)

მაჰალე/ მეჰელე (არაბ.-თურქ. mahalle) უბანი (ქალაქის) რაიონი, „დაწერევი... შესას მაჰალე 15 ხანი“ (დევესქელი) „დაწერევი... მეჰელეები“ (დევესქელი); „თელი მეჰელეები გითხარ“; „ხედობანიც ხების მეჰელეა“ (ხება)

მეზერი-ი (არაბ.-თურქ. mezar) საფლავი (თქლ) „ჩემ ნენეს მეზერი აქა“ (არავეთი); „ხოჯალათ ჩვენი მეზრებია ეტრაპში“ (არავეთი)

მეგემ/მეგერ/მეგერე/მეგრემ (სპარს.-თურქ.)კავშ. თურმე „მეგემ თქვენნა მოსულიყავთ“ (ზედა ქლასკური); „მუცლიან ქალები დახიშტეს მეგემ“ (არავეთი); „ბაბოს უკან მიდიან მეგერ ტყეში“ (არავეთის იაილა); „მეგერ შია ერთანე ქართველი არ ყოფილა“ (არავეთი); „დედაბერთან მივდენ მეგერე“ (არავეთი); „ქე გეიქნია მეგრემ ნუბარეექმა 70-80 წელიწადი“ (არავეთი); მეგემ, ჩემი გული იქ ვერ გუუძლებსო“ (არავეთი); „მეგემ დაჯდა და იტირა“ (არავეთი).

მემლექეთი-ი (არაბ. memleket) ქვეყანა, მხარე, სამშობლო (თქლ) „...ეიდა შენთინ გავაჩინე ამდენი მემლექეთო“ (არავეთი)

მერე ვაკე ადგილი „მე დევსქელში, უკან მერეში ვცხოვრობ“ (დევესქელი)

მესელე (არაბ. მესელე) საკითხი, ამბავი, (თქლ) „ესკი მესელეები მოგიყვე?“ (არავეთი)

მექთუბ (არაბ. mektub) წერილი (თქლ) „მაშინდელ დროს ტელეფონი არ იყო, მექთუბ ვერ გუუგზავნი“ (დევესქელი)

მეშოკი (რუს. мешок) ტომარა „მეშოკი შენთან იყოს“; „გახნა მეშოკი, ნახა დოლარები“ (არავეთი)

მეჯბური (არაბ.-თურქ mecburi) იძულებული, ვალდებული (თქლ) „ჩემ ნენეს მეხერი აქა, გზამ არ იყო და მეჯბური ხოჯალათ ჩვენი მეზრებია ეტრაპში“, უგზობიის გამო, სასულიერო პირთაგან, იძულებული გავხდით სასაფლაოები გაგვეხსნა ამ მხარეში. (არავეთი).

მიასთვა მიართვა „საჭმელი დუუდვა, მიასთვა“ (არავეთი)

მინჯი ნადული, ხატო, რომელიც ყურუთის დამზადების ძირითადი კომპონენტია „შრატოდან აღუდლება, გავძრავ თორბაში, მინჯი გავაკეთავ, ყურუთი. მეორე შემთხვევაში მინჯი არის რქეზე კვეთის მიცემის შემდეგ შედეგებული მასა, რომლისგანაც მზადდება ყველი.

მიწიხაპი-ი კარტოფილი „მიწიხაპ გავაყირმიზავთ“ (ბაგინის იაილა); „...მიწიხაპი, თაფლის მაქ“ (ხება); „თეთრი ხაპი, მიწი ხაპი გუდუურევთ“; „მიწისხაპიპიდავთლი, დავჭრით“ (ზედა ქლასკური)

მოგიდვა იმან დააწვა, ზენგინია, იმასთინ იუზ მილიონი მოგიდვა, ასი მილიონი გითხრა. გითხრა, ასი მილიონის ფასი დაადო.

მოზობელი-ი მეზობელი „შენი მოზობელი ასია და იქ თაზე იმის მულმა ოთუზ მილიონზე ვყიდავო, მითხრა“ (დევესქელი); „მოზობელი ვიცით“ (ზედა ქლასკური)

მოსაფირი-ი (არაბ. misafir) სტუმარი (თქლ) „დოსტურმა – (თქვენისთანა მუსაფირი) კაი კი მოხველეთო, შიმპიკოჭენ“; „მუსაფირი მიყვარს“ (დევესქელი); „ჩვენი მუსაფირი ქრამი ესაა“ (ხება)

მოქსონილი-ი მოქსოვილი „ჩვენი მოქსონილი არა, ისტამბოლიდან იყიდებდენ“ (ხება)

მოწორდით! მოგვიახლოვდით, ახლოს მოდით, მოსწორდით! „მოწორდით, მოწორდით, ჰამა ტყვილი არნა იპარიკოთ“ (ბაგინის იაილა)

მოწორება მოსწორება, მოპირკეთება „სუადი მოწორება იქნება“ (დევესქელი)

მოჭიჭყავს მოხელს, აურევს „დააცხებ კოვ და მოჭიჭყავ“ (დევესქელის იაილა)

მუთვადი-ი (არაბ.-თურქ. mutfak) სამზარეულო (თქლ), იხმარება ოთახის მნიშვნელობითაც. „იი ჩინაგებინა წვილე იქა, მუთვადში არია“ (დევესქელი)

მუსაფირი-ი (არაბ.-თურქ.)იგივეა, რაც მოსაფირი (იხ.) „ცხვირ მეფხანებოდა ქი, ვინცხა მუსაფირინა მოვდეს-მეთქი“ (ზედა ქლასკური); „მუსაფირები იყვენ თექ“ (არავეთი)

მუუთქმებენ სიმღერას სიმღერას მოუთქვამენ//ეტყვიან//მიუძღვრებენ „ ისამებენ, მუუთქმებენ სიმღერას”.

მუხტარ-ი (არაბ.-თურქ. muhtar) მამასახლისი (თქლ) „ბიჭები ზოგი ბელედი-ეში, მუხტარია ერთის(ც)“ (თეთრიწყალის იაილა)

მუღელიმი-ი (არაბ. muallim) მასწავლებელი (თქლ). გამოიყენება განათლებულის მნიშვნელობითაც. „რა მუღელიმი ხარა“ (არავეთის იაილა)

მუცლიან ქალები ფეხმძიმე, ორსულები „მუცლიან ქალები დახიშტეს მეგემ“ (არავეთი)

მუუშენეგს მიუშენებს

ნ

ნა უნდა ნაწილაკად ქცეული მეშველი ზმნის შემოკლებული ფორმა „ახლა გვარები ნა ვთქვა თურქნა“ (ხება); „მე ბათუმშინა ჩამოვდე“ (ხება); „ახლა გედევდენა, რემეზანი რომ დეილივა ანი“ (ხება); „სიმინდინა დაფუშნა, დავა-ღამე“ (ხება); „ცხვირ მეფხანებოდა ქი, ვინცხა მუსაფირინა მოვდეს-მეთქი“ (ზედა ქლასკური); „მეგემ თქვენნა მოსულიყავთ“ (ზედა ქლასკური)

ნაზლობს (თურქ. nazlı) კეკლუცი, პრანჭია, ჭირვეული, ნაზი (თქლ), „ერთ მისლაზე არ მიცემს ბაბოი, ორჯერ, სამჯერნა მიხვიდე, ნაზლობს და მესამეზე მიცემს.“

ნიეთი მაქ (თურქ. niyetli) მარხული (თქლ), „რემეზენი რომ დეილევა, ნიეთი მაქ.“

ნისლი ტაროსი ცუდი (ნისლიანი) ამინდი, ავდარი „ჩვენ ბოლუთ ვუძახით, ისინი ნისლი ტაროსი უძახი“ (თეთრიწყალის იაილა)

ნალია საღობე სახლი, ფაცხა (სკ); ნალია (კუთხ.) იგივეა რაც სასიმინდე (ქეგლ).

ნენე (კუთხ) დედა (ქეგლ) „ბადიში მყავს ერთი, ნენეი არ ყავს“ (დევესქელი); „ღუგუნის ფიქრი მაქ მე, ნენეე“; „იოხტაჯანემ ბიჭმა გააკეთებია, ნენეი“ (დევესქელის იაილა); „ჩემ ნენეს მეზერი აქა“ (არავეთი); „ნენეე მე კაი ვჭამე“ (არავეთი)

ნიეთ-ი (თურქ. niyet) განზრახვა, ზრახვა, სურვილი, მიზანი, (თქლ) „ნიეთი მაქ, მანქანა გყავან...ჩამუალ“ (ხება)

ნაწავლ-ნაწავლი ნასწავლი

ნიშანდი-ი (თურქ. nişanlı) დანიშნული, დაწინდული საქმრო ან საცოლე, ნიშნიანი, ნიშანდებული (თქლ). „ორ წელიწად ქალი ნიშანდი იქნება, 2. ნიშნობოს განმავლობა (ხანა) „მემრე კი ეტყვის მამამთილი, წევყვანო ახლა, ეყოფა ამდენი ნიშანდი“ (დევესქელი)

ნუბარეკი (არაბ.-თურქ. mübarek) პატივსაცემი, კურთხეული, წმინდა, წმინდანი, უბიწო (თქლ). ამ შემთხვევაში ღმერთმა „ქვა გეიქნია მეგრემ ნუბარეკმა 70-80 წელიწადი, იეთმიშ, იმ დროზე ანჯახ ჩევდა ქოშ“ (არავეთი)

ო

ოდათახუმი (odatahumi) ოდისთვის (სახლისთვის) საჭირო ნაქსოვი კომპლექტი „ოდათახუმი, ფარჩები ვქსოვ“ (დევესქელი) იხ. თახუმი

ოილა ადვილად, მარტივად

ოვა (თურქ. kova) სათლი (თქლ) „ოვაში ჩაასხანა, სობიძირში დაღვანა“ (დევესქელი)

ოზო ეზო „ახემედი ჰამა გახმევლა ოზოშია“ (დევესქელი)

ოთუზ მილიონ-ი (თურქ. otuz) ოცდაათი მილიონი (თქლ) „ოთუზ მილიონზე ყიდებენ, შენი მოზობელი ასია და იქ თახე იმის მულმა ოთუზ მილიონზე ყვიდავო, მითხრა“ (დევესქელი)

ონაგორა (თურქ. ona göre) ამის მიხედვით, ამის შესაბამისად, შესდულე-ბით (თქლ) „სქელი და თხელი ონაგორა იქ იშტა“; „ონა გორ მარილ ჩააყრ“ (დევესქელი)

ონ ბეშ (თურქ. on beş) თხუთმეტი (თქლ) „ონ ბეშ 10-ის, 5 წლის მემრე იქნება“ (დევესქელი)

ორთვეინა ორივენი (ორივე, ორთავე) უნდა „გენილი და დემათილი რომ წეიკინდრებიან, ორთვეინა დაკლა“ (არავეთი)

ორნექ(ლი) // ორნეკი (örnekli) სანიმუშოდ, სამაგალითოდ, (თქლ), თარგი „„ჰაეპ პატიკებ ორნექლი მოქსოვებენ“; „ორნეგ ავარვა(ვი) არხატაშეფ“ (დევესქელი)

ოქული (თურქ. okul) სკოლა, სასწავლებელი (თურქ.) სწავლა დავამთავრე „ასკერში მივალ, ოქული დეილია“ (დევესქელი)

პ

პასაპორტი პასპორტი „პასაპორტი ამეველე, დუუდევე წინედან“ (ხება); „შენი პასაპორტი ფული ბევრი უნდა, სებაათტინისდენ ვინმე არ დეიჭირავს“ (არავეთი)

პატიკები-ი (თურქ. patik) ფაჩუჩები (თქლ) „ჰაეპ პატიკებ ორნექლი მოქსოვებენ, პატიკებ გაყიდებენ“ (დევესქელი)

პატინა// პატინაი მცირე, ცოტაოდენი „პატინა იად დავასხვა“ (არავეთი); „პატინა, მე პაწაი ვარ და ის დილია“ (არავეთი); „პატინა რაცხას მივცემდით“

(დევესქელის იაილა); „საკვამი პატინა სამახრეგო, სამყან შემ ჩემზე უფრო იცი“ (არავეთი).

პატიობა პატარაობა, ბავშვობა „ჩემ ქალმა დააჩვია პატიობაში“ (არავეთი)

პაწა მცირეოდენი, სულ მცირე, პატარა „პაწას უძახიან სახლი არ გააკეთი, ქომო ყათში დაჯექ“ (არავეთი); „თუ უგემური იქნა, პაწას მუუმატავ შექერს“ (დევესქელი) იხ. პაწაი

პაწვანი პატარანი, მცირეწლოვანი „ძმები, დებიც ჩემზე პაწვანი იყვნენ“ (დევესქელის იაილა)

პოლის(ც)ი პოლიციელი „ჩემი ერთი შვილი პოლის(ც)ია“ (დევესქელი)

პრასა პრასი, ბოსტნეულის ერთ-ერთი სახეობა „პრასა, მაკიდონი, ქინზის ვიცით“ (ხება)

პრატ-ი (კუთხ.) ქალიშვილი, გოგონა, „ერთი პრატი მყავდა“ (დევესქელის იაილა)

ქ

ქანდარმ-მანდარმი ქანდარმი, პოლიციელი [ფუძეგაორკეცებული ფორმა] „ქანდარმ-მანდარმა დიგიჭირავენ“ (ხება). შდრ. სახლი-მახლი

რ

რა ალი რა არის „ნათესავი რა ალი, ნათესავი მე არ ვიცი“ (ზედა ქლასკური)

რავა-ი როგორი, როგორც „რავაი ფიქრი მქონდა, ჰამა დავკარგე თელი“ (დევესქელის იაილა); „იქავრი წყლები რავაი?“ (დევესქელი); „იალი რავაი გამაასხავ, დიდი ყაბში ჩაასხავ“ (არავეთი)

რა ვი რა ვიცი „მე რავი, ზოგიც ის ალაპიკე“ (არავეთი); „მე რავი, იმ გვარი იქნება“ **რან** რა უნდა „ძროხის მაყორიფნელმა რან გაყიდოს“ (არავეთის იაილა) (იხ. რანა, ნა)

რათნა რად უნდა „ახლა ეგ რათნა ქნა“ (არავეთი)

რამდონ-ი რამდენი „ბიდონსაც აავსობ, რამდონსა გინდა იშტა“ (დევესქელი); „ახრება რამდონი ხალხმა დეესია“ (არავეთი)

რამდონსა რამდენსაც „ბიდონსაც აავსობ, რამდონსა გინდა იშტა“ (დევესქელი)

რამით-ი რამდენი „რამითი ყოფილა იცი, ხუთი სახლი ავსობილი ყოფილა“ (არავეთის იაილა)

რამეთლი (თქლ. rahmetli, rahmetlik) განსვენებული, ცხონებული, ნეტარსენებული (თქლ) „რამეთლი დედეი მეტი ზენგილი ყოფილა, ენ წინ დიდი დავაქორწილე.“

რაცხა //რაცხათ// რაღაც(ა), „ვინცხამ რაცხა ხუთი ფარა დეინახა“ (არავეთის იაილა); რაღაცისთვის „კაცი თერეფმა დეიბურონა და დეეებურე, მათ კაცებმა რაცხათ უნდანა“ (დაბა ბორჩხა); „რაცხა ჰქვია, ჰო, მარადი ყოფილა ჩვენი ხისიმები“ (არავეთი)

რემეზანი (არაბ. ramazan) რამაზანი, მთვარის წელიწადის მეცხრე თვე, მაჰმადიანების მარხვის დრო (თქლ), „მაშინ მაფია ყოფილა, ახლა გედევდენა, რემეზანი რომ დეილივა ანი“ (ხება)

რესიმი (არაბ. resim) სურათი (ქთლ) „ჩემ იეგნებმა რესმი გამუუწიეს“ (არავეთის იაილა)

როის//როისნა როდის „როის ამოხვედით თქვენ?“ (დევესქელი); როდის უნდა „სული მიწუხდება, როისნა ამოვდონ“ (დევესქელის იაილა)

როიცხა როცა, როდესაც, როსდა „ტამოუნია როიცხა გედეიკლიტა“ (ხება); „როიცხა იტყვი“ (დევესქელი)

რუსული ქალი რუსი ეროვნების ქალი „რუსული ქალი ყოლია“ (დევესქელი)

ს

ს =ც ნაწილაკი „მაკიდონი, ქინზის ვიცით“ (ხება); „ჰო, ჰო, ისის (=ისიც) გაკეთდება“ (ხება); „კაკალი კაის (=კაიც) არი, ჩურუგის (ჩურეგიც) არი“ (არავეთი); „ახლა ჩემი ბადიშის (ბადიშიც) ხოჯა იყო, მამიკდენ, მაჭახელში“ (არავეთი); „ნენეე მე კაი ვჭამე, ჰამაო მეს ქართველ ვარო“ (არავეთი); „ესეს ჩვენი მულია“ (დაბა ბორჩხა)

სავაში (თურქ. savaş) ბრძოლა, ომი (თქლ) „სავაში თელი ხალხი ვინ ვის...“ (არავეთი)

სავე (ვით თანდებუდიანი მიცემითის დიალექტური ვარიანტი) სავით „აქავრი წყლებსავე არი?“ (დევესქელი)

სამა ცეკვა „სამაც კაი იცოდა“ (ბაგინის იაილა)

სარმა (თურქ. sarma) ტოლმა, შეხვევა (კერძი) (თქლ), „სარმას გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა); „ტათლი, სარმა... ვაკეთავთ“ (ზედა ქლასკური); „და მოვდენ, სარმა გავახვიე იაღლი“ (არავეთი); „სარმა გავაკეთავთ“ (დაბა ბორჩხა)

სარძე სახლში, მთასა თუ ბარში, გაკეთებული სათავსო, რძის პროდუქტების გადამუშავებისა და შენახვისათვის. „მე თაზე ვარ, სარძეს ვეტყვით და იქში, ბალახში დავმალე“ (არავეთი)

სახლი-მახლი (ფუძეგარეცეხული გამოთქმა **სახლ** სიტყვისა) „ბათუმ სახლი-მახლი ქონებინ“ (დევესქელი)

სებაათტინისდენ-ი სენბათტინისოდენი „სებაათტინისდენ ვინმე არ დეიჭირავს“ (არავეთი)

სეირ-ი (არაბ. seyir) სანახაობა, სეირნობა (თქლ) „ის რაცხა სეირი იყო, ჭო“ (ბაგინის იაილა)

სენუმე (თურქ. seçim) არჩევნები (თქლ) „ახლა ჩვენ უქუმათის სენუმე და ფესტივალი უკან გედეიტანეს“ (არავეთის იაილა) (იხ. შ. ფუტკ. სენიმი)

სინორ-ი პურის ცომისაგან გაყვანილი, თხელი გამოცხობილი ფენები და მასზე დამწვარ კარაქში გახსნილი ნაღულის დასხმით გაკეთებული ერთგვარი კერძი „სინორ გავაკეთავთ“ (არავეთი); „სინორ, იად დაწვავ“ (არავეთი); „პატინა იად დავასხავ იმ სინორზე“ (არავეთი); „სინორ გავაკეთავ“ (არავეთი); „სინორ, სუთლი გავაკეთავთ“ (ზედა ქლასკური)[შდრ. შ. ფუტკ., შ. ნიჟ.]

სირაი (თურქ. sıra) რიგი, ჯერი, წესრიგი, წყობა, რიგში ყოფნა, (თქლ) **ამ ჯერად** „ამ სირაი ავადველაი ვარ“ (დევესქელი)

სობა (არაბ. soba) ღუმელი (თქლ), ყოვა დავდგი სობაზე“ (ბაგინის იაილა); „გუგუმი, ყოვა, ქვაბი, სობა... ვიცით“ (ხება); „შევდუბ, სობა ზათი არ მაქ“ (არავეთი); „სობაზე დადებ“ (არავეთი)

სობიძირ-ი ღუმლის ძირი, ღუმლის ქვედა მხარე „ოვაში ჩაასხანა, სობიძირში დადვანა“ (დევესქელი) „სინორ გავაკეთავთ“ (ბაგინის იაილა)

სოი (თურქ. soy) გვარი, ჯიში, სახე, სახეობა, ნაირი (თქლ), „ბათუმში აქიდან ჩავლაი, რა სოი ვთქვა, ახლა არ ვიცი იქავრობა“ (ხება); „რა სოია, ვერ ვაგნებ“ (ხება)

სოიად-ი (თურქ. soyadı) გვარი (თქლ) „ესქი სოიადი დამამიწყდა“ (დევესქელის იაილა); „სოიადი, ძველი თუ ახალეები, ჩემი ძველი სოიადი, ყადიოდლის ეტყვიან“ (შუახევი)

სუ (თურქ. su) წყალი (თქლ) „შექერი, სუ იმასაც აქვა...“ (დევესქელი)

სუთლ-ი (თურქ. sütlü) რძიანი (თქლ) „სუთლი გავაკეთავთ“, რძითა და ბრინჯით გაკეთებული ერთგვარი კერძი (ზედა ქლასკური)

ტ

ტათლი (თურქ. tatlı) ტკბილი, გემრიელი, სასიამოვნო (თქლ) „ჭამე თლათ, ჩვენი გაკეთებულია, ჰელვა, ტათლი“; (ხება); „ტათლი, სარმა... ვაკეთავთ“ (ზედა ქლასკური); „ტათლი გავაკეთავთ“ (არავეთი)

ტანს იქმენ იცეკვებენ „ხალხი ტანს იქმენ“ (დევესქელი)

ტაროსი-ი ამინდი, ჰავა, კლიმატი „ცხენვაკის ზეით კაი ტაროსია“ (დევესქელი); „მიხვალს ღამეზთე. ტაროსი თუ კაია“ (არავეთის იაილა)

ტაქსის(ა) //ტაქსისი ქსოვილის სახეობა, ერთგვარი მატერია „გელინუხსა ჩა-
აცმევენ ტაქსისას“ (დევესქელი); „სხვის სახში იყო, ტაქსის წუულის“ (არა-
ვეთი)

ტილეფონი-ი ტელეფონი „მინდოდა, ჰამა, იშტე, პრობლემები გამოვდა ტილე-
ფონის ესესარი“; „ტილეფონი დიმირეკავთ“ (დევესქელი)

ტრაპიზინი-ი ტრაპიზონი „ერთი ტრაპიზინ მყავს“ (არავეთი)

უ

უთქვიო //უთქმია =უთქვამს „მის ბაბასაც უთქვიო“ (დევესქელი); „დედაბერ-
საც უთქმია ქი, ძირიდან არ დეიწყო, ზეიდან დეიწყო“ (ბაგინის იაილა);
„ბიჭი წასულა, სახლში უთქმია“ (არავეთი)

ურბა (თურქ. urba) ტანსაცმელი, კაბა (თქლ) „მუუტანდი ჩვენ ურბას“ (დე-
ვესქელის იაილა)

უსაქმურა უსაქმოდ, უსაქმურად „უსაქმურა, იჭამოს, ცხოვროს, ჩუუყარონა
გუდაში“ (არავეთის იაილა)

უქუმათი-ი (არაბ. hükümet) ხელისუფლება, მთავრობა „ახლა ჩვენ უქუმათის
სენუმე და ფესტივალი უკან გედეიტანეს“ (არავეთის იაილა)

ულურლი (თურქ. uğurlu) ბედნიერი, ბედნიერების მომტანი (თქლ) „ხეირი-
ულურლი იყოსო, ეტყვის“ (დევესქელი)

უნუმარა ჩუმად, ფარულად, მალულად, დაფარულად, შეუმჩნეველად „უნუმა-
რა გადმოვდოდენ“ (ხება)

უუწიკიან აუზიდავთ „ნიკოლას დროში აქ ოქრო ამუუდიან, უუწიკიან, ახლა
ტყვა“.

უჯუზი (თურქ. ucuz) იაფი, მუქთა (თქლ), „მაღაზიაშიც უჯუზია“ (არავეთის
იაილა)

ფ

ფალაზი-ი (თურქ. palaspare) ძონდი, კონკი (თქლ) ძველი ქსოვილის ან ან
ტანსაცმლის ნაგლეჯი (შ. ფუტ.) „ფქილით გავთქიფავ, გაველესავ, ფალაზზე
დავასხავ“ (ბაგინის იაილა). შდრ. ქართ. ფლასი

ფანდული-ი (თურქ. pantalon) შარვალი (თქლ) „ერთსავე ფანდული აცვია“
(ღაბა ბორჩხა) [შდრ. შ. ფუტკ. ფანთოლი]

ფანელაი-მანელაი ფლანელი, ფლანელის მსგავსი სამოსი „რამ მოგცე თუ? ფანელაი-მანელაი ჩეიცვა?“ (არავეთის იაილა)

ფართა//ფასტა ფასთა (თურქ. pasta) ნამცხვარი, ტორტი (თქლ) „მემრე დიდი ფართა მოვა, მაღალი, იმა გაჭრიან, სიძეი და დოდოფალი ჩათალათ ამეიღებენ“ (დევესქელი); ნამცხვარი, შაქარლამა „ფასტას დაარიგებენ“ (დევესქელი).

ფეშკირ-ი (თურქ. peşkir) პირსახოცი, ხელსახოცი (თქლ) „ფეშკირი მუუტაი, გო“ (ხება)

ფილაგი-ი ფილაგი (spar.) მოხარშული ბრინჯი (ქეგლ). „ფილაგიც ისე და ონაგორა, არნა დახრაკო“ (დევესქელი)

ფიშნა (შდრ. რუს. ვიშნია, იმერ. ქვიშნაბალი) ბლის ერთ-ერთი ჯიში (შუახევი)

ფიშტოი (piştov) დამბაჩა [შ. ფუტკ.] პისტოლეტი „ერთი ლაგანი ლივერი, ფიშტოი ამეიტანა“ (ხება)

ფოსტანიში (თურქ. postane) ფოსტა (თქლ) ფოსტაში „ამის კაცი წასულია, იქი საქმობს, ფოსტანიში მუშავობს“ (დაბა ბორჩხა)

ფოშა 1. ბოშა, მოხეტიალე, უსახლკარო; 2. უსირცხვილო, უნამუსო ადამიანი „ფოშა რატომ უძახიან, სიმინდი, ფქილი, თხილი, ფარა, საჭმელი ილა რაცხანა მიცე, მიართვა“ (არავეთის იაილა); „დიდი ფოშა, დიდი უკითხია, დიდი სკოლა დუშმთავრებია“ (არავეთის იაილა)

ფურუნ-ი (თურქ. firin) ღუმელი, ფურნე, (თქლ) „...ფურუნშინა გამააცხო“ (ბაგინის იაილა)

ფქილ-ი ფქილი ფქილი, თხილი, ფარა, საჭმელი ილა რაცხანა მიცე, მიართვა“ (არავეთის იაილა); „აქვა ფქილი რომ გაციონ“ (არავეთის იაილა)

ფხაბეხურმა ხურმის ერთ-ერთი ჯიში (შუახევი)

ქ

ქენერ-ი (თურქ. kenar) კიდე, ნაპირი, განაპირა (თქლ) „იმის მემრე მუუშენებს ქენერებს“ (დევესქელი)

ქეაფორ-ი (თურქ. kuaför) პარიკმახერი; კუაფურ ვარცხნილობა. (თქლ) „დილაზე დოდოფალ ქეაფორში წეიყვანებენ“ (დევესქელი)

ქი (ქე, ქვე) კი, კი, დიახ, კიდეც „იქიდან ქი წამოსულან ესენი“; „ისე იქნა ქი, გზა ჩეიკეტა“; (დევესქელი); „აქ იმდენი ეძებენ ქი, ვერ ნახებენ“ (არავეთის იაილა); „ცხვირ მეფხანებოდა ქი, ვინცხა მუსაფირინა მოვდეს-მეთქი“ (ზედა ქლასკური); „ისე პაწაი იყო ქი, დევნიშნე“ (არავეთი); „არ მაგონდება ქი“ (შუახევი)

„დედაბერსაც უთქმია ქი, ძირიდან არ დეიწყო, ზეიდან დეიწყო (დედაბერსაც უთქვამს კი ბოლოდან არ დაიწყო თავიდან დაიწყო“ (ბაგინის იაილა).
ქითაბ-ი (არაბ. kitab) წიგნი, ყურანი (თქლ) „მე მაშინ შენ დიგიწერენ ქითაბი“ (დევესქელი); „ჩემი ნათქვამი არ ქნა ქითაბში“ (არავეთი)

ქირიშ-ი (თურქ. kirış) მორი, ძელი (თქლ) „იმის შემრე ქირიშ შამუარ“ (დევესქელი)

ქოთანაი მსხლის ერთ-ერთი ჯიში (შუახვევი)

ქოი (თურქ. köy) სოფელი (თქლ) „ბევრი ქოი არი ბორჩხაში“ (დევესქელი)

ქომო//ქომოთ ქვემო, ქვემოთ, იგივეა, რაც ქომოთ (იხ.) „პაწას უძახიან სახელი არ გააკეთი, ქომო ყათში დაჯექ“ (არავეთი); „აქ ერთი ქომო ხიდა“ (არავეთის იაილა); „პოლისის დავასახლე ქომო სახელში“ (არავეთი); „ქომოთ ორი ყათი აქ“ (არავეთი)

ქრისტინებ-ი ქრისტინები „დევესქელ გათხოვილი, ქრისტინებში არიან“ (არავეთი)

ქუფე (თურქ. küpe) საყურე (თქლ) „უზუგი საათი, ქუფე გენილ მუტანთ“ (ხება)

ქვილ-ი ფქვილი „პაწაი გარმინთაი ქვილ ჩაყრი“ (ზედა ქლასკური)

ღ

ღარჭ-ი ბავშვი, ვაჟიშვილი „გავატანე ჩემი გელინი, ღარჭის ცოლი“ (ხება);

ყ

ყაბ-ი (თურქ. kap) ჭურჭელი, ქვაბი (თქლ) „...ჩაასხავ ხუთ კილო ბიდონ მოსარეკელ ყაბში“ (დევესქელი);

„ქვაბ-თენჯერე, დიდვან ყაბები“ (არავეთი); „ყაბში ჩადებ იაღსა“ (არავეთი)

ყაებ-ი//ყაია (თურქ. kaya) კლდე, ფრიალო კლდე (თქლ) „ზომო დიდვანი ყაებში ფუტკრე მისულა“ (ხება)

ყავან ყვანან „ახლა იეგნები ყავან იქ“ (დევესქელი)

ყაზიად-ი (თურქ. gazyag) ნავთი (თქლ) „იქიდან მარილი და ყაზიადი ამეიტანდენ“ (ხება)

ყათ-ი (თურქ. kat) ფენა, სართული, წყება, ხელი, კომპლექტი (ქთლ) „ხუთი ყათი გენილი ყავს“ (ბაგინის იაილა); „შემრეს ვილო ოთხი ყათი“ (არავეთი); „სახლი ქონებია ორი-სამი ყათი“ (ხება)

ყაიმაღ (თურქ. kaymak) არაქანი, ნაღები (თქლ) უმი რძისაგან გამოსხდილი პროდუქტი, „ყაიმაღი შევნახავთ“ (არავეთი) „ყაიმაღს როგორ ამზადებთ?“ (ხება); „ყაიმაღ მაქინაში გაწურავ“ (ხება)

ყაფაღი/ყაფაყი - (თურქ. kapak) სახურავი, ხუფა (თქლ) ყოვა დავდგი სობაზე, ყაფაყი მოვხადე,

ყაიმაყამი კაიმაკამი (არაბ. kaymakam) სახელმწიფო მოხელე, მაზრის უფროსი (თქლ) „ერთი ღორჯუკ, პაწაი ყაიმაყამი ხდება“ (არავეთი)

ყაინ-ი (თურქ. kayın) ცოლის ძმა (თქლ) „ამა დააწერიე, ჩემი ყაინია“ (ხება)

ყარაღი (თურქ. kararlı) დადგენილი, განსაზღვრული, თანაბარი, ზომიერი (თქლ), „იმას ჩავასხავ, მისებურ ყარაღი ნორმაღი სობაზენა“ (არავეთის იაილა)

ყარფუზ-ი (თურქ. karpuz) სახამთრო (თქლ) „ამეიტანებენ „...სხალი, ყარფუზი, თაზა ლობიო...“ (ბაგინის იაილა)

ყაშუღ-ი (თურქ. kaşık) კოვზი (თქლ) „თუ გინდა სამი ყაშუღის ბეთმეზი ჩაასსხი“ (დევესქელი)

ყელემ-ი (არაბ. kalem) კალამი, ფანქარი (თქლ), ფანქარი ამეიტანა და იმ ღუნის წვიღო“ (არავეთი)

ყველამფერ-ი ყველაფერი, ყოველი „იქში შეინახავდენ თელი ყველამფერ“; „თელი ყველამფერი გათავდა“ (ხება); „ჩვენი ქართველები თქვენი ყველამფერი ერთნაირია, მარტო ერთ ღვინო არ იცნ“ (არავეთი)

ყვერებაი კაცი გადატ. მნიშ, ვაჟკაცი (შ. ფუტკ.) „ჭოროსი რომ შევა, გონია იყო, იქ იყო, ყვერებაი კაცი იყო, მაგარი კაცი მოკდა, მეწყინა“ (ხება)

ყინა ინა, საღებავი „დოდოფალსა ხელეებზე ყინა დაადებენ“ (დევესქელი)

ყინაგეჯე (თურქ. kına gecesi) ინის ღამე (ქორწილმდე ორი დღით ადრე გამართული რიტუალი, როდესაც პატარძალს თმებსა და ხელებს ინით უღებავენ). „მემრე გადაწყვიტებენ წაყვანის დღე, ყინაგეჯეს იქმენ, საღამოზე მივლენ ერთი ღამით წინ დოდოფლის სახლში“.

ყოვა (თურქ. kova) ვედრო, სათლი (თქლ) „ყოვა დავდგი სობაზე“

ყორაო შესანახად ნაღული ტყემლის წვენი [შ. ნიქ.] იგივეა, რაც დიალექტური ყორავა კორავა [შ. ფუტკ.] „ყორაო ვაკეთავთ“ (ზედა ქლასკური)

ყურუთ-ი (თურქ. kurut) ყურუთი (თქლ) ნაღულითა და ერბოში მოთუშული სიმინდის ფქვილით გაკეთებული კვერი [იხ.ვრცლად შ. ფუტკ.] „გავძრავ

თორბაში, მინჯი გავაკეთავ, ყურუთი“ (ხება); „ყურუთი გავახმეფ“ (არავეთი)
ყურფუზი-ი იხ. ყარფუზი

უ

შეგხუდავთ ყურადღების მიქცევა „თქვენი საკადრი ვერ შეგხუდავთ“ (არავეთი)

შეგბენდი გავსულელდი, გამოვშტერდი „შეგბენდი, დიდი ტყე ჩამოსულა“ (არავეთი)

შელდიგი-ი (თურქ. şenlik) სიხარული, მხიარულება, გამოცოცხლება (ქთლ); [შდრ. შ. ფუტკ. შელდიგი] „შელდიგი იქმენ“ (დევესქელი)

შერბეთი-ი (არაბ. şerbet) შარბათი (თქლ) „შერბეთ ავადუდავთ“ (არავეთი)

შეელო ძროხის სახელი (შუახვევი)

შიშა შეშა „გუგუმი, ყოვა, სობა, ლეგენი, თავანი, შიშა, ყორე... ვიცით“ (ხება)

შიშა [2] ხე „მე ერთი აქ მაქ შიშის სახლი“ (არავეთი)

შორვა // **შურვა** (სპარს.-თურქ.) წვნიანი კერძი (შ. ფუტკ.) „შორვა გავაკეთავთ“ (ხება); „შურვა ვიცით, აბა, რა“ (ხება)

ჩ

ჩაირი-ი (თურქ. çayır) მდელი, საძიოვარი (თქლ) „წუმპო დუურქმევეინ ჩაირებ“; „ჩაირები არ, სხვა აქეთკენ საქარათი“ (დევესქელი)

ჩამლუდი-ი (თურქ. çamlık) ფიჭვნარი, წიწვნარი ტყე (თქლ) „ჩამლუდი თქმა უნდა თუ არა ქართულად“ (ხება)

ჩიჩეგი-ი (თურქ. çiçek) ყვავილი (თქლ) „ჩიჩეგებ მოგკრიფავთ“ (ბაგინის იაილა); „იი ჩინაქებინა წვიდე იქა“ (დევესქელი); „ჩვენ ხაპი, ჩიჩეგი მოგკრიფავთ“ (ხება)

ჩიჩეგაი ძროხის სახელი (შუახვევი)

ჩურუგი-ი (თურქ. çürük) დამპალი, გაფუჭებული, დამყაყებული (თქლ) „კაკალი კაის არი, ჩურუგის არი“ (არავეთი) [შდრ. ჩურუგაი (შ. ფუტკ.)]

ც

ცოტ-ცოტანა ცოტა-ცოტა, მცირეოდენი „ძროხები ცოტ-ცოტანა ვინახოთ“ (დევესქელი)

ცუტა „ცუტა ზეით არი ბორჩხა“ (დაბა ბორჩხა) (დევესქელი)

ცუტანა ცოტა უნდა „ქვეში ცეცხლი ცუტანა იყოს“ (დევესქელი)

ცუტ-ცუტა ცოტა-ცოტა, მცირე „ცუტ-ცუტა წყალ მიცემ“ (დევესქელი)

ძ

ძაბრაი ლელვის ერთ-ერთი ჯიში (შუახვევი)

ძალი-ი რძალი „ძალი ლამაზია და ბიჭი ბეთია“ (ბაგინის იაილა); „თელი აქავრი ძლები მყავს“ (არავეთის იაილა); „ძალი მეყვანა დიდი დავასახლე“ (არავეთი); „ძალის თერეფმა კაკალი, თხილი, ქათამი მეითხოვენ“ (თეთრიწყლის იაილა)

ძე რძე „მაქინას გამოვხდით ძეს“ (ბაგინის იაილა); „ძეით, კვერცხით, ცოტა იოღურთით, ასე გარეკავ იქში“ (ზედა ქლასკური); „ძე შედგება, შემქავდება“ (არავეთის იაილა)

ძველები-ი ასაკოვანი ადამიანები, ხნიერნი „ძველებმა არ იცურებენ, ახალები იცურებენ“ (ზედა ქლასკური)

ძი მაქინა რძის გამოსახდელი მანქანა „იმითანე იშტი, ძი მაქინა მაქვან“ (არავეთის იაილა)

წ

წასლიხან წასვლისას, როცა წახვალ „წასლიხან ის წეიდე...“ (დევესქელი); „თახე წასლაზე იქ დავდგებით“ (ხება)

წეპლობა ჩაეფლობა

წეიკინდრებიან წაიხუბებენ//წაიკინკლავდებიან „გენილი და დემათილი რომ წეიკინდრებიან, ორთვეინა დაკლა“ (არავეთი)

წვიტ-წვიტ წვრილ-წვრილად, პატარ-პატარა „მერე წვიტ-წვიტნა დაჭრა“ (ზედა ქლასკური)

წინ ადრე, უწინ „საქონელი მყავდენ წინ, ბაბას დროზე (არავეთი); „გზა არ იყო წინ, ცხენ ამეიტანოდა ჩიქუნეთოთა“ (არავეთი)

წინედინ წინ, წინა მხრიდან „პასაპორტი ამევედე, დუუდევე წინედან“ (ხება)

წიოკი ხურმა ხურმის ერთ-ერთი ჯიში (შუახვევი)

წრეველ წლეულს, ამ წელს „შარშან ბევრი იყვენ, ჰამა, წრეველ არ ვიცი რანა ქნან“; „ხაბაზა შარშანაც იყო, წრეველ არ გადმეიარ“ (დევესქელი); „იყვენ, ჰამა, წრეველ არა ვიცი რანა ქნან“ (დევესქელი)

წყალი დეიბმება წყალის ონკანები გაკეთდება „წყალიც დეიბმება“ (დევესქელი)

ჭ

ჭად-ი მჭადი „ჭადი გამააცხე ლამაზი“ (დევესქელი); „ჭადის ვაცხოვით“ (ზედა ქლასკური)

ჭიმური-ი ერბოთი შეხავებული ცხელი მჭადის გული „ჭიმური, გოგოვ, სიმინდ იცი, ჭადი გამააცხე ლამაზი“ (დევესქელი)

ჭმევა არიან // **არიან ჭამა** საჭმელს აჭმევენ „ჭმევა არიან, არიან, არიან ჭამა“ (თეთრიწყელის იაილა)

ჭო! (კუთხ.) შემოკლებული ბიჭო! მიმართვა ვაჟისადმი (ქეგლ), კაცისადმი „ის რაცხა სეირი იყო, ჭო!“ (ბაგინის იაილა); „ჰელე, მოდით, ჭო“ (ხეზა)

ჭრიმე ჭირიმე „შენი თვალების ჭრიმე“ (დევესქელი)

ხ

ხაზინე (არაბ. hazine) განძსაცავი, ხაზინა, სალარო (ქთლ) „აქ, ამა ხაზინე ეტყვიან“ (ხეზა)

ხან-ი იხ. ხანე „შესას მაჰალე 15 ხანი“ (დევესქელი)

ხანე (სპარს.-თურქ. hane) სახლი, კომლი, (თქლ) „ყაინარჯა დევსქელი 340 ხანეა, დიდი სოფელია, გახვიდე, შეიშლები“ (დევესქელი)

ხანუმი (თურქ. hanım) ქალბატონი, მეუღლე (თქლ) „ხანუმი ბურსას გოგო არ ყავს“ (დევესქელი)

ხაპ-ი გოგრა (ქეგლ) მიწიხაპი კარტოფილი „თეთრი ხაპი, მიწი ხაპი გუდუურევთ“ (ზედა ქლასკური); „ჩვენ ხაპი, ჩიჩეგი მოგკრიფავთ“ (ზედა ქლასკური)

ხარ-ა – ა კითხვითობის ნაწილაკი, ძველი ქართული ენის გადმონაშთი „რა მუღელიმი ხარ ა“ (არავეთის იაილა)

ხარბ-ი (არაბ.-თურქ. harb) სამხედრო, საომარი, ურჯულო, არამუსლიმი მტერი „ხარბი ჩხუბობა იყო“ (ხეზა) შდრ. (harp) ომი, ბრძოლა.

ხარიტა (არაბ.-თურქ. harita) გეოგრაფ. რუკა, კარტოგრამა (თქლ) „ლორის ტყავზე დუუწვრია ხარიტა ყოფილა“ (არავეთის იაილა)

ხარჯ-ი (თურქ. harç) სამშენებლო მასალები (თქლ) „იმის მემრე ხარჯი მოეზილავეთ ბეტონი“ (დევესქელი)

ხასთანე (სპარს.-თურქ. hastane) სავადმყოფო (თქლ) „ამ სირაი ავადეველი ვარ, შენი თვალების ჭრიმე, ხასთანეში ვიყავი, ხასთანედან გუშინ გამეველი“.

ხასიეთ-ი (არაბ.-თურქ.) ხასიათი „წესი მის იცის, ხასიეთი იცის“ (არავეთი)

ხებერ-ი (არაბ. haber) ამბავი, ცნობა (თქლ) „ამათ ხებერი არ ქონდენ აქ“ (დევესქელი)

ხეირ-ი (არაბ. hayır) სიკეთე, კეთილდღეობა (ქთლ) „ხეირი-უღურლი იყოსო, ეტყვის“ (დევესქელი)

ხეირ-უღურლი იხ. ხეირი, უღურლი

ხელა-ი ხელად(ვე), იმწამსვე, მაშინვე „ტილეფონი დიმირეკავთ, ხელაი აქ ვარ“ (დევესქელი)

ხელვეჩაფი // **ხელვაჩაფერ** ხელვაჩაური „ჩემი ნათესავეები კირნათშიც არიან, ხელვეჩაფშიც არიან“ (ხება); ხელვაჩაურელი „ხელვაჩაფერ ცეკვის მასწავლებელი ხუთი დღე იყო აქ“ (ხება)

ხიზმეთი-ი (არაბ. hizmet) მომსახურება, სამსახური, სამუსაო (თქლ) „ხიზმეთ რაფერ არ ვიყოთ“ (არავეთი)

ხისიმ-ი (არაბ. hisim) ნათესავი) (თქლ) „ხისიმები ყავს იქა“ (ხება); „ჰო, მარადი ყოფილა ჩვენი ხისიმები“ (არავეთი)

ხლიოფინჯირი იხ. ლიოფინჯირი

ხოჯა (თურქ. hoca) მაჰმადიანთა სასულიერო პირი, მასწავლებელი (თქლ) „ჩემი ბაბოი ხოჯა იყო“ (არავეთი)

ხოჯობა მასწავლებლობა, ხოჯად ყოფნა, ხოჯად ყოფნის არჩევა „ხოჯობა ქნა“ (ხება)

ჯ

ჯამიე (არაბ. cami) მეჩეთი (თქლ) „ჯუმადღე ჯამიე ილოცება“ (ხება)

ჯეენემ (არაბ. cehennem) ჯოჯოხეთი (ქთლ) „ჯეენემში ვინმე ვერ გუუძღვებს“ (არავეთი)

ჯეირანი დეიბმება „ჯეირანი დეიბმება, წყალიც დეიბმება“ (დევესქელი)

ჯენით-ი (არაბ. cennet) სამოთხე (თქლ) „7-ჯერ ჯენითის წყალში გააცხეს“ (არავეთი) [შდრ. შ. ფუტკ. ჯენეთი]

ჯენითის წყალი სამოთხის წყალი (არაბ. cennet) სამოთხე (თქლ) „7-ჯერ ჯენითის წყალში გააცხეს“ (არავეთი)

ჯვალ-ი (სპარს.-თურქ. çuval) ტომარა (თქლ) „ბევრი არაა 2-3 ჯვალი“ (არავეთი)

ჯიფე ჯიბე (ქეგლ) „ტელეფონი აქავრი მაქ ჯიფისა“ (ხება)

ჯუმადღე პარასკევი „კვირაში ერთ დღე იქ ვილოცოთ ჩვენ, ჯუმადღე, ჯამიე ილოცება“ (ხება)

ჰ

ჰადმე სადმე „ჰადმე არნა მიცეთ“

ჰაზირ-ი (არაბ. hazır) მზა, მომზადებული, (თქლ) „ჰაზირი თევზი ვყიდავო“ (ხება)

ჰაიკიდ-ი (თურქ. hey gidi) საყვედურის ან სინანულის დროს ხუმრობის კილოთი წამოძახილი. ჰაი გიდი; ეხ; უსირცხვილოვ. „აქვა ფქილი რომ გაციონ, ჰაიკიდი, ბაბა“ (არავეთის იაილა), შდრ. ქართ. „ჰაი გიდი!“

ჰამა (არაბ.-თურქ. ama) კავშ. მაგრამ (თქლ) „ნენემ რაცხაეფ ილაპარიკებდა, ჰამა დამავიწყდა“ (ბაგინის იაილა); ჰამა მე ერთი არ გადმევიარ, მინდოდა ჰამა...“; „ბევრი გახდება, ჰამა ცხელი წყალი ზედან დაასხი“ (დევესქელი); „ე, ჩემის იბახს, ჰამა, ვერ იქს“ (არავეთი); „აქ თქვენი ბევრი მოდინ, ჰამა არ დგებნ“ (შუახევი); „იტირა ჰამა, მის სულმა თეფენერ შეწირა (არავეთი); „ჰამა ჩეიკითხონა, ვინმე არ კითხულობს“ (არავეთის იაილა); „ცოდვან, ჰამა რანა ქნა“ (არავეთის იაილა); „თქვენი საკადრი ვერ შეგხუდავთ, ჰამა რომ მოხვალთ, ამოით“ (არავეთი); „გურჯი არიან, ჰამა ერთავ დაბურული“ (დაბა ბორჩხა)

ჰამან (არაბ.-თურქ. hemen) მაშინვე, იმწუთას, მყისვე, მყისიერად, უყოყმანოდ, იმწუთიდან (თქლ) „ჰამან 6 დღეა, 7 დღე მაქვა“ (დევესქელი)

ჰასითახუმი-ი (არაბ. hasitahum), ხალასი, ნამდვილი, განსაკუთრებული; **თახუმი**-ი (ტაკიმ) მოწყობილობა, კომპლექტი (თქლ), „ბევრინა მუუტანე ძალს, რამით გაძღებინ თუ, ჰასითახუმი, ბეჭედები, ბილაზუგები“ (თეთრიწყლის იაილა);

ჰასუთა (არაბ. hasuta) ერბოთი, სიმინდის ფქვილითა და თაფლით შემზადებული კერძის სახელწოდება „ჰასუთას ნიშას და ფქვილი, შექერი, სუ (წყალი), ჰამა, იმასაც ყარადი აქვა ერთი თაბადი“ (დევესქელი)

ჰაფიფი-ი (არაბ. hafif) მსუბუქი, ჰაეროვანი (თქლ) „ფურუნშინა გამააცხო, ჰაფიფთან შეწითლდენ“ (ბაგინის იაილა)

ჰელე (თურქ. ჰელე) ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა (თქლ) „ჰელე, მოდით, ჭო, მოდით! მოდი ერთი ბიჭო აქ! (ხება)

helva (arab. helva) ჰალვა (თქლ) „ჭამე თლათ, ჩენი გაკეთებულია ჰელვა, ტათლი“ (ხება); „ჰელვას მოვხრაკავთ“ (ზედა ქლასკური)

ჰემ (სპარს.-თურქ. hem) თან, კიდევ, აგრეთვე (თქლ) „ჰემ დოსტი ვარ“ (დევესქელი)

ჰერალდა (თურქ. herhalde) როგორც ჩანს, ალბათ, ეტყობა (თქლ) „რაცხა მომგონდება, გეტყვი, ჰერალდა ბრაგუნა, ისე დუურქმეინ“ (ხება); „ჰერალდა ნაცნობიც იყო, ბილე“ (ხება)

ჰექიმები-მექიმები (არაბული სიტყვის ფუძეგაორკეცებული ქართული გამოთქმა) „ჰექიმები-მექიმები არიან იქ“ (დევესქელი)

ჰინ (სპარს.-თურქ. hiç) [უარყოფითობის გამომხატველი ნაწილაკი], მთლიანად, სრულიად, სრულებით, სავსებით, აბსოლუტურად (თქლ) „საქართველოში ჰინ არ ჩამოესულვარ“ (დევესქელი); „სხვა ჰინ, რამე არ ვიცი იშტა“ (ხება); „ტელევიზორში მოდინ, ჰინ რამეს ვერ გააგნებ“ (არავეთის იაილა)

ჰუკუმათ-ი „ამას უფროსი ჰუკუმათია“ (ხება) იხ. ჰუკუმეთი

ჰუკუმეთ-ი (არაბ.-თურქ. hükümet) მთავრობა, ხელისუფლება (თქლ) „ჰუკუ-მეთზე ცოლის ძმამ მახვენა“ (ხება)

ჩვენ მიერ მოძიებული აუცილებელ განსამარტავ სიტყვათა სალექსიკონო მასალა ძირითადად შედარებულია თურქულ-ქართული, ქართული ენის განმარტებით, შ. ფუტკარადისა და შ. ნიჟარადის ლექსიკონებს.

შემოკლებათა ახსნა

შ. ნიჟ. – შოთა (შუქრი) ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971

შ. ფუტკ. – შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, დიალექტური ტექსტები გამოკვლევებითა და ლექსიკონითურთ. ბათუმი, 1993

თქლ - თურქულ-ქართული ლექსიკონი, ღია ჩლადის რედაქციით, ტ. I-II, თბ, 2001;

ქგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, პირველი და მეორე ნაწილი, თბ., 1990;

სკ - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949

დანართი №1

დანართი №1

დანართი შედგენილია ალ. ფრენკელის ნაშრომის - “ნარკევეები ბათუმი-სა და ჩურუქსუს შესახებ” – მიხედვით

ლივანის სოფლები

სახელწოდება	სოფელი	უბანი	სად.რომელი სოფელი	შენიშვნა
ჩარშუ მეჰელესი				
უსტ მეჰელესი	კირნათი			
ხიმადიძე მეჰელესი				
კორძულ მეჰელესი		კორძული	ქალაქი ართვინი	
მამაწმინდა მეჰელესი		მამაწმინდა	ქალაქი ართვინი	
რაბათ მეჰელესი				
ერმენი მეჰელესი				
სოფ. მაჩუბა				
ხატილა	ხატილა			
არზუბა		ურზუმა	ომანა	
ომანა	ომანა			
ქართლა	ქართლა			
თხლაზურ	თხილაზრო			
ოვანა	ავანა			
ავჯი				ავჯიქილისა-1 სინკოტი ავჯიქილისა-2 კვარცხანა
დატიალი				
თურათიბი (ზემო და ქვემო)				
არხოდი				
კობილი				
ბორჯული			ბუჯური	
ოშმალი			ოზმალი	
კორინდიტი				
დური				
ორჩე				
ზასტული				
კაბარუათი (-აპარჯეთი)	კაბარჯეთი		კაბარჯეთი	
კორბოთი				
გარა (ზემო და ქვემო)	ქურა			
ჯალავისი				
დუმეკეთ				
ჯახალეთი				
ბაშქოი	ბაშქოი		ბაშქოი	
ფერუხეთი				

ქოქლითი				
ერგუნე	ერგუნა			
ქაშლეთი				
კორდეთი	კორიდეთი			
ჯივანოა	ჯუვანი			
ირსა	ირსა		ირსა	
ახალდაბა		ახალდაბა		
ბეშული	ბეშაერი		ბეშაერი	
კუვარჯიხანი	კვარცხანა		კვარცხანა	
სინკოთი	სინკოთი		სინკოთი	
სუტერი	სვეტი		სვეტი	
ბაგა		ბაგა	გურბინი	
ვარნა				
ვარხიკანი	ვარაჩკანი			
ერგელხე				
თურღიარღუკაშ				
დოღისყანა				
დაბა ჯამრუკი				
რეგამინდი				
ბერთა				
იმჰალიდი				
სერბე				
ორჯოხი	ორჯოხი			
მილა	მელო			
ნაბათი				
ჯუმჯე				
ქედა				
ბეძორი				
ზევაზი				
თექზევანი				
ლოსჩური				
დანილთი				
კატნარა				
დუიაზი				
ერმაშენი				
საჭვარეთი				
ზუნსკალი				
არჩვანი				
ოთაური				
ბალინგი				
ქუბალი				
ხოკი				
ზემვანი				
ზაგაური				
ვანესუ				
შათუთი				
პარხალი				

ქედისხევი				
ზედა ქალაქი				
ოკდემი				
ახოთი				
ქვედა ქალაქი				
ხედმისალი				
ქურთა				
იღისამი				
ბითა				
თურა				
ზემო ხოდი				
ზეგილსური				
დოჯანი-ვართესხუ				

დანართი შედგენილია ვ. ლისოვსკის ნარკვევის – ჭოროხის მხარის მიხედვით ჩვენი საკვლევი ტერიტორიის მონაცემთა გათვალისწინებით

სახელწოდება	რაოდენობა			სოფელი	კომლი	უბანი	რომელ სოფ-ში	შენიშვნა
	კომლი	კაცი	ქალი					
Авана	5	7	7	ავანა	70			
Аглаха	29	142	114	აგლახა	30			
Адагули	30	114	132	ადაგული	100			
Адурча	28	85	78			ადურჩა	დურჩა	
Араветы	16	48	35	არავეთი	160			
Арвинь	1075	3173	3025	ართვინი				ქალაქი
Архоа	7	12	12	არხვა	80			
Арцветь	2	10	6	არჩვეთი	35			
Бага	19	49	48			ბაგა	გურბინი	
Багина	37	115	143	ბაგინა	120			
Банакна	9	23	26			ბანაკნა	შუახვევი	
Башкей (арт)	24	65	67	***				
Башкей (на р. ичхаль)	2	13	22	ბაშქოი	80			
Беглевань	11	36	34	ბელღევანი	570			
Бешауль	60	205	209	ბეშავრი	150			
Борчха	53	134	131	ბორჩხა				დაბა
Буджурь	1	4	3	ბუჯური	100			
валашинь	17	43	40			ვალაში	შუახვევი	
Варачкань	41	125	129	ვარაჭკანი	70			
Гвара	9	19	19	გვარა	46			
Гидреветь	16	25	26			გიდრივეთ	ბელღევანი	
Гоглиеть	15	40	45			გოგლიეთი	მურღის ბაშქოი	
Даквара	14	22	20			დაკვარა	დ.ბორჩხა	
Дампала	8	21	25	დამფალი	110			
Девескели	73	253	220	დევესკელი	340			
Джувань	-	-	-	ჯუანი	150			
джинкура	20	39	33			ჯინკურა	ხება	
Дзансуль	69	207	224			ძანსული	დამარი	
Дзинцкаль-огли	42	85	80			ცინცკალოლი	ქლასკური	
Дзоблаветы	33	92	77			ძაბლავეთი	ქვ. მარადიდი	
Дузь-кёй	101	206	203	დუზქოი	200			

დურჩა	24	70	81	ღურჩა	55			
Зедубани	26	67	62			ზედუბანი	ხება	
Ирса	84	322	328	ირსა	150			
Ишхалбирь	33	123	100	იშხაბილი				
Камелеть	1	1	3			ქამელეთი	ერეგუნა	
Картლა	53	209	208	ქართლა	140			
Катапхия	33	75	85	კატაფხია				
Квамчиреть	9	28	21			ქვამჩირეთი	ქურა	
Кварсхана	38	163	126	კვარცხანა	50			
Квинтаური	11	52	37			კვინტაური	ბაგინი	
Кинцхурети	18	44	42			კინცხურეთი	ხება	
Кирнати	45	133	119	კირნათი	116			
Класкури	125	303	253	ზედა და ქვედა ქლასკური	460			
Коридети	10	19	30	კორიდეთი	60			
Костанети	9	15	16			კოსტანეთი	ხება	
Кура верх	9	21	14	ქურა	60			ზ. და ქ. ქურა გაერთიანებულია
Кура ниж	28	60	82					
Макрети	26	60	48	მაკრეთი	115			
Маманать верх,	41	88	74	მამანათი		მამანათი	მამანათი	
Маманати ниж,	30	59	68					
Марадиди верх,	69	234	226	ზედა მარადიდი	70			
Марадидი ниж,	39	80	73	ქვ. მარადიდი	120			
Мирветი	10	34	33	მირვეთი	22			
Муркветы	5	15	13			მურკივეთი	კატაფხია	
Наджвия	34	110	106	ნაჯვია				
Недзия	3	8	9			ნეძიე	გიუზელიურთ	
Ногай	11	21	22			ნიგია	ებრიკა/იბრიქლი	
Оглаური	26	44	45			ოღლაური	კირნათი	

Омана	19	102	104	ომანა	60			
Орджи	2	3	2			ორჯი	დამფალი	
Орджохь	55	225	183	ორჯოხი				
ოხორდჯინი	13	40	40			ოხორჯინი	შუახევი	
Охордия	12	27	23	ოხორდია				
Панчуреть	13	30	21			პანჭვეთი	კატაფხია, არჩვეთი	
Петрули	10	21	19			პეტრული	იბრიქლი	
Поросеть	12	36	41			ფოროსეთი	მურღულის ბაშქლი	
Сабаური	53	147	133			საბაური	შუახევი	
Санатись	13	61	79			სანათისი	შუახევი	
Светибарь	17	35	48			სვეტიბარი	სვეტი	
Светь	15	52	57	სვეტი	400			
Синкоть	43	191	170	სინკოთი	70			
Скуруча	3	9	10			სკურჩა	ბელღევა	
Суджуна	2	6	3			სუჯუნა	ბელღევა	
Тольгомь	14	56	61	თოლგომი	48			
Трапены	8	18	20	ტრაპენი	100			
Тхилазурь	8	8	8	თხილაზრო	180			
Урдзума	8	26	32			ურზუმა	ომანა	
Хадыла	110	458	400	ხადილა	100			
Халваши	18	40	29				მარადილი	ხალვაში გვარი დასტურდება, მაგრამ სოფლის სახელწოდება არა.
хеба	3	9	8	ხება				
Хинцкана	28	51	57			ხინჭკანა	ხება	
Цоцхеба	19	25	27			ცოცხოება	კატაფხია	
Чавуеть	7	16	12			ჭკადუმეთი	არჩვეთი	
Чать	22	54	42			მჭათი	ღუზქლი	

* ართვინის ბაშკეი ან არ დასტურდება, ან უბრალოდ – ვერ მოვიძიეთ.

ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტიფლისი, 1917.

№	სოფელი	კომ-ლი	სოფელი	კომ-ლი	უბანი	რომელ სოფელში	შენიშვნა
1	არხვა	27	არხვა	80			
2	დამპალა	18	დამფალი	110			
3	ორჯი	50			ორჯი	დამფალი	
4	ავანა	18	ავანა	70			
5	თხილაძვა	17	თხილაზრო	180			
6	კასტლა	30	ქართლა				
7	წითურეთი						ზ. ჭიჭინაძის ცნობით მთლიანად გადასახლდა
8	თელას-ყური	60	ზედა და ქვედა ქლასკური	460			
9	არხეთი	40	არხეთი	35			
10	ჭკადუეთი	24			ჭკადუეთი	კატაფხია, არხეთი	
11	კინწყურეთი	50			კინცხურეთი	ხება	
12	ცოცხება	40			ცოცხობა	კატაფხია	
13	ზედუბანი	12			ზედუბანი	ხება	
14	მურკივეთი	25			მურკივეთი	კატაფხია	
15	შუბანი	30			შუბანი	ხება	
16	ნადარბა-ზევი	45					ნადარბაზევი-1 სათესი კატაფხიაში ნადარბაზევი-2 სათესი კირნათში
17	ბურდუხეთი	23			ბურდუხეთი	კატაფხია	
18	საბაური	30			საბაური	ხება	
19	გორგაული	20			გორგაული	ხება	
20	ქერტაში	15			ქერტაში	ხება	
21	ხინჭკანა	30			ხინჭკანა	ხება	
22	ოლდაური	50			ოლდაური	კირნათი	
23	ჯონკურეთი	35					სავარაუდოდ, სოფ.ხების ჯონკურა ან სოფ. დამფალის ჯირიკეთი

ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმან ქართველთა საქართველო, ტიფლისი, 1909.

№	სოფელი	კომლი	სოფელი	კომლი	უბანი	სად, რომელ სოფელში	შენიშვნა
1	ბაგინი	60 კ.	ბაგინი	120			
2	ღვევე-სქელი	100 კ.	ღვევესკელი	340			
3	ცანათისი	15 კ.			სანათისი	შუახვევი	
4	ოსორჯინი	15 კ.			ოსორჯინი	ხეობა	
5	ვალაშია	15 კ.			ვალაში	შუახვევი	
6	შუა-ხვევი	25 კ.	შუახვევი	170			
7	ბანაკა	10 კ.			ბანაკნა	შუახვევი	
8	სამარხეო	10 კ.			სამარხეო	არავეთი	
9	არვეთი	18 კ.	არავეთი	160			
10	ნიგია	15 კ.			ნიგია	ეპრიკა//იბრიქლი	
11	ეპრიკა	20 კ.	ეპრიკა//იბრიქლი	66			
12	მამა-წმინდა	20 კ.			მამაწმინდა	ეპრიკა//იბრიქლი	
13	ღნია	11 კ.			ღნია	აღაგული	ჭოროხმა დაფარა
14	აღაგული	50 კ.	აღაგული	100			
15	პეტრული	20 კ.			პეტრული	ეპრიკა//იბრიქლი	
16	კვარცხანა	25 კ.	კვარცხანა				
17	სინკოთი	30 კ.	სინკოთი				
18	არხვა	27 კ.	არხვა				
19	დამპალა	18 კ.	დამფალი//ამბარლი	110			
20	ორჯი	50 კ.			ორჯი	დამფალი//ამბარლი	
21	ავანა	18 კ.	ავანა	70			
22	თხილნაძევა	17 კ.	თხილაზრო	180			
23	კასტლა	30 კ.	ქართლა	140			
24	ბორჩხა	60 კ.	ბორჩხა				
25	თელას-ყური	60 კ.	ზედა და ქვედა ქლასკური	460			
26	არჩვეთი	40 კ.	არჩვეთი	35			
27	ჭკადუთი	24 კ.			ჭკადუთი	კატაფხია, არჩვეთი	

28	კინწყურეთი	50 კ.			კინცხურეთი	ხება	
29	ცოცხება	40 კ.			ცოცხობა	კატაფხია	
30	ზედ-უბანი	12 კ.			ზედუბანი	ხება	
31	მურკეთი	25 კ.			მურკივეთი	კატაფხია	
32	შუბანი	30 კ.			შუბანი	ხება	
33	ნადარბაზევი	45 კ.					ნადარბაზევი-1 სათესი კატაფხიაში ნადარბაზევი-2 სათესი კირნათში
34	ბურდუხეთი	23 კ.			ბულდუხეთი	კატაფხია	
35	საბაური	30 კ.			საბაური	ხება	
36	გორგაული	20 კ.			გორგავლი	ხება	
37	ქესტაში	15 კ.			ქერტაში	ხება	
38	ხინწკარა	30 კ.			ხინწკანა	ხება	
39	ოლდაური	50 კ.			ოლდაური	კირნათი	
40	ჯონკურეთი	35 კ.					სავარაუდოდ, ხეების ჯინკურა ან სოფ დამფალის ჯირიკეთი

მურღულის ხეობა

№	სოფელი	კომლი	სოფელი	კომლი	უბანი	სად, რომელ სოფელში	შენიშვნა
1	ტრაპენი		ტრაპენი	100			
2	არხვა		არხვა	80			
3	ჟვანა		ჯუვანი	150			
4	ქამალეთი				ქამელეთი	ერევუნა	
5	პუჭგრეთი		***				
6	ერგვანა		ერევუნა	64			
7	კორიდეთი		კორიდეთი	60			
8	ოსმალა		ოზმალი	70			
9	დუნა		დურჩა	55			
10	მეზრე*						
11	ადუნა				ადუნა	დურჩა	
12	ძანცულა				ძანსული	დამარი	
14	ისკევი				ისკევი	დამარი	
15	კაპარტეთი		კაბარჯეთი	50			
16	გურბილი		გურბინი	78			
17	ბაგა				ბაგა	გურბინი	
18	ქურა		ქურა	60			
19	ჩხალეთი				ჩხალეთი	ბაშქოი	
20	გოგილეთი				გოგლიეთი	ბაშქოი	
21	ბაშქორი		ბაშქოი	80			
22	ფორსეთი				ფორსეთი	ბაშქოი	
23	ჭალავი			***			
24	გომჩირეთი				ქვამჩირეთი	ქურა	
25	ურძუმა				ურძუმა	ომანა	
26	ავანა		ავანა	70			
27	ნადვარევი				ნადვარევი	დამფალი, ტრაპენი, ებრიკა/იბრიქლი	
28	კველი		გველი	75			
29	ზედა იქურა		ქურა				
30	პოტოჭური			***			
31	ორჯი				ორჯი	დამფალი	
32	სიდირეთი			***			
33	დილარეთი			***			

* მ ე ზ რ ე ხშირია ნიგალის ხეობაში. აქ მას ზოგადად ისეთი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვს, რაც აგარას, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ მეზრე სოფლის სტატუსამდე ვერ ამაღლდება, თუმცა სოფლის უბანი სახელად ხშირად დასტურდება ნიგალის ხეობაში, კერძოდ, სოფლებში: ომონაში, დამფალსა და თოლგომში.

მეზრეს სინონიმური შესატყვისი სახელია თურქული „ყიშლა“, რაც საზამთრო სადგომს ნიშნავს. იგი სუფიქსური წარმოების სახელია, ძირი- „კის“ (“ზამთარი), სუფიქსი – ლაკ.

ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში (მუჰაჯირი ემიგრაცია), 1914 წელი

შეკრებილი 1893 წელს გადასახლებულნი ლივანის სოფლებიდან

№	სოფელი	გადასახ. რ-ბა	სოფელი	უბანი	რომელ სოფ-ში	შენიშვნა
1	ბაგინი	20	ბაგინი			
2	ღვეესქელი	25	ღვეესკელი			
3	ცანათისი	10		სანათისი	შუახევი	
4	ოხორჯინი	8		ოხორჯინი	შუახევი	
5	ყალაშია	5		ყალაში	შუახევი	
6	შუახევი	6	შუახევი			
7	ბანაკა	3		ბანაკნა	შუახევი	
8	სამახრეო	7		სამახრეო	არავეთი	
9	არვეთი	4	არავეთი			
10	ნიაგი	5		ნიგია	ებრიკა//იბრიქლი	
11	ებრიკა	4	ებრიკა			
12	ღნია	3		ღნია	ადაგული	ჭოროხმა დაფარა
13	ადაგული	20	ადაგული			
14	პეტრული	7		პეტრული	ებრიკა	
15	კვარცხანა	10	კვარცხანა			
16	სინკოთი	12	სინკოთი			
17	არხვა	15	არხვა			
18	ორჯი	25		ორჯი	დამფალი	
19	ავანა	5	ავანა			
20	თხილაძე	7	თხილაზრო			
21	კოსტლა	10	ქართლა			
22	წითურეთი	ყველა - 60		ყოფილი უბანი	ბორჩხა	ყველა გადასახლდა
23	დაბა ბორჩხა	40	დაბა ბორჩხა			
24	ქელასყური	20	ქლასკური			
25	ქელასყურის ხეობა	200	ქლასკურის ხეობა			
26	არჩუეთი	30	არჩუეთი			
27	ჭკადუეთი	20		ჭკადუეთი	კატაფხია, არჩუეთი	
28	ცოცხები	30		ცოცხობა	კატაფხია	
29	ზედაუბანი	25		ზედაუბანი	ხეობა	
30	მურკეთი	15		მურკივეთი	კატაფხია	
31	შუბანნი	20		შუბანი	ხეობა	
32	ნადარბაზევი	20				ნადარბაზევი-1 სათესი კატაფხიაში ნადარბაზე-

						ვი-2 სათესი კირნათში
33	ბურღუხეთი	20		ბურღუხეთი	კატაფხია	
34	საბაური	15		საბაური	ხეხი	
35	გორგაული	10		გორგაული	ხეხი	
36	ქესტაშა	12		ქესტაში	ხეხი	
37	ხინჭკარა	20		ხინჭკანა	ხეხი	
38	ოლღაური	30		ოლღაური//ოღ- ლავი	კირნათი	
39	ჯონკურეთი	25			სავარაუ- დოდ ხეხი- ში- ჯინკურა, ჯიგანეთი ან დამფა- ლის ჯირი- კეთი	
40	დაბა მარადი- დი	60	ქვ. მარადიდი			
41	მარადიდი	40	ზ. მარადიდი			

შეკრებილი 1892 წ. გადასახლებულნი მურღულის ხეობის სოფლებიდან

№	სოფელი	გადა- სახ. რ- ბა	სოფე- ლი	უბანი	რომელ სოფელ- ში	შენიშვნა
1	ტრაპენი	50	ტრაპენი			
	არხვა	45	არხვა			
	შვანა	20	ჯუშანი			
	ქამალეთი	30	ერეგუნა	ქამალე- თი		
	პუჭგრეთი	40	***			
	ერეგანი	25	ერეგუნა			
	კორიდეთი	30	კორიდე- თი			
	ოსმალო	20	ოსმალი			
	დუნა	15	დურჩა			
	მეზრე*	30				იხ. ზემოთ
	ძანცული	20		ძანცული	დამარი	
	იფხრევი	35				იფხრევი ვერ დავადას- ტურეთ მურღულში, მაგრამ ნაიმფხრევი ჩა- ვიწერეთ ზედა ქლას- კურში
	კაპარტეთი	40	კაბარჯე- თი			
	გურბინი	30	გურბინი			

	ბაგა	50		ბაგა	გურბინი	
	ქურა	20	ქურა			
	ჩხალეთი	30		ჩხალეთი	ბაშქოი	
	გოგილეთი	25		გოგლიეთი	ბაშქოი	
	ბაშქორი	50	ბაშქოი			
	ფორსეთი	40		ფორსეთი	ბაშქოი	
	ჭალაკი	30	***			
	გომწირეთი	25		ქვამწირეთი	ქურა	
	ურძუმა	35		უზურმა	ომანა	
	ნაღვარევი	40		ნაღვარევი	დამფალი, ტრაპენი, იბრიქლი	
	კეკლი	25	ბეკლი			
